


ვახტანგ ჭავჭავაძე

# ალმასა



## **წინასიტყვაობის მაგიერ**

შევეცალე ფურცლებზე გადამეტანა და შეძლებისდაგგარად ლიტერატურულ ჩარჩოებში მომექცია იმისი ნაწილი მაინც, რაც ჩემი ცხოვრების განმავლობაში მინახავს, მომისმენია და საკუთარ თავზე გადამიტანია. („ზუმბათა“, „სტალინის ქუდი“ და „სკოლის დირექტორი“ დაიწერა ე. შერმადინის მონათხოვის მიხედვით)

ზოგიერთ შემთხვევაში პერსონაჟების სახელები გამოგონილია და მოვლენების მიმდინარეობაც – შელამაზებული, რაც, მხოლოდ იმის სურვილითაა განპირობებული, რათა წიგნი იკითხებოდეს შედარებით საინტერესოდ.

იმედი მაქვს წიგნის მოყვარულთა ობიექტური განსჯისა და სულგრძელობის.

**ავტორი**

**რედაქტორი:** აპაპი ბიძინაშვილი

**ავტორის ფოტო:** მამუკა ეგნატაშვილისა

**მხატვრები:** გიორგი (ჭორა) კუსრაშვილი,  
ვანო ვანიშვილი

**კომპიუტერული**

**უზრუნველყოფა:** ლია აავლიაშვილი

## სანთელ-საკმეველი

(ნამდვილი ამბავი)

საახალწლო სუფრისთვის რეზომ ყველაფერი წინასწარ მოიმარაგა და დაახვავა, როგორც ეს ტრადიციულად ხდება ხოლმე მდიდარ თუ ნაკლებადშეძლებულ ოჯახებში. ცდილობდა ფაციფუცში და სიჩქარეში არაფერი გამორჩეოდა. ყველიდა ჰქონდა საყიდელი, რომელსაც, სახლში უკვე დამკვიდრებული წესის მიხედვით, ყოველთვის ცხინვალის ბაზარში ყიდულობდა. ახლაც, მიუხედავად თოვლ-ქარიანი ცივი ამინდისა, შინაურებს ხათრი ვერ გაუტეხა და ავტოსადგომიდან გამოაგორა, ჯერ კიდევ კარგადშემონახული მანქანა. შეუძლე კარგახნის გადასული იყო, როცა ხალხით გადატენილ ცხინვალის ბაზარში „მხარულით“ მიიკვლევდა გზას ნაცნობი ჯიხურისაკენ. მუდმივ კლიენტს საუკეთესო ყველი შესთავაზეს და დიდი გულმოლგინებით გაუხვიეს მუყალოსნაირ მოყავისფრო ქაღალდ-ში; ბარაქიანი ახალი წელი უსურვეს და კეთილი თვალი გამოაყოლეს.

რეზო ჩქარობდა. ქარი ძლიერდებოდა. შეიძლება დათოვლილი გზები მოეყინა და მანქანის მართვა გაძნელებულიყო.

ის-ის იყო მანქანა უნდა დაეძრა, რომ წინ ვიღაცამ გაუჩერა „უიგული“ და საქარე მინის იქიდან ღიმილით შესცეკროდა თვალებში.

თითქმის ერთდროულად გადმოვიდნენ მანქანებიდან, მოუახლოვდნენ ერთმანეთს, მხრებზე ხელები შემოარტყეს და გადაეხვივნენ. სტუდენტობის მეგობარი გოგი, დიდი ხანია არ ენახა რეზოს და ახლა ორივემ გულითადად გაიხარა ამ შემთხვევითი შეხვედრით. მოიკითხეს ერთმანეთი, ოჯახები, ნაცნობ-მეგობრები, გაიხსენეს სტუდენტური ონები და თავგადასავლები.

კარგად რომ იჯერეს გული ერთმანეთის ნაწვით და მოფერებით, რეზომ სცადა გამომშვიდობებოდა გოგის, მაგრამ არ დააცადეს

სიტყვის თქმაც კი. ეტყობოდა, რომ გოგიც საახალწლო სუფრის „შესავსებად“ იყო მოსული. რეზომ მაინც სცადა: „ახლა ორივეს მოგველიან ოჯახებში, ხომ იცი ყველა თავის ოჯახში უნდა შეხვდეს ახალწელს. მალე ჩამობნელდება, მე კი გორამდის დიდი მანძილი მაქვს გასავლელი ამ ამინდში“. სათქმელი წესიერად არ ჰქონდა დამთავრებული, როდესაც გოგიმ, სწრაფი მოძრაობით, ხელიდან გამოსტაცა მანქანის გასაღები და ღიმილით მიმართა: „ახლა, ჩემო ძმაო რეზო, ოჯახში თუ არ მეწვიე და არ დამილოცე, ისე მე შენი არსად გამშვები არ ვარ“. გულითბილად და გულწრფელად იყო ნათქვამი. გოგიმ ვიღაც ნაცნობი ახალგაზრდა ბიჭი მოიხმო, გასაღები ხელში ჩასტენა და უთხრა: „აი, ის „უიგული“, ჩემ სახლთან გააჩერე“, მერე რეზოს გაუყარა ხელკავი და თითქმის ძალით ჩასვა თავის მანქანაში.

„ნუ დამიწყებ ჭირვეულობას, აზრი არა აქვს. დიდხანს არ დაგაყოვნებ, ვიცი რომ ოჯახში გინდა შეხვდე ახალიწლის შემობრანებას, ჰო და, უფრო კარგ გუნებაზე რომ იყო, ოჯახი უნდა დამილოცო“. ამ სიტყვების თქმა იყო და, მანქანა მოწყვეტით დაიძრა ადგილიდან. ყველაფერი ისე სწრაფად და მოხერხებულად მომოქმედა გოგიმ, რომ რეზოს ოდნავი პრეტენზიის გამოხატვის საშუალებაც კი არ მიეცა. რაღა ექნა, დაჰყვა მეგობრის ნებას.

უკვე კარგად იყო ჩამობნელებული, როცა გვარიანად შეზარხოშებული რეზო მანქანამდის მიაცილეს, ჯიბულები ტკბილეულით ამოუცსეს, რვალიტრიანი დოქით ღვინოც ჩაუდგეს, გზა დაულოცეს და მრავალი ახალიწელი უსურვეს ოჯახთან ერთად.

მსხვილ ფანტელებად ბარდნიდა. ძლიერი ქარი ციბრუტივით აბზრიალებდა თოვლის ფიფქებს და მანქანის მინებს ანარცხებდა შეუწყალებლად. შესაშური თავდადებით მუშაობრნენ მინის საწმენდები და პერიოდულად წარმოქმნილ სექტორებში, თვალებგაფართოებული და სპეცე თითქმის გადაწილოლი რეზო, გაჭირვებით იყვლება გზას.

გორამდე თითქმის ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი და მხოლოდ ერთი მანქანა შემოხვდა, ისიც ალბათ რეზოსავით შეგვიანებული და მოჩქარე. გასწრებით კი არავის არ გაუსწრია.

ფრთხილობდა რეზო და ეტყობა მოქანცა მუდმივმა დაძაბულობამ. ღვინოც „თავის საქმეს“ აკეთებდა. დაღლა იგრძნო. თვალებიც წამოსტკივდა და სალონში დატრიალებული სითბოსგანაც სული ეხუთებოდა.

მაგნიტოფონის ჩამრთველს თითო დააჭირა და საყვარელი კასეტა აახმიანა. მუსიკა მაღე გამორთო, იფიქრა: „ყურადღებას გამიფანტავსო“. მერე მინა ჩამოსწია ოდნავ. ცივი ჰაერის ჭავლი გიუკივით შეიჭრა სალონში. რეზომ შვება იგრძნო, გამოცოცხლდა. საათზე დაიხედა — ახალიწლის დადგომამდე ორ საათზე მეტი იყო დარჩენილი, გზას კი არ უჩანდა დასასრული. სიჩქარეს არ უმატებდა — ფრთხილობდა ღვინომოკიდებული კაცი.

აი, გასცდა ტყვიავს და გამოჩნდა მაცდუნებელი, ლარივით გაჭიმული და რეზოსთვის კარგადნაცნობი გზა. სიგარეტი გააბოლა და გზას ჩააშტერდა. „ჰალოგენების“ შუქზე აშკარად გაარჩია გზის ნაპირზე მდგომი მსუბუქი მანქანა. მიახლოებულმა რეზომ კაცის ფიგურაც დალანდა, რომელიც ხელებს იქნევდა და მთელი თავისი უსტიკულაციით ითხოვდა შველას — ყელთან მიტანილი ხელით მანქანის გაჩერებას ითხოვდა და თითქოს თვალებში ცრემლიც უბრწყინავდა (შეიძლება ცრემლი კი არა და სხეულში ჯერ კიდევ შერჩენილი სითბოთი გამდნარი თოვლის ფიფქები ბრწყინავდნენ გაჭირვებულის სახეზე).

„უნდა დავეხმარო, თუ რამეს შევძლებ“ — გაიფიქრა რეზომ. საათზე დაიხედა ისე, რომ დრო არ აღუქვია და მანქანა გააჩერა. ძრავა არ გამორთო და „ჰალოგენებიც“ ჩართული დატოვა. მანქანიდან ჯერ არ იყო გადმოსული, რომ მისკენ ხელებაწეული გამოქანდა კაცი შეძახილით: „შენი ჭირობე, მევობარო, შენა ხარ ჩემი ოჯახის ანგელოზიო“.

რეზომ გაიგო, რომ ბენზინი გასთავებია, სამშობიარო სახლიდან მეუღლე და ახლადშობილი ბიჭი გამოეყვანა და საახალწლოდ ოჯახში მიეჩქარებოდა. უკვე სამ საათზე მეტი გასულა, რაც ამ ადგილზე შეჩერებულან. ბავშვი ეყინებოდათ ძლიერი სიცივისაგან, შველა კი არსაიდან ჩანდა. რამდენიმე მანქანას აუგლ-ჩაუგლია, მაგრამ გაჩერებით კი არავის გაუჩერებია. დედას მოღეღილ გულ-მკერდში ჩაუხუტებია ჩეილი — იქნებ როგორმე გადავარჩინო.

„შენ გენაცვალე, თუ ბენზინი გაქვს მომეცი, თუ არა და იქნებ შენი მანქანით წაგვიყვანო“ — იხვეწებოდა სიცივისგან აკანკალებული ახალგაზრდა მამა და ვედრებით შეჰყურებდა რეზოს თვალებში. რეზო კი თითქოს ცივ წყალში ჩააგდესო — უცებ გამოფხიზლდა, ცივი ჰაერიც ესიამოვნა და ის ფაქტიც, რომ ეძლეოდა საშუალება დახმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილთ. ახალგაცნობილს მხარზე ხელი შემოჰკრა და წინ დაუდგა ათლიტრიანი კანისტრა ბენზინით, რომელიც თითქმის ყოველთვის ჰქონდა მანქანაში.

სანამ კაცი მანქანას უკირკიტებდა, რეზომ გაყინულ სალონში შეჰყო თავი, მიესალმა იქ მყოფთ, ახალიწლის მოახლოება მოულოცა, გოგის მიერ გამოტანებული ტკბილეული დაუწყო სავარძელზე გაწამებულ დედას და შვილთა სიმრავლე უსურვა.

მძლავრი შუქვარების სინათლე გაყინული მანქანის სალონშიც კარგად ანათებდა. რეზომ დაინახა ორი შეშინებული თვალი, ყინვისგან გაწითლებული ლამაზი სახე და ოდნავ მოძრავი ხელის მტევნები. მთრთოლავი თითების იქით კი „რაღაც“ შეფუთული და მიყუჩებული, რომლისთვისაც გადამრჩენად ძგერდა და ტოკდა სასოწარკვეთილი ახალგაზრდა დედის ჯერ კიდევ თბილი გულმკერდი. ქალმა მადლობის გამომხატველი მზერით შეხედა რეზოს, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ამასობაში კაცმა მანქანა აამუშავა და სალონში მაცოცხლებული სითბოც გამოფოფხდა საიდანლაც. კაცი სიხარულს ვერ მაღავდა და ერთთავად იმეორებდა ლილინით: „შენ ხარ ვენახიი...“

აბა, ახლა კი დროა ჩვენი ოჯახებისაკენ გავწიოთო, მიაძახა რეზომ და წინ გაუშვა პატარა ოჯახითა და სითბოთი სავსე პატარა მანქანა.

გორში შევიდნენ. გარეუბნებიც კი გაჩახჩახებული იყო სინათლით. ყველა ოჯახში იდგა ნაძვისხე, იშლებოდა სუფრა და გულისფანცქალით ელოდნენ თოვლის პაპას, განსაკუთრებით დღისით გამოძინებული ბავშვები.

გორის ციხესთან, გზაჯვარედინთან, რეზომ მანქანა გააჩერა, შუქმანიშნებელი მარცხენა მხარეს ააციმციმა და მანქნიდან გადმოვიდა. ახლადგაცნობილიც გადმოსულიყო მანქნიდან, რომლის მოციმი-მე შუქმანიშნებელი მარჯვნივ წასვლის ნიშანს იძლეოდა. რეზომ სთხოვა სწვეოდნენ სახლში და მის ოჯახში ეზეიმათ დღესასწაული, მაგრამ მეუღლებმა მადლობით სავსე სიტყვებითა და მოზომილი ზრდილობით აიცდინეს მიწვევა: „გვინდა, რომ ჩვენ ბიჭს სახლში ყოფნა დაეკვებოსო“.

ისე დაშორდნენ, რომ ერთმანეთის ვინაობითაც კი არ დაინტერესებულან. „აბა, მრავალს დაგასიროთო“ გასძახეს ურთიერთს და გაემართნენ ქალაქის სხვადასხვა მიკრორაიონებისკენ.

გავიდა ერთი წელი. ზუსტად ერთი წელი. რეზომ, ახლა უკვე გორის ბაზარში მიმოდიოდა დახლებს შორის და ისეთ ვაშლს დაეძებდა, საახალწლოდ სუფრისთვის კახეთიდან ჩამოსულ სტუმრებს რომ დაჰპირდა. აბა კახელებს ზიღლით როგორ გააკვირვებ, მაგრამ გორის რაიონი ხომ ვაშლით არის განთქმული და რეზოც ეძებდა რაღაც განსაკუთრებულს და გასაოცარს. რა ჯიშის ვაშლი აღარ იყო დახვავებული დახლებზე: „ბანანი“, „სინაპი“, „კუპურა“, „გოლდენი“, „ბროკი“, „ივერია“, „ანტონოვკა“, „ცარსკი“, „შაფრანი“ და კიდევ ვინ ჩამოთვლის რა. მიუხედავად ყინვიანი ამინდისა, რაღაც სითბო და ბარაქის სიკეთე ტრიალებდა პაერში. „ბანანის“ სურნელებას დაეპყრო ბაზარი.

რეზომ ბევრი იარა. ზოგი არ მოეწონა, ზოგი ეძვირა, ზოგში

ეჭვი ეპარებოდა — ვაი, თუ სტუმრებმა დამიწუნონ. ბოლოს არჩევანი გააკეთა და სასწორთან მდგარ მამაკაცს მოწონებული ვაშლი დააფასებინა, თან ერთი ხელში აიღო და კარგად შეათვალიერა. მართლაც დიდებული რამ იყო საახალწლო სუფრისთვის, მაგრამ ფასი ეძვირა რეზომს, ჩაფიქრებული ათი კილოგრამისთვის (ათ კილოგრამს აბა ვინ შეჭამს საახალწლო სუფრაზე, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა კახელი სტუმრებისთვისაც გაეტანებინა) ფული არ ჰყოფნიდა. ცოტა დამიკელიო უთხრა რეზომ ვაშლის პატრონს და თვალებში შეხედა. პასუხი ვერ გაიგო, რაღაც უცნობმა ფიქრმა გაუფანტა გონება. ცოტა დამიკელიო მიმართა ერთხელ კიდევ რეზომ, მაგრამ ცივი უარი მიიღო: „კაპიკიც არ დაკლდება, ამ ვაშლზე უკეთესს ვერ იშოვი, კიდევაც იაფად ვყიდიო“ — მიახალა ვაშლის პატრონმა. „შენი სიტყვა რა, ბეჭედი ხომ არ არის, ბაზარი იმის ბაზარია, რომ ვივაჭროთ, ცოტას მე მოვუმატებ, ცოტას შენ დაკლდებ და ორივეს შეგვერგებაო“ — გაცხარდა რეზომ. არა, გაჯიუტდა ვაშლის პატრონი. „წადი და ასეთი ვაშლი სხვაგან იყიდეო იაფად“.

„არ გინდა და გქონდეს, ნეტავ რამდენს შეჭამ ან უკან რამდენს წაიღებო“ — უთხრა გაბრაზებით რეზომ და სხვა დახლისკენ გასწია. წელანდელმა ფიქრმა ისევ იძალა და არც კი გაუგია ზურგსუკნიდან ძახილი. ათიოდე ნაბიჯიც კი არ ჰქონდა გავლილი, რომ მხარზე ხელის შეხება იგრძნო. გამოერკვა ფიქრიდან, შემოტრიალდა და რას ხედავს — მის წინ იდგა ვაშლის „ჯიუტი“ გამყიდველი და იღიმებოდა: „რას ბრაზობ, შე კაი კაცო, წამობრძანდი და აარჩიე რამდენიც გნდა, მოვრიგდებით“. რეზომ ისევ გაიტაცა რაღაც ფიქრმა და ანგარიშგაუწევლად გაჰყვა ვაშლის გამყიდველს მოწონებული „ბანანისკენ“.

სასწორთან ახლა ქალი იდგა და მომაჯადოებული ღიმილით შეპყურებდა რეზომს: „მომეცით თქვენი ჩანთა“ — მიმართა რეზომს და თითქმის ძალით გამოსტაცა ხელიდან ვეღტერთელა ჩანთა, რომელიც რეზომს მეუღლებ ფინეთში მოგზაურობის დროს შეიძინა. არჩევდა

ახალგაზრდა ქალი ისედაც საუკეთესო ვაშლს და აუწონავად ფრთხილად აწყობდა ჩანთაში. „ამდენი არ მინდაო“ – უთხრა რეზომ, „მე მხოლოდ...“ „ინებეთ, ბატონო, ღმერთმა შეგარგოთ თქვენცა და თქვენი ოჯახის წევრებსაც, მრავალ ახალწელს დაგასწროთ ღმერთმა სიტყბოთი და ჯანმრთელობით, ჩათვალეთ ჩვენგან საახალწლო საჩუქრად“ – წარმოთქვა ქალმა და იქვე მდგომი „ჯიუტი“ გამყიდველის დახმარებით ძლიერ გადმოაწოდა პირთამდე ვაშლით სავსე ფინური ჩანთა, ცოტა არ იყოს გაოცებულ რეზოს.

„თქვენ ხომ ის კაცი ხართ, ზუსტად ერთი წლის წინ გზაზე გაყინვას რომ გადაგვარჩინეთო“ – დაამატა ქალმა და ოდნავ უქმაყოფილო სახით გადახედა იქვე მორცხვადმდგომ მეუღლეს, რომელიც თავისითვის ღილინებდა დაბალი ხმით: „შენ ხაარ ვენაშიით...“ და თან ფეხს ინაცვლებდა სიცივისაგან შეწუხებული.

### „ალმასა“

მთათუშეთის ულამაზეს სოფელ დიკლოში თბილი სექტემბრის ერთ კვირა დღეს, უჩვეულო საზეიმო განწყობა იგრძნობოდა; ყველა რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში იყო. აჩქარებით მიდიოდიოდნენ და მერე, იქვე ტყისკენ მიპჟონდათ ქაბები, თევზები, ტიპჟორები, ყანწები, შამფურები და სხვა. აშკარა იყო, რომ დიდი პურმარილისითვის ემზადებოდნენ. კაცებიც და ქალებიც, შეძლებისდაგვარად, ახალ და სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ და ერთიმეორეს ინტერესით აკვირდებოდნენ. ბავშვების ჟრიამულის ხმა სამო პანგებად ეფინებოდა ტყისპირზე მწვანით მოფარდაგბულ მინდორს და თითქოს ეპაურებოდა იქვე რაკარაკით მოჩეხჩუხე მთის ანკარა ნაკადულს.

ვიღაცამ დაიძახა, – მოდიან, მოდიანო.

ოთხი ცხენოსანი გამოჩნდა ფერდობს აქეთ. სოფლის ეგერი მუნბულით გაემართა შესახვედრად. თუშური ჭუდი მოიძრო კეფიდან,

გულთბილად მიესალმა და დაქვეითებულ სტუმრებს მოლზე გაშლილი სუფრის გარშემო შეგრებილი ხალხისკენ გაუძღვა.

– ხალხო, მიმართა ეგერმა თანასოფლელებს, – დილექტორი გვეწვია და აბა, თქვენ იცით, როგორ მასპინძლობას გაუწევთ. არ უნდა შავრცხვეთ.

მთავარი სტუმრი თელავის სატყეო მეურნეობის დირექტორი, „რევაზ ნიკალაევიჩი“ გახლდათ, რომელიც ორ მოადგილესთან და მეგზურთან ერთად ეწვია მთათუშეთს. მისი მიზანი იყო დაეთვალიერებინა ტყები, საძოვრები და დეტალურად გაცნობოდა სატყეო მეურნეობაში არსებულ ვითარებას.

შუადღე გადაწურული იყო. საქმე მეორე დღისითვის გადადეს. მორაკრაკე ნაკადულში ხელ-პირი დაიბანეს და მოშიებულებმა სიამოვნებით მიაშურეს ბარაქიან სუფრას. ზოგი ფეხმორთხმით იჯდა, ზოგი კი მხარეთებოზე წამოწოლილიყო. ქალები სუფრის გარშემო დაფუსფუსებდნენ და ახალ-ახალ კერძებს არ აკლებდნენ მადაზემოსულ მამაკაცებს. გაეგოთ, რომ „რევაზ ნიკალაევიჩი“ ორი წლის დაქვრივებული იყო და ცდილობდნენ მისი ყურადღება მიეკვიათ.

„რევაზ ნიკალაევიჩის“ ორი შვილი დარჩა ობლად, ვახტანგი და დარეჯანი. თვითონ დღედალამე ტყეში იყო, ხელმძღვანელობდა ფრონტისთვის შეშის დამზადებას. ბავშვები ნათესავებისა და მეზობლების ანაბარად იყვნენ დარჩენილნი. კვირაში ერთხელ თუ ახერხებდა სახლში დამის გათევას. ბავშვების ცოდვით იწვოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რა გამოსავალი მოენახა, ან რითი გაეხარებინა პატარები.

მზე პორიზონტს უახლოვდებოდა, როცა მოქეიფები ნელ-ნელა წამოიშალნენ. ვიღაცამ ჩახლებილი ხმით წინადადება შეიტანა – ახლა კი დროა ჭიდაობა გავმართოთო. ამის თქმა იყო და ზურნაც აჭყი პინდა. აქა-იქ ქამრები გაისწორეს და ჩოხის კალთები შეიკეცეს. ანთებული თვალებით ზომიერნენ ერთმნეთს და გამოწვევას ელოდნენ.

რამდენიმე წევილმა იჭიდავა. იყო ერთი ტაშის კვრა და

შექების შეძახილები.

ერთ, დაახლოებით 18-20 წლის ტანსრულ ბიჭს, ცერა თითები ქამარში ჩაეყო და დაბლვერილი იყურებოდა სტუმრებისაკენ.

- რა იყო, რას იბლვირები, – მიაძახა ეგერმა.
- დამეჭიდოს, აი ის, ქალაქელი.
- რომელი?
- რომელი და დილექტორი.

ეგერს არ ესიამოვნა ახალგაზრდის ტონი და გამოხდვა, მაგრამ რას იზამდა.

მოქრძალებით მიმართა „რევაზ ნიკალაევიჩ“ – თუ ეჭიდავებით იმ ბიჭსო.

– პატარაა, მაგას არ ვეჭიდავები. მონახეთ ვინმე ჩემი წნისა და ისეთი, რომ ჭიდაობა შეეძლოს.

დირექტორს, აბა ვინ გაუბედავდა წინააღმდეგობას. თან დიდი სათხოვარი ჰქონდათ მასთან – საძოვრების გამოყოფას თხოულობდნენ ცხვრისათვის.

ვერავინ ბედავდა დირექტორთან ჭიდაობას, ერიდებოდათ და უკან იხევდნენ. დამსკვდურებისათვის შემარცხვენელი სიტუაცია მწიფებოდა. ამდროს წინ წამოდგა ორმოციოლე წლის, ბრგე აგებულების მწყემსი და დამაჯერებლად განაცხადა – მე დავეჭიდები, მხოლოდ ერთი პირობით; თუ წავაქციე, რასაც მინდა იმას მოვთხოვ, ხოლო თუ მაგან წამაქცია, რაც უნდა ისა მთხოვოს, თავს მოვიკლავ და სურვილს შევუსრულებ.

დირექტორი დათანხმდა.

მწყემსი ფიქრობდა: „თუ წავაქციე, საძოვრის გამოყოფას მოვთხოვ ფარისოთვის და უარს ვეღარ მეტყვის“.

„რევაზ ნიკალაევიჩი“ კი ფიქრობდა: „ისეთ რამეს მოვთხოვ, რომ მისთვის უბრალო შესასრულებელი და უმტკიცნეული იყოსო“.

ხელი ჩამოართვეს ქრომანითს და დაეჭირდნენ. მეზურნებ ლოყების გვარიანად დაბერვაც კი ვერ მოასწრო, ისე სწრაფად მოხდა ყვე-

ლაფერი. დირექტორმა „შუა სარმით“ მიწას გააკრა მწყემსი, უცბადვე მიაშველა წელი, გადაკოცნა და სუფრისკენ წაიყვანა. ტაშის გრიალმა და აღტაცების შეძახილებმა შეარხია ბინდშეპარებული ტყე.

დამარცხებულმა ყანწი შეივსო და ყველას გასაგონად მიმართა დირექტორს:

– მთხოვე რაც გსურდეს, პირობა პირობა.

მოქეთვეთა არყოფნაში სუფრის ძალის ორი ფუნქციულა ლეკვი დაპატრონებოდა. ხტოდნენ, წერტუნებდნენ, ჭიდაობდნენ და ერთმანეთს დასდევდნენ. ხან შამფურს წამოკრეს ფეხი, ხან საშლამიანი თევზი ამოატრიალეს და ნახევრადსავსე ჭიქები ერთიანად მოაპირევეს. ისეთი ლამაზები, პუტკუნები და ანცები იყვნენ, რომ ძალაუნებურად შეგაყვარებდნენ თავს.

„რევაზ ნიკალაევიჩიმა“ თითი გაიშვირა შუბლზე თეთრლაქიანი ლეკვისკენ და რაღაცნაირი დამორცხვებით მიმართა იქ მყოფთ:

– ხალხო, აი ეს ლეკვი მაჩუქეთ, ობოლი პატარა ბიჭი მყავს, გავახარებ და ბავშვობასაც ცოტა გავუხალისებ.

მეხი დასცემოდა მწყემსს, ის ერჩივნა, – ოღონდ ლეკვი არ ეთხოვათ. გაფითრებული მუხლებზე დაუცა, ყანწიანი წელი მკრდზე მიიღო და მუდარით მიმართა დირექტორს:

– ათი წელია მგლებთანმებროლი ახალი ჯიშის ძალის შეჯვარებაზე ვზრუნავდით, როგორც იყო მიზანს მივაღწიეთ, მაგის იმედზე-და ვართ, თორებ მტაცებლები მთელ სოფელს აწიოკებენ; ეგ რომ მოგცეთ, ჩვენ რა გვეშველება. დირექტორი ცნობილი იყო თავისი ჯიუტი ხასიათით. თან შემთვრალიც იყო და რომ იტყვიან „ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო“ – ისე მოხდა.

ორი დღის შემდეგ, ხურჯინგადაკიდებული ცხენებით, საპატიო სტუმრები უკან ბრუნდებოდნენ იგივე მეგზურის თანხლებით.

„რევაზ ნიკალაევიჩის“ ცხენზე გადაკიდებული ხურჯინის ერთი თვალიდან თავი მოყვითა შუბლზე თეთრსალიან ლეკვის და ინტერესით ათვალიერებდა მისთვის უცნობ გარემოს.

\* \* \*

კარგად არ იყო გათენებული, როცა ვახტანგიმ საბანქვეშ რაღაცა რბილი და თბილი იგრძნო. შეეშინდა ბავშვს და საბანი მოისროლა. ლამბის შუქზე ლეპმაც წამოყო თავი, გაიზმორა, დაამთქარა და შეშინებული თვალებით მიაშტერდა ბიჭს. მერე მკერდზე ააცოცდა, თათები გაბედულად მოუთათუნა და კრუსუნით აულოკა ცხვირბირი. ვახტანგი მაღე გამოერკვა, გასარებულმა ნაზად მიიკრა გულზე და ფაფუჟ კეფაზე და ზურგზე დაუწყო კოცნა. მიხვდა, ვისი „ონიც“ იყო ეს მოულოდნელი სიურპრიზი, უფრო მძლავრად ჩაიხუტა ლეკვი და ლამბის ალერსით გაგუდა. ნაცნობობა შედგა. ლეპმაც თავს ისე გრძნობდა, როგორც „საკუთარ სახლში“.

ფანჯრებს მიღმა ოდნავ ინათა. დიღა მოაბიჯებდა ფრთხილი ნაბიჯებით. სკოლაში წასვლის დროც ახლო იყო.

შემოსასვლელ კარებთან ვახტანგიმ მამის წერილი იპოვა: „შვილო, გაუფრთხილდი, მოუარე და გაზარდე. თბილად გყავდეს, პატარაა და არ შესცივდეს. დარეჯანიც დაგეხმარება. მე მაღე ჩამოვალ“.

ბავშვებმა სასწრაფოდ მიუჩინეს „თავისი“ ადგილი საკმაოდ დიდ ბინაში. ქვეშაგები დაუგეს, ჯამით წყალი დაუდგეს და არც საჭმელი მოაკლეს, თუმცა რას შეჭამდა მუშტისხელა პატარა არსება, რომელიც ჯერ კიდევ გაფაციცებით და გაკვირვებით უცქეროდა ყველაფერს. რა იცოდა პატარამ, რომ მისი შემდგომი ქალაქერი ცხოვრება არადანიშნულებისამებრ წარიმართებოდა და მისი გასანადგურებელი მგლები სხვების ლუკმა გახდებოდა.

ვახტანგი გაკვეთილებს ვეღარ უსმენდა, ადგილზე ცქმუტავდა, ერთი სული ჰქონდა სახლში როდის დაბრუნდებოდა. თან სულ იმას ფიქრობდა – სახელი როგორი შევურჩიო. გადაწყვიტა თავის დასთან და უბნელ ბიჭებთან ერთად მოეფიქრებინა.

სირბილით დაბრუნდა სახლში. დარეჯანს კალთაში ჩაესვა ლეპმა, გალერსებოდა და რაღაცას ტენიდა პირში. ისიც წეტუნავდა, თავს აქეთ-იქით იქნევდა, პატარა კუდს შეუჩერებლად აქიცინებდა

და კრუტუნ-წკმუტუნით რაღაც ხმებს გამოსცემდა.

ბავშვებმა ერთობლივად შეურჩიეს სახელად „ალმასა“ და ამ მომენტიდან დაწყო ახალი ცხოვრება. ალმასა ოჯახის სრულფასოვან წევრად ითვლებოდა და გადამეტებული ყურადღებითაც სარგებლობდა.

ბავშვებმა გაიხარეს, გამოცოცხლდნენ. მათ ობლურ ცხოვრებას ბიძგი მიეცა. თითქოს სიმარტოვეს ვეღარ გრძნობდნენ, გახალისდნენ და ცხოვრებაც აღარ ქვეწილდა გაუსაძლისად და უკუდმართად. „ალმას“ გააღამაზა და შინაარისი შესძინა ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებას.

დრო გადიოდა. „ალმასა“ იზრდებოდა და თანდათან იკვეთებოდა მისი ფიზიკური მონაცემები. რვა თვისა უკვე იმსელა იყო, რომ უკანა ფეხებზე შემდგარი მაღალი კაცის სიმაღლეს უტოლდებოდა.

განიერი და ძლიერი მკერდი მუქიყავისფერი ბეწვით ჰქონდა დაფარული. შებლზე თეთრი ლაქს გაზრდოდა და უფრო გამოკვეთილად უჩანდა. თათები ჰქონდა ისეთი ძლიერი და დიდ, რომ თოვლზე ნაკალევის მიხდვით, იფიქრებდა კაცი სპილოს გაუკვალიაო. ისეთი ხმა ჰქონდა, რომ ყეფი-

სას ფანჯრის მინები ზანზარებდა. თვალები ჰქონდა საოცრად მეტყველი და ჭიკვიანი. გონიერებით ხომ ბევრად სჯობდა ზოგიერთ უკიცა და უტვინოს. წინა ორი თათითა და ძლიერი ყბებით, რის გაკეთებაც შეეძლო დაუზარელად შრომობდა და ობოლ და-ძმას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. წყლით სავსე ვედრას იქ მიიტანდა, სადაც მიანიშნებდნენ; სარდაფვიდან თითო-თითო ნაჭრად ამოჰქონდა შეშა და ღუმელთან აგროვებდა. არც ხილ-ბოსტნეულით სავსე კალთის ტარებზე ამბობდა უარს. ისეთი ძლიერი კისერი ჰქონდა, რომ მმიმე ტვირთის ძირსდაუდგმელად ტარება შეეძლო საკმაოდ



დიდ მანძილზე. სკოლაში მიაცილებდა ვახტანგს და სასწრაფოდ უკან ბრუნდებოდა; ახლა დარეჯანს ეთამაშებოდა და ეხმარებოდა. საოცარი ის იყო, რომ რაღაც ინსტიქტით გრძნობდა გაკვეთილების დამთავრების მომენტს და სკოლის ჭიშკართან ელოდა ვახტანგს, რათა სახლამდე გაეცილებინა. ერთხელ ჩანთაც კი გამოსტაცა და თავისქვეით სახლამდე ატარა.

მას შემდეგ, რაც ერთად დაიწყეს სკოლაში სიარული, უბნის აბეზარა ბიჭები ვეღარაფერ ცუდს ვერ უბედავდნენ ვახტანგს. „ალმასას“ შიში ჰქონდათ, რომლის ბუმბერაზი ტანის დანახვაც კი თავზარს სცემდა მათ. უბნის ათობით ძაღლიც კი ერიდებოდა „ალმასასთან“ დაპირისპირებას, მას შემდეგ რაც ხუთი თუ ექვსი ძაღლი ისე დაბევვა, რომ ორი კვირა აღარ გამოჩენილა. თავად „ალმასა“ არასდროს ერჩოდა ვინმეს. მშვიდად და საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებული დინჯი ნაბიჯებით მიჰყვებოდა ვახტანგის, რომელიც ასევე ამაყად მიმოდიოდა ქუჩებში განუყრელი მეგობრის იმედით. ერთი კი იყო, რუს ჯარისკაცებს ვერ იტანდა.

ვახტანგის სახლი სულ ასიოდე მეტრით იყო დაშორებული რუსული სამხედრო ბაზიდან. თითქმის ყოველდღე მწყობრი ნაბიჯებით დადიოდნენ სამხედროები ქალაქის ცენტრის მიმართულებით. ისინი ხან აბანოში, ხან სტადიონზე, ხანაც სამუშაოებში დასახმარებლად მიჰყავდათ ხოლმე.

„ალმასა“, გაიგონებდა თუ არა მწყობრი ნაბიჯებისა და უაზროდ დაზეპირებული სიმღერის ხმას — მოსწყდებოდა ადგილს და ორიოდე ნახტომით შუა გზაზე ჩნდებოდა. მისი დაკავება შეუძლებელი იყო. ერთს დაჰყევდა თავისებურად და ოცეული ბრინჯივით იფანტებოდა. ზოგი წინ გარბოდა, ზოგი უკან, ზოგი კი მეზობელი სახლების ჭიშკრებს ასკდებოდა ფერდაკარგული და აკანკალებული.

რამდენჯერმე რომ მოხდა ასეთი რამ, სამხედრო ბაზის უფროსმა იჩივლა — დაბით, თორებ მოვალავთო. ვახტანგის გული უკდებოდა, როცა მსხვილი ჯაჭვით დაბმული „ალმასას“ ცრემლიან თვალებს

უცქეროდა. ძაღლი არც წყალს და აღარც საჭმელს ეკარებოდა. ერთთავად კვნესოდა და ადგილიდან არ იძვროდა. ვახტანგიმაც მოიწყინა და გამოსავალს ემებდა.

ერთ დღეს ვახტანგი აივანზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. ამ დროს გაისმა მწყობრი ნაბიჯის ხმა. ვახტანგს გულმა ხიფათის მოახლოება უგრძნო, მაგრამ მანამ რაიმეს მოიფიქრებდა, თვალი მოჰკრა ქვის გაღავანზე გადავლებულ „ალმასას“, რომელსაც ჯაჭვის ნაგლევი შერჩენოდა კისერზე.

ვახტანგი ეცა ქუჩის კარებს. გაისმა ჯერ ყეფის ხმა, მერე გაფანტული ჯარისკაცების ფეხის ხმა და ის იყო გავარდა ქუჩაში — იქუხა ოფიცრის პისტოლეტმა. ბედზე ტყვია ასცდა „ალმასას“, რომელმაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მსროლელისკენ, მაგრამ მან მაღაზიაში შეასწრო და პისტოლეტის ქნევითა და უშვერი გინებით აიკლო იქაურობა.

ვახტანგიმ დაიმორჩილა „ალმასა“, შეიყვანა ეზოში და მაგრად დატუქსა. მომხდარით ძლიერ იყო შეშინებული ბავშვი და უკვე აღარ იცოდა რა მოემოქმედა. თფიქრა, მამას ვეტყვი და რაიმე გამოსავალს ვნახავთო, მაგრამ „რევაზ ნიკალავიჩი“ შეიძლება სამი-ოთხი დღის შემდეგ მოსულიყო. მანამდე უნდა ეღონა რამე, მაგრამ რა?!

სარდაფი კარგად იკეტებოდა და იქ ჩაკეტა. გადაწყვიტა, დილით სკოლაში გავიყოლებ და მასწავლებლებს დაევთხოვები მამის მოსვლამდეო.

დილით „ალმასა“ აღარ დახვდა სარდაფში. ქუჩის მხარეს გამავალი ფანჯარა განგრეული იყო. მთელი დღე არ გამოჩენილა. უბნის ბიჭები ექებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. დადარდიანდნენ ბავშვები. ვახტანგს ცრემლებით ჰქონდა თვალები დანამული, დარეჯანი კი ერთთავად სლუკუნებდა — მამას რა პასუხი გავცეთ, ერთ ძაღლს როგორ ვერ მოუარეთო, რომ გვკითხოს?

მთელი ღამე არ ეძინათ პატარებს. „ალმასა“ არც დილით გამოჩენილა. ვახტანგი სკოლაში არ წავიდა. ახლა მოზრდილი

მეზობლები შეაწუხა და განაგრძეს ძებნა, მაგრამ „ალმასას“ კვალს ვერ მიაგნეს. ანდა როგორ იპოვნიდნენ – სამხედრო ნაწილის ჭიშკრის ახლომდებარე ბუჩქნარში შემაღლულიყო და თვალს არ აშორებდა შემსვლელ-გამომსვლელს.

როგორც იქნა „გაუმართლა“, ერთიანად დაიძაბა და ნახტომის-თვის მოემზადა. საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან სწორედ ის ოფიცერი გამოდიოდა, რომელმაც ესროლა.

ჯერ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, მერე დაიჭიმა ზამბარასავით და ორი ნახტომით ოფიცერის წინ გაჩნდა. შეშინებული და თვალებგაფართოებული ოფიცერი დაიბნა, მაგრამ უცბად მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე, მკვეთრად შეტრიალდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოკურცხლა, თან ყარაულს უყვიროდა – ესროლე, ესროლე. ყარაულმა შემართა შაშხანა, მაგრამ სროლას ვერ ბედავდა. გაქცეულ ოფიცერს „ალმასა“ წამოსწეოდა და მარჯვენა ფეხზე კირზის ჩექმის ქუსლისთვის ჩაერჭო კბილები. ერთი-ორჯერ მოქაჩა, ოფიცერი პირქვე დაანარცხა, ჩექმა გააძრო და კისრის მოქნევით შორს მოისროლა. ოფიცერი წამოხტა, მაგრამ „ალმასა“ ახლა მეორე ჩექმას ჩაეჭიდა ბასრი კბილებით, საკმაო მანძილზე ათრია პირქვედამხობილი და მერე კისრის ერთი მოქნევით შორს მოისროლა მეორე ჩექმაც. მერე ერთი შეყეფა გამარჯვების აღსანიშნავად, შემოტრიალდა და ნელი ძუნძულით გაემართა სახლისკენ.

გაისმა სროლის ძლიერი ხმა – ერთი, ორი, სამი... მერე შედარებით სუსტი ხმის ორი გასროლა და „ალმასასთვის“ ყველაფერი დამთავრდა. საწყალმა, ვინ იცის, იქნებ სიკვდილის წინ ის გაიფიქრა – ნეტავ მგელს შევეჭამე და რუსული ტყვიით არ მოვმკვდარიყავიო.

გულაძმა ეჯდო წითელ გუბეში. ხუთი ჭრილობიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი. როცა ვახტანგი თავის უბნელ ძმაკაცებთან ერთად წაადგა თავზე – „ალმასა“ აღარ სუნთქვდა, მან თავისი წილი რუსული ჩექმა შორს მოისროლა.

ბიჭებმა „სამოკატკები“ სქელი ფიცრებით გადააბეს ერთმანეთს,

აახოხეს სახელდახელო ლაფეტზე და ძლივს მიიტანეს ეზოს კარამდე, მგლებთან საბრძოლველად მოვლენილი და რუსული ტყვიებით დაგლეჯილი სხეული.

ბავშვებმა ეზოშიმდგარი დიდი კაკლის ძირში გათხარეს ორმო და ცრემლებისღვრით მიაყარეს მიწა.

ვახტანგიმ სახელდახელოდ შეკრა ფიცრის დაფა, დაამაგრა საფლავის თავთან და წაწერა: „აქ განისვენებს დარდიმნდი ალმასა!“

ამ ამბის შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღესაც, ოთხმოცწელს მიღწეული ვახტანგი, როცა ჩაივლის იმ ქუჩაზე, ცრემლიანი თვალი გაურბის კაკლისკენ, რომლის ძირშიც უანგარო მეგობრის, „ალმასას“ ძვლები ეგულება.

2009 წ.

## შავი დათვის ტყავი

ერთი კვირა მაინც იქნება, ყოველდღე, ჩემი სახლის ფანჯრიდან ვხედავ ჩემს ნაცნობს, რომელსაც ბაზრის მიდამოებში, ხალხმრავალ ადგილას, ხეზე ჩამოეკიდა გასაყიდად გამოტანილი დათვის ტყავი.

მოდიოდა დილით ათ-თერთმეტ საათზე და სახლში ბრუნდებოდა საღამოს ოთხ-ხუთ საათზე.

ხალხი, განსაკუთრებით ბავშვები და მოზარდები – ბუზივით ეხვეოდა ჩემს ნაცნობს და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ გასაყიდად გამოტანილ, მართლაც ანტიკვარულ ნივთს – ჰიმაღლის მთების შავი, ე.წ. „თეთრსაყელოიანი“ დათვის ულამაზეს ტყავს.

შეკითხვები ბევრი იყო: „შენ მოკალი?“, „რამდენი კილო იქნებოდა?“, „სად არის ან რით არის მოკლული?“, „რაში გამოიყენება?“ (დიახ, ასეთი შეკითხვებიც იყო არაერთხელ), „ბეწვი ხომ არ

სცვივა?“, „ვისი გამოყვანილია?“ და რაღა თქმა უნდა „რას აფასებ?“

ბეჭვის გამოგლევის მსურველებიც ბევრი იყვნენ. რატომძაც, თითქმის ყველა მნახველს, ვალდებულებად მიაჩნდა ჯერ ხელისგული აესვა-ჩასვა მზეზე მოლაპლაპე შავი ბეჭვისთვის და მერე მოქაჩა და მოეგლიჯა ერთი ბლუჯა, რაზედაც ჩემი გაჭირვებული (რომ არა გაჭირვება, კაცს რა გამოატანინებდა სახლიდან გასაყიდად მართლაც რომ უნიკალურ ნივთს) ნაცნობი ძლიერ ნერვიულობდა.

ტყავის მნახველი და უბრალოდ, ცნობისმოყვარე ბევრი იყო, მაგრამ მყიდველი არ ჩანდა.

მე ხშირად მივდიოდი ხოლმე ჩემს ნაცნობთან და ვსაუბრობდით მეგობრულად ნის ჩრდილში. ყოველ საღამოს კი გამომშვიდობებისას, წარმატებას ვუსურვებდი ხოლმე და რაღაცნაირად გულდამბიმებული ვბრუნდებოდი სახლში. ქარი კი აფრასავით ბერავდა ჯოხებზე გადაჭიმულ და თოკებით დამაგრებულ, ჩამავალი მზის სხივებზე „თეთრსაყელოიან“ შავი დათვის მართლაც რომ შავად მოედვარე შესანიშნავ ტყავს.

ერთ დღეს ასეთ ამბავს მომიყვა ჩემი ნაცნობი: „დაახლოებით იმდროს, როცა მე სახლში წასვლას გაპირებ, საქონლის ბაზრიდან სახლში ბრუნდებიან ცხვრების გამყიდველები, რომლებიც უკან ამ გზით მოდიან და აუცილებლად აქ უნდა ჩამოატარონ რამდენიმე ათეული გაუყიდავი ცხვარი. ამ პატარა ფარას სამი მწყემსი ახლავს და ერთი ძალიან დიდი ძალი, რომელიც საკმაოდ დაბერებული ჩანს და თანაც კოჭლობს. „ყოფაქცევაზე“ კი ეტყობა, რომ გამოცდილება არ აკლია. დინჯად მოძრაობს და ყოველგვარი ფაფხურის გარეშე აკეთებს თავის საქმეს; ხან უკან მოექცევა ფარას, ხან მარჯვიდან და ხან მარცხნიდან მოუვლის და ასე უსაფრთხოდ მიმართავს მის მოძრაობას ავტოტრანსპორტით გადაჭიდილ გზაჯვარედინზე.“

პირველად რომ ჩამოიარა — შორიდანვე შეამჩნია დათვის ტყავი და შეჩერდა. დაძაბული ტანითა და მზერით უცქერდა მას.

მერე თავი დაღუნა და უფრო ახლოს მივიდა ტყავთან, ჯერ დასუნა, მერე ჩაიღრინა და რაღაცნაირად გაშეშდა. მე შემეშინდა — არ ეცეს მეთქი ტყავს და არ დაგლიჯოს. საქმეში არ ჩავერიე, მან კი ერთი კიდევ შეღრინა ნიავზე მოფარფატე ტყავს, ჩაღუნა თავი და ძუნძულ-კოჭლობით დაედევნა წინწასულ ცხვრებს. გზიდან კიდევ რამდენჯერმე შემოატრიალა კისერი და ჩემთვის გაუგებარი მზერა ესროლა შორეული ჰიმალაის მთების ყოფილ მტკინვარე მკედრის უსულო ნარჩენს.

ასეა ყოველდღე. ჩამოივლის, შეხედავს, გაჩერდება რამდენიმე წამით, მერე ერთს დაიღრინებს, დაღუნავს თავს და ძუნძულით გაუყვება თავის გზას.

გუშინწინ, მოხდა ალბათ, ყველაზე საინტერესო რამ. მეცხვარების კოჭლმა ძალომა ჩვეულებრივ ჩამოიარა ცხვრებთან ერთად; შეჩერდა ტყავთან და დაუწყო ცქერა; რატომძაც აღარ იღრინებოდა; მივიდა სულ ახლოს, ასწია უკანა ფეხი და მიაჩხრიალა. შემდეგ დაღუნა თავი და ძუნძულით მიეახლა მწემსებსმორის ყველაზე ხანშიშესულს, კომბალი რომ ჰქონდა მხარზე გადებული.

გუშინ კი, გავესაუბრე მწყემსთაშორის უფროსის. მან, რაღაცნარი, ნოსტალგიური უღერადობით მითხრა, რომ ახალგაზრდობაში მე და ჩემი „ჯულბარსა“, ბევრჯერ შევხვდივართო დათვს, შეტაქებაც გვქონიან“.

ასე დაამთავრა თავის მონაყოლი ჩემმა ძველმა ნაცნობმა და ფაქიზად აახვია კვლავ გაუყიდავი ტყავი.

2001 წ.

## ბედისწერა

სოჭის პლაჟზე ახალგაზრდები ბანქოს თამაშით იყვნენ გაროულნი. ისმოღა ხმამაღალი შეძახილები და სიცილ-კისკისი. ვიღაცას ცხვირზე შემოუწეაპუნეს, ვიღაცას „სამხრეები“ დააგერეს, ვიღაცა კი „პრუგლი დურაკად“ მონათლეს. ასე იყო, თითქმის, ყოველდღე. ბანქოს თამაში რომ მოსწყინდებოდათ, გახურებულ სხეულებს ზღვის ტალღებს მიანდობდნენ, გულს ოვერებდნენ ცურვითა თუ ჭყუმპალაობით და მერე ისევ გავარვარებულ ქვიშაზე იძრაწებოდნენ საქორწილო გოჭებივით. მხოლოდ ერთი მათგანი, მხარბეჭიანი, მაღალი, შოკოლადისფრად შერუჯული, ლამაზი გარეგნობის ჭაბუკი იდგა ყველასაგან განმარტოებით, და არ იზიარებდა საერთო ამაღლებულ განწყობილებას. იდგა ჭველბერძნული მითების გმირივით გულხელდაკრეფილი და მკერდამოზიდული. იდგა განმარტოებით და ფიქრებში ჩაფლული, ოდნავ მოჭუტული თვალებით გაჰყურებდა მოლურჯო შავი ზღვის ტალღებს.

რამდენს არ ეცარნენ მისი მეგობრები, მაგრამ ვერ აიყოლიეს და ვერ ჩაითრიეს საერთო ფერხულში. რჩბოდა შთაბეჭდილება, რომ მას არ იზიდავდა და არც აინტერესებდა პლაჟისთვის დამახა-სიათებელი გოგო-ბიჭური გართობა-თამაშობები. იგი განსაკუთრებით მორიდებული და მოკრძალებული იყო გოგონებთან ურთიერთობაში. ინტერეგს არ იჩენდა პლაჟის ულამაზესი გოგოს მიმართაც კი. იყო შემთხვევა, როდესაც მეგობრებმა ერთი სანდომიანი გოგონა მიუსვეს გვერდზე, გააცნეს და ურჩიეს: „კარგი გოგოა, დაუახლოვდი, ცოტა გაერთე, თორემ ხელმოცარული დაბრუნდები. სადაცაა არდადეგები დამთავრდება და სახლში წასკლის დროც ახლოვდება“. ნიკომ კი თავი ისე დაიჭირა, რომ ის კოხტა და მოხდენილი გოგო მალევე გაეცალა – „აბა პლაჟზე მოსაწყენად ვის სცალიაო“.

ნიკოს მამა ომიღან ვეღარ დაბრუნდა. დაქვრივებულმა, კერ კიდევ ახალგაზრდა დედამ, დიდი წვალებითა და გაჭირვებით გაზარ-



და ობლადდარჩენილი მხოლოდშიბილი. ღამეებს ათენებდა, რათა არაფერი მოეკლო სიყვარული შვილისთვის, გაკეთილების მომზადებაშიც ეხმარებოდა და საოჯახო წვრილმან საქმიანობასაც აჩვევდა. სოფელში კი, აბა, საქმეს რა გამოლევდა. ასე, გარჯა-წვალებაში გადიოდა წლები. შემდეგ მოვიდა პირველი დიდი სიხარული, როდესაც ნიკომ სკოლის ატესტატი სიამაყითა და სიყვარულით მიაწოდა დედას, შრომაგამოვლილ, გაუხემებულ და მოკანკალე ხელებში. მერე ერთად გადაიტანეს უმაღლეს სასწავლებელში

მისაღები გამოცდების ციებ-ცხელება. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ახლა უკვე მეოთხე კურსის სტუდენტი ნიკო, თავის მეგობრებთან ერთად, პირველად წავიდა ზღვაზე დასასვენებლად.

დედა ამაყობდა თავისი აღზრდილით. ნიკო გამოირჩეოდა დახვეწილი გემოვნებით და ათლეტური გარეგნობით. ამას ემატებოდა სწავლისა და შრომისადმი სიყვარული, საზოგადოებაში თავდაჭრის შესმური უნარი, დაბრძენებული კაცის სიღინჯე და მჭერმეტყველება.

ცოლის შერთვაზე პირველად სიტყვა დედამ მაშინ ჩაურთო საუბარში, როდესაც ნიკოსთან მისი მეგობრები იყენენ შეკრებილნი სიმწიფის ატესტატის აღსანიშნავად გამართულ მოკრძალებულ ვახშამზე. აღერსით მიმართა:

— აჩქარება სულაც არ არის საჭირო, მაგრამ დრო კია, რომ იფიქრო ცოლის მოყვანაზე და, იმედი მაქვს, ისეთ გოგოს შეარჩევ, რომელიც ცხოვრების ერთგულ თანამგზავრად გამოგადგება, შენი და ოჯახის მოყვარული იქნება, გაგიზრდის სასახელო შეიღებს და სიბერის უამს ცოტას მეც მომხედავს.

ნიკოს გულს მაღლამოსავით მოეფინა დედის ნათქვამი და ისლა ჩაიღუდუნა მოგუდული ხმით: „შევეცდებიო“.

დედაქალაქში სასწავლებლად ჩასულმა ნიკომ სამი წლის განმავლობაში ბევრი კარგი გოგონა გაიცნო, ბევრიც სპეციალურად შეახვედრეს, ქება-დადებაც მოისმინა მრავალი ქალიშვილისა, მაგრამ გულთან ვერ მიიყვანა ვერც ერთი მათგანი. ზოგი მოსწონდა და, თითქოს, არც მოსწონდა. ზოგიერთმა, თითქოს, დააინტერესა და ჩააფიქრა, მაგრამ მაინც ვერ გაითავისა ვერავინ.

არდადეგებზე და დღესასწაულის დღეებში სახლში ჩასულს დედა შეგადაშიგ შეახსენებდა ხოლმე და მორიდებით სთხოვდა:

— უცოლშვილო კაცი, აბა რა კაცია. მე, შვილო, უკვე ასაკი მომებალა, ჯანმრთელობაც შერყეული მაქვს და ნუ გამისტუმრებ ამქვენიდან ისე, რომ შენს ცოლ-შვილს ვერ მოვესწრო...

აი ახლაც, პლაჟზე განმარტოებით მჯდომს და ფიქრებში

წასულს გაახსენდა დედის სიტყვები. ზის და გაპყურებს მობანავეთა იქით, შორს, მოშავო-მოლურჯო ზღვას და წითლად შეღებილ მზეს, რომელიც მაღე პორიზონტს უნდა ჩასცდეს, რათა ღამემ ერთხელ კიდევ იზეიმოს დღეზე დროებითი გამარჯვება.

საიდანლაც, შორიახლოდან მეგობრებმა გამოსძახეს: „წამოხვალ, თუ დარჩებით“. — ნიკომ მათკენ გაიზედა და დაინახა დამსვენებელ გოგონებთან დაწყვილებული მეგობრები, რომლებიც წასასვლელად შემზადებულიყვნენ. ნიკომ ღიმილით გასძახა: „ოქვენ წადით, მე ცოტა ხნით კიდევ დავრჩებიო“.

პლაჟი თანდათან ცარიელდებოდა. ზღვას მზისთვის უკვე ჩამოეჭრა მოზრდილი სეგმენტი და სრულად ჩაყლაპვით ემუქრებოდა. გრილმა სიომ დაპბერა და, თითქოს, მან ამოჰყარაო ზღვიდან მობანავეთა ჯვეშები. ნაპირიდან საკმაოდ მოშორებით კი ისევ მოჩანდა რამდენიმე მობანავის თავი. მნელი იყო გარჩევა — მამაკაცები იყვნენ თუ ქალები.

ნიკო გაპყურებდა ზღვას და ისევ თავის ფიქრებში იყო ჩაფლული. შეიძლება, ვერც კი ამჩნევდა გვიანობამდე შემორჩენილ და ზღვაში ღრმად შესულ მოცურავებს. ისევ დაპბერა სიომ. დღის განმავლობაში მზით გახურებულმა ნიკოს სხეულმა სიგრილე იგრძნო და გამოფხიზლდა. ახლადა შეამჩნია, რომ ერთ-ერთი იმ მოცურავეთაგანი ზუსტად მის პირდაპირ მოაპობდა ტალღებს. „ო, რა ლამაზად მოცურავს“ — გაიფიქრა ნიკომ და უკვე ინტერესით დაუწყო ცქერა ჩამავალი მზის სხივებზე ბრინჯაოსფრად მოლაპლაპე მოცურავის მხრებსა და მკლავებს. „აი, ნამდვილი სილამაზე და ლამაზი ცურვაც ეს არისო“ — ფიქრობდა ნიკო და თვალს არ აშორებდა უკვე კარგად მოახლოებულს. ნაპირზე მჯდომი ნიკო მოჯადოებულივით შესცქეროდა მას. ტალღებზე ამოწუულ სხეულში ქალიშვილი დალანდა.

უწერელი, შინაგანი იმპულსებით გრძნობდა, რომ რაღაც სასიამოვნო და უცნობი უახლოვდებოდა ნელინელ. მთლად დაიძაბა,

მშვილდივით მოიზიდა; თვალი ვერ მოეწყვიტა გოგონასათვის. მოეჩვენა, რომ მოცურავემ გაუღიმა და მის გარუჯულ სახეზე ელვასავით გამოანათა თეთრი კბილების ლამაზმა წყებამ. წამიც და გოგონა უცაბედად გაუჩინარდა წყლის ქვეშ. გულმა რაღაც რეჩხი უყო ნიკოს: „დაღლილს ძალა ხომ არ გამოელია“ – გაიფიქრა და ისარივით შეერჭო ტალღებში.

ჩაყვინთულს არ გასჭირვებია იმ ადგილის მიგნება, სადაც გოგონა ეგულებოდა, მაგრამ მის ჩამოქნილ ფეხებსლა მოპერა თვალი. გოგონა წყლის ზედაპირისაკენ მიექანებოდა.

– რაო, ხომ არ შეგემინდა, – ღმისილშერევით შეეკითხა გოგონა მის გვერდით წყლის სიღრმიდან ყუმბარასავით ამოვარდნილ ნიკოს. მან არაფერი უპასუხა, ისე კი თავისთვის მოულოდნელად შეიგრძნო, რომ სურვილი გაუჩინდა ამ გოგონასთან ახლოს ყოფნისა.

ერთად გამოვიდნენ ზღვიდან. გოგონამ ოდნავ წაიბორძიკა და იქვე იგრძნო ძლიერი ხელის შეშველება. „ახლათ დაიღლალეო“ – თქვა ვაჟმა და სწრაფად შეუშვა ხელი. გოგონამ ტანსაცმლის ბენა დაიწყო. ნიკო გვერდიდან არ შორდებოდა. პლაჟი თითქმის ცარიელი იყო. გვიანი საღამო ჩამომდგარიყო. არ გასჭირვებიათ კოპლებიანი ჩითის კაბისა და „დანარჩენის“ პოვნა. გოგონამ პირსახოცი აიღო და თვალი ტანისამოსის გამოსაცვლელი ჯიხურისაკენ გააპარა:

– ახლავე გადავიცვამ და თუ არ შეწუხდები დამელოდე გასასვლელში.

ნიკოს ახლადა გაახსენდა, რომ თვითონაც „ფოთოლაფარებულივით“ იყო. „სიამოვნებით“ – წაილუღლუღდა და გატრიალდა. გაუძნელდა ტანსაცმლის პოვნა, რადგან სულ სხვა ადგილას ექცდა მას.

პლაჟის გასასვლელთან მომლოდინე ნიკოს სულ სხვა სახით წარმოუდგა უცნობი გოგონა. ჩამოძერწილი ტანი და მომნუსხველი ბიუსტი მკაფიოდ გამოკვეთილიყო სიფრიფანა ჩითის კაბაში. ჯერ

კიდევ სველი თმები ჯგუფ-ჯგუფად მოპფენოდა ბრინჯაოსფერ მხრებზე. ალაგ-ალაგ კაბა ტანზე პქონდა მიკრული, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდიდა უცნობი გოგოს ფიგურის გრაციას. შიშველი ფეხები მოხდენილად და მსუბუქად მიაფრატუნებდა სქელლანჩით საზღვაო „ტყლაშუნებს“. რომელიდაც უცხოური ფირმის ნიშნებით აჭრელებული პოლიეთილენის ჩანთა საქანელასავით ქანაობდა მის სუროსავით მოქნილ ხელზე.

– ბოდიშს გიხდით თუ ზედმეტად გალოდინეთ, – მიმართა ნიკოს და ახლოს მისულმა გაბედულად ჩახედა თვალებში. იქაურობას მძლავრი ლამპიონები ანათებდა და ნიკომ შეამჩნია, რომ უცნობს ცისფერი თვალები პქონდა.

სეირნობით შეუერთდნენ ხალხმრავალ ქუჩას. დიდი ხნის კარგი ნაცნობებივით საუბრობდნენ და ხუმრობდნენ. ნიკოს თვითონვე უკვირდა თავისი თავის. ამდენი არასდროს ულაპარაკია და უხურია, როგორც ახლა, და თანაც უცნობ, თუმცა მომხიბვლელ ახალგაზრდა ქალის საზოგადოებაში. ისიც კი მოახერხა და გაბედა, რომ მიეპატიუებინა კაფე-ბარში. პასუხს არ დაუგვიანია. გოგონამ რაღაცნარი, მომხიბვლელი მოძრაობით შეაქანა ტანი და ხელში ხელში გაუყარა.

კაფე-ბარში, რომ იტყვიან, ნემისი არ ჩავარდებოდა. ძირითადად ახალგაზრდები იყვნენ, ხმაურიანნი და მხიარულნი. აქა-იქ თუ შეამჩნევდით მორიდებულადმჯდომ, ხანშიშესულთა წყვილებს.

ნიკომ და ცისფერთვალებამ, როგორც იქნა მიაგნეს თავისუფალ ადგილს. ჩამოსხდნენ, მიიხედ-მოიხედეს და ნაზად გაუღიმეს ერთ-მანეთს. მერე გოგონამ სკამის საზურგეზე ჩამოკონწიალებული ჩანთა აიღო: „ახლავე მოვალო“ – უთხრა ნიკოს და შეცურდა ხმაურიანი მუსიკის ჰანგებსაყოლილ მოცეკვავეთა მორებში.

ნიკომ სიგარეტი გააბოლა და მიმტანს დაკვეთა ჩააწერინა. ცისფერთვალება მალე დაბრუნდა, თუმცა ნიკოს ეჩვენებოდა, რომ მან ძალიან დაიგვიანა.

საოცარია ზოგიერთი ქალის მოხერხებულობა და განსაკუთრე-

ბული უნარი. ცისფერთვალებას მცირე დროში და კაფე-ბარის პირობებში ისე მოწესრიგებინა თავისი გარეგნობა, რომ მართლაც აღტაცებას იწვევდა. თითქმის უკვე გამშრალ თმებს ოქროს ფერი მისცემოდა. მშვინირი ვარცხნილობის ფონზე ცისფერი თვალები უფრო მეტყველად გამოიყურებოდნენ; კისერზე და ყურებზე მორგებული სამკაულები მოცეკვავთა ყურადღებას იპყრობდა. სიარულიც უფრო ლამაზი და ლადი ჰქონდა. ნიკო მის ფეხებს ჩააყოლა თვალი და მიხვდა თუ რატომ მოეჩვენა გოგონა უფრო მაღალი – მას მაღალქუსლიანი მოდური ფეხსაცმელი ეცვა. ნიკო, საბოლოოდ მოხიბლული წამოდგა, მაგიდასთან მოახლოებულს ხელი გაუწოდა, სკამი მიუმარჯვა და დასვა.

ის-ის იყო სიტყვაძუნწი ნიკო რაღაცის თქმას აპირებდა, როცა მიმტანმა მაგიდის გაწყობას მიჰყო ხელი.

სუფრას ქართული ხელგაშლილობა ეტყობოდა. ეს ცისფერთვალებამაც შეამჩნია და მორცხვად უთხრა:

— რად გინდოდათ ამდენი რამ, რატომ წუხდებოდით.

საუბარი არ გამოსდიოდათ, თუმცა ორივენი ცდილობდნენ. ილაპარაკეს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხან რაზე და ხან რაზე: ამინდზე, ზღვაზე, გაღეულ ზაფხულზე, მუსიკაზე, მოცეკვავებზე და მაინც რაღაც არ ემტებოდა, არ ეწყობოდა. დაბოლოს ქართულმა შამპანურმა თავისი გაიტანა. გოგონამ ცეკვა მოისურვა და ნიკო თითქმის ძალით წაიყვანა დარბაზის შუაგულისკენ. ცეკვა უჭირდა ნიკოს, ან უფრო სწორი იქნება, არ იცოდა. ამ ამბავს ცისფერთვალება არ შეუწუხებია. იგი მიენდო წელზე ფრთხილად შემოზვეულ ძლიერ მკლავს და ოცნებაში ჩაფლული ინსტინქტით მიჰყვებოდა აღალბედზე მოქანავე ნიკოს. ვაჟიც მოძრაობდა და ტრიალებდა როგორც შეეძლო. არაფრად დაგიდევდა მუსიკის ტაქტს, თუმცა გაბრუებულს, არც მუსიკის ხმა სწვდებოდა და ვერც დანარჩენ მოცეკვავებს ამჩნევდა.

ნიკოსთვის იმწუთს მხოლოდ ერთი რამ, ერთი ვინმე იყო

მთავარი და ძვირფასი – ის, ვინც მკერდზე ჰყავდა მიწებული და მწყერივით განაბულიყო. შეუმჩნევლად გავიდა დრო. აქა-იქ მაგიდები განთავისუფლდა. მოცეკვავეთა წყვილებიც შემცირდა. მიმტანები პროფესიონალური სისწრაფით ალაგებდნენ ნამუსრევს. ახლოვდებოდა კაფე-ბარის დაკეტვის დრო.

ოჲ, როგორ უნდოდა ნიკოს ამ ძვირფასი წუთების გაგრძელება. ცისფერთვალებაც განიცდიდა განმორჩების მოახლოებას.

მაღე ორკესტრი ჩაჩუმდა, დარბაზი დატოვეს შემორჩენილმა წყვილებმაც. მხოლოდ ჭურჭლის ჭახა-ჭუხი და მიმტანთა მხიარული გადაძახილებიდა ისმოდა.

უკვე კარგად დაღმტებულიყო. ქუჩებში სიჩუმეს დაესადგურებინა. მიდიოდნენ გვერდიგვერდ, ხელჩაკიდებულნი. შეუხვიეს მარცხნივ, მერე კარგა მანძილის გავლის შემდეგ მარჯვნივ და გაჩახახებული ბოძის მახლობლად შეჩერდნენ მოხურული ჭიშკრის წინ. ცისფერთვალებამ ოდნავ შესამჩნევი გულისტკივილით წარმოსთქა: „უკვე მოვედითო“.

ნიკოს სმენას ტყვიასავით ეძგერა გოგონას ნათქვამი. ვერ წარმოედგინა, თუ ასე მაღე დამთავრდებოდა მისთვის ყველაზე ძვირფასი დღე. გოგონა გაუნძრევლად იდგა და შიგ თვალებში ჩასცეროდა გაოგნებულ ნიკოს. ორივენი სდუმდნენ, ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. კალიების გაუთავებელი ჭრიჭინი ისმოდა ახლომახლოდან. ნაესადგურიდან გემის ნაწყვეტ-ნაწყვეტმა საყვირმაც მოაღწია მათ სმენამდე. ბოლოს ცისფერთვალება შეეცადა დაერღვია დუმილი:

— აბა, კარგად იყავი, ყველაფრისათვის დიდი მაღლობა. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იყო დღევანდელი საღამო, არასდროს დამავიწყდება, — თქვა ეს და მკვეთრად შეტრიალდა ჭიშკრისკენ. ნიკო ხელში სწვდა, თავისკენ მოიზიდა და სთხოვა ცოტა მოიცადე, მეც მაქვს სათქმელიო. გოგონას წინააღმდეგობა არ გაუწევია და ლაგაშვით აეკრო ბიჭის გახურებულ მეტოდს. აჩქრებით და ხმაურით გეერდა ნიკოს გული. მერე თავი გადაუწია და ჩაცხრა გავარვარე-

ბულ ტუჩებში. გოგონა გაუსხლტა ზელიდან, მიირბინა კარებთან და წამით შეჩერდა. ნიკო მიუახლოვდა, მხრებზე ზელი მოხვია და ჩურჩულით შეეკითხა: „ხვალ ხომ შევხდებით“ – ცისფერთვალება დუმდა. ბოლოს, კარგახნის შეძღვებ, უპასუხა ათრთოლებული ხმით:

– სამწუხაროდ ვერა, ხვალ ვერ შევხდებით, სახლში ვბრუნდები აღრიან დილით, პირველი რეისით მივფრინავ. . .

მეხი დასცემოდა თავზე, ის ერჩივნა ნიკოს. ჯერ არ დაიჯერა: „იქნებ ეს სიტყვები არ უთქვამს ცისფერთვალებას? იქნებ ნიავმა მოიტანა ეს გულსაკლავი ცნობა?“ – გულს იწყნარებდა ბიჭი.

– სამწუხაროდ მივდივარ. შენ კი გისურვებ დარჩენილი დრო მხიარულად გაეტარებინოს, კარგი გოგონები გაგეცნოს, – ჩურჩულით გააგრძელა გოგონამ და სახლისკენ გაიწია. ნიკო არ უშვებდა:

– მოიცადე, მომისმინე, მე სხვა არავინ არ მინდა, მე მხოლოდ შენთან ყოფნა მინდა. იქნებ დარჩე რამდენიმე დღით, განა ასე საჩქარო რა საქმე გაქვს?!

– ვნანობ, მაგრამ დარჩენა არ შემიძლია. ტელეგრამა მაქვს გაგზავნილი, დედა უნდა დამსვედეს აეროპორტში. გაგიდება თუ დანიშნული რეისით არ ჩავფრინდი. ძალიან გთხოვ მაპატიო, ისე კი თუ მოისურვებ, მომნახავ.

– რაკი არ შეგიძლია, რა გაეწყობა, – უთხრა ნიკომ და გაიფიქრა – მოვისურვებ და მოგნახავ კიდეცო.

ზელი ძლივს შეუშვა, არ ეთმობოდა ძვირფასი „განძი“. მერე სთხოვა:

– დილით უჩემოდ ნუ გახვალ. ჩემს მეგობარს მანქანა აქვს და ადლერამდე ჩაგაცილებო“. გოგონა დათანხმდა და სწრაფად გაუჩინარდა კარალიოკებით გადაპენტილ ეზოში.

ფიქრით დამძიმებულ ნიკოს აღარც კი ახსოვდა როგორ მივიდა სახლში. ბიჭებს არ ეძინათ, ელოდნებ. საყვედურითაც კი უთხრეს:

– ასე რატომ დაიგვიანე, სად იყავი, ან ვისთან; მთელი ქალაქი მოვიარეთ და ვერსად გიპოვეთ. მილიციაში მისვლასაც ვაპირებდით,

დილამდე რომ არ გამოჩენილიყავი.

– ახლა სალაპარაკოდ არა მცალია, ცოტას წავიძინებ, დილით კი, თამაზ, მანქანა მზად გქონდეს, ადლერში უნდა წავიდეთ ადრიანად. მერე კი ტანზე გაუხდელად გაიშეხლართა თავის საწოლზე.

ბიჭებს აღარაფერი უთქვამთ, სინათლე ჩააქრეს და ყველა თავის ფიქრებში ჩაიძირა.

ბილი არ ეკარებოდა ნიკოს თვალებს. ფრთხილად ტრიალებდა ერთი გვერდიდან მეორეზე, ეგება ბიჭებმა ვერ შემამჩნიონო სულიერი მღელვარება. ღამე ისე გაილია, რომ თვალი არ მოუხუჭავს. ვიღაცა მთელი „მონდომებით“ ხერინავდა, ვიღაცამ ღრმად ამოისუნთქა და საწოლი ააჭრიალა, ალბათ გვერდი თუ იცვალა. მერე სადღაც მამალმა იყვნლა და განთიადის მოახლოება დააფიქსირა.

ნიკო წამოვარდა საწოლიდან, წელსზევით გაშიშვლდა, ეზოში გავიდა და ჭის წყლით დაიბანა. შვება იგრძნო და გამოცოცხლდა. ელექტროსაპარსით წვერი მოიშორა და თმები კოტტად დაივარცხნა. თეთრი პერანგი ჩაიცვა და ვიღრე ფეხსაცმელების წმენდას შეუდგებოდა, თამაზის წაჰკრა ზელი და გააღვიძა...

– სად მიგყვარ, ერთი გამაგებინე? გაკვრებით იგოთხა თამაზიმ, უუცხოვა რა ქალაქარეთა მიხვეულ-მოხვეული გზები.

– მალე გაიგებო, უთხრა ნიკომ და ნაცნობ ჭიშკართან შეაჩერებინა მანქანა.

მანქანიდან გამოსვლა ვერ მოასწრო ნიკომ, რომ ჭიშკარი გაიღო და იქიდან ცისფერთვალება გამოვიდა. გამოვიდა კი არა და, სულ ხტუნგა-ხტუნვით წამოვიდა მანქანისკენ. უძილობა და დაღლილობა ემჩნეოდა გოგონას. ნიკომ დილა მშვიდობისა უსურვა და ზელი ჩამოართვა.

– მზადა ხარ? – შეეკითხა.

– კი, მე მზადა ვარ, სულ ერთი ჩემოდანი და ერთი ზელჩანთა მაქებს; დრო ჯერ საქმაოდ არის, შემოდით სახლში, ჩაი დავლიოთ.

– ნიკომ უარი ვერ გაბედა და თამაზის ანიშნა გამომყევიო.

ესიამოვნათ ბიჭებს ცხელი ჩაი და ნამცხვარი. ახლა კი მიხვდა თამაზი ნიკოს წუხანდელი დაგვიანების მიზეზს და ულვაშებში ეღიმძოდა.

საუზმე დამთავრეს და წამოიშალნენ. თამაზიმ მანქანას მიაშურა.

მგზავრობის წინ ერთი წუთით ჩამოვსხდეთ, — თქვა გოგონამ და ჩემოდანზე ჩამოსკუპდა. ნიკოც დივანზე ჩამოვდა. ხმას არ იღებდნენ. მალე გოგონა წმოდგა და სარკის წინ თმები შეისწორა. ნიკომ ჩემოდანი აიღო და წინ გაუძღვა.

— აბა თამაზ, მხარზე ხელი დაჰკრა, უკანა სავარძელში ცისფერ-თვალებას გვერდითმჯდომამა ნიკომ, გაფრინდი ადლერისკენ და შეეცადე ერთი ქართულად ვისაუზმოთ სადმე ქალაქის გასასვლელში.

მანქანა შეშინებულივით მოსწყდა ადგილიდან. ნიკო და გოგონა უნდეურად სავარძლის ზურგს მიეწეობნენ. ნიკომ ხელში ხავლო და აღარც გაუშვია, სანამ სახინკლეში არ შევიდნენ.

მაგიდაზე უცბად გაჩნდა მუჟუჟი, ზიზილალის ბუტერბროდები, სულგუნი, შამპანური, „ბორჯომი“ და სხვა. თხუთმეტ წუთში „ბურუს-ში“ გაზვეული ხინკალიც მიემატა სუფრას. თამაზი ხილის წყალს სვამდა, ნიკომ კი პირველი სასმისით ბელინიერების სადლეგრძელო წარმოსთქვა და გოგონას თვალებში ჩახედა. ცისფერთვალებას მოხდენილად ეჭირა ორთომელა სანთელივით ჩამოქნილ თითებში.

ილაპარაკეს სიყვარულზე, რაინდობაზე, პატიოსნებაზე, ზღვაზე გატარებულ დღეებზე და კიდევ ბევრ რამეზე. ამასობაში საკმაო დრო გავიდა და ოდნავშეწუხებულმა გოგონამ საათზე დაიხედა:

— ბიჭებო, დიდი მადლობა; ახლა კი დროა დაგამთავროთ საუზმე, თორებ დამაგვიანდება თვითმფრინავზე, — თქვა და ალერსიანად გაუდიმა ნიკოს.

მთელი სისწრაფით მიაქანებდა მანქანას თამაზი. ნიკო კი ფიქრობდა: „ნეტად სად მიეჩარება, იქნებ ჯობდეს დავაგვიანოთ და ცისფერთვალებაც რამდენიმე დღით ჩვენთან დარჩესო“, მაგრამ გახსენდა მისი სიტყვები: „დედა მელოდება, თუ დროზე არ ჩაფრინდი,

გაგიუდებაო“. გაახსენდა და შერცხვა საკუთარი თავის.

— თამაზ! მოუმატე სიჩქარეს, არ დაგვაგვიანდეს.

— ამაზე მეტი როგორდა მოვუმატო, გამოეპასუხა იგი და თან „სპილომეტრზე“ მიუთითა. ამის თქმა იყო და გაისმა საშინელი ხმა, მანქანა შეტორტმანდა, დაიწყო აქეთ-იქით ქანაობა, მერე კი ცალ მხარეს ცხვირდაშვებული როგორც იქნა გაჩერდა გზის პირზე. თამაზი მოჭიდავესავით ჩასჭიდებოდა საჭეს. შუბლზე ოფლის წვეთებს გამოეულნა.

— კამერა გასკდა, თქვა მან და სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან. ეცნენ საბარგულს. ახლადა გაახსენდა თამაზის, რომ სათადარიგო საბურავი წინადლით ათხოვა სახლის პატრონს.

ნერვიულობა დაეტყო გოგონას. არანაკლებ ნერვიულობდნენ ბიჭებიც. თვითმფრინავზე დაგვიანება გარდუვალი ჩანდა. პირველი ნიკო გამოერკვა საერთო დაბნეულობიდან.

— მიხედე შენ დამპალ მანქანას, ჩვენ კი რაღაცას გავყენდით, აეროპორტში დაგელოდები.

ბევრი იქნეს ხელები, მაგრამ მანქანა არავინ გაუჩერა. გოგონას ბოლმა მოსწოლოდა ყელში და ცრუმლიც მოსდგომოდა თვალებზე. ნიკო მხარზე ხელგადახვეული ამშვიდებდა მას, მეორე ხელს კი ინტენსიურად იქნევდა, მაგრამ კვლავ უშედევოდ. რამდენიმე ავტობუს-მაც ჩაიქროლა, მაგრამ მძლოლებს კისერიც კი არ მოუტრიალებიათ მათკენ.

როგორც იქნა ერთმა ღვთისნიერმა გააჩერა „უიგული“, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ადგილი ჰქონდა, ისიც გაჭირვებით თუ ჩაეტენებოდა ვინმე. რა უნდა ექნათ? სხვა გზა არ ჩანდა და ნიკომ გოგონა ჩასვა მანქანაში, მისი ჩემოდანიც რის ვაი-ვაგლახით ჩატენეს საბარგულში და „უიგული“ გაექანა აეროპორტისკენ. ნიკომ ხელი დაუქნია გოგონას და მიაძახა:

— გაგაკეთებთ მანქანას და შენთან გაზრდებით, ჯერ კიდევ არის დრო.

ნიკომ დაიკაპიტა სახელოები და თამაზის დახმარება სცადა, მან კი უთხრა:

— უშენოდ გავალ იოლად. შენ გირჩევ რაღაცას გაჰყვე და დაწილ ცისფერთვალებას.

ამაღ ირჯებოდა ნიკო, არავინ გაუჩერა მანქანა. ერთ საათზე მეტი გავიდა. ნერვიულობდა ბიჭი. იქით კი, თამაზი იგინებოდა და რაღაცას გამეტებით აპაკუნებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთმა „მოსკვიჩმა“ შეანელა სვლა, გადავიდა გზის მარჯვენა მხარეს და გაჩერდა.

— რა გაგჭირვებია, მევობარო! — გამოეხმაურა მანქანიდან გადმოსული სიმპათიური შესახედაბის ახალგაზრდა, მას სხვებიც გადმოჰყვნენ. გორელები აღმოჩნდნენ. კამერაც მისცეს და წაყვნასაც დაპირდინენ.

ნიკომ ცოტა უხეშად მიუგდო კამერა თამაზის და თან მიაყოლა:

— აპა, დაიხეთქი ფილტრები, მე წავალ, აეროპორტში გელოდები.

ადრე არასდროს უნახავს თამაზის ასე აღელვებული და დაბოლმილი ნიკო.

„მოსკვიჩი“ სწრაფად მიდიოდა, მაგრამ ნიკოს ეჩვენებოდა, რომ მძღოლი დინჯად ირჯებოდა. რა ექნა? ხმას ვერ იღებდა. გულს უკლავდა იმის შეგრძნება, რომ აგვიანდებოდა.

როგორც იქნა გამოჩნდა ადლერის აეროპორტის კონტურები. მანქანის სალონში შემოიჭრა რეაქტიული ძრავების სმენადამხშობი გუგუნის ხმა. ყველამ დაინახა ცაში ისარივით გატყორცნილი, ცხვირაწეული ლაინერი.

„კიევიაო“, თქვა ერთ-ერთმა გორელმა და რას წარმოიდგენდა თუ მისი ნათქვამი ისარივით დაემგერებოდა ნიკოს გულს.

მანქანიდან გაშმაგებული გადმოვიდა ნიკო. „მადლობთ ბიჭებო“, გარედან მიაძახა გორელებს და გიუივით შევარდა ხალხმრავალ დაბაზში. ცუდს უგრძობდა გული. მალე მიაგნო მეზავრთა გასასვლელს კიევის რეისზე. იქ უკვე სიცარიელეს დაესადგურებინა, თუ

არ ჩავთვლით პატარა მაგიდასთანმჯდომ ქერათმიან, სამოქალაქო ავიაციის ფორმაში გამოწყობილ ლამაზ გოგონას, რომელიც რაღაც ქაღალდებს ჩაპკირკიტებდა.

ნიკომ იკითხა კიევის რეისის გაფრენის შესახებ. გოგონამ უპასუხა:

— ეს-ეს არის აფრინდა.

ვიტორინის დიდი მინის მიღმა გახედა ნიკომ ცას, სასოწარგვეთო-ლი მოტრიალდა და გეზი საერთო დარბაზისკენ აიღო.

— მოიცა, ახალგაზრდავ! მოესმა ზურგსუკნიდან. შემოტრიალდა, მას მოუახლოვდა ლურჯფორმიანი, ქერათმიანი გოგონა, შეჩერდა და ყურადღებით შეათვალიერა.

— თქვენ ნიკო ხომ არ ხართ? იკითხა მან და როცა დადებითი პასუხი მიიღო, დიმილით გაუწოდა ქაღალდის პატარა ნაგლეჯი.

— თქვენთვის დატოვესო, ეშმაკურად გაიღიმა ქერათმიანმა.

ნიკოს თითები უკანკალებდა მღელვარებისგან. ძლივს გაშალა ოთხადმოკეცილი ქაღალდი. იქ სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა. ჯერ გაუჭირდა გარჩევა, მერე კი დამშვიდდა და მკაფიოდ გაარჩია შოკოლადის ფილის გარსაცმელ ქაღალდზე, თავისუფალ ადგილებში ჩაწერილი სიტყვები: „ნახვამდის, დიდი მადლობა ყველაფრისათვის. ვწუხვარ, რომ ასე უცნაურად და მოულოდნელად დავშორდით. იმედი მაქს, კიდევ შეეხვდებით. გოცნი. მარინა“. იქვე ტელეფონის ნომერიც იყო მიწერილი. სანომრე ციფრები განსაკუთრებული გულმოდგინებით იყო გამოკვეთილი. ჩანდა, რომ ბურთულიანი კალამი რამდენჯერმე იყო შემოტარებული.

სიხარულისგან „მეშვიდე ცას“ ეწია ნიკო. „ჯერ არაფერი დაკარგულა“ — ფიქრობდა გულში. „უფრო მეტიც, ყველაფერი ახლა იწყება“ — გაუელვა თავში, მერე ენერგიულად შეტრიალდა, ბავშვივით აიტაცა ლურჯფორმიან გოგონა და დაუკოცნა ხელები, დაუკოცნა ის თითები, რომლებმაც ასეთი სიხარული არგუნეს.

დიდი დარბაზიდან გარეთ გამოსულმა ღრმად ჩაისუნთქა დილის

ჰაერი, გარემოს არწივით გადავლო თვალი, თამაზის ეძებდა მზერით. ის კი არ ჩანდა.

ნიკომ გაზირებული წყლით დაიოკა წყურვილი და გაზეთების ჯიშურს მიადგა. გამყიდველს საწერი ქაღალდის ერთი ფურცელი გამოართვა და ოთხად გაყო, ოთხივეზე ტელეფონის ერთიდაგვივე ნომერი ჩაწერა და სხვადასხვა ჯიბეში შეინახა. გაიფიქრა: „თამაზის მანქანაშიც საღმე მიგაწერ და ზეპირადაც დაგიმახსოვრებო“. მერე ისევ აეროპორტის წინამოღადნზე გავიდა და ავტოსადგომზე მანქანები შეათვალიერა. სასურველი „უიგული“ არ ჩანდა. მოპირდაპირე შხარეს გადავიდა და ხის ჩრდილში ჩამოჯდა ისე, რომ ქალაქიდან შემოსული ტრანსპორტისთვის ედევნებინა თვალყური. ფიქრმა გაიტაცა, საათს დახედა. ათი დაწყებულიყო. „ასე, ორ საათზე რომ დავრეკო, უკვე სახლში იქნება. ვიცოდე მაინც, გაეხარდება თუ არა ჩემი ხმის გაგონება. ჯერ ალბათ ვერ მიცნობს, მას ხომ ტელეფონში ჩემი ხმა არ მოუსმენია; მერე კი ალბათ გაიხარებს. რას მეტყვის, ან მე რა უნდა ვუთხრა? ალბათ ვეტყვი, დიახაც ვეტყვი, რომ მალე ჩამოვალ-მეთქი შენთან, გამაცნობ შენიანებს, შევეცდები შენს მშობლებს თავი მოვაწონო, მერე მათ, და რაღა თქმა უნდა შეწყ, საქართველოში მოგიწვევთ, დედახემსაც გავახარებ. ჩევენში ცხარე საჭმელები იციან და ბევრ ღვინოს სვამენ. ბუნება ძალიან ლამაზი გვაქს და ადამიანებიც ლამაზები არიან, როგორც გარეგნულად, ისე სულიერად. ჩემი სამშობლო უძველესი ქვეყანაა და ჩვენც ამით ვამაყობთ“. . .

ვიღაცამ შეანჯღრია და ფიქრებიდან გამოერკვა. თავზე ერთიანად მოთხუპნული თამაზი ედგა, ცხვირზეც კი მური პქონდა მოცხებული.

— გამოფხიზლდი, რომეუ; კარგ განწყობილებას გამჩნევ, გუტყობა ჩამოუსწარი — მიმართა თამაზიმ.

— ვერა, ვერ ჩამოგუსწარი, გამასწრო, გზაში ყველაფერს მოგიყები, ახლა კი, წალი პირი დაიბანე და თავი წესრიგში მოიყვანე, — შეაგება ნიკომ, თვითონ კი იქვემდგომ მანქანისკენ გასწია.

სოჩაში შევიდნენ თუ არა, ნიკომ მთავარ ფოსტა-ტელეგრაფში გადაწყვიტა შევლა.

— ვერ გამიგია, სად აპირებ დარეკვას, თვითმფრინავის ტელეფონია ეგ, თუ ბინის? ის ხომ პაერში იქნება ჯერაც. სახლში წავიდეთ, ბიჭები გველოდებიან, ცოტა დავისგენოთ კიდეც და მერე როგორც გენებოს, — ოდნავი გაღიზანებით უთხრა თამაზიმ.

ბიჭები მართლაც ელილნენ და ცნობისმოყვარეობით შესცემ-როდნენ ოთახში შემოსულებს. ყველამ გაისარა, როდესაც გაიგეს ახალი სასიამოვნო ამბავი. „როგორც იქნა ნაესი გატყდაო“ — ფიქრობდნენ გულში და ნიკოს გატყცებას უკრაინელი ქალიშვილით მიესალმებოდნენ. „ადრე თუ გიან ასე უნდა მომხდარიყონ“ და ნიკოს გვერდში ამოდგომას ჰპირდებოდნენ. ნიკო კი ადგილს ვერ პოულობდა, ოთახში ბოლოთას სცემდა და ერთოთავად საათზე იყურებოდა. მერე მოწყვეტით თქვა:

— წავალ, ზღვაზე გავივლ-გამოვივლი და შემდეგ ფოსტაში ვიქნები. ენერგიულად გაიხურა კარი და რამდენიმე ნახტომით გასცდა კოპწია ეზოს.

თავისდაუნებურად პლაჟის იმ უბანზე აღმოჩნდა, სადაც პირველად შეხვდა მარინას. მონახა ის ადგილი, საიდანაც მოვადოებული შესცემროდა მის ცურვას და გაუხდელად ჩამოჯდა ქვიშაზე. ჩამტერებული გაპყურებდა ოდნავ შშფოთვარე ზღვას და მობანავეებს.

მერე ყველა სადღაც გაქრა; მხოლოდ ერთიდა მოჩანდა ნაპირიდან საკმაო მოშორებით, რომელიც ნიკოსკენ მოცურავდა და ხელს უქნევდა. ახლა უკვე იცოდა, რომ ეს მოცურავე მარინა იყო.

პატარა ბიჭებმა გადაურბინეს გაშოტილ ფეხებზე, სახეზე წყლის წვეთები შეასხურეს და ყიუინით გაეცალნენ იქაურობას. ნიკო გამოერკვა ღრმა ოცნებიდან, წამოდგა, შარვალი ჩამოიბერტყა და ქალაქისკენ გაემართა. საათზე დაიხედა — იცოდა, რომ ჯერ კიდევ აღრე იყო, მაგრამ გული ფოსტისკენ მიუწევდა და მისი შეჩერება შეუძლებელი იყო.

შეუკვეთა ტელეფონის საჭირო ნომერი და იქვე რბილ სავარძელზე ჩამოჯდა. დარბაზში მყოფნი თავის რიგსა და გამოძახებას ელოდნენ. ელოდა ნიკოც.

დაზურულ სატელეფონო ჯიხურებიდან შიგადაშიგ გარკვევით მოისმოდა მრავალ ენაზე მოლაპარაკეთა ცალკეული სიტყვები. ზოგი მშობლებთან საუბრობდა, ზოგიც ნაცნობ-მეგობრებთან. ერთ სათვალიან კაცს კი ქადალდები გაუშალა და საქმიანი კამათი გაება თავის კოლეგასთან.

ნიკოს მოუსვენრობა ემჩნეოდა. წამოდგა და დარბაზის კუთხეში მდგარ მაგიდასთან მივიდა. უურნალ-გაზეთებს თვალი გადაავლო, რომელიდაც ნომერი შეიძინა და გამობრუნდა. სავარძელში უპერ ჩამჯდარიყო ვიღაც შუახნის ქალი. ნიკო იქვე კედელს მიეყუდა, გაზეთი გაშალა და კითხვას შეუდგა. კითხულობდა კი, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა. რომ გეკითხათ, რა წაიკითხეო, ალბათ ვერც გიპასუხებდათ. მთელი გულისყური და გონება სატელეფონო ჯიხურებისკენ ჰქონდა მიჟრობილი. ყოველ წამს ელოდა ინფორმაციის გამოძახებას და წამდაუწუმ ქვითარს დასცექროდა, ნომერს იმახსოვრებდა.

როგორც იქნა გამოუძახეს. გიუივით შევარდა მეხუთე კაბინაში.

— ალო! ალო! ენერგოულად ჩასძახა ყურმილში, მაგრამ საპასუხოდ არაფერი გაუგონია, როცა ერთხელ კიდევ ჩასძახა, მოესმა მშვიდი ხმა:

— ახალგაზრდავ, მოითმინეთ ცოტა, ახლავე ავკრეფ ნომერს. ნიკოს გარკვევით ესმოდა გაბმული სიგნალის ხმა, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. კარგა ხანს გაგრძელდა ასე, მერე ისევ ის მშვიდი ხმა მოესმა:

— თქვენი ნომერი არ პასუხობს.

გულდამბიმებული მივიდა დაკვეთების მაგიდასთან.

— ერთი-ორი საათის შემდეგ მოპრძანდით და შევეცდებით დაგაკავშიროთ, — უთხრეს ნიკოს. გარეთ გავიდა და ჩრდილიანი

ხეივნის გავლით ზღვისკენ გაემართა. მოსვენებას არ აძლევდა მარინაზე ფიქრი: „ალბათ დედამისი და მარინა ჯერ არ დაბრუნებულან სახლში, ან შეიძლება ნაცნობები მოინახულეს, ან მაღაზიებში გაიარეს“ — იმშვიდებდა თავს. წინ მეგობრები შემოხვდნენ. თამაზიმ ღვეზელებით სავსე პარკი გაუწოდა:

— აპა, ამოიღე, სანამ ცხელია. შენთან მოვდიოდით, რა ქენი, ელაპარაკე? — მიაყარა ნიკოს.

— ვერა, ვერ ველაპარაკე, — რაღაცნაირი კაეშანით უპასუხა ნიკომ და თვალი შეავლო თამაზის გვერდით მდგომ აშხვართულ ქალიშვილს, მკერდი რომ ამოვარდნაზე ჰქონდა წნელივით შემოგრენილ ვიწრო აზლუდში.

— ალბათ ჯერ არ მისულან სახლში. საღამომდე ვერ უნდა მოითმინო? რა ყურები ჩამოგიყრა? — ჩაერია საუბარში გოგი.

— წავალ, ერთს გავიჭყუმპალავებ და მერე ისევ ფოსტაში ვიქნები, — უთხრა ბიჭებს ნიკომ და სწრაფად წავიდა პლატისკენ.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს: „სერიოზულადა საქმე, ნაძღვილად შეეგვარებულია, უნდა დავეხმაროთო“.

ერთი საათი იქნებოდა გასული, როცა ნიკო ისევ აიტუზა დაკვეთების მაგიდასთან. არც ამჯერად იღებდა ვინმე ყურმილს. ზარი კი გულმოდგინედ და რითმულად რეკად. საღამოსაც იგივე განმეორდა. ფოსტის თანამშრომლები თავის თანაგრძნობას გამოსტავდნენ.

„რაღაც სხვა ამბავია“, — ფიქრობდნენ ბიჭები, ან დაზიანებულია ტელეფონი ან მოგონილი ნომერიაო.

ნიკოს ეჭვი ღრღნიდა: „ნუთუ გამათამაშა და პატარა ბავშვივით გამაცურა? არა, ვერ დავიჯერებ“ — იქვე პასუხობდა თავის თავს. „ის ამას არ იკადრებს“ — ეძებდა გამოსავალს ნიკო და თვალწინ მარინას ნდობით აღსავსე, მომღიმარი თვალები ედგა.

მთელი ღამე ბორგავდა და ვერ იძინებდა. არც ბიჭებს ეპარებოდათ ძილი. საქმე მართლაც სერიოზულად იყო, რაღაც გამოსავალი

უნდა მოენახათ.

დილადარიან ერთად წავიდნენ ფოსტაში. შეკვეთა მისცეს და დაელოდნენ. კვლავ უშედეგოდ.

ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. ნიკო ძლიერ გამოიცვალა, თავის თავს აღარ ჰქავდა. ამასობაში აგვისტოს თვეც მიიწურა და ბიჭები სახლში დაბრუნდნენ. ლექციები კარზე იყო მომდგარი.

გაიხარა ნიკოს დედამ.

— შენ შემოგველოს ჩემი თავი, შვილო, როგორ გაშავებულხარ და თითქოს სიმაღლეშიც მომატებული გაქვს, ეს კია, რომ ცოტა გამშდარი და ნაღვლიანი მეჩვენები, ხომ არ შეგიყვარდა ვინმე? ნიკომ გაიღიმა და პირდაპირ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავი შეიკვა. ორი დღე გაატარა სახლში და თბილისში წასასვლელად დაიწყო მზადება. გაცილებისას თვალებდანამულმა დედამ უთხრა:

— შვილო, ვერძნობ, რომ რაღაცას მიმაღლავ. მითხარი ყველაფერი, გულზე მოგეშვება და იქნებ სასარგებლოც გირჩიო რამე. ნიკომ დედა გადაკოცა;

— საახალწლოდ რომ ჩამოგალ, მაშინ გეტყვი ყველაფერს, აბა კარგად იყავი, თავს გაუფრთხილდი, თქვა ეს და მოხერხებულად შეახტა უკვე დაბრულ მატარებელს.

უნივერსიტეტის კორპუსებსა და ეზოში პირველი სექტემბრი-სათვის დამახასიათებელი ურიამული იდგა. დიდი ხნის უნახავი სტუდენტები კოცნა-კოცნით ხვდებოდნენ ერთმანეთს.

სალექციო განწყობილება ნელინელ იყიდებდა ფეხს და ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. მხოლოდ ნიკო ვერ პოულობდა თავის ადგილს. მოუთმებლად ელოდა ლექციების დამთავრებას, რათა ფოსტაში გაქცეულიყო, მაგრამ ყოველთვის იმედგაცრუებული ბრუნდებოდა სტუდენტალაქში. ყურმილს კიევში არავინ იღებდა.

ნიკოს საბოლოოდ გადაეწურა იმედი. „არ მეგონა თუ ასე მომატყუებდაო“ — ფიქრობდა გულში და თავის ბავშვურ გულუბრყვი-

ლობას დასცინოდა. „როგორ პატარა ბავშვივით გამაბრიყვა, ეს რა მიყო, ამხანაგების მასხარადასაგდები გამხადაო“, მაგრამ იმ წამსვე თვალწინ უდგებოდა მარინას ნათელი და მომღიმარი სახე, სითბოთი და ნდობით საკეს ცისფერი თვალები და გულისწყრომაც სადღაც ქრებოდა. კვლავ იმედის ნაპერწყალი გამობრწყინდებოდა ხოლმე დაბინდულ პორიზონტზე. ერთხელ ისც კი გაიფიქრა: „მომავალ აგვისტოს თვეში ისევ იმ პლაზზე გავატარებ არდადებეს და თუ აინტერესებს ჩემი ნახვა, ჩამოვა და მაშინ ხომ ვნახავო“, მერე უკმაყოფილოდ გააქნია თავი და თავისითვის ჩაილაპარაკა: „ეს რა პრიმიტიული აზრები მომდისო თავში“ და მტკიცედ გადაწყვიტა, საახალწლოდ წასულიყო კიევში და მოეძებნა მარინა. ოდნავ დამშვიდება, ფოსტაში სირბილსაც გაანება თავი და მისთვის დამახა-სიათებელი სიბეჯითით ჩაეფლო სწავლის პროცესში. დრომ შეუმჩნევლად გაიარა და ახალი წელიც მოახლოვდა.

„ერთხელაც ვცდი და დავრეკავო“ — ფიქრობდა ფოსტისკენ მიმავალი ნიკო და ხტუნვა-ხტუნვით, ოსტატურად უვლიდა გვერდს თოვლჲყაპიან გუბებს. ვიღაც გამვლელს შეეჯახა, იღლიდან წიგნი ჩამოუცურდა და გუბეში მოადინა ტყაპანი. „კანდაბას შენი თავი“ — გაიფიქრა ნიკომ, წიგნისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია და მძლავრად შეაღო ფოსტის მასიური ხის კარები.

თბილი ჰაერის ნაკადი შემოსკდა სახეში. ოდნავ ჩამობნელებულ დარბაზში ხალხი ირეოდა და ფუსფუსებდა. მტკიცე ნაბიჯებით მიუახლოვდა დაკვეთების მავიდას.

ფოსტისკენ რომ მოდიოდა, თითქოს მშვიდად იყო, ახლა კი ისევ ნერვიულობამ შეიპყრო, თითებით სრესდა ქვითარს და დარბაზის სიღრმეში იცქირებოდა ჩაშტერებით.

ლამის ამოუვარდა გული საგულედან, როდესაც კიევში ყურმილი აიღეს და გამოეპასუხნენ. მუხლები უკანკალებდა და თითქოს ენა ჩაუვარდა, ვერ ასერხებდა ხმის ამოღებას.

— ალო, გისმენთ, ვინ ბრძანდებით? — გაისმა ქალის ხმა.

როგორც იქნა გონს მოეგო ნიკო, ენით მოილოკა გამშრალი ტუჩები და გაბზარული ხმით დაიწყო:

- მარინა, გამარჯობა, მე ნიკო ვარ...
- მაცატით, მაგრამ მე მარინას დედა ვარ, თქვენ ვინ ბრძანდებით, ან რა გნებავთ? – მოესმა ნიკოს მშვიდი და დახვეწილი, თუმცა ნაღველგარეული ხმა.

– მე ნიკო ვარ, მარინას სთხოვეთ, თუ შეიძლება, ჩვენ სოჩაში გავიცანით ერთმანეთი, იცით... ჩვენ... მე უნივერსიტეტში ვსწავლობ. უკვე ოთხი თვეა ვრეკავ და აი, როგორც იქნა დაგიკავშირდით. მე ნიკო მქინა, შეიძლება ჩემს შესახებ გითხრათ რამე, მე კარგი მეგობრები მყავს, ჩვენ გამოვაცილეთ აეროპორტში, მარინამ ტელეფონის ნომერი დამიტოვა. სად არის? თუ სახლშია იქნებ სთხოვოთ, დამელაპარაკოს, ჩამოსვლას ვაპირებ და მინდოდა. . . აჩქარებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა ნიკო, თან იმის შიში ჰქონდა, რომ კავშირი არ გაწყვეტილიყო. ოდნავ სული მოითქვა და სმენა დაძაბა.

მე დედა ვარ მარინასი, – მოესმა ყურმილში. სახლში რამდენიმე თვეა არ გყოფილგარ, მმასთან ვცხოვრობდი. ეჭ, ჩემო კარგო ნიკო, ცუდად გამოგიცილებიათ ჩემი მარინა, თვითმფრინავი აფეთქდა და დაიწვა, მარინა აღარ არის. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით განუგეშებთ.

ბოლო სიტყვები ვეღარც კი აღიქვა ნიკომ. მუხლებში ძალა წაერთვა, ყურმილი ხელიდან გაუვარდა და სადენით ჩამოეკიდა. რაღაც ხმები აღწევდა მის სმენამდე, ქალის მშვიდი და მოზომილი ხმაც მოისმოდა იქვე ახლოდან, მაგრამ ნიკოს აღარაფერი არ ესმოდა, გონება აერია და დაებინდა, ყურებში რაღაც შხეულდა შეუწყვეტლივ. მის გარშემო ყველაფერს აზრი დაკარგოდა. სადღაც, შორს იცქირებოდა და ვერაფერს კი არჩევდა. საღენზე ჩამოკონწილებული ყურმილიდან ახლა უკვე გულისგამაწვრილებელი ტუტუნი მოისმოდა.

რამდენიმე დღე დასჭირდა ნიკოს, რომ ცოტა დამშვიდებულიყო. გონებაში ცდილობდა მიახლოებით მაინც წარმოედგინა თუ რა უბედურება დატრიალდა ცაში, ადლერსა და კიევს შორის, იმ ავადმოსაგონარ დღეს. მეგობრები შეძლებისდაგვარად ამშვიდებდნენ და თანაუგრძნობდნენ. ისედაც სიტყვაძუნწი ნიკო ახლა სულ დადუმდა და ჩაიქუფრა. დღეები ისე გადიოდა, რომ ერთ სიტყვას არ იტყოდა და ერთთავად ჩაფიქრებული და ნაღვლიანი, თავის უიღბლობაზე ბრაზდებოდა.

აი, ახლაც სტუდენტალაქში, თავის საწოლზე ჩამომჯდარა და თავი ხელებში ჩაუმალავს. ფიქრმა გაიტაცა. გაიხსენა მარინას დედასთან შეწყვეტილი საუბარი და სირცხვილმა შეაწუხა: „ეს როგორ მომივიდა, რომ ვერც მივუსამძიმრე და ვერც ვერაფრით ვანუგეშე. სახელი მაინც მეკითხა, ან გამოვმშვიდობებოდი მაინც, ან რაღაც სხვა მომეფიქრებინა; ვერ მოვიქეცი კარგად, საუბარი მაინც დამემთავრებინა, რას იფიქრებს ჩემზე...“ ფიქრი ბურლივით უხვრიტავდა ტვინს და მოსვენებას არ აძლევდა. მერე გადაწყვიტა კიევში დაერეკა და ფოსტისკენ გასწია.

დიდისწინის ლოდინი არ დასჭირდა. ქალბატონის ხმაში კვლავ დიდი ნაღველი ჟღერდა. ნიკოს ეს არც გაპკვირვებია. რამდენადაც შეეძლო ანუგეშა დამწუხრებული უცნობი ქალი, ბოდიშიც მოუხადა წინა საუბრის დროს გამოჩენილი უტაქტობისათვის და ნებართვა ითხოვა სახლში სწვეოდა და გასცნობოდა. ისიც დაამატა: „მე მარინას არასოდეს დავივიწყებო“.

მარინას დედამ მადლობა უთხრა თანაუგრძნობისათვის და სთხოვა, რომ, თუკი საახალწლოდ კიევში ჩავიდოდა, აუცილებლად მისულიყო მასთან სახლში.

ოცდათერთმეტ დეკემბერს თვითმფრინავი მოხერხებულად დაეშვა „ბორისპოლის“ აეროდრომზე და გაშმაგებული გასრიალდა დასაჯდომ ბილიკზე. აქედანვე დაურეგა ნიკომ მარინას დედას და მისამართი დააზუსტა. ქალბატონი გაახარა ნიკოს ხმის გაგონებამ:

პირდაპირ ჩემთან მოდით, სასტუმროს ძებნა არ დაიწყოთ, გელოდებით, – მოესმა ნიკოს ფურმილში.

ტაქსის მძღოლი ზომაზე მეტად სიტყვაუხვი აღმოჩნდა. ხან ამინდზე ილაპარაკა, ხან კიევის ლირსშესანიშნაობებზე და ისტორიულ თუ კულტურულ ძეგლებზე, თბილისელ ფეხბურთელებზეც სცადა სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ მაღლე გაირკვა, რომ მსმენელი არ ჰყავდა და დადუძძა. „მოვედითო“ – ესლა თქვა ბოლოს და მანქანა უკრაინული ორნამენტებით შემკობილ მრავალსართულიანი სახლის წინ გააჩერა. ნიკომ მადლობა მოუხადა მძღოლს, დასწვდა ორ მოზრდილ ჩანთას და ცნობისმოყვარეობით ააყოლა თვალი ცისკენ ატყორცნილ სართულებს.

ტკაცინითა და მაგაგით შეჩერდა ლიფტი მეცხრე სართულზე. ნიკომ ჩანთები ძირს დააწყო და გაუბედავად აიტუზა ოცდამეხუთე ბინის კარებთან. ზარის დარეკვას ვერ ბედავდა. ღრმად ჩაისუნიქა, ჯიბიდან ხელი ამოიღო, თმებზე გადაისვა და პალტოს საყელო შეისწორა. მერე ფეხსაცმლებზე დაიხედა და გაიფიქრა: „ცოტას კიდევ დავიცდი, თოვლი ჩამომადნესო“. ვერა და ვერ დაწენარდა. აშკარა ესმოდა საკუთარი გულის ბაგა-ბუგის ხმა. ოცნებაშ გატაცა: „იქნებ მოხდეს სასწაული, იქნებ რაიმე გაუგებრობაა, იქნებ მარინა ცოცხალია და ახლა გულისფანცქალით მელოდება თუ როდის შევაღებ კარებს, იქნებ ჩემი ნახვა არ უნდა და ყველაფერი მოგონილი და შეთითხნილია, იქნებ...“

მაღლე გამოერკვა ფიქრებიდან. ლიფტიდან გამოსულმა მამაკაცმა პალტო შეიბერტყა, სველი ქუდი დაიქნია, ფეხები აუსვ-დაუსვა კარის წინ დაგდებულ ქეჩას და მოპირდაპირე კარზე ზარის ღილაკს დააჭირა თითო. ბინაში შესულმა ალმაცერად შეათვალიერა ნიკო და კარები ჩაკეტა. ნიკოს მოეჩენა, რომ ის კაცი ჯერ კიდევ უცქეროდა დერმატინგადაკრულ კარებში ჩაყოლებული „თვალიდან“. უსამოვნოდ შეიშმუშა. მერე, როგორც იქნა დარგა. გაისმა გუგულის მსგავსი ხმა. ჩამოვარდა სიჩუმე. სადღაც ლიფტმა გაიტაცუნა.

ბავშვებმა ჩაიქროლეს საფეხურებზე სტუნვა-სტუნვით და მათთვის ჩვეული ცნობისმოყვარეობით შეათვალიერეს უცნობი მამაკაცი.

– მოვდივარ, მოვდივარ, – გაისმა კარის იქიდან და მოეჩენა ნიკოს, რომ მარინა მოიჩქაროდა კარების გასაღებად, რაღგან ხმა მართლაც რომ საოცრად ჰგავდა მარინას ხმას.

გასაღების ჩხაკუნის ხმა და გულის ამოვარდნა საგულედან ერთი იყო. გაჩუმებულები შესცქეროლნენ ერთმანეთს. ნიკოს წინ იდგა და მომხიბლავად უღიმოდა თმაშეთეთრებული, გამხდარი აღნაგობის სიმპათიური ქალბატონი, შუბლზე და ტუჩებთან ჟამთა სვლისაგან დატოვებული ნაკვალევებით.

– თქვენ ნიკო ხართ, ხომ შვილო, შემობრძანდით, – თქვა თხოვნის კილოთი ქალბატონმა და ნიკოს, სადღაც ახლოდან კვლავ მოესმა მარინას ხმა. თვალებისა და ხმის ასეთი მსგავსება მართლაც საოცრება გახლდათ. ნიკომ აიტაცა ჩანთები და რატომღაც ფეხის-წვერებზე შემდგარმა გაიარა მოპრიალებულ პარკეტზე. ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა, დაბნეული გამომეტყველებით შეჩერდა შუა ოთახში და თვათონაც არ იცოდა რას ელოდებოდა.

სიჩუმე დაისახლისმა დაარღვია:

– გაიხადეთ პალტო, და თავი ისე იგრძნით, როგორც საკუთარ სახლში; არ ვიცი რატომ, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ მოუთმნებლად გელოდით, მაინტერესებდა, როგორი ხართ, – თქვა მან ღიმილით, ნიკოს წინ ჩამოჯდა ნახევრადობილ სკამზე და თვალებში ჩახედა დამუნჯებულ სტუმარს.

– ეჱ, ჩემო ნიკო, ორივენი უიღბლონი ვყოფილვართ. საბრალო ჩემი მარინა, ის ვეღარ გაიხარებს ამ ქვეყანაზე, შენ კი წინ გაქვს მთელი ცხოვრება; იმედი მაქვს ღირსეული სიცოცხლით იცხოვრებ, მას კი აღარაფერი ეშველება, – ლაპარაკობდა მარინას დედა დაბალი ხმით და ოდნავ აკანკალებული თითებით ასწორებდა მაგიდაზე გადაფარტყა, ამოქარგულ სუფრას. ნიკო კი კვლავ ჩუმად იჯდა. ყელში ბოღმის ბურთი გასჩეროდა და თვალებში

ცრემლი მოსწოლოდა. მერე ძალა მოიკრიბა, ნუგეშის მსგავსი რაღაც ჩაიბურტყენა და ინსტინქტურად ჯიბები მოიჩრია, თითქოს რაღაცას ეძებსო. იპოვა და ამოიღო შოკოლადის გარსაცმელი ქაღალდის ნაგლეჯი.

— აი, ეს წერილი დამიტოვა ადლერის აეროპორტში, — თქვა ნიკომ და ოდნავ გაცრეცილი ქაღალდი გაუწოდა მარინას დედას.

კარგა ხანს ჩუმად იყვნენ ორივენი. მარინას დედამ გულში ჩაიკრა ერთადერთი ბედუელმართი ქაღალდის წერილი და თავი ვეღარ შეიკავა. სიმწრის ორი წვეთი მოსწყდა მის ნაღველით სავსე თვალებს და გაუჩინარდა საშინაო ხალათის კალთაში.

ნიკომ სთხოვა, საოჯახო სურათების ალბომი დამათვალიერებინეთ, მაინტერესებს როგორი იყო მარინა ბავშვობაში.

— ჯერ ვისადილოთ, ნამგზავრი ხართ და არ გაწყენთ, — მოეფერა მასპინძელი და სამზარეულოსაკენ გაემართა. ნიკომაც ისარგებლა შემთხვევით და თავისი ჩანთები გახსნა. ლამაზად გაწყობილი მაგიდა დამშვენა „ქინძმარაულმა“, ცივად მოხარშეულმა ფეხებაფშეკილმა დედალმა, შოთის პურებმა, ჩურჩხელამ და ოდნავ შეჩამიჩებულმა ყურძენმა.

სამეფო და სადედოფლო ღვინომ მადაც გაუჩსნა სტუმარ-მასპინძელს და ლაპარაკის საღერღელიც აუშალა. საკმაოდ ენაწყლიანი და ენატკბილი მოსაუბრე აღმოჩნდა მარინას დედა. იგი ყვებოდა მარინას ბავშვობის, სკოლაში წასვლისა და მისი დამთავრების შესახებ. განსაკუთრებული გულისტკივილით იხსენებდა ომის წლებს, როცა ყველას და მათ ოჯახსაც ძალიან უჭირდა. ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება, როცა ფრონტიდან მიიღეს ცნობა ოჯახის უფროსის, მარინას მამის დაღუპვის შესახებ. მარინა მაშინ ოთხი წლის იყო.

— აი, აქ, მარინა ორი წლისაა; ეს მამამისია, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა. ეს სურათი კი ფრონტზე წასვლის წინ გადავიდუთ ეზოში; ეს ჩემი მეუღლის პირველი ფოტოა ფრონტიდან გამოგზავ-



ნილი... — ფურცლავდა მარინას დედა საოჯახო ალბომს და სურათების მიხედვით ეცვლებოდათ განწყობილებაც.

— ტყეილად არ აქებენ ქართულ ღვინოს, მართლაც დიდებულია,  
— მოეწონა დიასახლისს სტუმრის მიერ მორთმეული სასმელი.

დიდიხნის ნაცნობებივით საუბრობდა სტუმარ-მასპინძელი. კიევური ძეხვი და მარინას დედის მიერ მომზადებული „პილმენები“ შეაქო ნიკომ; არც მარინას დედა დარჩა ვალში. გაიხსენა ფრონტიდან გამოგზავნილი ერთი წერილი, რომელშიც მეუღლე, რაღაც უცნაურ და გემრიელ „ხილზე“ ლაპარაკობდა.

— მას ქართველები ჩურჩელას უწოდებენ. აი, ახლა კი ვიცი,  
რაც ყოფილა, — კმაყოფილებით აღნიშნა დიასახლისმა. ნიკოს  
დედის მიერ მომზადებულმა „საცივმა“ ხომ წარმოუდგენელი აღტა-  
ცება გამოიწვია მასში.

— მოდი, შვილო, ახლა ომში დაღუპულები გავიხსენოთ, — თქვა  
მასპინძლმა, ღრმად ამოისუნთქა და შევსებულ ჭიქას ნაზად შეახო  
თავისი ოდნავ შებერებული, მაგრამ ჯერ კიდევ ნატიფი თითები.

— მეუღლისაგან ბევრი სურათი გვაქვს მიღებული, თანამებრძო-  
ლებთან ერთად გადაღებული. ვინ იცის, რამდენი ვერ გადაურჩა იმ  
ჯოჯოხეთს და რამდენი ვერ დაუბრუნდა თავის ოჯახს. ცოცხლები  
ვადლეგრძელოთ და დაღუპულები გავიხსენოთ, — წარმოოქვა  
მასპინძლმა და თითქოს თავიდან უნდა მოეცილებინა მძიმე მოგო-  
ნებებით, ერთი მოსმით გამოცალა ბროლის მაღალი სასმისი. ნიკოსაც  
უნდოდა თავის მამაზე ეთქვა ორიოდ სიტყვა, მაგრამ თავი შეიკავა  
და მდუშამრედ გამოცალა ჭიქა.

— გავალ, ყავას მოვამზადებ, — თქვა დიასახლისმა და მოხდენილი  
სიარულით გაემართა სამზარეულოსაკენ. მისმა სიარულმა ისევ  
მარინა გაახსენა ნიკოს და კაეშანიც მოეძალა.

სამზარეულოდან ჯერ ჭურჭლის რაკა-რუკის ხმა მოისმა,  
შემდეგ კი ჩაიდანის სტევნისა.

ნიკო ალბომის ფურცვლას განაგრძობდა და მარინას ასაკის  
მატებასთან ერთად მიჰყებოდა სურათებში გარდასახულ უამთა  
სვლას. მარინა თანდათან „იზრდებოდა“. მატულობდა მარინას  
მამის მკერდზე ორდენებისა და მედლების რაოდენობაც.

ალბომის ნახევარიც კი არ ექნებოდა ჯერ გადაფურცლული,  
რომ მოულოდნელად რაღაც უკრაურმა ძალამ შეაჯანჯდარა, ჩასწვდა  
გონების კუნჭულებში და ადგილზე გააშეშა.

სურათიდან ლეიტენანტის ფორმაში გამოწყობილი ნიკოს მამა  
იცქირებოდა. მას მარინას მამისთვის გადაეხვია ხელი და ამაყალ  
იდგა თანამებრძოლთა შორის.

## „ვერი გუდ ბოი“

სტუდენტთა ჯგუფმა გადაწყვიტა, უახლოეს კვირადღეს, ფეხით  
წასულიყო მცხეთაში და დაეთვალიერებინა ქართული არქიტექტუ-  
რის შვენება — „სვეტიცხოველი“, რის შემდეგაც მოინახულებდნენ  
„კვრის“ მონასტერსაც.

მოილაპარაკეს, რომ დილით ადრე შეიკრიბებოდნენ რეინიგზის  
სადგურის მოედანზე და იქიდან გაუყვებოდნენ გზას.

ოცამდე სტუდენტი შეიკრიბა სპორტულ ფორმაში გამოწყობი-  
ლი. თითქმის ყველას რაღაც შეფუთული ეჭირა ხელში, როგორც  
ეს ექსკურსიების დროს ჩდება ხოლმე. მოულოდნელად, გოგონებმა  
უარი განაცხადეს ფეხით წასვლაზე — ვერ შევძლებოთ და  
გადაწყვიტეს ესარგებლათ საგარეუბნო მატარებლით.

ერთ ვაგონში მოიყარეს თავი და ჟივილ-ხივილით გააყრუეს  
იქაურობა. ზოგმა სიმღერა წამოიწყო, საიდანდაც გაჩნდა გიტარაც.  
ერთინი კარტის თამაშში ჩაერთვნენ, სხვანი კი ფანჯრებიდან  
გაპყურებდნენ თბილისის შემოგარენს. ისტორიული მასალებიც  
გაიხსენეს მცხეთის შესახებ და არც „დიდოსტატის მარჯვენა“  
დაავიწყდათ. ასე გართობ-გართობით და ამაღლებული სულიერი  
განწყობით მიაღდნენ მცხეთის ბაქანს და მხიარული გადაძახილებით  
აახმინეს სადგური. შერე ერთად შეჯგუფდნენ და გაემართნენ  
„სვეტიცხოველისაკენ“.

ჯგუფმა, თავის ხელმძღვანელად, შეარჩია სპორტული აღნაგობის,  
ისტორიაზე და საქართველოს მიწა-წყალზე უზომოდ შეყვარებული,  
ბორჯომელი ახალგაზრდა, ტურიზმის დიდი მოტრფიალე გივი  
მაისურაძე. მანაც, ნახევრადხუმრობით გასცა რამდენიმე მითითება  
და ყოჩივით წინ გაუძღვა თავის თანაკურსელებს.

„სვეტიცხოველის“ მიღამოებში უამრავი ხალხი ირეოდა.  
მონასტერის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრი ავტობუსი  
და მსუბუქი მანქანა იდგა. ვის აღარ ნახავდით იქ: სკოლის მოს-

წავლებს, სტუდენტებს, ფამრიკა-ქარხნების თუ სხვა დაწესებულებათა შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა ჯგუფებს. აქა-იქ ჩანდნენ უცხოელი ტურისტებიც, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი ჩატურულობით და ქცევის მანერით.

სტუდენტებმა საფუძვლიანად დაათვალიერეს საქართველოს ერთ-ერთი უმშენებელესი და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი სამონასტრო კომპლექსი, მოისმინეს ექსკურსიამდღლის საინტერესო საუბარი „სვეტიცხოველის“ ისტორიისა და არქიტექტურის შესახებ, ადგილობრივ ფოტოგრაფთან გადაიღეს სამახსოვრო სურათი და მოგვანებით კი დაათვალიერეს მამულიშვილის ხელით შექმნილი, მართლაც საოცარი ყვავილების სამოთხე.

„ჯვრის“ მონასტრის ნახვის დროც დადგა.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს უნიკალური არქიტექტურული ძეგლი და მისი მიღამოები, გაახსენდება, რომ მონასტერი აგებულია მაღალი, ციცაბო მთის თავზე. იგი ამაყად გადმოჰყურებს მთლიანად მცხეთის დასახლებას, „სვეტიცხოველის“ და არაგვისა და მტკვრის შეერთების თვალწარმტაც მიკროგარემოს, რომლის შესახებაც შექმნილია მრავალი მხატვრული ნაწარმეობი.

„ჯვრის“ მონასტრამდე მიღის სამანქანო გზა, რომელიც მრავალ-ჯერ უხევეს ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ, თანდათან იკრებს სიმაღლეს და ბოლოს მარცხნა შხარეს მოიტოვებს რა მცირე ზომის ჭბას, პირდაპირ მიდის მონასტრის ჭიშკრამდე.

ფეხით მოსიარულეთათვის აღნიშნული გზა საკმაოდ გრძელია, ამიტომ სტუდენტებმა გადაწყვიტეს მოკლე, პირდაპირი და თითქმის ციცაბო ბილიკებით ასულიყვნენ ზედა პლატოზე, რაც უფრო რომანტიულად და მიმზიდველად ესახებოდათ. გივიმ შეარჩა, მისი აზრით, ყველაზე მოკლე და ალბათ ყველაზე უფრო ძნელი გზა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და შეუყვა აღმართს. უკან კი მატარებლის შემაღენლობასავთ გაიჭირ-გაიკლანა ოცკაციანი ჯგუფი.

სვენებ-სვენებით, ნელი, გამოზომილი ნაბიჯებით მიიწვდნენ

სულ მაღლა და მაღლა.

მთის წვერზე, მართლაც რომ ჯვარივით გამოკიდული მონასტერი თავისეკენ უხმობდა სტუდენტებს და თითქოს ამხნევებდა კიდეც; „აბა, ნელა, ნუ აჩქარდებით, ცოტაცოტაობით დაძლიერ მანძილი და მეც ხელგაშლილი აქ დაგხვდებითო“. ისინიც ჯიქურ მიიწვდნენ წინ და აზარტით შეცყრობილი ვეღარც კი გრძნობდნენ დაღლილობას.

ვიწრო და ციცაბო ბილიკები ქვა-ღლორდით იყო მოფენილი, რაც აძნელებდა ზეასვლას; ფეხი უცურდებოდათ და ზოგჯერ ხელითაც ეხებოდნენ ხორკლიან გზას. ხელის მოსაკიდად და ჭანის ასაზიდად იყენებდნენ ბილიკების გასწვრივ მომრავლებულ ეკალ-ბარდების ტოტებს და ასე მიიწვდნენ მიზნისკენ.

მთის შუაწელს ოდნავ იქნებოდნენ აცილებულები, როცა სადღაც ზემოდან შემოესმათ რაღაც შეძახილები. სიტყვების გარჩევა ძნელი იყო, მაგრამ ამ შეძახილებში აშკარად იგრძნობოდა რაღაც საგანგაშო და გამაფრთხილებელი.

თითქმის ყველამ ერთდღროულად აიხედა ზევით, „ჯვრისკენ“ და დაინახეს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რაღაცას ყვიროდა და ხელს იშვერდა სადღაც ქვემოთ, ჩახრამულ-ჩაღრმავებულ ვიწრო ხეობისკენ. სტუდენტებმა ხელის მიმართულებას გააყოლეს თვალი და დაინახეს, რომ ორასიოდე მეტრის მოშორებით, მთის კალთებს შორის, ბუქნარით მოფენილ ჩაგრძნილ ადგილში ვიღაც მოძრაობდა, რაღაცას ყვიროდა და ხელსაც იქნევდა. ცდილობდა ზემოთ ამოსვლას, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდა და ისევ უკან ხოხდებოდა ჩაღრმავებული ადგილისაკენ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, გაჭირვებაში მყოფი იყო დაახლოებით ორმოცდახუთი წლის ქალბატონი, რომელიც ჩამორჩა თავის ჯგუფს, გაერთო მინდვრის ყვავილების კრეფით და მოხვდა ისეთ ადგილში, საიდანაც ვეღარ ახერხებდა თავის დაღწევას. მისი ჯგუფის წევრებმა იგი მხოლოდ მას შემდეგ მოინაკლისეს, როდესაც უკვე ზედა პლატოზე ავიდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

გივიმ ნათლად წარმოიდგინა, თუ რა გასაჭირში იმყოფებოდა იქ, ქვემოთ, ვიღაც და მიმართა თავის ჯგუფს:

— თქვენ გააგრძელეთ ასვლა, მე კი ჩავალ და შევეცდები ამოვიყვანო ის გზააბნეული.

ეს თქვა და ფრთხილად, ფორთხვა-ფორთხვით წავიდა უცნობისაკენ.

იქ, ზემოთ შეამჩნიეს გივის გადაადგილება და ომანინი შეძახილებით ამხნევებდნენ მას. სტუდენტთა ჯგუფი კი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა „ჯვრისკენ“.

უცნბმა ქალბატონმა შეამჩნია მისკენ მიმავალი ახალგაზრდა, ოდნავ დამშვიდდა, ყვირილი შეწყვიტა და ღონებისდილი იქვე ჩამოჯდა ბუჩქთან. ყვავილების შეკვრა გულში ჩაეხუტებინა და სულგანაბული ელოდა მხსნელს.

როგორც იქნა მიაღწია გივიმ გაჭირვებულამდე. მის თვალწინ იჯდა სიფრიფანა აგებულების, საქმაოდ მიმზიდველი იერის, ოდნავ ჭაღარაშერეული მომშიბელელი ქალბატონი, რომელიც ღიმილით შეხვდა გივის და რაღაც მადლობის გამომხატველი სიტყვების კორანტელი დააყენა. გივი მალე მხხდა, რომ საქმე ჰქონდა ინგლისელ ტურისტთან. მას თმების ვარცხნილობა ოდნავ ასწეროდა, ტანისამოსიც აჩაჩულ-დაჩაჩულად გამოიყურებოდა, მუხლისთავებზე და თითებზე გივიმ სისხლის ნაკვალევიც შეამჩნია. მას კი გულში ჩაეკრა ყვავილები და მომნუსხველი და იმავე დროს მავედრებელი ღიმილით შესცეკროდა გივის. ტუჩები უთროთდა ოდნავ, ალბათ ნერვიული და ფიზიკური დაძაბულობის გამო.

გივიმ გაუწოდა თავისი მძლავრი მარჯვენა და ინგლისურად მიმართა — გამომყენიო. ქალბატონმა გაოცებით შეხვდა მას და მორჩილად დაჰყვა გივის ნებას, მაგრამ იმ ორმოდან ამოსვლა არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა.

როგორც იქნა თავი დააღწიეს იმ ჩაგრდნილ ადგილს და აჰყვნენ ვიწრო ციცაბო ბილიკს.

გივის მაგრად ეჭირა ქალბატონის ხელი და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ ზევით. ინგლისელ ტურისტს მუხლები ეპუცებოდა, ძალა აღარ ყოფნიდა, სულ ჩაჯდომას ცდილობდა და თავისისაუნებურად წინააღმდეგობას უწევდა გივის თავგამოდებულ მცდელობას.

ამასობაში სტუდენტთა ჯგუფმა მიაღწია ზედა პლატოს და შეუერთდა უცხოელ ტურისტთა ჯგუფს.

ახლა ორივე მხარეს ერთი საფიქრალი და ერთი საზრუნავი ჰქონდა — როგორმე სამშვიდობოზე ეხილათ ყვავილების მოყვარული უცხოელი ქალბატონი და შეერთებული ძალებით, ყიუინთა და გამამშნევებული შეძახილებით ამხნევებდნენ გივისა და მის შემთხვევით ნაცნობს. გივი კი ოფლში იწურებოდა და ჯიქურ ცდილობდა ფონს გასვლას. თან ერთი არასასიამოვნო ფიქრიც აწუხებდა; ის დრო იყო, როდესაც უცხოელთან ნებისმიერ ურთიერთობას საეჭვო თვალით უყურებდნენ, უფრო მეტიც — აკრძალულიც კი იყო და საეკსამისახურის აგენტები ყოველ ფაქტს სახათაბალოდ გაგიხდიდნენ.

მაგრამ გივის ახლა ეს არ ადარდებდა. იგი იმით იყო შეწუხებული, რომ ქალბატონი სულ დაბატუნდა, მოეშვა და აღგილიდან აღარ იძროდა. აღარც ხმას იღებდა და თვალებიც დაუნაღვლიანდა. მაშინ გივიმ დაიკაპიტა ხელები, ბუმბულივით აიტაცა ინგლისელი ქალბატონი, მიიხუტა მკერდზე და მძიმე ნაბიჯებით აჰყვა ბილიკს. ზემოდან ტალღებივით გადმოეფინა აღტაცების გამომხატველი ინგლისურ-ქართული ოვაციები.

ქალბატონმა ჯერ ფეხების წევა დაიწყო, მერე მკერდზე ხელებით მიაწვა და განთავისუფლება სცადა, მაგრამ მალე მოეშვა, მოღუნდა. მთლიანად მიენდო გივის ბობოქარ მკერდს და თვალებიც რაღაც სიამით მინაბა. ხმა არ ამოუდია მანამ, სანამ ოფლში გაწურულმა გივიმ იგი მისი ჯგუფის ხელმძღვანელს არ ჩააბარა.

შემოეხვინენ გივის ჩვენი სტუდენტებიც და უცხოელი ტურისტებიც. ეს იყო რაღუნაირი გამარჯვების დღესასწაული. გივი მორცხვად იდგა და ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა. მას ჰკოცნიდნენ,

ეფერებოდნენ, მხრებზე ზელებს ურტყამდნენ, თავზე ხელს უთათუნებდნენ და ორ უგველეს ენაზე აქებდნენ.

„ვერი გუდ ბოი“, „ყოჩალ გივი“ – გაისმოდა შეძახილები.

აჩხავუნდა ფოტოაპარატები; ყველა მათგანი ცდილობდა დაუფიქ-სირებინა მომხდარი ამბავი.

ვინ იცის რამდენ ინგლისურ საოჯახო ალბომში ინახება ბორჯომელი გივი მაისურაბის ორმოცდათიანი წლების ფოტოსურა-თი, დიდებული „ჯვრის“ მონასტრისა და მის სანახავად მოსულ ინგლისელ ტურისტთა ფონზე.

### „კარმენმა“ გადაარჩინა

რეზომ უმაღლესი სასწავლებელი თბილისში დაამთავრა. სხვა სტუდენტთა დიდი ნაწილისგან განსხვავებით, რომლებიც თავისუფალ და ხშირად არათავისუფალ დროსაც კინოთეატრებში და ლუდის ბარებში სიარულს ან დომინოს თამაშს ანდომებდნენ, რეზოს ძალიან უყვარდა ოპერისა და ბალეტის თეატრი. სტუდენტად ყოფნის ხეთი წლის განმავლობაში მას არ გამოიუტოვა არცერთი სპექტაკლი თვით გასტროლებზე ჩამოსული მომღერლებისა თუ მოცეკვავების მონაწილეობითაც კი. ზოგიერთი დადგმა კი რამდენჯერმე ჰქონდა მოსმენილ-ნანაში. რეზოს განსაკუთრებით მოსწონდა და შეუყვარდა ბიზეს ოპერა „კარმენი“. დავიდოვას „კარმენი“ და ანჯაფარიძის „დონ-ხოზე“ სამუდამოდ ჩარჩა მის გულში და მეხსიერებაში.

გაირბინა საუკეთესო წლებმა. რეზო სამუშაოდ გაანაწილეს სხვა ქალაქში. ოპერისადმი სიყავრული არ განელებია რეზოს, მაგრამ ეს იყო, რომ იშვიათად-და ახერხებდა ოპერის სპექტაკლებზე დასწრებას, თუმცა ოპერა „კარმენი“ არ გამოიუტოვება.

გადიოდა წლები. რეზო სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა თანამდებობრივ საფეხურებზე და ბოლოს დაინიშნა ყრუ-მუნჯების სასწავლო-საწარმოო წამოწყების დირექტორად. ოპერისადმი სიყვარული კი კვლავინდებურად მძლავრობდა მის პიროვნებაში.

ზაფხულის ერთ კვირა დღეს რეზო სამსახურის „ფურგონ-მოსკვიჩით“, რომელიც კარმენის კაბასავით წითელი ფერის იყო, თბილისისებ მიქტროდა. ჯიბეში ფაქტზე შეენახა ბილეთი, რომელიც მივლინებაში მყოფმა თანამშრომელმა ჩამოუტანა წინა დღეს, იცოდა რა მისი ლტოლვა ოპერისადმი და თანაც „კარმენისადმი“.

ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი, რომ რაღაც უსიამო ფიქრებმა შეირყო. იმწელიწადს საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა საყოველთაო წესრიგის განმტკიცებას. გაძლიერებული კონტროლი იყო დაწესებული სამანქანო ტრასებზეც. ამოწმებდნენ ყველას და ყველაფერს. სამუშაოს გაცდენისათვის ან დაგვიანებისათვის მკაცრად ისჯებოდნენ მუშა-მოსამსახურები; ამოწმებდნენ მივლინების ფურცლების ჭეშმარიტებას; უმუშავრებს აიძულებდნენ უმუშავათ, გაძლიერებული იყო ყურადღება ვაჭრობის სფეროს მიმართ და ა.შ. მკაცრი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ წარმოების ხელმძღვანელებს სამსახურებრივი ტრანსპორტის პირადი მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში.

აა, სწორედ ასეთმა ვითარებაშ აღუძრა რეზოს არასასიამოვნო ფიქრები.

მანქანამ მარჯვნივ აიღო გეზი, ჩაიქროლა საკმაოდ გრძელი დაღმართი და გამოჩნდა კიდეც ნატახტარის ავტოინსპექციის საგუშავო. რეზომ შორიდანვე შეამჩნა გაჩერებული მანქანები და ფორმიანი მუშაკები, რომლებიც აჩერებდნენ და ამოწმებდნენ, როგორც მანქანებს, ისე მძლოლსა და მგზავრებს.

უკან გამობრუნება ვერ იკადრა კომუნისტმა დირექტორმა. გაიფიქრა: „მოხდეს რაც მოსახლენია“ და ლეიტენატის მიერ მითოებულ ადგილზე გააჩერა კარმენის კაბის ფერი „ფურგონ-მოსკვიჩი“.

ლეიტენანტი მოუახლოვდა, საფეთქელზე იტაკა ზელის გაჭიმული მტევანი და მოითხოვა საბუთები. რეზომ ავტომატურად გაუწიდა მანქანის საბუთები და მართვის მოწმობა, თვითონ კი ტვინის ჭყლეტით ეძებდა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს. რა ადარ სცადა, რა არ იღონა, მაგრამ ამაოდ. ლეიტენანტი საკმაოდ მკაცრი და მიუკარებელი აღმოჩნდა.

— რატომ გამაჩერეთ? რა, დავაშვე რამე? — სცადა თავის დაღწევა რეზომ, — მანქანა წესრიგშია, საბუთები აღვილზეა, მოძრაობის წესები არ დამირღვევია, მაშ, რაშია საქმე?

— წამობრძანდით ჯიხურში და იქ გაარკვევენ ყველაფერსო, — მოკლედ უპასუხა ლეიტენანტმა.

— მოდი, მმურად, აქ დამაჯარიმე და გამიშვი, მაგვიანდება.

— ჯიხურში წამობრძანდით და იქ გაარკვევენ ყველაფერს, — დაზეპირებულივით ჩამოკაკლა შემმოწმებელმა და საბუთებიანად ჯიხურისკენ დაიძრა.

მისდევდა რეზო უკან და უკეთ ნათლად პქონდა წარმოდგენილი რაც უნდა მომხდარიყო. შეაღვენდნენ რაღაც აქტს, ან ოქტს, გადაუგზავნილნენ შესაბამის სამინისტროს და პარტიის საქალაქო კომიტეტს, არც სახალხო კონტროლის უწყება გამორჩებოდათ და დაიწყებოდა ის, რისიც ასე ეშინოდა რეზოს.

დაიბარებდნენ კოლეგიაზე, ბიუროზე, სხდომაზე და ატყვებოდა ერთი ალიაქოთი. თუ საყვედლებს აკმარებდნენ, აღბათ „სამაღარიჩო“ ექნებოდა საქმე. წარმოიდგინა რეზომ ყოველივე და სიცივემ დაურბინა ტაში. დღე კი საკმაოდ ცხელი იდგა.

ჯიხურის შესასვლელთან დიდი რიგი იდგა „დამნაშავე“ მძღოლებისა. ისინი მორიგეობით შეპყავდათ შიგნით, სადაც მაგიდას უჯდა ერთი ტანმოსული და ზომაზემეტად შესუქებული მაიორი, რომელიც საქმის ცოდნით ჩაჰკირებდა საბუთებს და ცივ ოფლში სწურავდა მორიგ „მსხვერპლს“.

რეზოს ზურგსუკანაც მომრავლდა ხალხი. ერთმა სცადა რიგიდან

გამოსვლა და უკან წასვლა, მაგრამ კინწისკვრით დააბრუნეს „თავის“ ადგილზე.

ჯიხურში პირისპირ დარჩენილი კამათობდნენ. სიტყვების გარჩევა მნელი იყო, მაგრამ ფანჯრის ვიტრინიდან ყველაფერი კარგად ჩანდა: ჯერ წყნარი საუბარი იწყებოდა, მერე ატყდებოდა ხმამაღალი ხმაური და ხელების ქვეა, მოგვიანებით მოძრაობები უფრო აქტიური ხდებოდა, რასაც თან ერთვოდა სკამბის წრიპინ-ჭრიჭინი და ყველაფერი მთავრდებოდა იმით, რომ „დამნაშავე“ კარების ჯახუნით გამოვარდებოდა გარეთ, „მსაჯული“ რაღაც ქაღალდებს გვერდით აკურატულად აწყობდა და მომდევნო „დამნაშავის“ მოლოდონში ჭრელი ცხვირსახოცით იმშრალებდა გაოფლილ და გაფუტბულ სახეს. მართალია სიტყვები არ ისმოდა ჯიხურიდან, მაგრამ ზოგადი დასკვნის გამოტანა არ იყო ძნელი, რადგან ჯიხურიდან გამოსული ყველა „დამნაშავე“ გვარიანად იგინებოდა.

რეზოს რიგიც მოვიდა. ლეიტენანტმა ტანმოსულ და ზომაზემეტად შესუქებულ მაიორს მაგიდაზე დაუწყო რეზოს საბუთები და მკვეთრი ზურგტრიალით მიატოვა ჯიხური.

— ჰო... — მრავლისმტყველად ჩაიღუდუნა მაიორმა და კბილებს შორის გამოსცრა — სახელმწიფო მანქანით კვირა დღეს... ეს სერიოზული დანაშაულია და ალბათ იცი, რაც მოგელის.

— რა მოხდა ისეთი, რა, ქვეყნა დაინგრა? — ჩაიღუდუნა რეზომ.

— იცი თუ არა, რომ სამსახურებრივი ტრანსპორტით სარგებლობა აკრძალულია უქმე დღეებში?

— კი, ვიცი.

— მერე, შე კაი კაცო, განა რა აუცილებლობა იყო, რომ ასეთ რისკზე მიდისარ?

— მჭირდებოდა.

— ერთი, თუ ძმა ხარ მითხარი, სად მუშაობ და თუ გაქვს პირადობის მოწმობა.

რეზომ ჯიბეში ჩაიყო ხელი და მაიორს გაუწიოდა მუქავისფერ

გარეკანში ჩასმულ-ჩაწებებული პირადობის მოწმობა.

— პმ... ყრუ-მუნჯების დირექტორი; როგორ არა გრცხვენია, შენ სხვას უნდა აძლევდე მაგალითს. წესიერი კაცი ჩანხარ, საუბარში გეტყობა, მაგრამ რა ვწნა, აქტი უნდა შევადგინო. მაინც რა ისეთი აუცილებელი საქმე გაქვს, რომ ხიფათში იგდებ თავს?

— ოპერაში მივდივარ, — გაეპასუხა რეზო, — და თუ მალე გამიშვებ, მადლობელი დაგრჩები, რადგან უკვე მაგვიანდება — და თან ბილეთიც აჩვენა.

— აჲა... ოპერაში ესეიგი, ხომ... კარგია... — ჩაიღაპარაკა მაიორმა, მაშინალურად ჩამოართვა გაწვდილი ბილეთი, სკამზე ჩამოჯდა და ქაღალდებს ჩააცივდა. შემდეგ მაიორმა უცბად ასწია თავი და რეზოს თვალი თვალში გაუყარა.

— რაო, რა მითხარი, სად მიდიხარ?

— ოპერაში, — გაუმეორა რეზომ.

მაიორი წამოვარდა სკამიდან უცნაურად გაბრწყინებული თვალებით, შემდეგ ისევ დაჯდა, მაგრამ სწრაფადვე წამოხტა და ჯიშურის კარს ებდომვნა.

— არიქა, ბიჭებო, ოფიცრებო და რიგითებო, აქ მოდით ყველა, ჩქარა, ჩქარა, გაანებეთ თავი მაგ საცოდავებს, აქ ისეთი „თევზია“ გაბმული, რომ სულ დაგავიწყებთ ყველაფერს, — გააყრუა არემარე სიცილნარეები შეძახილებით — ხალხო! გესმით ხალხო, ყრუ-მუნჯების დირექტორი ოპერაში მიდის, გაიგეთ, ო-პე-რა-ში, — დამარცვლა მაიორმა.

შემოკრებილმა ფორმიანებმა და რიგში ჯერ კიდევ მდგომა „დამნაშავეებმა“ უცბად ვერ გაიგეს რა ხდებოდა. როცა მიხვდნენ მაიორის აღტყინებისა და გაოცების მიზეზს, რაღაცნაირად ყველას მოულბა გული, ერთხმად დაულოცეს გზა რეზოს და კეთილი მგზავრობა უსურვეს.

რეზოს ხელში ჩაებლუჯა საბუთები და სანუკერი ბილეთი. სიხარულით მირბოდა კარმენის კაბისფერი „ფურგონ-მოსკვიჩისაკენ“.

კომუნისტ დირექტორს ოპერაში მიეჩქარებოდა.

უკან მობრუნებისას რეზოს „ფურგონ-მოსკვიჩი“ ნატახტარის პუნქტზე აღარ გაუჩერებიათ, თუმცა შორიდანვე შენიშნეს და ხელების ქნევითა და მხიარული შეძახილებით გააყოლეს თვალი „ყრუ-მუნჯების“ დირექტორს, რომელსაც ძალიან უყვარდა ბიზეს ოპერა „კარმენი“.

1987 წ.

### მილიციონერი ბერდია

პატარა ქალაქის მოსახლეობა შეჩვეული იყო იმ ამბავს, რომ ცენტრში მდებარე მცირე ზომის მოედანზე ყოველდღე აუცილებლად დაინახავდა აქტო-იქით, მძიმე ნაბიჯებით მოსიარულე, დევიოთ აღნაგობის, შუახანსგადაცილებულ მამაკაცს. მას სახელად ერქვა ბერდია. ას კაცის გვარი და წარმომავლობა თითქმის არავისოვის იყო ცნობილი. მას მილიციელის ფორმა ეცვა. ყოველთვის სუფთა და ტანზე კოხტად მორგებული. მართლაც რომ ბუმბერაზის გარეგნობა ჰქონდა — მაღალი, მხარბეჭიანი, ნორმალურად ხორცებსხმული, სანდომიანი გამოხედვით. ჭაღარაშერეული და გადაგრეხილი ულვაშები გადაწყვილ-გაშვერილი ჰქონდა მარცხნივ და მარჯვნივ. სახეზე ოდნავ გადაჟრავდა მოღაუდაჟო წითელი ფერი. გაბოტილი დგომა იცოდა-ხოლმე თავის ძლიერ ფეხებზე, რომლის წვივებსაც მჭიდროდ შემოსალტოდა მოპრიალე ტყავის ჩექმები. უზარმაზარი „მაუზერი“ ეკიდა მხარზე გადაკიდებულ ტყავის თასმაზე და განუყრელად ხელში ეჭირა თოკზე გამობმული სასტვენი, რომელსაც, ალბათ, კვირაში ერთხელ თუ ჩაპბერულა, რადგან ამის აუცილებლობა თითქმის არ იყო. მართალია, მსოფლიო ომი

მძვინვარებდა და ქალაქის ცხოვრების რიტმი მოშლილი და დარღვეული იყო, მაგრამ სამართლდარღვევების შემთხვევები იშვათი იყო. მაშინ ქურდობაც ნაკლები იყო და მკვლელობებიც. ნარკოტიკებზე ხომ საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა. პოდა, ბერდიას არ უჭირდა საზოგადოებრივი წესრიგის კონტროლი და უზრუნველყოფა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერდია მიღლიციონერისა უფრო მეტად ხათრი და პატივისცემა ჰქონდათ, ვიდრე შიში, რაც მან კეთილშობილური ყოფაქცევით და ადამიანებისადმი სამართლიანი და გულისხმიერი დამოკიდებულებით დაიმსახურა.

ამბობდნენ, რომ ბერდიას საკუთარი ოჯახი აღარ ჰყავდა და მარტოხელა ადამიანის ცხოვრებას ეწეოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ძალიან კეთილი და უანგარო კაციაო. მზად იყო ყველას დახმარებოდა და მხარში ამოდგომოდა. მოსახლეობაც პატივს სცემდა მის კაცობას და საქმისადმი ერთგულ დამოკიდებულებას.

ბერდია მიღლიციონერი იყო მთელი ქალაქის იმედი და ნუგეში: მეზობლები შეკამათდებოდნენ – ბერდია იყო მათი მომრიგებელი, პურის რიგში ვინმე წესრიგს დაარღვევდა – ის იყო მიმზედავი, ბავშვი სკოლიდან ტირილით მოდიოდა – აიყვნდა ხელში და მოეფერებოდა, მშობიარე ქალის წასაყანადაც მას სთხოვდნენ: სადმე „ლინეიკა“ (ასე ეძახდნენ მაშინ ფაიტონის მსგავს ტრანსპორტს, რომელშიც ორი ცხენი იყო შებმული) ეშოვნა; ვინმეს წამალი და ექიმი დასჭირდებოდა – ბერდიაც იქ გაჩნდებოდა. ხანძრის ჩასაქრობადაც მას ეძახდნენ და ბავშვების მოსანაოლადაც.

ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო, ყველა ფრონტზე იყო წასული. უჭირდა ქვეყანას, უჭირდა ხალხსაც. ცხოვრების მთელი სიმბიმე დაწვათ ქალებს და მოზარდებს და ბერდია მიღლიციონერიც შეძლებისდაგვარად მხარში ედგა თანამოქალაქეებს და უადვილებდა სიცოცხლეს.

1943 წლის ზამთრის სუსტიანი დღე იდგა. ცივი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. ბერდიას შეატყობინეს, – არიქა, გვიშველე,

ამ საზარელმა მითქმა-მოთქმამ საბრალო თებროლეს ყურამდეც მიაღწია. სირცხვილისაგან იწვოდა და გარეთ აღარ გადიოდა. ერთი კი გაიფიქრა თავისი აღრეგარდაცვლილი მუედლის მისამართით: „ბეღნიერი ყოფილა, რომ ვერ მოესწრო შვილის ასეთ სამარცხვინო საქციელსო“.

თებროლები მოსვენება დაკარგა. ძილი აღარ ეკარებოდა და რა მოემოქმედებინა აღარ იცოდა. რამდენჯერმე თავის მოკვლაზეც იფიქრა, მაგრამ შვილიშვილის არსებობა არ ადგმევინებდა ამ უკიდურეს ნაბიჯს.

ერთ საღამოს მუხლებში ჩაუკარდა ბერდია მიღლიციონერს: „გვევდრები, გაიგე რომელ ტყეშია. წავალ, მოვძებნი, დავაჯერებ, რომ ჩაბარდეს ნებაყოფლობით. იქნებ ფრონტზე გაგზავნონ და იქ მოკვდეს, თუ სასიკვდილოა. გთხოვ, არ დაიზარო და გაუგო დედის გულს“.

ბერდიამ დაამშვიდა გაუბედურებული ქალი: „კარგი, დამშვიდი. რაღაცას მოვიფიქრებ. იქნებ სხვებზე ადრე მოვახერხო მისი ნახვა და დავიყოლიო. ყველაფერს ვიღონებ“.

ქალის გულში იმედის ნაპერწკალი აკიაფდა.

გვიდა კიდევ ერთი კვირა და ამ ხნის განმავლობაში ქალაქელებს მოედანზე აღარ უნახიათ ბერდია მიღლიციონერი. ამბობდნენ, მიღლიციონერთა შეიარაღებული ჯეუფი დეზერტირების მოსაძნად და დასაჭერად წავიდათ. მათ შორის ბერდიაც არისო. კვირის თავზე კი პატარა ქალაქში მეზივით გავარდა ხმა: „ბერდია მიღლიციონერი მოკლესო“.

- რატომ ხელი არ გაუხმა იმ არაკაცს.
- ნეტავ კინ იყო ის უვარესი.
- შხამად შეერგოს დედის რქე, ვინც ხელი აღმართა ღმერთივით კაცზე.

– არ ეღირსოს ღმერთის წყალობას, წყეული იყოს ის არაადამიანი, ვინც სიცოცხლეს გამოასალმა ყველას ქომაგი და მოყვარული კაცი... გაისმოდა ხმამაღალი წყევლა-კრულვა პატარა ქალაქის



თებროლეს სახლს ცეცხლი წაეკიდათ. ბერდიას თავგამოდების მიუხედავად სახლს ვერაფერი ეშველა და ბოლომდის ჩაიფერვლა. სახლის პატრონი თავისი რძლითა და ორი წლის შვილიშვილით უსახლკაროლ დარჩა. ისლა შემორჩათ, ტანზე რაც ეცვათ. თებროლეს ერთადერთი ვაჟი – ხვთისო საომრად იყო გაწვეული და მისგან დიდი ხანია წერილი არ ჩანდა. არ იცოდა, თუ სად იყო ხვთისო, ან საერთოდ, ცოცხალი იყო თუ არა.

თებროლეს უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახს ისედაც ძალიან უჭირდა და ახლა კიდევ ეს უბედურება დაატყდა თავს. ბერდიამ მორიდებით შესთავაზა ქალებს: „იცხოვრეთ ჩემთან, მარტო ვარ და ხმის გამცემი მაინც მეყოლება. რასაც ვიშოვით, სიამეში მოვიხმაროთ. მალე ომიც დამთავრდება, ვაუკაცი ჩამოგივათ და ღვთის წყალობით ფეხზე დადგებით“.

მზრუნველი ადამიანი მოუვლინა ღმერთმა გაუბედურებულ ოჯახს.

მას შემდეგ ერთ წელიწადზე მეტი გავიდა, ცხოვრობდნენ გაჭირვებით, მაგრამ შეხმატკბილებულად და მომავლის იმედით. ბერდია ძალ-ლონეს არ იშურებდა, როგორც იტყვიან „წელებზე ფეხს ღვაძეა“, რათა შიმშილისაგან სიკვდილი აეცდინათ და ფაშიზმზე გამარჯვების დღეს მხნედ შეხვედროდნენ.

დრო გადიოდა – ხვთისოსგან კი კვლავ არაფერი ისმოდა. მალე ქალაქის სხვადასხვა კუთხეში აჩურჩულდნენ ქალები: „ხვთისო ფრონტზე კი არა, ტყეშია გავარდნილი თავის რამდენიმე თანამზრან-ველთან ერთად. თავს არიდებენ საომრად წასვლას და მთავრობას ემალებიანო“.

მაშინ დეზერტირების მიმართ მოქმედებდა მკაცრი კანონი: – თუ ისინი ნებაყოფლობით არ დაუბრუნდებოდნენ საზოგადოებას და არ მოიხდიდნენ მამაკაცურ ვალდებულებას, მათ ელოდათ ხანგრძლივი პატიმრობა (უკათეს შემთხვევაში), ანდა შეიარაღებული წინააღმდეგობის შემთხვევაში – აღგილზე დახვრეტა.

პატარა მოედანზე. მერე ერთმა შაოსანმა ხმამაღლა განაცხადა  
– ხვთისოს მოუკლავსო ბერდია მილიციონერი...

ქალაქმა დიდი პატივით გააცილა ბერდია უკანასკნელ გზაზე...  
წითელი არმია კი უკვე საჭუთარი ბუნაგისაკენ მიერეცხბოდა  
ფაშისტების ხროვას.

იდგა 1944 წლის შემოდგომა.

### კაციაანთ მიხა

მთელ იმ არემარეში განთქმული კაცი იყო კაციაანთ მიხა.  
დიდისა თუ პატარას ეამაყებოდა ამ ტკბილ მოხუცთან სიახლოვე  
და მოყვრობა. გონებამახვილი და მჭერმეტყველი, ოჯახის ერთგული,  
პატიოსანი და გამტანი – ასეთად იცნობდნენ მიხას მეზობლები,  
მეგობრები, ნათესავები, მტერი თუ მოყვარე.

ყველა კახელს უყვარს ვაზი, მაგრამ მიხას რომ უყვარდა, ისე  
ბევრი ვრ დაიკვენის. ერთომედ ლირდა მიხას ქვევრებით ფუძევამაგ-  
რებული მარნის ნახვა. მის ოჯახში ლვინის და სიმღერის კულტი  
ბატონობდა. ბულბულივით მაღალი ტემბრისა და ნაკადულივით  
წკრიალა ხმა ჰქონდა მიხას. თავის ოთხ ვაჟიშვილთან ერთად  
სიმღერას რომ დააგუგუნებდა ხოლმე, სულგანაბულს უნდა გესმინა.

წუთისოფელს თავისი ულმობელი კანონები აქვს. გარჯითა  
და ჯაფით გატარებულმა ცხოვრებამ შეუჩნევლად ამოწურა სიცოცხ-  
ლის სკივრის, ერთი შეხედვით უსაზღვრო, შესაძლებლობები და  
კაციაანთ მიხამ საწოლთან მიიხმო თავისი ვაჟიშვილები.

– ჩემო არწივებო, მე ალბათ მალე დავტოვებ ამქვეყანას. ერთი  
სათხოვნელი მაქვს: როგორც გვიცხოვრია, როგორც ჩვენს ოჯახს  
შევნის, როგორც ეს ჩვენი ჯილაგის ტრადიციებს შეეფერება, ისე  
მინდა რომ გამაცილოთ უკანასკნელ გზაზე. ეს არის ჩემი სურვილი



და თხოვნა; იმედი მიმყვება თან, რომ არ მიმტკუნებთ და არ შემარცხვენთ.

შეცტუნდნენ ვაჟები – რა დროს შენი სიკვდილია, ნუ დარდობ, ყველაზერი კარგად იქნებაო და შეფარვით უთვალთვალებდნენ მისი გამოფიტული თითების ძლივსშესამჩნევ მოძრაობას და ოდესლაც მბრწყინავ, ყოველთვის იმედისმომგვრელ მის მიმქრალ, ჭავიანურ თვალებს.

– ნუ, ჩემო ბალლებო, ტყუილუბრალოდ ნუღარ მანუგეშებთ. აღსასრული მოახლოვდა და იმქვენად წასელა გარდუვალია. ეცადეთ სრულად და ლამაზად შეასრულოთ ჩემი უკანასკნელი თხოვნა. გამოსათხოვარ სუფრაზე მოიპატიუეთ ყველა, ვისაც კი ხმას მიაწვდენთ. არ გამოგრჩეთ ნათესავი, მეზობელი, მეგობარი, მტერი თუ მოყვარე და ისეთი ზეიმით გამაცილეთ, როგორიც თქვენს ვაჟკაცობას ეკადრება... – ძლივს გასაგონად ეჩურჩულებოდა კაციანთ მისა თავზემდგომ შვილებს.

– რაკი არ იშლი და ასე მოინდომე, იქნებ უკანასკნელი რჩევა-დარიგებაც მოგვცე და გვითხრა, სუფრა როგორი გავაწყოთ? – შეპბედეს ვაჟიშვილებმა.

– ეს სულ სხვა საქმეა, – ოდნავ გასაგონი ხმით წარმოთქვა მისამ და გამოცოცხლება დაეტყო ფერმქრთალ სახეზე. საკლავზე ბაციაანთ ნიკას მიაკითხეთ, არაფერი შეეშლება; თევზეული დიდბერაანთ ქვრივს დაავალეთ; შოთ-ლავაში ტრულეაანთ მართას გამოაცხობინეთ; მღვდელი არ დაგვიწყდეთ და თუ ვინმე მოსანათლია, მაგ საქმესაც დროზე მიხედეთ; მიცვალებულის სუფრის თამადობა კი ყველაზე კარგად შობელძაღლ მუქნაჭას შეუძლია, ხმაც უჭრის და ენაცა. აჩქარებული გულისცემით გასცა მისამ რჩევა-დარიგება და ძელად შესამჩნევი სიამოვნებით ჩამოისვა ულვაშებზე მოცახცახე, ჩამიჩივით დამჭერარი მარჯვენა...

– რაც მთავარია ის გამოგრჩა, – შენიშნა უფროსმა ვაჟიშვილმა მორიდებით, მაგრამ მაინც თავისი აღმოჩენით კმაყოფილმა – სუფრა

რომელი ღვინით მოვაგვირგვინოთ, რას გვირჩევ, მამაჩვენო?!

– ჰო! ეხლა კი მართლაც გამახარეთ – ხმაში რიხი გამოერია მოხუცს. ღვინით მართლაც მთავარია... ისეთი უნდა იყოს, ყველა კუთხის კაცს მოწონოს და არც არავინ გააგიშოს...

– ასეთი ღვინო მარნის ბოლოში რომ ოთხმოცუთანი ქვევრია, იმაში მეგულება, მიაგება უმცროსმა ვაჟმა.

– ეგ ღვინო ჯერ ერთი წლისაც არ არის და კარგად არ იქნება დამჯდარიო – შენიშნა უფროსმა მმამ.

– მკითხაობას გასინჯვა სჯობია – ჩაერიგნენ საუბარში აქამდე თავჩაქინდრულნი და მდგმარედ მდგომნი მეორე და მესამე ვაჟი.

კაციაანთ მისამ ლოგინში გვერდის შეცვლა ვერ მოასწრო, რომ ოთახში სველი თუნგით შემოიტანეს ოთხმოცუთანის ღვინო, მწვანილი და შოთებიც მოაყოლეს.

პირველი ჯამი უფროსმა ასწია, მამას მზეგრძელობა უსურვა და ჭერს შეხედა. ცოტა წიგწის გემო გაჰკრავსო, თქვა ტუჩების წკლაბუნით და მომდევნო მმას გადახედა. მომდევნომაც არ დააყოვნა, მამას ფეხზე დადგომა უსურვა, პირველი გადაიწერა და მანაც ჭერს შეხედა:

– ამაზე კარგი რა უნდა დალიოს კაცმა, მაგრამ შეიძლება ჩვენს იმერელ ნათესავებს არ მოწონოთ;

მესამე მმამ ჯამი სამი თითოეთ დაიჭირა, მუხლზე დაიჩოქა და ღმერთს მამის ჯანმრთელობა შესთხოვა.

– შვილო, მანამ დალუვდე, მოდი მომებმარე, წამოვჯდე ლოგინში, ცოტა ბალიშიც გამისწორე – თქვა მისამ და წამოწევა სცადა. მესამემ მოხუცი წამოაყენა და ჯამიც გამოცალა.

ნაბოლარა მმამ თავისი შვილიშვილის ქორწილში თამადობა უსურვა მამას და ტუჩები სახელოთი ჩამოიწმინდა.

– აბა ერთი მეც ჩამომისხით, – ხმა დაეწმინდა და ფეხზეც მოვიდა კაციაანთ მისა, – ხომ უნდა ვიცოდე, რითი მიპირებთ გაცილებას.



დამჭვნარი თითები ჯაშს სალტეებივით შემოეჭიდა და ღვთიურმა სითხემ ჯამიდან გამოფიტულ ძარღვებში გადაინაცვლა. კარგია, მაგრამ სიმჟავე აკლია, თქვა მიხამ და განაგრძო — მარნის შესასვლელში, ხელმარცხნივ რომ სამოცფუთნახევრიანია, ის მოხადეთ, იმის იმედი უფრო მაქვს.

დაღიანი ქვევრიდან შემოტანილ ღვინოს მწნილი და ახლად მოკრევილი კიტრი-პამიდორიც შემოაყოლეს, სამფეხა მაგიდას მოხერხებულად შემოუსხდნენ და ცივად მოხარშული დედლის მოლოდინში ჯიხვის რქა შეავსეს. ჩამოტარების შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა — ღვინო კრიალა და შუშხუნაა, მაგრამ სიმაგრე აკლიაო.

მარნისაკენ კუნტრუშით მიმავალ ნაბოლარას ხმა მიაყოლეს, ტუჩმოტეხილი ქვევრი რომაა, ხახვის გალების ქვეშ, იქიდან ამოიღეო.

ღვინოს ცივად მოხარშული დედალი და ნიორწყალიც შემოაყოლა უმცროსმა...

მამლის მეორე ყივილზე მეზობლებს ისევ შემოესმათ დიდებული სიმღერა კაციანთ მიხას სახლიდან. კარგად უწყოდნენ მიხას უძლურობის შესახებ და გაუკვირდათ, ნეტავ რა ხდებაო.

კაციანთ მიხა კი სუფრასთან იჯდა, აღარც თითები უცახცახებდა და აღარც თვალებში ჩარჩენდა მოხუცებულობის სევდა თუ ნაღველი. ისეთ სადღეგრძელოებს ამბობდა... ეებ, ვიღამ იცის ისეთი სადღეგრძელოები...

სადღეგრძელოს სიმღერა სცვლიდა, სიმღერას — სადღეგრძელო და წუთისოფელიც აღარ იყო წუთისოფელი.

## გულისტკივილი

მეგობართა ჯგუფი ბუხართან პურმარილით დახუნძლულ ტაბლას მისჯდომდა. გულისა და გონების დამაშვიდებლად ტკაცუნობდა ბაღში უამგამოვლილი, გამხმარი ხეხილის ნაფესვარები და ჩაფერფვლის წინ იხდიდა უკანასკნელ ვალს ადამიანების წინაშე.

რამდენიმე ტრადიციული სადლეგრძელოს შემდეგ, როგორც წესი, საუბარი შექმნა ქართველებისათვის ისტორიულ და მტკიცნულ პრობლემებს: ერის სიმცირეს, ერთიანობას, პატრიოტიზმს, განათლებას, კულტურას, ხელოვნებას, სტუმარობოფენისას და სხვა.

მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ მასპინძელი ვერ იყო კარგ ხასიათზე, სადლაც გამქრალიყო მისი შეიარულება, იუმორი, ომახიანი შეძახილები და მეგობრების მოფერების დაუოკებელი უნარი და სურვილი.

ჰკითხეს შინაგანი გულისტკივილის მიზეზის შესახებ.

მასპინძელმა ღრმად ჩაისუნთქა, მორიგი სადლეგრძელოსათვის თიხის ფიალა ტაბლაზე დადგა, სიგარეტს მოუკიდა და დამბიმებული ხმით დაიწყო: „მეგობრებო, გახსოვთ, რომ გითხარით საბავშვო ლექსების კრებულის გამოცემას გაიპირებ-მეთქი? წიგნის ფერად ყდებზე განთავსებული იქნება პატარა ბავშვების ასევე ფერადი სურათები. მიჭირს წიგნის გამოცემა ფინანსური სიძნელეების გამო. გადავწყვიტე მიმემართა მშობლებისა და პაპა-ბებიებისათვის, რომ მსარში ამომდგომონდნენ, მოეტანათ სურათები და შეძლებისდაგვარად ცოტა ფულიც. ვფიქრობ, რომ პატარებისათვის ვაკეობ საშვილიშვილო საქმეს – მომავალი წიგნი ნივთიერ სამახსოვროდ შემორჩება ისტორიას, თავის ადგილს იპოვის საოჯახო ბიბლიოთეკაში, შევა სამკითხველოების კარტოოცეკებში, შეავსებს ნათესავ-მეგობრების წიგნების საცავებს და ა.შ. ბავშვებისათვისაც სტიმული იქნება ერთი-ორი ლექსი მაინც წაიკითხონ, ანდაც ზეპირად ისწავლონ. ვფიქრობ გაიხარებენ და იამყებენ. ამზე კარგი რა უნდა გაგაეთოთ ჩვენი მომავალი თაობისათვის. ვფიქრობდი და ახლაც ასე ვფიქრობ.



სამწუხაროდ ჩემი იმედები არ გამართლდა – მშობლებმა არგაგონილი პასიურობა გამოიჩინეს და უნდა შევეცადო, როგორმე, ჩემი სახსრებით გამოვცე ჩაფიქრებული წიგნი. ერთსაც დავამატებ: მავანმა, არაქართველური წარმოშობის პაროვნებამ თერთმეტი სურათი მომიტანა – ჩემი და ჩემი ძმების შვილიშვილები არაანო (ღმერთმა უმრავლოს) და იქნებ მაცალო, ფულს ნელინელ გადავიზდიო (!). ერთმა ნაღდმა (ასე უწოდებს თავის თავს) ქართველმა კი მეზუთე დღეზე უკან წაიღო თავისი ერთადერთი შვილიშვილის სურათიც და ხუთმეტი ლარიც – როდემდე გელოდოთო (!). სწორედ ამ ქართველს (უფრო ვაიქართველს) იმავე საღამოს რესტორანში ორასი ლარი გადაუხდია და შვილიშვილების სადლეგრძელო კი გალიპლიპებული „განსხვავებულით“ მიურთმევია. მერე კი მორგვივით ხელი სიამოენებით ჩამოუსვია მუხლებამდე ჩამოკიდებულ ღიაზე. აბა, ასეთი ამბის გამონა როგორ უნდა ვიყო კარგ ხასიათზე“?

სიგარეტის ნამწვი ბუხარში შეაგდო, თიხის ფალას წაავლო ხელი და განაგრძო: „კანალიზაციაში გაშვებული სადლეგრძელოთი

ვერ გამრავლდება და ვერ გაიხარებს მომავალი თაობა. მას მოფერება, გაამაყება, განათლებისა და სულიერი სიწმინდეებისაკენ ღტოლვის უნარის გამომუშავება, ეროვნული ღირებულებების პატივისცემის შეგრძება და ერთს პრობლემებისადმი სათუთი დამოკიდებულების გამომუშავება და განმტკიცება სჭირდება“.<sup>1</sup> მერე კი მასპინძელმა ფიალა ტუჩთან მიიტანა და გაიხსენა მუხრან მაჭუკარიანის ლექსიდან ნაწყვეტი:

„...საცაა გუგულს,  
ვიცი და ვიცი –  
ბუდე დარჩება მერცხლის...  
სირცხვილით იწვის,  
სირცხვილით იწვის,  
კრწანისის ველზე ცეცხლი...“

### სიკეთე თუ „დათვური სამსახური“

დეკემბრის ცამოწმენდილი დღე იდგა. მზე საოცრად კაშკაშებდა, მაგრამ ისე ვეღარ ათბობდა კაცთსამყოფელს, როგორც მას მოეთხოვება. სუსტი, ცივი ქარიც ქროდა და ძვალ-რბილში ატანდა.

მე და რამაზ ელანდიშვილი ჩემი სახლისკენ აჩქარებული ნაბიჯით მივდიოდით ტელევიზორისა და ვიდეომაგნიტოფონის უხარისხო მუშაობის მიზეზების გასარკვევად და თან ვსაუბრობდით ყოველდღიურ პრობლემებზე.

კავშირგაბმულობის სახლთან ერთმა, დაახლოებით ორმოცი-ორმოცდახუთი წლის წვერმოშვებულმა და საკმაოდ არასასიამოვნო გარეგნული იერისმქონე კაცმა მოულოდნელად და უცერემონიოდ შეგვაჩრია.

რამაზის თითქოს ვერ ამჩნევდა, პირდაპირ მიცემდა დაუინებუ-

ლი და ამავე დროს მუდარის მზერით. გაბურძგნული თმა, შეშუპებული ქუთუთოები და ხელების კანკალი ცუდად მენიშნა. ამას ემატებოდა ჩახლებილი, როყიო ხმა და ჩემთვის ნათელი გახდა ვისთან მქონდა საქმე.

„შენ ხომ ამადამის მამა ხარ“, – მკითხა და პასუხს არ დაელოდა, ისე გააგრძელა – კარგი შვილი გყავს, ღმერთმა გამარჯვებით ატაროს და არ მოაკლდეს სიკეთეო. – ბოლო სიტყვას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი და იქვე დაამატა – ძალიან ცუდად ვარ, გემუდარები მიშველე რამეო.

ხასიათი გამიფუჭდა. შინაგანად გაორება ვიგრძენი – ერთი უხილავი ძალა დახმარებისკენ მომიწოდებდა, მეორე კი მაყოვნებდა და რაღაც მოსალოდნელი ცუდისკენ მიმანიშნებდა...

მერე ჯიბეში ჩავიყავი ხელი და პენსიონერის შესაძლებლობის სკივრიდან ამოხაპული, ფრთხილად ჩაუდე მუდარით გამოწვდილ, აკანკალებულ და ფრჩხილებებაზრდილ ხელის მტევნები.

არ უნდა მიგეცაო, – შეფარული საყვადურით მითხრა მეობარმა, როცა უცნობი სწრაფი ნაბიჯით გაგვეცალა. – შენ, ახლა მას დათვური სამსახური გაუწიო.

– რა ვიცი, რამაზ, იქნებ მართლა იცნობს ჩემ შვილს და არსად შეარცხვინოს – ეს რა ძუნწი და გაუგებარი მამა ჰყოლიაო.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, მე და რამაზი მის სახელოსნოში იმავე გზით დავბრუნდით.

კავშირგაბმულობის სახლს რომ გავცდით, ტროტუარზე მწოლიარე კაცი შევნიშნეთ. მე ელდანაკრავივით ადგილზე გავშეშდი – ეს ჩვენი უნებური „ნაცნობი“ მამაკაცი იყო. გაშხლართულიყო ასფალტზე, მუხლები ოდნავ შეეცეცა მუცლისკენ, შიშველი თავი დაედო ასევე შიშველ ბორდიურზე და ღრმა ძილით ფშვინავდა. თითები აღარ უკანკალებდა და არც ის ანაღვლებდა თუ რატომ ვერ ათბოს სხეულებს დეკმბრის მზე, ან რატომ ქრის ცივი და გამჭოლი ქარი.

## შემთხვევითი ნაცნობი

(ი. ქაშაკაშვილის მონათხობის მიხედვით)

უკიდურეს ჩრდილოეთის საზღვართან იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს გორელი ზურა ზურაბაშვილი.

სანიმუშო დისციპლინისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი თავდადებისა და სიმამცისათვის, ნაწილის ხელმძღვანელობამ საახალწლოდ ათდღიანი შეებულებით დააჯილდოვა და ზურაც შეუდგა სახლისკენ გასამგზავრებელ სამზადისს.

მოსკოვისკენ სამ დღეში ერთხელ იყო მატარებელი და მგზავრებიც ბლომად შეკრებილიყვნენ.

ზურამ ბილეთი შეიძინა და სიგარეტის მოსაწევი ადგილისკენ წავიდა.

მოენატრა მშობლიური კუთხე და ოჯახი. ერთი წელი იყო გასული, რაც თავისიანები არ ენახა. დეპეშა კი გააგზავნა – საახალწლოდ ჩამოვალო.

მატარებელი ჩამოდგა. ზურა საერთო ვაგონისკენ წავიდა – აბა სად ჰქონდა კუპირებულით მგზავრობის ფული. იმდენი მისცეს, რომ უკან დაბრუნებულიყო და გზაში არ ეშიმშილა. ისე, კი ფიქრობდა: „იქნებ მოსკოვში შემწვდეს ვინმე ახლობელი, ფული ვესესხო და გორამდე ადამიანურად ვიმეზავროო“.

ავიდა ნახევრადჩაბნებულ ვაგონში. ძლიერი ყინვის შემდეგ ესიამოვნა სითბო, მაგრამ ისეთი სუნი იდგა, რომ კაცს შეიძლება გული წასვლოდა. თამბაქოს, თევზის, არყისა და ოფლის სუნი ერთმანეთში არეულიყო და ერთიანად გაეჭდინთა იქაურობა.

თავისუფალ ადგილს ეძებდა და ბოლომდე ჩაყვა ვაგონს, მერე უკან დაბრუნდა, უფრო დაკვირვებით შეათვალიერა ყოველივე. მას არავინ აქცევდა ფურადღებას, ყველა რაღაცით იყო დაკავებული; ზოგი ბანქოს თამაშობდა, ზოგი კი დომინოს. არყის სმა იყო

გაჩაღებული და იდგა აუტანელი ღრიანცელი და ხორხორი. მგზავრებში ჭარბობდინ თავგადახოტრილები და სვირინგიანები, ე.წ. „ტელნიაშვებში“ გამოწყობილები.

– რა რევიზორივით დადიხარ, ადგილს ვერ პოულობ? მოდი დაჯექი. – მოესმა ზურას ჩახრენტილი ხმა. ყურებს არ დაუჯერა. ქართულ ლაპარაკს აქ ყველაზე ნაკლებად მოელოდა.

ახმახი ტანისა და მრისხანე გამოხედვის მქონე მამაკაცმა ცოტა ჩაიჩოჩა და ხელისგული სკამზე დაატყაპუნა. ზურამ ისლა მოახერხა: „გამარჯობაო“, ჩამოჯდა და გაიტვრინა.

– გეტყობა შეებულებით მიდიხარ სახლში. კარგია, საახალწლოდ თქვენიანებს გაახარებ.

– ჰო, ათი დღე მაქვს. შვიდი დღე „ტუდა-ობრატნა“ და სამიც სახლში. ესეც კარგია.

– სადაური ხარ?

– გორელი.

– მე ქუთაისელი ვარ, ხუთმეტი წელი გავატარე „ოტ ზვანკა დო ზვანკა“; ჩემიანები ალბათ ვეღარც მიცნობებ; ცოლის შერთვა ვერ მოვასწარი, ახლა ვიღა გამომყება, არადა წესიერი, ნორმალური ცხოვრება მენატრება. ეჰ, ვინ იცის რა მელის. ჰო, მართლა, გირჩევ სამხედრო ფორმა გაიხადო, ესენი – თავი გადააქნია ბანქოს თამაში ჩაფლულ მგზავრებისკენ – ვერ იტანენ საშხრებიან კაცს, არაფერ შარს არ გადაეყარო.

– რა ხალხია?

– კატორლიდან განთავისუფლებული მკვლელები, ბანდიტები, ქურდები და ათასი ნეხვი.

– შენ რაზე იჯექი? – მორიდებით იკითხა ზურამ.

– კაცი შემომაკვდა სიმთვრალეში. მერე ბევრი ვინანე, მაგრამ რაღას ვუშველიდ გაფუჭებულ საქმეს.

– ვერ დაგმართია კარგი ამბავი, – თანაგრძნობით აღნიშნა ზურამ.

მატარებელი კი ლიანდაგებზე რიტმული გრუხუნით მიაპობდა გაყინულ სივრცეს და დევერხანა ქვეყნის დედაქალაქისკენ მიაქროლებდა ათასი ჯურის ნაჩათლახარსა და ნამამაძალლარს.

ზურამ გაიგორა, თუ როგორი კატეგორიის ხალხთან მგზავრობდა, თავისთვის ჩაიფიქრა: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ზედმეტს არაფერს მოვიმოქმედებ და ვინ რას მერჩის. თუ საჭირო იქნება მოსკოვმდე არც დაგიძინებო“.

თითქოს ნაფიქრალს მიუხვდაო, ხმა ამოიღო ქუთაისელმა:

— კარგია, რომ შევხვდით ერთმანეთს, მაინც ერთი კუთხის ხალხი ვართ და ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ, მორიგეობით დავიძინოთ ხოლმე. ამათგან, — თავი მიაბრუნა წელსზევით გაშიშვლებული და სვირინგებით აჭრელებული, ორი მოდღლეზილი მამაკაცისკენ, — ყველაფერია მოსალოდნელი. ამ ხალხში ისეთებიც ურევია რამდენჯერმე რომ მყავს ნაცემ-ნაბეგვი და ვინ იცის გულში რა უდევთ. თანაც აა იქ, — თვალით მიანიშნა მაღლითა თაროსკენ, — მოზრდილი ჩანთა რომ გდია, ფულითაა გამოტენილი, ხუთმეტი წლის ნამუშევარია და არა მაქვს მოღუნების უფლება, მანამ ამ გარეწრებთან ვარ.

— მერე, ასე რომ მიგიგდია ჩანთა, რას ფიქრობ?

— აბა იღლიაში თუ ამოვიდე, ან ზედ დავაჯექი, ხომ მაშინვე აიღებენ ეჭვს.

ზურა უფრო დაიძაბა: მკვლელები, ბანდიტები, ქუთაისელის მიერ ნაცემები, დიდი რაოდენობით ფული, მოღუშული სიფათები — ყველაფერი ეს გუნება-განწყობილებას უფეხებდა მას. ერთი ზანობა სხვა ვაგონში გადასვლაც გადაწყვიტა, მაგრამ გადაიფიქრა — ქუთაისელი მიწყენსო.

ისევ მიუხვდა ფიქრთა დინებას ქუთაისელი:

— ნუ იფიქრებ სხვა ვაგონში გადასვლაზე, ყველგან ერთი სიბინძურება, აქ მე მაინც გყვილები იმედად და მეც შენი იმედი მაქვს.  
— არსად ვაპირებ წასვლას, უკვე შევეჩვენე აქაურობას, თავს ისე

ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში, — სცადა გახუმრება ზურამ.

— ოო, ეს კარგია, როდესაც ადამიანი იუმორის გრძნობას ამჟღავნებს.

საუბარში დრო შეუმნევლად გავიდა. შუალამე ახლოვდებოდა. აქა-იქ ხვრინგვაც ამოუშვეს. ვაგონის ბოლოში ვიღაცამ „ბლატნოი“, სიმღერა წამოიწყო, მაგრამ მაღლე გაჩუმდა.

ჩამოიარა ვაგონის გამცილებელმა და მგზავრებს აუწყა შემდეგი გაჩერების შესახებ. რომელიღაც დიდი ქალაქი ახსენა და თან დასძინა: — „დგომა ოცი წუთიო“.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ისევ ქუთაისელმა წამოიწყო საუბარი: თუ დაკვირდი, — მიმართა ზურას, — ეს ნაძირალები განუწყვეტლივ ჭამენ და სვამენ. ერთი არავის წამოსცდება მოდით ბიჭებო დაგვეწვიეთო, უნამუსოები და უჯიშოები არიან.

ჭამა-სმის ხსენებაზე ზურამაც იგრძნო მოძალებული შიმშილი და გადაწყვიტა გაჩერებაზე ჩასულიყო.

მაღლე მატარებელმა სვლას შეუნელა და გაჩერდა. ფანჯარაში გამოჩნდა განათებული პერონი. საათის ისრები ღამის ორ საათს უჩვენებდა. მგზავრები აჩოჩქოლდნენ და მიაწყდნენ გასასვლელს. ზურამაც მოიზურა ფარავა და მიჰყვა ნაკადს.

— ჩაგალ, ამოვიტან რამეს, პური გავტეხოთ, — უთხრა ქუთაისელს.

— შენ იცი, — უპასუხა მან რაღაცნაირი გულდაწყვეტით.

ყოფილი პატიმრები კისრის ტეხითა და ხმამაღალი ყაყანით მოედნენ საპროდუქტო ჯიხურებს, კალიების გუნდივით „გადაძოვეს“ იქაურობა და რაც კი შეეძლოთ გადაზიდეს ვაგონებში.

ზურაც ბარაქიანად დაიტვირთა. ქუთაისელი მოუთმენლად ელოდა და გაუნბრევლად იჯდა თავის ადგილზე. მერე ზარბად გადახედა ზურას მოტანილს და მაგიდასთან მოხერხებულად დაჯდა.

სამი-ოთხი დღის საჭმელ-სასმელისთვის განკუთვნილი ფული ამ ქროვერზე გახარჯა ზურამ, მაგრამ არ წუხდა, რაღაცის იმედი ჰქონდა.

განთიადი მოხლოებული იყო, როდესაც გვარიანად შემთვრალმა

ქუთაისელმა ზედა თაროსკენ გაიწია:

— ახლა მე ცოტას წავუძინებ და აბა შენ იცი, ფხიზლად იყავი. ძლივს გადააბა სათქმელი და ზურა რომ არ შეშველებოდა, ალბათ იატაკს დაენარცხებოდა. ზურაც მაგრად იყო მთვრალი, მაგრამ უეხზე მყარად იდგა.

- ხშირად თვრები ხოლმე? — შეეკითხა ქუთაისელს.
- ეს მეორედ დავთვერი და ისიც შენი ხათრით.
- პირველად როდის?
- კაცი რომ შემომაკვდა, მაშინ.

ზურას მაინცდამაინც არ მოეწონა პასუხი, მაგრამ არ შეიმჩნა. — კარგი, კარგი. წამოწექი და დაისვენე, ჩემი იმედი გქონდეს. ქუთაისელმა ჩანთა ამოიდო თავქვეშ და მაშინვე ხვრინგა ამოუშვა.

ზურასაც ეძინებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და ფხიზლობდა. ერთხანობას შეამჩნა, რომ ერთერთი თავგადახოტრილი და ჩასვირინგებული ტიპი განსაკუთრებული ცნობისმოყვარებით აღევნებდა თვალს ქუთაისელის თავქვეშ ამოდებულ ჩანთას.

— „ფრთხილად უნდა ვიყო, ემანდ არაფერი იხიმანდროს ამ თავგადახოტრილმა“ — ფიქრობდა ზურა.

განთიადისას ხალხი ისევ აირია ვაგონში. ზოგი პირის დასაბანად გარბოდა, სხვანი წვერს იპარსავდნენ, ერთი ნაპატიმრალი კირზის ჩექმებს აპრიალებდა. იგრძნობოდა საერთო სამზადისი დედქალაქში ჩასვლის წინ. სამი-ოთხი საათის შემდეგ მატარებლის მთელი შემადგენლობა ჩაიცლებოდა მოსკოვში, ხოლო იქიდან კი ყველა თავის გზას დაადგებოდა. მოედებიან პატიმრადყოფილნი საბჭოეთის მთელ ტერიტორიას; არავინ უწყოდა მათი მომავალი ცხოვრების შესახებ არაფერი. წინ მათ ახლებური, ბურუსით მოცული ცხოვრება ელოდათ.

მხოლოდ ზურას „ნაცნობი“ ნაპატიმრალი განაგრძობდა ძილს. ის იყო, ერთხელ გვერდი იცვალა და ისევ ხვრინგა ამოუშვა.

მერე, როგორც იქნა, გაიღვიძა. დაახლოებით ათი საათი იყო.

ჩახლებილი ხმითა და ზმორებით ჩამოსძახა ზურას:

- დასალევი თუ დარჩა რამე, მომაწოდე.
- არაფერი დასალევი აღარა გვაქვს.
- მგონი მატარებელი ჩერდება; მმურად გთხოვ, ერთი ბოთლი მოიტანე.

ზურამ ამოიტანა არაყი, ღამის ნარჩენებიც დაალაგა მაგიდაზე და კითხვის ნიშნით შეხდა ქუთაისელს.

— ჩამოსვლის თავი არა მაქვს, შენთვის დაისხი ჭიქაში და დანარჩენი მომაწოდე.

ზურამ ნახევრამდე ჩაასხა არაყი ჭიქაში, ხოლო ბოთლი პურთან და ძეგვთან ერთად მიაწოდა. ქუთაისელმა კიტრის მწნილი მოითხოვა, ერთი ჩაკბიჩა და ოდნავ წამოწეულმა ჩაიცალა არაყი სტომაქში. მერე, რაღაც, მადლობისმაგვარი ჩაიბურტყუნა და ისევ ძილს მისცა თავი. მოსკოვამდე ერთი საათის სავალი იყო დარჩენილი.

მატარებლის გამცირებელმა ჩამოიარა და შეძლებისდაგვარად, მიალაგ-მოალაგა თავისი „სამფლობელო“. მგზავრები ფანჯრებს იყვნენ აკრული. მატარებლის გარეთ გახშირდა ტრანსპორტის მოძრაობა, მომრავლდა შენობა-ნაგებობები, გულმოლებინედ ბოლავლნენ ფაბრიკა-ქარხნების საკვამლე მილები, სადღაც ტრამვამაც გაიღო-ჭიალა, ცოტა მოშორებით კი მაღალი შენობის ფასადზე გამოჩნდა ბრეჟენევის სურათიც. ყველაფერს დიდ ქალაქთან მიახლოების ელ-ფერი დაჰკრავდა.

ზურაც ფანჯარასთან იდგა და ჩაფიქრებული გაპყურებდა ჭრელ სივრცეს. „იმას რა ვუყო, რომ გავაღვიძო კიდეც, კურსკის სადგურამდე როგორ მივიყვანო. სადაცაა შევალთ მოსკოვში, ხომ არ მივატოვებ; მეტი გზა არ არის, უნდა გავაღვიძო“ — გაიფიქრა ზურამ და მძლავრად შეანჯღორია ნაპატიმრალი.

— ადექი და გაემზადე, მოსკოვში შევდივართ; თუ დღესვე აპირებ საქართველოში წამოსვლას, კურსკის ვაგზალში უნდა გადავიდეთ და ბილეთების თადარიგი დავიჭიროთ.

ძლივს ჩამობობდა ქვევით, ჩამოჯდა სკამზე და გაშტერებული, არაფრისმოქმედი თვალებით იცქირებოდა სადღაც, ზურას მიღმა.

მატარებელი გაჩერდა. მგზავრები დაიძრნენ გასასვლელისკენ. ზურა მაინცდამანიც არ ჩქარობდა – თბილისის მატარებელი გვიან საღამოს გადიოდა და დრო საქმარისზე მეტი ჰქონდა. შეამჩნია, რომ არც თაგმოზოტრილი, სვირინგებიანი ტიპი ჩქარობდა ჩასვლას, იჯდა მაგიდასთან და რაღაცას აცმაცუნებდა.

ვაგონი თოთქმის დაიცალა. ზურა მხარში ამოუდგა ქუთაისელს და ის იყო კიბეზე უნდა ჩაეყვანა, რომ გაახსენდა მისი ჩანთა. სწრაფად შეტრიალდა უკან. თავგადაზოტრილს უკვე მოესწრო ჩანთის აღება და აჩქარებული ნაბიჯებით საპირისპირო გასასვლელისკენ მიიჩქაროდა.

ზურა რამდენიმე ნახტომით წამოეწია, ჩანთა ზელიდან გამოჰლიჯა და თვალების ბრიალით შეუკურთხა.

ზურამ დაინახა, რომ ვიღაც-უიღაცები ცდილობდნენ ქუთაისელის ფეხზე დაყენებას, მაგრამ ამაოდ. მერე თვითონაც მიეხმარა და პერონზე მდგარ სკამზე ჩამოსვეს. „იყოს ცოტა ხანს სიცივეში“, – ფიქრობდა ზურა, – „მალე გამოფხიზლდება“, გვერდით მოუჯდა და სიგარეტი გააბოლა.

პერონზე „ნასილშჩიკები“ ბუზებივით ირეოდნენ და თავიანთ საშსახურს სთავაზობდნენ მგზავრებს. ზურამ მიიხმო ერთ-ერთი მათგანი და სთხოვა:

- იქნებ ეს კაცი ტაქსებამდე მიმაყვანინო.
- თქვენი ბარგი სად არის?
- ჩემი ბარგიც და ტვირთიც ეს არისო, – მიანიშნა ქუთაისელზე ზურამ.

- კარგი, წავიყვან, მხოლოდ იცოდე, ორმაგი დაგიჯდება.
- ჯანდაბას შენი თავი, აბა მოღი მომეხმარე.

როგორც იქნა მიიყვანეს პატიმრადყოფილი ტაქსებამდე. ახლა აქ გაჭირვეულდნენ მძღოლები, ყველა თავს იკავებდა მთვრალი

მგზავრის წაყვანისაგან, მაგრამ ფულმა აქაც გაჭრა და ზურას ისევ ორმაგის გადახდა მოუწია.

ფიქრი სხვა მიმართულებით გაექცა ზურას, როცა კურსკის ვაგზალის მოსაცდელში სავარძელზე გაშხლართულ თანამგზავრს გადახედა: „ამას ფული როგორ გამოვართვა, არადა რაც დამრჩა, რომ არ მეყოს?“

შეაჯანჯლარა ქუთაისელი და გააღვიძა. საიდანდაც „ბორჯომიც“ მოუტანა და დაალევინა. როდესაც შეატყო, რომ ის აზრზე მოვიდა, თავისი ჩემოდანიც და მისი ჩანთაც გვერდით დაუწყო და უთხრა:

- მე წავალ, ბილეთების ამბავს გავიგებ.
- კარგიო, უპასუხა მან და თავი ჩაქინდრა.

ბილეთების რიგში თავპირისმტვრევა იყო – ჩხუბი, ყაფანი, გინება და წყევლა მრავალ ენაზე. საკმაოდ გრძელი რიგი იყო; ზურას ალბათ ხუთი-ექვსი საათი მაინც მოუწევდა რიგში დგომა, ამიტომ გადაწყვიტა ქუთაისელი სალაროსთან ახლო-მახლო გადმოებარებინა, რათა თვალყური ედევნებინა მისთვის. რიგი დაიკავა და სასწრაფოდ უკან გამობრუნდა. რას ხედავს, სამი-ოთხი ახალგაზრდა ბიჭი შემოხვეოდა გარს მის თანამგზავრს და რაღაცაზე კამთობენ. ცუდად ენიშნა ზურას ეს ამბავი. ჯიქურ მივარდა, ჩანთასა და ჩემოდანს ხელი სტაცა და ნახევრადმბრძანებლური ტონით მიახალა „ზემლიაკს“:

- აბა, ჩქარა წავედით, ბილეთების რიგმა მოგვიწია.
- ისიც უხმოდ გაჰყვა. იმ ბიჭებმა კი ერთმანეთს გადახედეს და დარბაზში სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ.

სალაროსთან ახლოს მოუქმნა აღგილი, ჩანთა მუხლებზე დაუდო, ჩემოდანი ფეხებთან და უკვე ოდნავგადიზიანებულმა მიახალა:

- არ ჩაგემინოს, ფრთხილად იყავი, მე ბილეთების რიგში ვდგები.
- საღამოს რვა საათი იქნებოდა, გაოფლიანებული და ტანისამოს-ამოჩაზული ზურა ბილეთებით ხელში გვერდით მოუჯდა ქუთაისელს, რომელიც უკვე გამოფხიზლებულიყო და ცნობისმოყვარეობით

ათვალიერებდა გამვლელ-გამომვლელებს. ზურას ის სწყინდა და აოცებდა, რომ ქუთაისელი არც კი დაინტერესდა ბილეთის ღირებულებით, ან იმით, თუ რა ფულით შეიძინა ისინი ზურამ. უპე სერიოზულად აღიზიანებდა ქუთაისელის გულგრილობა, მითუმეტეს, რომ ჯიბეში სულ ოთხი თუ ხუთი მანეთიღა დარჩა. გორამდე ორმოც საათზე მეტი სავალი იყო.

თავიანთი ადგილები დაიკავეს კუპეში; ბარგი თაროს ქვეშ დააწყეს და გადაკვრა-გადმოკვრით დაიწყეს საუბარი ათას რამეზე.

ვაგონი თანდათან შეივსო მგზავრებით. მოხუცი ცოლ-ქმარი დაემგზავრათ, მათ ზედა ადგილები ჰქონდათ. მოვიდა მატარებლის გასვლის დროც. გამცილებლებმა დატოვეს ვაგონი. ჩამოარა „პროვადნიკმა“ და თეთრეული ჩამოარიგა; ჩაის დაკვეთებიც მიიღო. მატარებელმა თანდათან აკრიფა სიჩქარე და გაუყვა ლიანდაგებს კავკასიისკენ.

ზურას უკვე შიმშილი აწუხებდა, სიგარეტიც გამოლეოდა:

— წავალ, გავივლი, სიგარეტსაც ვიყიდი, — უთხრა ჩუმადმჯდომ პატიმრადყოფილს. იმედს არ კარგავდა, რომ ვინმე ნაცნობი შეხვდებოდა და ზოგიერთ საკითხსაც მოაგვარებდა.

ვაგონ-რესტორანი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ ერთ მაგიდას უჯდა ოთხი ახალგაზრდა და მიმტანის მოლოდინში ხმადაბლა საუბრობდნენ. ზურას დანახეაზე ერთერთი მათგანი წამოდგა და ზელებგაშლილი მისკენ წამოვიდა:

- ამას ვის ხედავს ჩემი თვალები?
- ვაკ, ოთარ! საიდან სადაო?!

სკამი შესთავაზეს და მიუჯდა მაგიდას. მიმტანმა მაგიდა გაავსო ხორაგით და „გურჯაანიც“ ბლომად მიიტანა.

- შენ, რაღაც ვერა ხარ ხასიათზე, არც არაფერს ჭამ!
- კუპეში კაცი მელოდება, სიგარეტზე გამოვედი, უხერხულია.
- შე კაი კაცო, აქამდე ვერ თქვი? მიღი მოიყვანე, გელოდებით. ზურამ ვერაფრით ვერ დაიყოლია პატიმრადყოფილი ვაგონ-

რესტორანში წასვლაზე.

— არა, არა, ვერ წამოვალ, დავიძინებ აჯობებს. შენ წადი და თუ დასალევს მომიხერხებ — გამოაყოლე.

ვაგონ-რესტორანში ზურა კარგად შეზარხოშებული დაბრუნდა. მის ადგილზე მოხუც ქალს ეძინა. არყის ბოთლი მაგიდაზე დადგა და ზედა თაროზე აჩოჩდა. დიდხანს ვერ დაიძინა, ათასნაირი აზრები უტრიალებდა თავში. ბოლოს სასმელმა და მატარებლის რხევამ თავისი გაიტანა და ჩაეძინა.

გვიან გამოელვიძა. დაბლა ჩაიხედა, ქუთაისელს ეძინა. კედლისკენ იყო გადაბრუნებული. ლოგინი აახვია, პირი დაიბანა და თავი წესრიგში მოიყვანა. თეთრხალათიანმა ქალმა დიდი კალათით ცხელ-ცხელი ღვეზელები ჩამოატარა. დარჩენილი ფულით ოცი ღვეზელი იყიდა, არყის ბოთლი გახსნა და „კუპის ხალხი“ მიიპატიფა. მოხუცებმა მობოლიშებით მოუხადეს მადლობა — ეს-ესა ვისაუზმეთო. ქუთაისელი მარჯვედ მიუჯდა მაგიდას და არაყი ჩამოასხა.

ზურას უკვირდა და ფიქრობდა: „თუ ამის ნათქვამს დაუუჯერებ, სულ არ უყვარდა სმა, ახლა რა დაემართა, ასე რატომ იწევს არაყზე?“ — ფიქრობდა ზურა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

კარგა ხანს ჩუმად ჭამდნენ ღვეზელს; ბოთლი ისე გამოცალეს, ხმა არ ამოუღიათ. მერე ზურამ დაარღვია სიჩუმე:

— ახლა რას აპირებ, სახლში რომ ჩახვალ რას გააკეთებ, როგორ გესახება შენი მომვალი ცხოვრება?

— აბა, რა ვიცი, რა გითხრა. ჩავალ, მივიხედ-მოვისედავ, ალბათ თვითონ სიტუაცია მიკარნახებს როგორ მოვიქცე.

— კი, მაგრამ, ამხელა ფული რაში უნდა გამოიყენო? — რა ფული, რის ფული. თუ იმ ჩანთას გულისხმობ, იქ უბრალო ქაღალდების მეტი არაფერია.

— რა ქაღალდებია?  
— „ლაგერში“, თავისუფალ დროს ლექსებსა და პატარა მოთხრობებს ვწერდი — ყველაფერი მანდ არის. ძმაკაცებისა და ნათესავების

წერილებიც შიგ ყრია და კიდევ ბანკის ქვითრები.

— რა ქვითრებია ისეთი თან რომ დაატარებ?

— აკი გითხარი, კაცი შემომაკვდა-მეთქი. ორი პატარა ბავშვი დარჩა იმ უბედურს გასაზრდელი. ახლა უკვე დიდები იქნებიან. გამომუშავებული თანხიდან მთავრობა ოც პროცენტს მიქვითავდა და ბავშვებს უგზავნიდა, მე კი ჩემთავად დანარჩენ ფულს მთლიანად უვაკვნიდი მათ ოჯახს — იმის ქვითრებია.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ზურამ ახალ სიგარეტს მოუკიდა და თანაგრძნობით შეხედა თანამოსაუბრეს. ის კი განაგრძობდა:

— ერთი-ორი კაპიკი მედო ჯიბეში, შენს ამოსვლამდე. ვიფიქრე გზაში დამჭირდება; ისიც იმ ნაძირალებმა მომიგეს კარტში.

ზურას ხმა არ ამოუღია. სადღაც გულის კუნჭულში სიმძიმე იგრძნო. მერე უხმოო წამოდგა და დერეფანში გავიდა...

მატარებელი კარგა ხანია საქართველოს ტერიტორიაზე მიგუგუნებდა, უახლოვდებოდნენ სადგურ „რიონს“.

კუპის კარები გაიღო და ფანჯარასთან მდგომ ზურას გვერდით დაუდგა მხარზე ჩანთავადაკიდებული, ნაპატიმრალი ქუთაისელი. ძნელი არ არის იმის მიზვედრა, თუ რას განიცდიდა მშობლიურ კუთხეს ხუთმეტი წლით მოშორებული კაცი.

## ალერგიული დიაცი

აგვისტოს ცხელი დღე იდგა. ასფალტი ლამის დნებოდა. იქნებოდა დაახლოებით დღის ორი საათი, როცა ოთარი მორჩა თავის საქმეს თბილისში და სამსახურის „ფურგონ-მოსკვიჩით“ დასავლეთისკენ გაემართა.

„ნეტავ ვინმე ნაცნობი მგზავრი შემხვდეს, ვისაუბრებთ მანც, თორემ ამ სიცხეში შეიძლება საჭესთან ჩამებინოს“, — ფიქრობდა საქმეებით გადაღლილი და აუტანელი სიცხისაგან მოთენთილი.

დაკვირვებით შეათვალიერა „დიღომის ბირჟაზე“ მდგომი. ის იყო უნდა გასცდნოდა დიდჯუფად შეკრებილო, რომ სულ განაპირას, მორიდებულად მდგომი გოგონა იცნო და მანქანაც ცხვირწინ გაუჩერა.

მორიდან იცნობდნენ ერთმანეთს. გოგონა ორი რამით იყო პოპულარული თავის ქალაქში: განუმეორებელი, მშვენიერი გარეგნობით და კიდევ იმით, რომ იგი ახლო ურთიერთობაში იყო ქალაქის ერთ-ერთ კოლორიტად აღიარებულ ახალგაზრდა, ცოლშვილიან კაცთან. ეს კაცი თითოთ საჩენებელი იყო. მას პატივს სცემდნენ და იცნობდნენ როგორც ობიექტურს, ტყუილ-მართლის გამრჩევს, გაჭირვებულთა დამხმარეს, ვაჟაცობაში თავგამოდებულს და საკამად ჯიბესქელს.

გოგონამ გაუღიმა და მოხერხებულად მოკალათდა ოთარის გვერდით, მერე კარები მძლავრად მოიჯახუნა (როგორც ეს სჩვევია თითქმის ყველა ქალს) და მომნუსხველი ღიმილით მიმართა ოთარის: „ღმერთიც გიშველის, სადაცაა დავიწვებოდი“.

დაიძრა თუ არა მანქანა, ორივე ჩამოწეული მინიდან შემოვარდა ოდნავშემთბარი, მაგრამ მაინც მქროლავი და მაგრილებელი ჰაერის ნაკადი.

სოფელ იგოეთამდე გზა შეუმჩნევლად გაიარეს, რაც გოგონას დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს. ის გაუჩერებლად ყველიდა ათასნაირ ამბავს და თან გულიანად იცინოდა. მართლაც რომ

შშვენიერი იყო მგზავრი, ცისფერი შუშხუნა თვალებით, თეთრად-მოელვარე კბილებით, მრგვალი პირისახით, ძლიერმაზიდული მკერდითა და გრძელი ფეხებით.

ის-ის იყო იგოეთის დაღმართში ჩასრიალდა „მოსკვიჩი“, რომ მგზავრი ემგერა „თავისი“ კარების მინის სახელურს და უმაღ ამოსწია. ერთდროულად ოთარის შეუკიუინა: „ჩქარა, ჩქარა, ამოწიე მინა; ჩქარა რაღას უყურებ“.

ოთარის ვერ გაეგო რა ხდებოდა, მაგრამ მაინც დაემორჩილა. სალონში სუნთქვა შეუძლებელი გახდა. გოგონას ცხვირსახოცი აეფარებინა სახეზე და თითქმის ბრძანების კილოთი მოითხოვდა: „მოუმატე სიჩქარეს, ჩქარა გასცდი აქაურობას“.

იგოეთის საკმაოდ გასცდნენ. გოგონამ ცხვირიდან ხელი მოიშორა, მინა ჩამოსწია და ღრმად ჩაისუნთქა.

ოთარიმ რაღაც ცვლილებები შეამჩნია გამოხედვაში, მაგრამ მაშინ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია.

„ყვითელ ყვავილებს ვერ ვიტან, მათი სუნი და ფერი მაღიზანებს, სამწუხაროდ გვიან შევამჩნიე, ახლა რაღა ეშველება“. – წუხილით წარმოთქვა გოგონამ და პატარა სარკე ამოაჩოჩა ხელჩანთიდან.

ახლა კი ყურადღებით დააკვირდა ოთარი მის სახეს. გოგონას თვალები და ცხვირი გასწიოთლებოდა და გასიებოდა, ლოფებზე და შებლზე ბრტყელი მოწითალო ლაქები გასჩენდა, ხელებიც ექვებოდა.

ოთარის გულწრფელად შეეცოდა თანამგზავრი.

„იქნებ სახლამდე მიმიყვანო, სირცხვილია ასეთ მდგომარეობაში ქუჩაში გამოვჩნდე“, – ითხოვდა გოგონა.

დაამახსოვრდა ოთარის ის გოგო და აღარ ავიწყდებოდა. არც გვარი და არც სახელი არ იცოდა და არც აინტერესებდა. უბრალოდ, თავის გულში „ალერგიული დიაცი“ შეარქვა და მორჩა.

წლები გადიოდა და როგორც იტყვიან ხოლმე, მრავალმა წყალმა ჩაიარა.

შშირად ხვდებოდა ოთარის „ალერგიული დიაცი“ ქუჩაში და

ყოველთვის ღიმილით იხსენებდა იმ უცნაურ შემთხვევას. ყოველი შეხედრისას ოთარი ცდილობდა მისალმებოდა, მაგრამ ის თითქოს ვერც კი ამჩნევდა მას.

შეამჩნია ოთარიმ, რომ გოგონა ისე მომხიბვლელად ვეღარ გამოიყურებოდა: რაღაცნარად მოდუნებულიყო, ტანსაცმლიც აღარ ჰქონდა ისე კოხტად მორგებული, ხორციც ბლომად მოესხა მის სხეულს და ერთიანად მოდავებულიყო. მზერაც რაღაცნარი უნტერესო გახდომოდა, არაფრისგამომსატველი. აზიდული მკერდიც სადღაც ქვემოთ ჩაცურებულიყო და გათქვეფილიყო.

ოთარის სახლთან ახლოს ცხოვრობდა „ალერგიული დიაცი“, პატარა შესახვეში. შშირად უნახავს მამაკაცის სპორტულ პიუამოში გამოწყობილი, ჩამომჯდარი სახლის წინ. გარშემო ყოველთვის ხალხი ჰყავდა შემოკრეფილი და ისიც გაუჩერებლად ლაპარაკობდა. სასაუბრო ლექსიკონი ისეთი სიტყვებით გაემდიდრებინა, რომ მათი მოსმენისას ოთარის ალმური ეცემოდა ხოლმე სახეზე.

„ეპ“, – ფიქრობდა ოთარი, – „წლებმა თავისი გაიტანა“. მაგრამ ქვეშეცნულად გრძნობდა იგი, რომ მხოლოდ განვლილი წლების ბრალი არ უნდა ყოფილიყო ასეთი მეტამორფოზა.

„ალბათ, რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა მის პირად ცხოვრებაში“ – ფიქრობდა ოთარი.

იგოეთის შემთხვევიდან ოცი, ოცდახუთი წელი იქნებოდა გასული, როცა ზაფხულის ერთ გრილ საღამოს კიდევ ნახა „ალერგიული დიაცი“, ამჯერად სახლიდან ცოტა მოშორებით, ქალაქის ცენტრში, ფოსტა-ტელეგრაფის დიდებულ შენობასთან. სიგარეტებისა და საღეჭი რეზინების გამყიდველის მაგიდის გვერდით, ტროტუარზე დაედგა პატარა სკამი. სპორტული პიუამო ეცვა. შიშველი ფეხები სახელდახელოდ წაეყო საზაფხულო ფლოსტებში და გაშმაგებით აქნაწუნებდა მზესუმზირას. გაუჩერებლივ ლაპარაკობდა. ჩენჩოს უტიფრად ყრიდა მოასფალტებულ ტროტუარზე. ჩენჩოს გორა იღვა მის გარშემო. ეტყობოდა, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში

მჯდარა აქ.

ოთარიმ შეხედა და რაღაც ტკივილი იგრძნო გულის კუნჭულში. გაიფიქრა: „განა რა მოხდა ისეთი, რომ მშვენიერი გოგონა ასე დაცა და დამდაბლდა“. ჩაუარა გვერდით ფეხებგამოტილ და ტუჩებზე ჩენჩომიწებულ მოლაქლაქე „ალერგიულ დაიაცს“, თითქოს რაღაცის თქმა უზღდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. ის კი იცქირებოდა არაფრისმოქმედი თვალებით ოთარის მიღმა, განაგრძობდა ჩენჩოს ფურთხებას, შეგადამზიგ კი ერთი ფეხის თითებით მეორე ფეხს იფხანდა.

ოთარიმ ვეღარ გაუძლო ნანახს და გულნატკენი გაეცალა იქაურობას.

სულ ორი ან სამი დღე იქნებოდა გასული ამ შემთხვევიდან, როცა ბაზარში მიმავალი ოთარი კვლავ გადაეყარა „ალერგიულ დაიაცს“. იგი გაკაპასებული გაპიოდა და მეზობლის ქალს შესწიოდა: „ნახე ქალო, რა უქნია იმ მიწადასაყრელს“ და ზელით მიანიშნებდა თავისი ბინის ფანჯრების წინ ტროტუარზე მიმობნეულ სიბინძურებულ და ნაგავზე.

„...რაც კი ჩაუცეცხლია – ნარჩენები აქ დაუყრია; მაგისი კუბო ვნახე მალე; ეგ გასახმობი და სასიკვდილო, რამ შეაჭამა ამდენი თხილი და კაკალი მაგ მუცელჩასახეთქს; ეგ უვარგისი და კახპა; როგორ გამიბედა მაგ დამპალმა; ეგ დორბლიანი და უნაშუსო, როგორდა უნდა დამტნახოს ეგ ბოზანდარა ეგა. ქალი არ ვიყო, თუ არ ვანანო მაგ გათახსირებულს; ერთი გაბედოს აქეთ გამოვლა და განახებო მის სეირს, პირში უნდა ჩავტენო ეს ჩენჩოების გროვა იმ უჯიშოს!..“

ბოლო სიტყვებმა ძლივს მიაღწიეს ოთარის ყურთასმენამდე, იგი აჩქარებული ნაბიჯებით ტოვებდა ვიწრო შესახვევს.

## გამგონე ქურდები

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში, თითქმის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის თანამშრომლებს გამოუყვეს მიწის ნაკვეთები. შეესია მიწასმონატრებული ქალაქის მოსახლეობა, უმეტეს შემთხვევაში, გახრიონებულ და, მოსავლიანობის თვალსაზრისით, ნაკლებნაყოფიერ „სავარგულებს“ და მაღლ ადამიანთა ძალისხმეული თავისი შედეგი გამოიღო. გაიყვანეს გზები, შემოლობეს ნაკვეთები, ქვა-ლორლისგან გაწმინდეს მიწა, მოამრავლეს ნარგავები და მაღლ მწვანეობი დაიფარა ათეულობით ჰექტარი მიწა. უკვე ოჯახისთვის საკმარისი მოჰყავდათ ბოსტნეულ-ბაღჩეული და ზილი. მთავარი კი მანც ის იყო, რომ ადამიანებმა შეიქმნეს გართობისა და დასვენების კერძები.

იდგა 1989 წელი. მოსავლის აღების დრო დამდგარიყო. მიხომ მანქანაში ჩააწყო კალათები, ვედრები, ტომრები და გაუდგა გზას. თავისი ბალის ჭიშკარი შეაღო თუ არა, გულმა რაღაც რეჩხი უყო, ცუდად ენიშნა რაღაც, ოლონდ ჯერ არ იცოდა რა. მერე კი საგალალო ფაქტის მოწმე გახდა – თუ რამ იყო წასაღები, ქურდებს პირწმინდად მოეპარათ: ლობიო, ხახვი, ნიორი, გოგრა, კარტოფილი, ჭარხალი, მზესუმზირა და შემორჩენილი ზილი, მოკლედ აღარაფერი დაეტოვებინათ მიხოსთვის. ასეთივე სავალალო სურათი იყო მეზობელთა ბაღებშიც.

მოიწყინა მიხომ, მაგრამ რაღას იზამდა. გაიფიქრა: „ჯანდაბას, იმათი თავი, ძალა მაქვს და ღონე, ვიმუშავებ და „იმათ“ ჯინაზე კიდევ უფრო უკეთეს მოსავალს მოვიყვანო. რა იცოდა მიხომ, თუ რა მძიმე წლები ახლოვდებოდა, როდესაც ქვეყანაში დაიწყო ტოტალური ძარცვა-გლეჯა, ქურდობა. დაინგრა და გატიალდა ყველაივერი. ვიღას ეცალა ამხანაგური მებაღეობისათვის. ქვეყანა ყალყზე იყო შემდგარი, იღვრებოდა სისხლი. განუკითხაობაშ მოიცვა ყოველივე. შეუძლებელი ხდებოდა მტყუან-მართალის გარჩევა, მაგრამ

ეს უბედურება დაიწყო ცოტა გვიან. იმ მომენტში კი მიხოს ფიქრი წამიერად მისწვდა ბალის თავში საგულდაგულოდ მოწყობილ სათავსოს, სადაც იგი ინახავდა სამუშაო იარაღს. ისევ რეჩხი უყო გულმა. ცრემლი მოადგა თვალზე ადამიანთა ასეთი სულიერი დაცვის გამო. არცერთი სამუშაო ინვენტარი (ბარები, თოხები, სამთითა, ნამგალი, ხერხი, ძალაყინი, წერაქვი და სხვა) ადგილზე აღარ დახვდა, ყველაფერი წაეღო. ეს უკვე მეტისმეტი იყო. გონება აემდვრა, თითქოს თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მაინც შეძლო ნერვების დაოკება და თავდაღუნული გაემართა მანქანისკენ.

მერე უცებ შეჩერდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო. ამოიღო კალამი და ქაღალდი, დაწერა წერილი და თვალსაჩინო ადგილზე დადო:

„ნება მომეცით, პატივცემულო ჭურდებო, გიწოდოთ უტვინოები და უგუნურები. სამუშაო იარაღი რომ წაიღეთ – რითი ვიმუშაო, მოსავალი რითი მოვიყვანო, მომავალ წელსაც ხომ გინდათ სარჩო-საბადებელი?“

ორი კვირის შემდეგ წაიგიდა მიხო ნაკვეთში, თან ფიქრობდა: „ტიტებისა და ნარგიზების ბოლქებს მაინც ამოგჩიჩქნი და შევინახავ გაზაფხულისთვის“. გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა. ყველა სამუშაო იარაღი ადგილზე დახვდა. იქვე ქაღალდის ნაგლეჯიც შეამჩნია, აიღო და წაიკითხა:

„ბოდიშს გიხდით. ახლა კი შენ იცი, პირობა არ დაარღვიო და კარგი მოსავალი დაგვასვედრე“.

ვეღარ დაუდო გული მიხომ მოსავლის მოყვანას, ქვეყანაში სამოქალაქო ომის ხანდარი აგიზგიზდა.

## ბურთი და ტელეფონი

თამაზის დაბადება მამამისმა თოფის გრიალით ამცნო ქვეყანას, თან აღტაცებით გაიძახოდა „ბურთივით ბიჭი შეგვეძინა, ბურთივითო“. ამ სიტყვებს შემდგომაც ხშირად იმეორებდა გახარებული მამა. მეზობლები კი ფიქრობდნენ: ამ კაცს ან სხვა სიტყვების მოძებნა არ შეუძლია, ან ბურთზე უზომოდ არის შეყვარებულიო.

თამაზიმ ფეხი რომ აიდგა, გარეშემყოფთაგან ერთთავად ესმოდა „რა ბურთივით დაგორავსონ“. ცოტა წამოიზარდა და მისი „ბურთივით ლოყები“ ყველას სალაპარაკო გახდა. სკოლაში ერთხელ ორიანი დაუწერეს, განაწყენდა და გაიბუტა. ბავშვებმაც არ დააყოვნეს და შეუჩნდნენ „რა ბურთივით იძერებიო“. ბოლოს და ბოლოს რა გახდა ეს ბურთიო, გაიფიქრა თამაზიმ და გადაწყვიტა ახლოს გასცნობოდა ამ სპორტულ ინვენტარს. მაშინ პირველად გაიგო თუ ვინ იყვნენ პაიჭაძე, ბერძენიშვილი, ჯველავა, დოროხოვი და სხვა. ძილშიაც ბურთი ელანდებოდა. სახლში ხან თითგადატყავებული, ხან ჩალურჯებული ფეხნარტყამებით და ხან კი შარვალშემოხეული ბრუნდებოდა და ყველასგან უჩუმრად რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნ სპორტულ ლიტერატურას კითხულობდა ლამპის შუქზე. მის სიხარულს სახლვარი არ ჰქონდა, როცა ფეხბურთის შესახებ წაწყდებოდა ხოლმე თუნდაც მცირე მონაცემებსაც კი.

გავიდა რამდენიმე წელი.

თამაზის მამა დიდ იმედებს ამყარებდა შვილზე. მიდი, მიდიო, გადასძახებდა ეზოში გაოფლიანებულ ბიჭს, მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრებოდა ხოლმე, როცა ხედავდა თუ პატარა ლაწირაკები, თვალსა და ფეხებშეა როგორ ააცლიდნენ-ხოლმე ბურთს გაოგნებულ თამაზის.

ბევრი იწვალა, ივარჯიშა და იხლაფორთა თამაზიმ, ბევრი ოფლი და ცრემლი დვარა, მაგრამ ფეხბურთის თამაშს ვერავერი გაუგო. ხელში აღნებოდა სანუკვარი ოცნება – გამხდარიყო გამოჩენილი ფეხბურთელი. იმდენსაც კი ვერ მიაღწია, ხომ სკოლის

ფეხბურთელთა გუნდში მოხვედრილიყო. რა ექნა? მერე იფიქრა – იქნებ ფეხბურთის პირწავარდნილი გულშემატკივარი მაინც გავხდეოდა და შეუდგა „საქმეს“. არცერთ მატჩს არ აცდენდა, წაუკითხავს არ გაუშვებდა ფეხბურთელის „სპორტულ კუთხეს“, ბიბლიოთეკში მოუხმირა სიარულს და ქართული ფეხბურთის ისტორია შეისწავლა, აკეთებდა და აგროვებდა ამონაწერებს მსოფლიო ფეხბურთის შესახებ, ყიდულიბდა ლიტერატურას, კალენდრებს, პროგრამებს, ფეხბურთელთა სურათებს, იძიებდა მსაჯების ვინაობას, ცალკე ალბომი ჰქონდა გამოყოფილი მწვრთნელებისათვის, მიწერ-მოწერა ჰქონდა სპორტული პრესის რედაქციებთან. მოკლედ, თამაზიმ, მეორე სიცოცხლე იპოვა ფეხბურთში და ამით ხარობდა და ამაყობდა.

სულ მაღლ თამაზი გახდა ფეხბურთის აღიარებული მცოდნე. ზეპირად იცოდა: რომელი თამაში რა ანგარიშით დამთავრდა, ვინ გაიტანა ბურთი, ვისი ჩაწოდებით და რომელი ფეხით, ვინ და საიდან იყო მსაჯი, როგორ ამინდში შედგა თამაში, რომელ ფეხბურთელს რა აწუხებდა, ვინ იყო უცოლო და ვინ ცოლიანი, ვის რამდენი შვილი შეავდა, ვის რა მანქანა ჰქონდა, ვინ ვერ იტანდა თვითმფრინავით მგზავრობას და ა.შ. სტადიონების დირექციაში შინაურ კაცად ითვლებოდა. არც გასახდელში უშლიდნენ შესვლას და სტადიონზეც ერთი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი. რამდენჯერმე თამაშის გაშუქებაც სცადა გაზეთებში.

სტადიონის შესასვლელთან თამაზის გარშემო რომ ხალხი შეიკრიბებოდა, მაშინ უნდა გენახათ ვისთან ჰქონდათ საქმე. ეს, ფეხბურთის ცოცხალი ენციკლოპედია მომართული მექანიზმივით მუშაობდა და უმაღლ აკმაყოფილებდა უამრავ გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობას. იყო შემთხვევები, როცა გუნდის შემადგენლობის დასახელებასაც კი სთხოვდნენ თამაშის წინ.

იმ წლებში ფეხბურთი ისეთი საყვარელი და პოპულარული გახდა, რომ პატარა სტადიონი ველარ იტევდა მსურველებს, გაჭირდა ბილეთის შოვნა. ამას ისიც ემატებოდა, რომ სტადიონამდე კარგა

მოშორებით, თამაშის დღეს, ორი-სამი საკონტროლო კორდონი იდგა, ისე, რომ უბილეოთოდ ჩიტიც ვერ მოხვდებოდა თამაშზე. თამაზს გონია, რომ უიმისოდ თამაში არ ჩატარდებოდა, მაგრამ ვაი, რომ ასე არ ყოფილა...

იმ თამაშს რომ არ დასწრებოდა, ალბათ გაგიუდებოდა. ბილეთს ოთარი დაპირდა. სამუშაოდან თორმეტ საათზე გაიპარა, სახლში ჩაიგეტა ოთარისგან ტელეფონის ზარის მოლოდინში.

პირველი საათი იქნებოდა, როცა ტელეფონი ფეხბურთის მარშის ჰანგებივით აწერიალდა.

– ბახტაძის ბინა?

– არა, გენაცვალე, ბურთულაურის ბინაა. – ყურმილში ჯერ სიცილი გაისმა, შემდეგ კი ტუ... ტუ...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ დარეკა ტელეფონის ზარმა – ეს კი ნამდვილად ოთარი იქნებაო, იმედით გაიფიქრა თამაზიმ და ეცა ყურმილს.

– კინოთეატრია? „ამირანია“?

– ამირანი არა ტარიელი! – თამაზიმ სიგარეტს წაუკიდა და საფუძვლიანად მოქაჩა.

სამი საათი იქნებოდა, როცა კვლავ სწვდა ყურმილს.

– მითხარით „პაჟალსტა“, რედაქციაა?

– არა, ბატონო, თქვენ სხვაგან მოხვდით...

– აბანოა?

– არა.

– საგიუვეთია?

– არა, არა... ოპ, კი, კი, საგიუვეთია, – უპასუხა თამაზიმ და ღონებისდილი ჩაესვენა სავარძელში.

ხუთი საათი სრულდებოდა, თამაშის დაწყებამდე საათნახევარი რჩებოდა. თამაზის გადაეწურა იმედი, აიღო საწვმიარი და შემთხვევის იმედზემყოფი, სტადიონისკენ წავიდა. კარები რომ გაიკეტა ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. სადარბაზოში გამოსულს ესმოდა ტელეფონის

ზარის ხმა. გაიფიქრა, მოდი შევბრუნდები, იქნებ ოთარიაო, მაგრამ არ შებრუნდა – ცუდად მაქვს დაცდილი უკან მიბრუნებაო. ტელეფონი კი რეკავს და რეკავს. ქუჩაში გასულს თან მისდევდა ზარის ხმა.

ის მატჩი თამაზის გარეშე ჩატარდა. მეორე დღეს სამსახურში ოთარის არ მიესალმა, მან კი გაოცებით და საქმაოდ უკმეხად მიახალა: „ნეტავ რა ბურთივით იბერები, სად ბრძანდებოდი გუშინ ხუთ საათზე, ლამის დავანგრიე შენი ტელეფონი, ორი ბილეთი მქონდა ზედმეტიონ“.

## საზრიანი მებაღე (ზღაპარი)

მეფე აივანზე თავის საყვარელ სავარძელში იჯდა და მამა-პაპათა მიერ გაშენებული, ხალიჩასავით მოხატული ტყე-პარკის ცქერით ტკბებოდა ჰორიზონტზე აღმართული მოლურჯო მთების ფონზე.

უცნაურად მიკიბულ-მოკიბულად ეჩვენა მეფეს ცისა და მთების შეხების მარად უცვლელი კონტური.

მოულოდნელად რაღაცამ გააღიზანა მეფე და სასწრაფოდ მოიხმო მებაღე. ბრძანება უჩვეულო და კატეგორიული იყო. მებაღეს ტყე-პარკში აზიდულ ხეთა კენტეროები ისე უნდა შეეკრიჭა, რომ მათ მიერ წარმოქმნილი მოხაზულობა სრულად და ზუსტად დამთხვეოდა მთების კონტურს.

მეშვიდე დღეს, საღილობის შემდეგ, მებაღემ მეფეს მოახსენა ბრძანების შესრულების თაობაზე.

საღამოხანს სავარძელში განცხრომითმჯდომა მეფემ შეამჩნია

კენტეროებწაჭრილი, ცადატყორცნილი ხეები, მაგრამ მის განრისხებას არ ჰქონდა საზღვარი – წაჭრილ ხეთა წვეროებით წარმოქმნილი მოხაზულობა მოლურჯო მთათა კონტურზე მაღლა იყო.

ჭირვეულმა მეფემ მებაღისათვის თავის მოკვეთა ბრძანა.

უკანასკნელი სათქმელი რა გაქვსო, პკითხა მეფემ მებაღეს.

ბევრი არაფერიო, სევდიანად უპასუხა მებაღემ; ერთ რამეს გთხოვ მხოლოდ, თქვენ ბრწყინვალებავ; სანამ თავს მომკეთენ, უბრძანე გასწიონ საჩრდილობლები, რათა უკანასკნელად შევხედო მაცოცხლებელ მზესო.

მსახურებმა სასწრაფოდ შეასრულეს მეფის ბრძანება. მეფეს თვალი მოსჭრა ჩამავალი მზის სხივებმა და რამდენიმე ნაბიჯით დაიწია უკან სავარძლიანად.

ახლა კი, მეფევ ბატონო, ერთხელ კიდევ შეამოწმე ჩემი ნამუშავარი და მერე მზად ვარ აღსრულდეს ნება შენიო.

მეფემ მკაფიოდ დაინახა, თუ როგორ ზუსტად ემთხვეოდა წაჭრილ ხეთა წვეროების მოხაზულობა ლურჯ მთათა კონტურს.

ასე იხსნა საკუთარი სიცოცხლე საზრიანმა მებაღემ.

1990 წ.

## **შეუმშრალი სისხლი** (სატირული იუმორესკა)

უკვე მერამდენე წელია ქალაქის ადმინისტრაციულ შენობაში ერთმანეთს ხვდება წელში ოდნავ მოხრილი, ჯოხზე დაყრდნობილი ორი ჭარმაგი მამაკაცი.

ახლაც ერთმანეთის გვერდით იდგნენ კიბის მოაჯირს მიყრდნობილი, მოლოდინით აღვსილი თვალებით.

— ნიკო, რისთვისაც ხარ მოსული ხომ კარგად ვიცი, მაგრამ რაშია საქმე, რატომ გაგიჭიანურეს ტელეფონის დადგმა?

— ეჰ, ჩემო ვასო, შენ რა, მაგ დღეში არა ხარ? რამდენი წელია წვალობ და საკუთარი შვილი ვერ ჩაგიწერია საკუთარ ბინაში.

— ჰო, ასეა. ალბათ ჩქარა მოგვარდება ჩვენი საქმე.

— აბა, რა ვიცი, რა გითხრა. მე კი სისხლი გამიშრა ამდენი ნერვიულობით და მოლოდინით, თუმცა რაღაც იმედი გამოჩნდა, სიაში უკვე პირველ ადგილზე ვარ.

ზედა სართულიდან ვიღაც სწრაფად ჩამოუყვა კიბეს და გაისმა ქსოვილის გაფხრევის ხმა „ეჭო“, ერთი კი აღმოხდა კოსტუმშემოხუცელს და დაღონებული ჩაუყვა ქემოთ. ვიღაცას მოაჯირის ხის რიკული დიდი ლურსმანით მიუჭედებია და მისი ნაწილი ზემოთ იყო ამოშვერილი.

დიდი დრო არ გასულა და ახლა სასოწარკვეთილი წყევლა გაისმა ქალისა: მირში შეახმეს ხელები, ვინც ეს ლურსმანი ჩააჭედაო.

ნიკომ გარშემო მიმოიხდა, თვალებით დაეძებდა რაიმე მმიმე და ბლაგვ საგანს, რათა ლურსმანი ბოლომდე ჩაერჭო ან გადაეღუნა, მაგრამ ამაოდ. მრავალრიცხოვან ოთახებში განაწილებულ-გადანაწილებულ ახალგაზრდებსაც შესჩივლა, მაგრამ უშედეგოდ. უფრო მეტიც, ნეტავ რა განერვიულებსო უთხრეს, მაგ ლურსმანზე ერთი ოცმა ადამიანმა მაინც შემოიფხრიწა ტანისმოსი და არავის არ დაუწივლიაო.

ნიკომ ჯიბეში ჩაიყო ხელი, გასაღებების ასხმულიდან ამოარჩია ყველაზე უფრო მასიური და მიაწვა ლურსმანს. აკანკალდა მოხუცის ომგამოვლილი თითები, ასხლტა გასაღებები და იხუვლა ჯერ კიდევ დაუშრალმა სისხლის დანახვა არ გაჰკირვებიათ ნიკოს და ვასოს, სხვა რამ აკვირვებდათ....

მოხუცები თავდახრილნი, წელში ოდნავ მოხრილნი მაუყვებოდნენ სახლისკენ მიმავალ გზას, როცა ადმინისტრაციულ შენობაში ხმა გავარდა — უფროსმა ახალი კოსტუმი მოისვარა მოაჯირზე მინთხულ სისხლშიო.

ოპერატიულად ამოქმედდა შესაბამისი სამსახური და მოაჯირზე შემშრალი სისხლის მიხევით სასწრაფოდ დაადგინეს „დამნაშავის“ ვინაობა. სამუშაო დღე ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა ცნობილი გახდა განაჩენიც: „სანიტარულ-პიგიენური წესების დარღვევისათვის ნიკო ტლეფონის დადგმის სიაში გადაადგილებულ იქნეს პირველიდან მეათე ადგილზე“. ლურსმანი აღარავის აღარ ახსოვდა.

1985 წ.

## **„სიმაფორა“**

(ნამდვილი ამბავი)

ვისაც მეორე მსოფლიო ომამდე უნახავს თბილისი-თელავის (ან პირიქით) შემაერთებული რკინიგზა, აუცილებლად ემახსოვრება, თუ როგორი მიხვეულ-მოხვეული და დაკლაკნილი იყო მთაში მიმავალი ბილიკივით. ხელისუფლება, თურმე, „დიდ ფულს“ უხდიდა ყველა იმ მიწის „(ბალის, ვენახის) პატრონს, ვის ნაკეთზეც უნდა გაევლო რკინიგზას.

ამტყდარა ერთი ამბავი; თურმე ყველა ცდილობდა (ათასნაირი ხერხებით და მაქნაციებით), რომ როგორმე თავის მიწის ნაკვეთზე გაეტარებინა ფოლადის გზა და გამოსულა ის რკინიგზა ასე მიხვეულ-მოხვეული და დაკლაკინილი.

იდგა ათასცხრაას ორმოცდაცხრა წლის ზაფხული. თელაველი ჭაბუკი კალათბურთელები, ზემოთხსენებულ რკინიგზაზე მოთუხოვები მატარებლით მიემგზავრებოდნენ თბილისში, რესპუბლიკური პირველობის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.

კალათბურთელებს შორის იყო ბენო ესიტაშვილიც. იგი თავის ძმაკაც-კოლეგებთან შედარებით მაღალი იყო და ძალიან სწრაფაც, ამიტომ იყო, რომ კარგად აითვისა კალათბურთის „ფილოსოფია“ და მისი ასაკის შესაბამისად გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

ბენო გამოირჩეოდა მზარული და მოუსვენარი ხასიათით, მოჭარბებული ჰქონდა იუმორის გრძნობა, კარგად შაირობდა და მღეროდა – მოკლედ, რომ იტყვიან „დუშა ობშესტვა“ იყო.

კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩეოდა თანატოლებისაგან. შავტუხა, თმაზუჭუჭა კახელებისგან განსხვავებით ბენო იყო, რომ იტყვიან „რიჟა“, სახეგაღალავებული და სიწილებდე მისული თმებით.

აა, ახლაც, ბენო ზის კუპეში და რაღაცაზე გაცხარებით საუბრობს, თან ყველასთან ასწრებს გასაუბრებას და გამოპასუხებას და ამავე დროს არც ჭადრაკის ფიგურების გადაადგილება ავიწყდება. არის კუპეში ერთი სიცილი და ხორხოცი.

ვიღაცამ უთხრა ბენოს: „ერთი ფანჯარაში გაიხედე, ხომ არ იღრუბლება და წვიმას ხომ არ აპირებსო“.

ის იყო ბენომ ფანჯარაში გადაყო თავისი წითელი თავი და მატარებელიც მაშინვე გაჩერდა.

– რა იყო, რატომ გავჩერდით? – იკითხა ერთმა.  
– გავჩერდებიდით, აბა რა იქნებოდა; ე, სიმაფორივით თავი რომ გადაყო ბენომო“

და შეერქვა ბენოს ზედმეტსახელად „სიმაფორა“.

ახლაც ამ ზედმეტი სახელით უფრო იხსენებენ თელაველები თავიანთ ერთ-ერთ საუკეთესო თანამოქალაქეს.

2004 წ.

## გამოგლევილი წინდიდან, ბრილიანტამდე

ადრიანი გაზაფხულის საღამო იდგა.

ეზოში გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ მეზობლის ქალები და ათასნაირ საქვეყნო თუ საოჯახო საკითხებზე მსჯელობდნენ. ქალებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ახალი მეზობლის, საკმაოდ სიმპათიური (გარეგნულად) ქალბატონის ასაკალ-დასავალი. მრავალ შეკითხვას აძლევდნენ და ისიც მარჯვენა მუხლისთვის გამოგლევილ წინდაზე ხელდაფარებული ყვებოდა თავისი ოჯახის გასაჭირზე: „ქმარი უმუშავარია, ბავშვებს არა აქვთ ჩასაცმელი, ვერ მიყიდა წინდა (მარჯვენა ხელს აცილებს მუხლის თავს), გუშინ ფული ვისესხეთ, რათა ბავშვებს საჭმელი არ მოაკლდეთ, წელიწადზე მეტა, რაც ქალთა სალონში არ ვყოფილვარ. თეთრეულიც შემობდლვნილი მაქვს და ქმარს პირის გასაპარსი ფულიც არ გააჩნია“ და ა.შ.

„ახალი“ ქალბატონის გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტანდით და ეზოს „ძველებიც“ (ანალოგიური საუბრების ხშირი მოწმენი) თანაგრძნობით და დიდი გაგებით იზიარებდნენ მის გაჭირვებას.

გავიდა აპრილი. მაისის დასწელისში ეზოში ხმა გავრცელდა, რომ ახალი მეზობლის ქმარი სამუშაოდ მოწყობილა საგადასახადო

ინსპექციაში. გაუხარდა ყველას – ხელფასი ექნება და გაჭირვებულ მდგომარეობას ცოტათი მაინც შეიმსუბუქებენ.

გავიდა მაისიც, ცხელი ზაფხულიც და შემოდგომის ერთი თვეც.

საკმაოდ თბილი და წყნარი ოქტომბერი იდგა. ისევ იმ გრძელ სკამზე, ქალბატონების თითქმის იგივე შემადგენლობა გაცხარებით საუბრობდა და კამათობდა. განსაკუთრებით აქტიურობდა „ახალი“ მეზობელი, სიმპათიური (ახლა უფრო, რადგანაც მოდურად ეცვა) ქალბატონი: „დღეს შემოვიარე ყველა საიუველირო მაღაზია, მაგრამ ბრილიანტიანი ბრასლეტი არსად არ არის, აღბათ თბილისში წავალ, ჩვენი მანქანით, არა, რას ამბობთ, „ლუდოვიკოს“ არაფერი ჯობია, ჩემმა ნათესავმა მითხრა გაშოვნინებო. ორკარატიან ბეჭედს დავეძებ და კიდევ ესპანურ „ტროიკას“, მაგრამ ზომ იცით რა ძნელია შოვნა. ჩემმა ქმარმა მითხრა ლენინგრადში წაგიყვან და იქ იყიდეო. მე მგონი ერთ კვირაში წავალთ. მანამდე კი ჩემი გოგოს დაბადების დღეა და კულონი მინდა ვაჩუქო ლალის თვალით, ხვალ მომიტანებ“ და ა.შ.

ყურებს არ დაუკერძოდა კაცი, „ახალი“ მეზობელი ქალბატონი მუხლზე აღარ იფარებდა ხელს.

1998 წ.

## „კინკრია“

(მოგონება სტუდენტური ცხოვრებიდან)

ცივი ზამთარი იდგა. მუხლამდის თოვლი იდო, მაგრამ ბუნება ამით არ კმაყოფილდებოდა და სქლად და გადაუღებლად თოვდა, თოვდა კი არა, რომ იტყვიან, ბარდნიდა.

საღამოვდებოდა. სტუდენტების საერთო საცხოვრებლის ბინაში შევიკრიბეთ ოთახის ყველა ბინადარი. იმხანად სტუდენტებში ერთი დაუწერელი წესი თუ ტრადიცია არსებობდა – პირველკურსელებთან, თითქმის ყოველთვის, ცხოვრობდა, სულ ცოტა, ერთი უფროსკურსელი, რომელიც თავისთავად თამაშობდა „უფროსი მეგობრის“, „აღმზრდელისა“ და „დამრიგებლის“ როლს. მათ უკვე გააჩნდათ ინსტიტუტში სწავლისა და საერთო ბინაში ცხოვრების გამოცდილება და დადგებით გავლენას ახდენდნენ ახალბედების როგორც სპეციალისტებად, ისე ცხოვრებისათვის შემზადებულ ადამიანებად ჩამოყალიბებაში. ერთი ასეთი უფროსკურსელი ჩვენს ოთახშიც გგტავდა – გოგია კინკრიაშვილი, რომელსაც, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გვარის მიხედვით, მოფერებით ვეძახდით „კინკრიას“.

ვისაც სტუდენტობა საერთო საცხოვრებლში აქვს გატარებული, დამეთანხმება, რომ მიუხედავად სისტემატური მატერიალური გაჭირვებისა, ეს არის ახალგაზრდული აღზევების, პროფესიონალური განათლების მიღების, სხვადასხვა ტრადიციებზე აღზრდილი ადამიანების გაცნობის, უცნაურობის, მოულოდნელობების, გართობა-გახარების, იუმორის მოზღვავების, დავაუკაცების და სიყვარულის წლები.

ჩვენი ოთახის ბიჭებმა, მატერიალური ყოფის განმტკიცების მიზნით, გადავწყვიტეთ შეგვექმნა „საერთო ქაბი“. ამ ქაბის შევსება ხდებოდა სტიპენდიის მიღების დღეებში თანაბარი წილით. ჩვენი ოთახის „საერთო ქაბის“ განშკარგულებელი გახლდათ ყველასთვის საყვარელი „კინკრია“, რომელიც პასუხს აგებდა ოთხი პრდაფენილი, მშეერთ სტუდენტის გამოკვებაზე და სპორტულ თუ კულტურულ

გართობა-აღზრდაზე.

„საერთო ქვაბის“ სიკეთეზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ აღვნიშნავ ერთს, ვფიქრობ მეტად მნიშვნელოვან ასპექტს: „საერთო ქვაბი“ მოქმედებდა მაშინაც, როცა რომელიმე ჩვენგანს ამათუებ სემესტრში არ ჰქონდა სტიპენდია; სწორედ ამიტომ მთავარი ყურადღება გადატანილი იყო სწავლაზე და ამ სფეროშიც პასუხისმგებელი იყო „კინკრია“. ასე, რომ „კინკრია“ ფრიად და კავებული და საქმიანი გახლდათ.

„კინკრია“, მიუხედავად პატარა ტანადობისა, გამოირჩეოდა გულადობით, შხიარულობით, ორიგინალური იუმირით, სისწავით, მეგობრული დამოკიდებულებით, მომთხოვნელობით და მზრუნველობით, იყო ციყვივით მოუსვენარი და ხარივით შეუპოვარი.

დაუგუბრუნდეთ ცივი ზამთრის საღამოს. შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ წავსულიყავით კინოში, წინააღმდეგი იყო მხოლოდ „კინკრია“, რომელსაც იმ საღამოსთვის სულ რაღაც ოცდახუთი მანეთი-და ჰქონია შემორჩენილი.

- გოგი, საყვარელო „კინკრი“, წავიდეთ კინოში, რაც იყოს, იყოს.
- აბა თავზე ხელი დაიდეთ, რას ამბობთ, ხვალ რა გაჭიროთ?
- ეჭ., კარგი რაა, ხვალ ღმერთი მოგვცემს...

„კინკრიამ“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, დრო არ ითმებდა, გვიანდებოდა. საჭირო იყო „რაღაცის“ მოფიქრება. აյ არ ვიტყვი როგორ, მაგრამ მოხდა ისე, რომ „კინკრიას“ ხარივით სიჯიუტე გადალაპულ იქნა და სულ მაღლე ბურტყუნ-ბურტყუნით მოგვდევდა უკან კინოსკენ სწრაფად მიმავალო. კინოკლუბიდან დაბრუნებისას „კინკრიამ“ მეზობლებთან შეუხვია, ჩვენ კი გადავხედეთ ერთმანეთს და მოვილაპარაკეთ „დაგვესაჯა“ ჯიუტობისათვის ჩვენი საყვარელი ხაზინადარი, რომელიც შეიძლება ფულის სასესხებლადაც კი იყო შესული მეზობლებთან, რათა ხვალ მშივრები არ დავრჩენილიყოთ. ვფიქრობით და ვმსჯელობდით რა მოგვემოქმედებინა, რა უფრო გასართობი იქნებოდა და დასამახსოვრებელი. ამის ფიქრში ვიყავით,

რომ კარები შემოაღეს და ერთ-ერთ ჩვენს ბინადარს მშობლების მიერ გამოტანებული ორასი მანეთი გადასცეს (ზემოთ ხომ ვთქვით „ღმერთი მოგვცემს“). ჩვენი „თავსატეხიც“ ასე მოვაგვარეთ: გოგიას ყავდა ძმა, სახელად ვაზტანგი. ვისარგებლეთ ამ მცირე ინფორმაციით და შევადგინეთ ასეთი შინაარისის წერილი: „ჩემო ძმაო, გოგი, გოგზავნი ორმოცდათ მანეთს, ახლა მეტი არ მაქსი, შემდევ კადევ გამოგიგზავნი. საჭმელ-სასმელი კი ბლომად გამოვატანე დეიდას, ორი კალათა და დოქი. მიაკითხე და წაიღე. აბა, შენ იცი, მაგრად იყავი. ვახტანგი“.

წერილი კონვერტში ჩავდეთ ორმოცდათ მანეთთან ერთად და „კინკრიას“ საწოლზე დავაგდეთ.

„კინკრია“ გვიან დაბრუნდა, ჩვენ ყველანი ვიწექით, მაგრამ არცერთს არ ვვეძინა.

შემოსვლისთანავე შეამჩნია კონვერტი და დაუწყო შორიდან თვალიერება. შევატყეთ, რომ რაღაცნაირად ყოფმანებდა და ეჭვობდა. ჩვენგან ელოდა ალბათ სიურპრიზს, რადგან ადრეც, არაერთხელ გვიხუმრია და „გაგვინაწყენებია“ ჩვენი გოგია.

მზრა კონვერტიდან საწოლებზე გადაიტანა და სათითაოდ ჩამოგვიარა სუყველას, თან ალბათ ფიქრობდა: „პა, ბიჭებო, ხომ არ მიწყობთო რაიმეს“.

ვეღარ დასძლია ცდუნებას და გახსნა კონვერტი. გენახათ მისი გაბალრული სახე, მის სისარულს არ ჰქონდა საზღვარი. იგი მზად იყო სუყველა გაეღვიძებინა. თვალები უბრწყინავდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ბოლოს წერილი ერთხელ კადევ გადაიკითხა, ეს პატარა კაცი ვერცხლისწყალს დაემსგავსა, აქეთ ეცა, იქით ეცა და თავისთვის რამდენჯერმე ჩაილაპარაკა: „აზრზე ხართ ბიჭებო, თქვენა?!“ (ამ გამოთქმას „კინკრია“ ხშირად ხმარობდა).

...ხის ტოტები ძლიერ უძლებდა მოზვავებული თოვლის სიმძიმეს. ირგვლივ სრული სიჩუმე იდგა. შიგადაშიგ გაისმოდა მოსახვევში ტრამგასი ბორბლების ღრმული.

„კინკრიამ“ გაიღვიძა თუ არა, ერთხმად მივაძახეთ: „გოგი, წერილი

ნახე՞՞“

- ვახახე ბიჭებო, ახლავე წაგიკითხავთ, — და მარცვალ-მარცვალ გაგვაცნო „ძმის“ წერილის შინაარსი.
  - ბიჭებო, მართალია ფული არ არის ბევრი, მაგრამ საჭმელ-სასმელი აი... — და ყელზე მიიღო გამლილი ხელისგული.
  - კი, მაგრამ სად არის ეგ საჭმელ-სასმელი?
  - სად და „ნახალოვკაში“, დეიდაჩქმთან. ახლავე მივდივარ, უნდა გადახაროთ...

მზებ გამოანათა, სახურავიდან ჩამოცვივდა წვეთები, ოთახის ფანჯარას მოაწყიდნენ ხმელი პურის მარცვლების კენკას მიჩვეული, „ნაცნობი“ ბეღურები. ჩვენი „ბეღურა“ კი გაძრწყინებული თვალებით და აჩქარებული ნაბიჯით მიემართებოდა „ნახალოვკისკენ“.

ლექციებიდან მოსულებს „კინკრია“ სახლში არ დაგვჭველია. ცოტა შევფიქრიანდით, ამ უამინდობაში და უტრანსპორტობაში ხომ არაური დაიმართა იმ კაცს, ამხელა მანძილზე წასულს?!

“კვევ ბინდმა იძალა, ბეღურები სადღაც გაქრნენ, წვეთებიც აღარ კვიოდა სახურავიდნა, „კინ ყრია“ კი არ ჩანდა და არ ჩანდა.

გულის სიღრმეში რაღაც ტკივილი იგრძნო თითოეულმა ჩვენგან-  
მა, უკვე დავიწყეთ „ნახალოვკელი“ დეიდის მისამართის დაზუსტება  
და ის იყო წასკლას ვაპირებდით, რომ კარები ფეხის კვრით შემო-  
იღო და აღვილზე გავშემდით გაოცებისგან: კარებში გაჩხირულიყო  
წელამდე სკელი, მობრწყინვარე თვალებით, ლოფებაწითლებული,  
ციფებით ცქმუტავი „გინკრია“, რომელსაც ცალ ხელში საქმაოდ  
დიდი და მძიმე კალათა ეკავა, მეორე ხელში კი თიხის ყელმოღე-  
რებული სკელი დოქი.

1965 §.

საყვარელი ციფრი

მოგეხსენებათ, რომ რაიონებიდან თბილისში ჩამოსული სტუდენტების ძირითადი თავშესაფარი იყო ვაკის რაიონში მდებარე, თორმეტკორპუსიანი ე.წ. სტუდენტები.

ჰოლა, მეც ვკინორობდი სტუდექალაქის ერთ-ერთ კორპუსში (რიგით ნომერს ჯერჯერობით არ ვამხელ) რაიონებიდან ჩამოსულ სხვა სტუდენტებთან ერთად.

საინტერესოა სტუდენტური ცხოვრება ბევრი რამით. სასიხარულო დღეებიც უამრავია და ისეთი დღეებიც, როდესაც განაწყვებული და გულმოკლული ხარ. არც ის არის უცხო, რომ სასმელ-საჭმელიც გაქვს და „ჯიბის“ ფულიც და ზოგჯერ მშიერიც ხარ და სხვის სიგარეტსაც ეწევი. გასაკვირი ამაში არაფერია – ასე ყოფილა, ასე არის და ასე იქნება. ახალგაზრდებს გვიჭირდა გამოთვლილ-გამოზომილი ცხოვრების წესთან შეგუება, სტიპენდიადან სტიპენდიამდე სახსრების გადანაწილება და მატერიალური ყოფის სტაბილურობის შენარჩუნება.

იმდენს, რომელსაც წინამდებარე მოგონება ეხება, საკმაოდ ცუდ ხასიათზე გახლდით მრავალ მიზეზთა გამო და ძირითადად კი იმით, რომ სტიპენდიამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო.

მეგობრებს კინოში მიპატიუებაზე უარი ვუთხარი და დარღდისგან დაბოლმილი გაუზდებული წამოგწევი საწოლზე, ფიქრებში ჩაფილები.

რას აღარ მისწვდა გონება. ელვის სისწრაფით თვალწინ  
გაიქროლა ათასობით კადრმა და უცებ, თითქოს რაღაცამ შემა-  
ჯნებლარაო – ერთიმეტრის მიყოლებით ამოტივტივდა ჩემ მესთან  
და განვლილ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ციფრი  
„4“. მართლაც, რომ საინტერესო „აღმოჩენა“ გავაკეთე; საქმე კი  
შეძლება იყო: იდგა 1954 წელი (ეს ერთი ოთხიანი), მეოთხე თვის  
ოთხი რიცხვი (ეს კიდევ ორი ოთხიანი) – ჩემი დაბადების თვე  
და რიცხვი; ვცხოვრობდი სტუდენტალაქის მეოთხე კორპუსის მეოთხე

ოთახში; ვიყავი მეოთხე კურსზე; ოთახში ვცხოვრობდით ოთხნი (მე, გივი მაისურაძე, ტარიელ გულედანი და გოგი კინკრიაშვილი); ზამთრის საგამოცდო სესიებზე ოთხი საგანი ჩავაბარე და ყველა „ოთხიანზე“; უნივერსიტეტის მეოთხე სპარტაკიადაში (ჭადრაკში) ოთხი ქულით ავიღე მეოთხე ადგილი; იმ მომენტში ვიყავი ფაკულტეტის ოუმორისტული კედლის გაზეთის რედაქტორი და გამოშეხველი მქონდა ოთხი ნომერი; ვუკრავდი გიტარისტების ოთხკაციან ჯგუფში. დაბოლოს, ჩემი სტიპენდია შეადგენდა 400 მანეთს (კიდევ ოთხიანი).

„მოდი და ნუ გეყვარება ციფრი „4“ – გავიფიქრე ჩემთვის და ძილს მივეცი თავი. იყო 1954 წლის 4 აპრილის საღამოს თერთმეტი საათი და ოცდაათი წუთი.

კიონდან გვანდაბრუნებული მეგობრები ხმაურით შემოცვივდნენ და გამაღვიძეს.

„ძალიან ინანებ, რომ არ წამოხვედიო“, – მითხრეს ნიშნის-მოგებით. „მაგარი ფილმი იყოო“ – დაუმატა მეორემ. მაინც რა იყო მეთქი – მივუგდე უხალისოდ. რა იყო და ოთხი ერთიმეორეზე უკათესი ნოველისგან შემდგარი ფილმი იყოო – და დაიწყეს მოყოლა. მე ისევ ფიქრებში ჩავეფლე და მათი საუბარი აღარ მესმოდა.

1964 წ.

## უცნობი ნაცნობი

ქალაქის პოლიკლინიკაში, გივის დიდი ფურადლებითა და მზრუნველობით მოეკიდა ახალგაზრდა, სიმპათიური გარევნობის ექიმი. გივი არ მოელოდა იმდენ სითბოს, ალერსიან მიმართვას და ტკბილ რჩევა-დარიგებებს, ერთი შეხედვით ცხოვრებაში ახლადუეხადვმული პატარა გოგო-ექიმისგან, მიუმტეს პოლიკლინიკებში ტრადიციად-ქცეული მომსახურების დაბალი დონისა და საყოველთაოდ გამეფებული უყურადღებობის ფონზე.

ვერ მოახერხს გივიმ, უფრო სწორედ ვერ გაბედა, ასევე სავალალო ტრადიციისამბრ, ფული შეჩერებინა თითქოსდა სანთლისგან ჩამოსხმულ თითებში, ან ჩაქრუთა თეთრი, ქათქათა ხალათის ჯიბეში. ისლა მოიფიქრა, რომ სირბილით წასულიყო ახლომდებარე საკოლმეურნეო ბაზარში და ლამაზი ყვავილების თაიგულით დაეშვენებინა იმ პატარა გოგო-ექიმისავით პატარა, კოპტია და მუდრო ოთახი.

ყვავილების მირთმევის ფაქტმა გაოცება გამოიწვია პოლიკლინიკაში; ერთხმად აღნიშნავდნენ – ასეთი რამ ჩვენთან პირველად ხდებაო. ზოგი იმასაც ამბობდნენ: „სჯობდა ისევ ფული მიუცა, ახალგაზრდა გოგოა, ვინ იცის რაში გამოიყენებდაო“.

სამი დღეც არ იყო გასული, როცა ქუჩაში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს გივი და ის კოპტია გოგო-ექიმი. ორივე გახარებული და კმაყოფილი იყო ამ შეხვედრით. სიკეთითა და სინაზით მოკითხეს ერთურთი. ერთმა ფურადლებით აღსავსე მომსახურებისათვის გადაიხადა მადლობა, მეორემ კი ყვავილების თაიგულისათვის.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ შეეფეონენ ერთმანეთს უნივერმალის შესასვლელში. ისევ თბილი და ღიძილიანი საღამი, ისევ მოკითხვა და კეთილი სურვილები. მოკლედ, უკვე კარგ ნაცნობებად თვლიდნენ ერთმანეთს და ჩანდა, რომ ხშირად შესვედრის სურვილიც ჰქონდათ.

რამდენიმე დღის შემდეგ კი მოხდა მოულოდნელი რამ. გივიმ შორიდანვე შეამჩნია სწრაფი ნაბიჯით მისკენ მომავალი „ის“ გოგო-

უქიმი და მოემზადა თბილი შეხვედრისათვის, მაგრამ მან ზედაც არ შეხდა, სალამზე დაბლვერით უპასუხა და უფრო უძატა ნაპიჯს.

გივი გააკვირვა გოგო-უქიმის უცნაურმა ქცევამ, მაგრამ გუნებაში „აპატია“, თვლიდა, რომ ადამიანს ათასი საფიქრალი აქვს და ყოველთვის არ არის კარგ გუნება-განწყობილებაზე, თუმცა ზომიერება და თავშეკავებულობაც მართებს ყველას, მითუმეტეს, რომ დასამდურად არავითარი საბაბი არ არსებობდა. ასე ფიქრობდა გივი.

ნეტავ რა მოხდა? არ ასვენებდა აკვიატებული ფიქრი, თუმცა იქვე იმშვიდებდა თავს: „ბოლოს და ბოლოს, რა ჩემი საქმეა, ჩემი მეგობარია თუ ახლობელი, სულაც არ მაინტერესებს რა სწყინს და რა უხარია; რაც იყო, იყოო, გაიფიქრა და გააგრძელა გზა.“

პატარა ქალაქში ადამიანები ხშირად წვდებიან ერთმანეთს, სანით თითქმის ყველას იცნობენ და ეს ეამაყებათ კიდეც. გივიც ხშირად წვდებოდა „იმ“ გოგო-უქიმს, ხან ქუჩაში, ხან კინოთეატრში, ხანაც ბაზარში. ისიც ხან გაუღიმებდა და ხან ჩუმად ჩაუვლიდა გვერდზე, ხან მიესალმებოდა და მოიკითხავდა, ხან გაოცებული პასუხობდა მისალმებაზე, ხან ხელსაც კი დაუქნევდა ხოლმე ოდნავშესამჩნევი მოძრაობით და მოკითხვის სურვილით, ხანაც დაბლვერილი გამომეტყველებით ესროდა რამდენიმე ქალურ სალანძავ სიტყვას და აჩქარებით გაეცლებოდა ხოლმე.

გივი თავისძაუნებურად შეეჩვია გოგო-უქიმის უცნაურ ქცევას და პირველ ხანად თუ უკვირდა, ახლა ასეთ შეხვედრებს ოდნავადაც აღარ განიცდიდა. უფრო მეტიც, რაღაც გასართობ ელემენტებსაც კი ეძებდა ამ, მეტად უცნაურ, ნაცნობობაში. ფიქრობდა: „ყველას თავისი ხასიათი აქვს და გოგო-უქიმიც არ არის გამონაკლისიო“. თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა, ოდესმე, მოხერხებულ დროს და ადგილზე „ის“ კეპლუცი და კოპტია გოგო-უქიმი შეეჩერებინა და გარკვეულიყო, თუ რა იყო ასეთი უცნაური, არაბუნებრივი ქცევის მიზანი.

ასეთი შესაძლებლობა სულ მაღე მიეცა გივის.

ავტობუსი გადაჭედილი იყო ხალხით. ფეხზემდგომნი უცნაურად იყვნენ აკოწიალებულ-ჩამოკონწიალებულები სახელურებზე. უკვე ზაფხული იყო და საკმაოდ ცხელოდა. გივიც ფეხზე იდგა, უფრო სწორედ, ჩაჭედილი იყო მგზავრებს შორის და განძრევის საშუალება არ ჰქონდა.

მძღოლმა დაამუხხრუჟსა მანქანა და ფეხზემდგომნი ერთმანეთს მიასკო-მოასკონენ, შეიწინებნენ და შეიკუმშნენ. უცად გივიმ შემჩნია, რომ მისგან მარჯვნივ იჯდა გოგო-უქიმი. შეხდა, მიესალმა. მანაც გაუღიმა, სალამზე სალმით უპასუხა, თეთრი ბროლივით კბილები შემოანათა და დიდი სითბოთი მოიკითხა. მერე ამინდზე დაიწყეს საუბარი. გივის გადავიწყდა ადრინდელი „წყენანი“.

მძღოლმა ისევ დაამუხხრუჟსა ავტობუსი და გაჩერებამდე მისვლამ-დე „ზედმეტი“ თავისუფალი სადგომი ადგილებიც გამოჩნდა. გივის ვიღაც მიაწვა და მარცხივ შემოატრიალა. გაოცებისაგან პირი დააღვი და თვალგაშტერუბული უცქეროდა მისგან მარცხნივ განაპირა სკამზემჯდომ გოგო-უქიმს, რომელიც ოდნავ იბლვირებოდა. გაჩერებაზე მგზავრები ჩავიდნენ და ავტობუსში უკვე სიხალვათე იგრძნობოდა. გივიმ მარჯვნივ მიიხედა და დაინახა მომღიმარი გოგო-უქიმი, რომელიც თითქოს რაღაცას მიანიშნებდა თუ ეკითხებოდა. შემოტრიალდა მარცხნივ, „ის“ იქ ზის და იბლვირება; შემოტრიალდა მარჯვნივ, იქ ზის და იღიმება. გივის თავგზა აებნა მოულოდნელობისაგან, თავი სიზმარში ეგონა. გოგო-უქიმმა კი, შეამჩნია რა გივის უაღრესი გაკვირვება და რაღაცნაირი დაბნეულობა, ღიმილით მიმართა: „გაიკანი, ჩემი დაა, ტყეუბისცალი“ – და მარცხნივ მიანიშნა. დაბლვერილმა ტყეუბისცალმა ხელი გამოუწოდა და თან მრავლისმეტყველი ღიმილიც მიაყოლა.

## „ტიკჭორა“

კახეთში, და რაღა თქმა უნდა თელავშიც, თითქმის ყოველ მამაკაცს აქვს ზედმეტი სახელი, რომელიც ან გვართან არის დაკავშირებული, ან გარეგნობასთან, ან აკვიატებული სიტყვის ხშირ ხმარებასთან, ანდაც ამათუმი კაცის ცხოვრებაში მომხდარ რამე მნიშვნელოვან, სამო თუ უსიამო მოვლენასთან. ზედმეტი სახელი ზოგჯერ მოფერებითია, ზოგჯერ გამომწვევი, ხან ვულგარული და ძნელად სახმარი, ხანაც საამაყო.

ადამიანები ეჩვევიან თავიანთ ზედმეტ სახელს და ხშირად ვერც წარმოუდევნიათ სხვა, და მათ შორის ნამდვილი, სახელით როგორ უნდა მიმართონ.

განსაკუთრებულ შემთხვევათა კატეგორიას განეკუთვნება მომავალ მამაკაცზე, ჯერ კიდევ საბავშვო ასაკში, შეიძლება ითქვას დაბადებისთანავე, ზედმეტი სახელის „მეტკვიდრეობით“ გადაცემა, პაპისგან ან მამისგან. ჩვეულებრივ კი, ასე ვფიქრობ, ზედმეტი სახელები „ჩნდება“ და საყოფაცხოვრებო ასპარეზზე გამოდის სასკოლო ასაკიდან, ასე მეოთხე-მეხუთე კლასებიდან, როცა ბავშვი იწყებს მეტნაკლები დამოუკიდებლობის ნიშნების გამომჟღავნებას.

მეცხრე კლასამდე ისე მივაღწიე, რომ „ნამდვილი“ ზედმეტი სახელი არ მქონა შერქმეული, თუმცა ნელნელა მაჩვევდნენ გვარიდან წარმოშობილ შემოკლებულ სახელს „ჭანკუ“.

იმდროისთვის, ჩემს ახლო გარემოცვაში ხშირად იყო ხმარებაში ისეთი ზედმეტი სახელები როგორიცაა: „ტრულე“, „თოხანა“, „ბაჯბაჯა“, „სიმაფორა“, „აჭა“, „მეზინკლე“, „უსისხლო“, „ყვავი“, „დოფუ“, „ქინქლო“, „უკასო“, „ჩხიკვი“, „პენალტა“, „აკიმოვი“, „ზონტიკა“, „გაბო“, „ცხვირა“, „კარიაკინი“, „ბისკვიტა“, „სანდალა“, „ქურთი“, „რიბა“, „სლივა“, „ჩინქარა“, „ცუციკა“, „გვევ“, „წმინდაო“, „ქუპრაჭა“, „პლუტ“, „ცანგლიანი“, „ეშმაკ“, „დორბლიანი“, „ტურუცა“, „პურა“, „ზანგო“ და ა.შ.

თელავის ვაჟთა მეორე სკოლის რვა კლასი დავამთავრეთ რვა ბიჭმა, ხოლო მეცხრე კლასში დაგვემატა ერთი კიდევ. ისე, რომ მეცხრე კლასიდან ცხრა ბიჭმა გავწიეთ მეთერთმეტე კლასისკენ და იმდროისთვის ახლადდაწესებული მედლებისაკენ, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ მოწყობის გარანტიას იძლეოდა.

აქ დაიწყო აურზაური. საქმე იმაში გასლდათ, რომ მედლების შემოღებას მოჰყვა ე.წ. ლიმიტებიც; სკოლებს დავალებული ჰქონდათ მოემზადებინათ იმდენი და ამდენი მედალოსანი. მრავალრიცხოვან და ძლიერ სკოლებს გადიდებული ლიმიტები ჰქონდათ დაწესებული და დაიწყო შშობლებისათვის თავსატეხი დღეები და თვეები. ძილი გაუკრთათ, მოსვენება დაკარგეს. თითებზე ანგარიშობდნენ რომელ სკოლაში მედლის რამდენი კანდიდატი იყო; სად რანაირი ლიმიტი იყო დაწესებული; სად, რომელ სკოლაში იყო მედლის მიღების მეტი შანსი და ა.შ. გაჩაღდა ბავშვების სკოლიდან სკოლაში გადაყვან-გადმოყვანის კომპანია. ბოლოს გამოვიდა ისე, რომ მეთერთმეტე კლასი დავამთავრეთ არა ცხრა ბიჭმა, არამედ გაცილებით მეტმა.

ჩემი ცხოვრების ეს პერიოდი ბევრი რამით იყო ღირსშესანიშნავი. უკან იყო მოტოვებული „დედა უფრო გიყვარს, თუ მამა“-ს ეტაპი და ფეხი გვქონდა შედგმული ეტაპზე, „რომელ კლასში ხარ, შეყვარებული გყავს?“ „აბა, შენ იცი, გახსოვდეს რომ მოსწავლეთა გმირობა, ეს არის სწავლა“ და ჩვენც ვსწავლობდით და კარგადაც ვსწავლობდით, ვინაიდნ ყოველ ჩვენგანს გმირობა ეწადა. ჩვენს მეობაში ხდებოდა რაღაც, ჯერ კიდევ შეუცნობი ცხოვრებისეული თუ ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური გარდატეხა. ნელ-ნელა იკვეთებოდა „ბიჭობის“ ფენომენი. ეს ის დრო იყო, როცა ვგრძნობდით ძალების მოზღვავებას, როცა გაზაფხული იყო წლიწადის ყველაზე ლამაზი და ტკბილი დრო, როცა ქვეშეცნეულად გაგვიჩნდა ახლობელ-მეგობართა წრის გაფართოების სურვილი მეტწილად მეორე სქესის

წარმომადგენლებით. დაბოლოს, ეს ის დრო იყო, როცა მამებმა უკვე დაგვიწყეს ანგარიშის გაწევა და მისაწვდომი გახადეს ჩვენთვის „აკადემიად“ მონათლული ქართული სალხინო სუფრა, თუმცა წინასწარი „გამოსაცდელი ვადის“ გავლის შემდეგ. „გამოსაცდელი ვადა“ კი გულისხმობდა მომზადებას და გაწვრთნას: ღვინის გადალება-გადმოღებაში, ჩამოსხმაში და მირთმევაში, შეშის ჭრაში, მაყალის გახურებაში და მწვადის შეწვაში, სასმისების მირთმევაში და მიმარჯვებაში, მეზობლების მოპატიუებაში და სხვა. ასე იწყებოდა ჩვენი „ნათლობა“ ქართულ სუფრასთან, თუმცა დიდიხნით ჯდომა სუფრასთან არ გვქონდა ნებადართული, რადგან სტუმრების გამცილებელ-მიმცილებლებიც ჩვენ ვიყავით და ეს გვეამაყებოდა კიდევ.

იმდროინდელი ქართული სუფრა მართლაც, რომ „აკადემია“ იყო. აქ მოისმენდით საქმიან და დარბასისლურ საუბარს, სანიმუშო სიტყვა-პასუხს, სიმღერას, ლექსებს, ანეკდოტებს, ლეგენდებს, მოგონებებს, ზეპირ ამონაგლუჯებს საქართველოს ტანჯული ისტორიიდან და ა.შ. საოცარი იყო სუფრის ორგანიზებულობა, დასაწყისიდან დამთავრებამდე თამადა პროფესიონალური ცოდნით დირიქორივით მართავდა სუფრის, ხშირად ჭრელ „ორკესტრს“, ისე, რომ იშვიათად თუ იყო შესაძლებელი რამე გაუგებობა. ყოველთვის იგრძნობოდა ოჯახისა და დიასახლისისადმი უდიდესი პატივისცემა, საქმისადმი, მეგობრებისადმი და სიყვარულისადმი ამაღლებული დამოკიდებულება.

დიახ, მაშინდელი ქართული სუფრა მართლაც რომ აკადემია იყო, რომელიც ალბათ უნდა გაევლო ყველა ახალგაზრდას და პირველ რიგში ბიჭებს. და ჩვენც გავიარეთ, გავიარეთ და ცოტა მოგვიანებით დამოუკიდებლობის სურვილმაც მინა თავი, უკვე ვეღარ კეტებით მამაჩვენების „აკადემიების“ ფარგლებში და თანდათანობით, გარეშე თვალისოვის ნაკლებშესამჩნევად, მამების მიბაძვით ყალიბდებოდა და მოქმედებდა ახალი „აკადემიები“, რომელიც მირითადად ძველს იმეორებდა, მაგრამ არც დროის ახალ მოთხოვნებს ტოვებდა

### უყურადღებოდ.

ჩვენ, მეცხრეკლასელებს, რაღა თქმა უნდა არ გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ხშირად და ისიც დამოუკიდებლად შევხვედროდით, მაგრამ მშობლების დახმარებით წელიწადში თოთხმეტჯერ მაინც ვიკრიბებოდით „მრგვალი“ მაგიდის გარშემო და ყოველთვის სადღესასწაულო განწყობილებით. ეს დღეები იყო: ცხრა მეცხრეკლასელის ცხრა დაბადების დღე, ახალი წელი, არჩენები, რვა მარტი, პირველი მაისი და შვიდი ნოემბერი. ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომელთა უდიდესი ნაწილი კომკავშირელი იყო, თითქმის აკრძალული ჰქონდა თავისი წმინდა და სულიერი დამოკიდებულება ღიად გამოეხატა რელიგიური დღესასწაულებისადმი.

იმწელიწადს ცამეტი შეხვედრა უკან გვქონდა მოტოვებული და მეთოთხმეტესთვის „ვისწორებდით ჩიხა-ახალუხებს“.

ახალ წელს უნდა შევხვედროდით ერთ-ერთი თანაკლასელის ოჯახში, ასე ინება კუნძისყრამ. შეწუხდა და დატრიალდა ოჯახი – ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ვაჟთა მეორე სკოლის, უკვე საკმაოდ პოპულარული ცხრა მეცხრეკლასელის მიღება და გამასპინძლება. ოჯახის თავის, უფროსმა „აჭამ“ ადრიანად დაიჭირა თადარიგი და თავისი ორი ვაჟიშვილის („შუათანა, „აჭა“, „უმცროსი, „აჭა“) დახმარებით მართლაც რომ დიდებული სახალწლო შეხვედრა მოგვიწყო.

სუფრის თამადობა უფროსმა „აჭამ“ აიღო თავის თავზე (მაშინ ასე იყო და ახლაც მჯერა, რომ კაცი თავის ოჯახში თვითონ უნდა იყოს თამადა, და არა ვინმე „კალისტრატოვიჩი“ ან „სილიბისტროვიჩი“, ვის საპატივსაცემოდაც არის გაშლილი სუფრა), ღმერთი მაღალი ახსენა, მოგვილოცა ახალი წელი, მედლები და მშვიდობა გვისურვა და გამოწრუბა მაღლიანი კახური ღვინით გალიპლიპებული თიხის ჯამი.

სუფრას ათნი ვუსხედით. სიმღერაც კარგი ვიცოდით და ცეკვაც, საღლევრძელოები ხომ მძივებივით გვქონდა აწყობილ-ჩამოწყობილი. იუმორი კი იმდენი გვახასიათებდა, რომ აღბათ ათ სუფრას მაინც

ეყოფოდა. პო და, გახურდა ქეიფი, კაფია, სიმღერა, ცეკვა, ხუმრობა, ლექსი, სადღეგრძელო...

აივნიდან შემწვარ-მოხრაკულის სუნი შემოდიოდა, ღვინო დოქში არ ჩერდებოდა, არემარეს ახმიანებდა „მრავალუამიერი“, „დიამბეგო“, „ზამთარი“ და „...შავო მერცხალო“...

დადგა იმედებით სავსე ათასცხრაასორმოცდაცხრა წელი.

დღის იმ თან საათი იქნებოდა, როცა უფროსმა „აჭამ“ ბოლოში მოგვიხდა – წავალ, ცოტას წავიძინებ, თორემ თქვენ რა გავიძლებთო. მე მომმართა: „კლასის ორგანიზატორი შენა ხარ, მედღის ერთ-ერთი კანდიდატიც შენა ხარ, მამაშენის „აკადემიაც“ – გეტყობა რომ კარგად გაქვს გავლილი; მიდი და ჩემს მოსვლამდე ითამადეო“. თქვა ეს, გამოაშრო ერთი ჯამიც და მობოდიშებით გავიდა „წუთშეს-ვენებაზე“.

დავრჩით ცხრა მეცხრეკლასელი ათი კაცისთვის გაწყობილ სუფრასთან. თითქოს მეორე სუნთქვა მოგვივიდაო, აჭრიჭინდა იატაკის ფიცრები და მინებმა ატეხეს ზანზარი „ხევსურულის“, „ფერხულისა“, თუ „კინტაურის“ ცეკვით. ქეიფმა კულმინაციას მიაღწია, უკვე საჯღევრძელოების ლექსებად თქმზე ვიყვით გადასული, იმძლავრა სიმღერამ... ახლოვდებოდა განთიადი.

მათ, ვინც „აკადემია“ ჩანჩალით დაამთავრეს, ან ჯერ არ ჰქონდათ დამთავრებული, ვეღარ გაუძლეს „განსხვავებულ“ სასმისებს და რიგოგობით მიიძინეს გვერდით თახებში. სუფრას ორნი-და შემორჩით მე და თურაშაული ვაშლივით წითელლოფება და აცაბაცად მობრწყინვალე, შეზარხოშებულოვალებიანი უმცროსი „აჭა“.

საოცრად მიმზიდველი და მომხიბვლელი იყო ყველაფერი – ცამდე ატყორცინილი ჭერი, გაწეულ-გადაწეული კედლები, მაგიდა – ედემის ბალი, ფანჯრის მინებს შეხიზნული თოვლის ფანტელები და ოდნავ ღია ფანჯრიდან შემოპარული დილის გრილი სიოს დამათრობელი სურნელი. ფეხს იღვამდა ახალი წელი.

ის-ის იყო მომდევნო სადღეგრძელოსთვის მომზადებული ყანწი

დავუმიზნე ლოფებლაუღაუს და უფროსმა „აჭამაც“ მკვირცხლად შემოაბიჯა ოთახში და იქვე გაშეშდა განცვიფრებისგან: „ეს რა „ბრძოლა“ გადაგიხდიაო“ და თვალით მიმანიშნა აქეთ-იქით მიძინებულებზე. თურაშაულლოფებიანმა თავს უშველა და დამტოვა პირისპირ უფროს „აჭასთან“.

უცბად წასვლა უხერხული იქნებოდა და მე და უფროსმა „აჭამ“ მამაშვილურად ვისაუბრეთ ცოტა ხანს, მერე კი მოწიწებით მივმართე ოჯახის უფროსს: „ჩემი წასვლის დროა, უკვე თენდება, სახლში მელოდებიან-მეთქი“. ცხრა ჭიქა შევაესე „კახურად“, ვადღეგრძელე რვავე თანაკლასელი და უფროსი „აჭა“, მადლობა მოვიხადე გულითადი მასპინძლობისათვის და სახლში მივიპატიუე მეორე დღისათვის „აჭათა“ ოჯახი (მამაჩემისგან მქონდა მიღებული ეს საპატიო დავალება). თამადადყოფილი განცვიფრებული შეჰყურებდა ცხრა გამოცლილ და ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ ჭიქს, სათქმელს ეძებდა და ვერ პოულობდა. ბოლოს „დავაჟკაცება“ მომილოცა, შემაქო და ეზოს ჭიშკრამდე მიმაცილა.

შორს არ იყო ჩერი სახლი და მისვლა არ გამჭირვებია. პირიქით, სასიამოვნოც კი იყო სიარული: აღმოსავლეთით ცას მტრედისფერი დასდებოდა, ფეხებქვეშ უცნაურად ღრჭიალებდა ტენიანი თოვლი, ცივი ჰაერი შხუილ-შხუილით ასკდებოდა ღვინით გაუღენთილ ფილტვებს, სადღაც შორს ჰარმონიულად ყეფდა ერთგული ძაღლი. სახლში სინათლე ჯერ კიდევ ენთო.

მეორე დღეს „აჭები“ გვეწვივნენ რამდენიმე მეცხრეკლასელთან ერთად. მამაჩემმა პირველად მომანდო სუფრის თამადობა ჩვენს ოჯახში, თვითონ კი მწვადების შეწვას მიჰყო ხელი.

სანამ საახალწლო სუფრა ხორავით გადაიტვირთებოდა და სუფრას შემოუსხდებოდით, უფროსმა „აჭამ“, იქვე, ფანჯრის რაფაზე შეამჩნია სურათების საოჯახო ალბომი, გადმოილო, მუხლებზე დაიდო და გადაფურცლა.

ცოტა ხნის შემდეგ უფროსმა „აჭამ“, რაღაცის აღმოჩენით

აღტაცებულმა, ხმამაღლა წამოიძახა: „აი, თურმე სად არის ძაღლის თავი ჩამარხული, მართლაც რომ ტიკჭორა ყოფილაო“.

ალბომის გადაშლილ გვერდზე ჩემი სურათი იყო ჩაკრული – მთლიანად შიშველი ვზივარ დათვის ტყავზე გაგორებული ღვინის ტიკჭორაზე. მაშინ ერთი წლისა ვყოფილვარ.

„ტიკჭორა“ – იმ დღიდან მეცხრეკლასელებმა პირველად მომმართეს ზედმეტი სახელით.

1965 წ.

## თოვლი

ყველა პატარასავით, მეც გაგიჟებით მიყვარდა თოვლი. პირველი თოვლის მოსკოვა არნაზულ დღესასწაულად მესახებოდა. მერე იწყებოდა გუნდაობა, ციგაობა, თოვლში კოტრიალი, კისერში ჩაყრილი თოვლის ამბობერტეგვა, თოვლის პაპის აგორება, ცოცხისა და ძველი ქვაბის ან ველრის ძებნა, სველი ფეხების ბუხართა შეშრობა და ა.შ.

თოვლი ჩემთვის იყო ყველაფერზე უფრო სუფთა, თეთრი, სპეტაკი და ბრწყინვალე, საწოლზე უფრო რბილი და ფაფუკი.

მაგრამ ასე იყო მაშინ, ბავშვობისას. ახლა კი, თბაში თოვლმოძალებულს, ისე აღარ მიყვარს თოვლი, როგორც მაშინ, რადგან: მცივა მისი სიცივისგან, თვალს მჭრის მისი სითეთრე და სიბრწყინვალე და კიდევ იმიტომ, რომ კარგა ხანია მეშინია თოვლში წაქცევისა. თუმცა არის კიდევ ერთი რამ, რის გამოც თოვლს დღესაც მივესალმები – იგი ხომ, თუნდაც დროებით, მაგრამ მაინც ფარავს დვთის მიერ კურთხეულ დედამიწაზე უგუნური ადამიანების მიერ დანთხეულ სიბინძურეს.

2000 წ.

## ყოჩაღ, გივი!

ათასცხრაასორმოცდათექვსმეტი წლის ცხელი ზაფხული იდგა. თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ლენინგრადში წასასვლელად ემზადებოდნენ. ერთმა ახალი ფეხსაცმელი მოირგო, მეორემ ლამაზი კაბა შეიკრა; ყველას საღლესასწაულო სამზადისის განწყობილება შეჰქმნოდა. რაიონებიდან ჩამოსულმა სტუდენტებმა სოფლებს მიაშურეს და სურსათ-სანოვაგის თადარიგი დაიჭირეს. ჯეუფის ხელმძღვანელი მიშა კუკულამეც არ იყო უსაქმოდ: სამგზავრო ბილეთები „ტუდა-ობრატნ“, საცხოვრებლების დაჯავშნა, სასწავლო-საპრაქტიკო პროგრამების დახვეწა, მოგზაურობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა. იმ დროინდელ რუსეთში მაინცდამაინც კეთილი დამოკიდებულება არ სუფევდა ქართველების მიმართ სტალინ-ბერიას ირგვლივ ატეხილი ამბებისა და 9 მარტის მოვლენათა გამო.

ასე იყო, თუ ისე, დანიშნულ დროზე რკინიგზის პერონზე შეიკრიბნენ სახეგაბრწყინებულნი და იღუმალი მომავალი დღეების მოლოდინით აღსავსენ. ვეღარ იცნობდით, ისე იყენენ გალამაზებულ-გაკოხტავებულნი, თითქოს სასწავლებლად კი არ მიემგზავრებოდნენ, არამედ მოდების სადემონსტრაციოდ. მათში მხოლოდ გივი გამოიყერებოდა უფრეულად და უღიძლამოდ, თუმცა რაც საუკეთესო რამ ჰქონდა, ყველაფერი ტანზე ჰქონდა აჩონჩხილი და ნაწილიც გაცრეცილ ხელჩანთაში ჰქონდა ჩაწყობილი წიგნებსა და თეთრულ-თან ერთად.

გივი ხელმოკლე ოჯახიდან იყო და სისტემატურ სიძნეებს განიცდიდა. მორცხვი და ჩუმი იყო, ტანად ყველა თანაკურსელ ბიჭზე პატარა და ფრიად მორიდებული. გოგონებთან სიახლოვეს გაურბოდა, მათთან საუბრისას წითლდებოდა და უხერხულად ამორავებდა ხელებს. თბილისელმა გოგოებმა ხომ სულ გადარიეს და

თავბრუ დაახვიეს.

გივი მართლაც საპრალოდ გამოიყერებოდა აშოლტილ, მკრდა-დალ და ჩაულვაშებულ, მოდაზეგამოწყობილ ამხანაგ-მეგობრებთან შედარებით. იგი გრძნობდა მათ გარეგნულ უპირატესობას და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა. აი, ახლაც საღვურის პერონზე იდგა თავისთვის, განცალკევებულად, ჩუმად, თავდახრილი და და-მორცხვილი. სხვებს კი გაუდიოდათ ერთი გნიასი, იყო ხმამაღალი გადაძახილები, სიცილი და მხიარულება. ატეხილი იყო ჩემოდან-კალათებისა და მრავალფეროვანი ჩანთების გადალაგებ-გადმოლაგება, ერთმანეთის გამოცდა რუსულის ცოდნაში, ანცობრნენ, ენაკვიმატობდნენ და როხროხებდნენ.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა სერგო ქანთარია, რომელიც არ ეშვებოდა დავით დოლაშვილს: „ლენინგრადელი „ბლანდინკა“ რომ შეგიყვარდეს რუსულად როგორ აუხსნი სიყვა-რულსო“. მერე გულსუნდა შავვულიძეს მიუბრუნდა – „შენი ცისფერი თვალებით არ გადარიო რუსის ბიჭებიო“. სერგომ არც გივი დატოვა უყურადღებოდ: „თუ ამაღად ერთ თეორემას მაინც დაგვიმტკიცებ ზეპირად რეკომენდაციას მოგცემთ პროფესორ პოვხთან, რათა ლენინგრადის ასპირანტურაში დაგტოვონო“.

ამასობაში მატარებელიც ჩამოდგა და ატყდა ერთი უივილ-ხივილი. როგორც იქნა აზიდეს და დაალაგეს უამრავი ბარგი-ბარხანა, ოდნავ დაწყნარდნენ და დაშინინდნენ. მატარებლის გასვლის წინ კი რაღაც სევდა შეეპარათ გულში. ეს ალბათ იმით იყო გამო-წვეული, რომ მიშა კუკულაბის გარდა ყველა პირველად განიცდიდა საშმობლოს, თუნდაც დროებით, მიტოვების მნელადშესამჩნევ გავლენას.

იწივლა თუ იღმუვლა გამწერ და მატარებელი ნელი სვლით გაშორდა გამცილებელთა ხალხმრავალ ჯგუფებს.

გორს არ იყენენ მიღწეული, როცა ზურაბ ბოჭორიშვილმა ლამსზი ქართულით საშმობლოს სადღევრძელო შესთავაზა სახელდა-ხელოდ გაშლილ სუფრის გარშემო მსხდომთ და შინ კეთილად

დაბრუნება უსურვა.

მოსკოვში ჩავიდნენ და ლენინგრადის მატარებელში გადაბარგების თადარიგი განსაზღვრეს. ღამის გათენება მიშა კუკულაბის მიერ „აღმოჩენილ“ ერთ-ერთ საერთო ბინაში უწევდათ. საღამო ხანს ბიჭებმა რესტორანი მოინახულეს. იქიდან გამოსულებმა ერთ-ერთ საზოგადოებრივ ტუალეტში მრავალხმანი სიმღერა წამოიწყეს. ვიღაცამ შიფანერგასავით მიღიციელი გამოიძახა: „ომ, გრუზინი, ია ვამ ჰაგაჟუ“ – შეუღრინა ბიჭებს და მიღიცის განყოფილებაში წაიყვანა. გივი ვერ მიმხვდარიყო, რატომ უნდა დასჯილიყვნენ სიმღერისათვის. აკი არც დასაჯეს. დაწერეს, ხელი მოაწერინეს და გაუშევეს, თან მიაყოლეს – „სლედუშჩი რაზ პლოხო ბუდეტო“.

მეორე დიღლით უკვე ლენინგრადისკენ მიაქროლებდა მატარებელი ქართველ სტუდენტებს.

აუტანელი სიცხე იდგა. მატარებელი არც თუ ისე ჩქარა მიდიოდა, როგორც მოელოდნენ, ამასთან თითქმის ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვან სადგურში ჩერდებოდა. გოგო-ბიჭები ხტუნვა-ხტუნვით ეფინებოდნენ ბაქანს. ზოგი „მალასოლნი აგურეცს“ ეტანებოდა, ზოგი ლიმონათს. ერთნი ღვეზელს მიირთმევდნენ, მეორენი კი წყურვილს იკლავდნენ ონგანიდან მოწანწერა ნახევრადცივი, ჭაობი-დან ამოქაჩულ-გაფილტრული წყლით.

რომელიდაც სადგურში გივიმაც გაბედა ბაქანზე ჩასვლა, წყურვილმა შეაწუხა. იმ ადგილთან, სადაც ეწერა „პიტევაია ვოდა“ უკვე დიდი რიგი იდგა. გივიც ჭიქით ზელში ჩადგა რიგში. წყალი წვრილ ჭავლად მოედინებოდა ჩაუნგებულ და მრავალხელდებისაგან გაპოხილი ონგანიდან, რომელსაც გამხმარი თევზის სუნი ასდიოდა.

რიგი ნელა მიიწევდა წინ. გივის წყურვილი აწუხებდა და მაინც ცალი თვალი მატარებლისაკენ ეჭირა. როგორც იქნა დადგა გივის რიგიც და ის იყო ჭიქა უნდა შეეშვირა წყლისათვის, რომ მოხუცი ქალი მოვარდა ქლოშინით, ორ ხელისგულს შორის ჩაბლუვა

ონკანი, მერე გაჭირვებით და კრუსუნ-კრუსუნით დაიღუნა და ონკანი ხარბად მოირგო ტუჩებში.

— „პაჩემუ ბეზ ოჩერედი პუსკაეშო“, — შეუტიეს გივის მის უკან რიგში მდგომებმა და თვალების კარგვლით ემუქრებოდნენ. გივის სმა არ ამოუღია, ის კი უხაროდა, რომ ხანშიშესულ ადამიანს წყლის რიგი დაუთმო.

— „სასასია სინოკ“, — უთხრა ქალმა და გახუნებული ჩითის კაბის სახელოთი შეიმშრალა ტუჩები.

გივიმ ჭიქა მოიმარჯვა თუ არა, ახლა ყავარჯნებზე დაყრდნობილი ხეიბარი მიადგა ონკანს და ითხოვა წყალი. გივიმ თავისი ჭიქა გაუწოდა ნაომარ კაცს და შეფარული სინანულით უცქერდა მარცხენა ფეხის ადგილზე შეკეცილ შარვლის ტოტს.

— „ესლი ნე ხოჩეშ ვადი, უბირაისაო“, — მიაძახეს გივის შეწყობილი ხმებით, ჯიქურ მიაწვნენ და გამოისროლეს რიგიდან. იქვე ახლოს დადგა ხელებჩამოყრილი და გაოგნებული. ორმა პატარა ბიჭმა მიირბინა მასთან და ჭიქა ითხოვეს. ბავშვები გაშმაგებით დაეტაქნენ ონკანს. ატეხეს ერთი წივილ-კივილი და წუწაობა. წყალი ბევრიც დაღიეს და ბევრიც დააქციეს. გივი მონუსხულივით შეპყურებდა ბავშვებს და ხალხმრავალი რიგის ქოთქოთს. მერე წყლით სავსე ჭიქა შეაჩეჩეს ხელში და ყიუინ-ყიუინით გაეცალნენ იქაურობას. გივიმ მოიყედა ჭიქა და გაიხედა იქით, სადაც თავისი მატარებელი ეგულებოდა. შორს, მოსახვევში ძლიერ-და დალანდა მატარებლის ბოლო რონდა. დარჩა ასე მარტოდმარტო უცხო ხალხში, უცნობ ბაქაზე ცარიელი ჭიქით ხელში. ერთი კი გაიფიქრა, ეს რა დამემართაო, და ღონემიხდილი მიესვენა იქვემდგომ გრძელი სკამის კიდეზე. გონს რომ მოეგო, სადგურის უფროსი იკითხა და მუხლების კანკალით მიადგა მისი ოთახის კარებს.

დავთისნიერი ადამიანები ყველგან და ყოველთვის არსებობენ. მოუსმინეს, გუგებს, გადარეც-გადმირებას და დაპირდნენ, რომ შემდეგ მატარებელს გააყოლებდნენ. „იქ კი ლენინგრადში, შენ თვითონ

მოძებნე შენიანებიო“ — დაუყვავეს გივის.

უკვე საღმოვდებოდა, როცა გივიმ ლენინგრადის მიწაზე დაადგა ფეხი. კითხვა-კითხვით მიიღო საჭირო ცნობები, ჩაჯდა მითითებულ ტრამვაიში და გაემართა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისაგნ. დიდხანს იღრმიალა ტრამვაიმ. გივი ქუჩის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ათვალიერებდა, ქუჩების დასახელებას იმახსოვრებდა, თუმცა მაღლე ჩამობნელდა და წარწერების გარჩევაც გამნელდა.

გივის ვარაუდით მაღლე უნდა მისულიყო დანიშნულ ადგილზე, მაგრამ გამოაცხადეს, რომ ტრამვაი აქ გაჩერების იქით აღარ წავიდოდა, გზაზე სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო. ერთ-ერთმა მგზავრმა გივის მოკლე გზა ასწავლა. ეს ადგილი უკვე თითქმის ქალაქის გარეუბანი იყო და სახლებიც ისე აღარ იყო მიჯრილ-ჩამწკრივებული, როგორც ცენტრალურ ქუჩებზე. სამაგიეროდ ცამდე ატყორცნილი არყის ხეებს დაეფარათ იქაურობა. ქალაქი ზურგს უკან ფეთქავდა, წინ კი აქა-იქ უკვე ჩაერთოთ დამის ნათურები.

მოკლე გზა ტყეს მიჰყებოდა და გივიც სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ბილიკს. მაღლე სულ ჩამობნელდა, ბილიკიც დაიკარგა, წინ კი საიმედო არაფერი ჩანდა.

გივი შიშმა აიტანა. აქეთ-იქით აცეცებდა გაფართოებულ თვალებს. არც რაიმე სმა ისმოდა, არც რაიმე შენობა ჩანდა და არც იმედის მიმცემი ნათურის შუქი გამოსჭვიოდა საიდანმე. გივიმ შიშმი დაძლია და კვლავ ნაპოვნ ბილიკს ცუხცუხით გაპყვა. ხან საით გაექცა ფიქრი და ხან საით. ის მგზავრი გაახსენდა, მოკლე გზა რომ ასწავლა. განგებ ხომ არ გამომგზავნაო აქეთ. ახლა აღბათ წამომეწევა და გამძარცვავსო ან მოქლავსო. რა აღარ მოუკიდა თავში. ერთი ხანობა გადაწყვიტა ხეზე ასულიყო და ქამრით მიბმულიყო გათენებამდე. გადაიფიქრა. მერე გადაწყვიტა ეყვირა და ეყვირა, რაც მაღლა და ღონე ჰქონდა, მაგრამ კვლავ გადაიფიქრა — „მგლებს მოვიზიდავო“. სულმოუთქმელად მიმუნბუ-

ლებდა ნახევრადუჩინარ ბილიკზე და შერყეული იმედით გასცემოდა ბელ და ტყიან არემარეს: ან ეხლა გამოჩნდება, ან ეხლაო, ფიქრობდა გულში. და მართლაც წინ და ოდნავ მარჯვნივ გაკათვდა რაღაც სინათლე. წავიდა მისკენ, მიუახლოვდა. სიბრძეში გამოიკვეთა დაბალი, ერთსართულიანი შენობის მსგავსი რაღაც ნაგებობა. სინათლეც იქიდან გამოჰკრობდა. ახლოს მივიდა. საკუთარი გულის ბაგაბუგი მეაფილ ესმოდა. ფრთხილად დააკაკუნა კარზე.

— „კტო ტამ?“ — გაისმა ქალის ხმა.

გივიმ იფიქრა, გვარი და სახელი რომ უთხრა, ნეტავ რა უნდა გაიგოსო. დაბალი ხმით გამოეპასუხა „სვოიო“, ისე როგორც კინოფილმებში უნახავს და მოუსმენია.

კარები გააღო შუახნის, სანდომიანი გარეგნობის ქალბატონმა. მალე მათ შორის ისეთი გულთბილი და გაცხოველებული საუბარი გაიმართა, რომ დიდიხნის ნაცნობებსაც შეშურდებოდათ. გივი თავის გასაჭირო უყვებოდა, ქალბატონი ანასტასია ივანოვნა კი თავისას. მას მეუღლე ომში დაღუპვია, მერე მისი ოჯახისათვის სტალინელის იარღიყი მიუკერებიათ, სამსახურიდანაც დაუთხოვნიათ და ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე მდებარე ბინიდანაც გამოუსახლებიათ. შეიღები და რძლები აქეთ-იქით გაფანტულან, თვითონ კი ამ პატარა ქოხ-სახლში ჩასახლებულა ქალაქარეთ. უკვე სამი წელია თურმე აქ ცხოვრობს მარტოდ-მარტო, ადამიანს მონატრებული გივის სტუმრობამ ძალიან გაახარა და არსადაც აღარ გაუშვა. კარგად ავახშმა, ჩაიც მიართვა და გაქათქათებულ ლოგინში უკრა თავი.

— „ნი კუდა ნე ატჲუშჩუ დო უტრა“.

გივი გატრუნული იწვა ლოგინში, ვერ იძინებდა. ანასტასია ივანოვნას გაუკუდმართებულმა ცხოვრებამ გუნება წაუხდინა თავისი ახლანდელი ყოფაც აწუხებდა. ამზანაგებზეც ფიქრობდა: „ვინ იცის როგორ ნერვიულობენ ჩემი გაუჩინარების გამოო“ და ხვალინდელი შეხვედრის წარმოდგენას ცდილობდა. ბოლოს, დაღლილობამ თავისი გაიტანა და ტკბილად ჩაეძინა. გათენებამდე არც ისე დიდი დრო

რჩებოდა.

გივიმ რომ გაიღვიძა, მზე უკვე კარგა სიმაღლეზე იყო ასული. ჩამიჩუმი არ იძოდა, მხოლოდ გუგულის, თუ მისი მსგავსი ფრინველის, მონოტონური შემოძახილი აღწევდა ყურთასმენამდე, სადღაც შორიდან.

„ჭიდან ამოღებულ წყალს ვედრით ასხამდა წელსტევით გატიტვებულ გივის ანასტასია ივანოვნა, თან ღიმილით ეუბნებოდა „ნი უალე ვადი ი ცვეტოვ, ის უ მენია მნოვო“ და თითოთ მიანიშნა ეზოს სიღრმისაკენ. ასეთი ყვავილნარი გივის არ უნახავს არც ცხადში და არც სიზმარში. ეს მართლაც რომ სამოთხის ბაღნარი იყო. ათი-ხუთმეტი დასახელების, სახისა თუ ჯიშის ყვავილებით იყო გადაპენტილი მიწის არც თუ ისე დიდი ნაკვეთი. ბევრი მათგანი ჩემი გამოვანილიაო, სიამაყით ეუბნებოდა გივის საოცრად კეთილი სახის რუსი მანდილოსანი. „კიდევ კარგი ყვავილებით საარსებო სახსრების მოპოვებას არ მიკრძალავენ; ყვავილებით ვირჩენ თავს; მუდმივი მყიდველი ბევრი მყავს; ქორწილებშიც ბევრი მიაქვთ და სამთავრობო ბანკეტებზეც; ხანდახან მეც წავიღებ ხოლმე ბაზარში და თქვენანგზე იაფად ვყიდიო“ — ოდნავ გულჩათხრობილი უყვებოდა გაოცებისაგან პირდაღებულ გივის, რომელსაც ვერ წარმოედგინა თუ ჩრდილოეთში ასეთი ყვავილნარის გაშენება შეიძლებოდა.

სტუმარ-მასპინძლის განშორების წუთიც დადგა. ანასტასია ივანოვნამ დაანახა ოთხასიოდე მეტრის დაშორებული შენობები, რომელიც ოდნავ ჩანდნენ ტყის სიხშირის გამო.

— მარცხნივ ინსტიტუტის სასწავლო კორპუსებია, ცოტა იქთ ახალი საცხოვრებელი კვარტლები. აბა შენ იცი, მომიკითხე ამხანაგები, არ დამივიწყო, — მიეფერა გივის და დედაშვილურად გადაკოცნა.

გივიმ თავისი სახლის მისამართი დაუტოვა და მიიპატიუა სტუმრად — „ჩვენებს ძალიან გაუხარდებათ“.

ათიოდე წუთის შემდეგ გივი უკვე მეგობრების წრეში იდგა

და სხაპა-სხუპით ჰყვებოდა თავის მოკლე თავგადასავალს. ყველაზე მეტად მიშა კუკულაძე იყო გახარებული. მთელი ღამე არ სძინებია, ხან რომელ სადგურში რეკავდა და ხან მიღიცის რომელ განყოფილებაში. თეთრად გაათენა ლუნინგრადული თეთრი ღამე და მზოლოდ ახლა დამშვიდდა: „ფრთხილად იყავი, რუსეთი დიდია და კაცის პოვნა ძნელია“ – ეფერებოდა გივის.

დაიწყო პრაქტიკოსების ლენინგრადული ცხოვრიება. დილით ლაბორატორიული სამუშაოები, შემდეგ სადილი, მერე კინოთეატრები, ან მაღაზიები, საღამოს კი საერთო საცხოვრებლის ბუფეტში სარდელები, ძეხვისა და ყველის ბუტერბოლები, არაუანი, რძე, ფუნთუშები, ჩაი და ა.შ.

პირველი კვირა დღე გათენდა. გვიან გაიღვიძეს პრაქტიკანტებმა. გივის ოთახის ოთხეული კი არ აპირებდა წამოდგომას მანამ ნონა აქსიონოვამ და ლამარა კიქნაძემ წყალი არ გადაასხეს ლოგინებში. წუხანდელი პურმარილის ნარჩენები აუდაგებლად ეყარა მაგიდაზე. ცარიელი ბოთლებიც ბლომად ჩანდა სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის – ზოგი იმერეთის, ზოგი გურიის და ზოგიც კახეთის სხვადასხვა რაიონებიდან ლენინგრადში თავმოყრილი.

ოთახში ნუნუ დარჩიამ და ნუნუ აბაშმაძემ შეყვეს თავები და ბიჭებს სთხოვეს ეზოში გადაეხედათ.

საერთო ბინის წინ შშვენიერი სკვერი და გაზონები იყო მოწყობილი. სკამ-სავარძლებიც ბლომად იდგა. ცენტრში კი, ერთმანეთისგან ხუთიოდე მეტრის დაშორებით ორი ბიუსტი იდგა კვარცხლბეკზე, ერთნაირი სიმაღლისა და სიდიდის, ლუნინის და სტალინის. მღებავი მოსულიყო თავისი ხარა-ხურით და სტვენა-სტვენით მისდგომოდა ლუნინის ბიუსტს. (მუშაობის დროს სტვენა-სტვენით ერთმანეთს ძლიერ გვანან ყველა ქვეყნის მღებავები).

მღებავმა ჯერ გულდასმით ჩამოჟხიკა ძველი საღებავის შეხორცილი ნარჩენები, მერე რაღაცით გაფხიკ-გასუფთავა, შემდეგ ჯაგრით გაწმინდა და მშრალი ჩვარიც მიაშველა. უცბად ხმამაღლა

შესძახა „ეი, უხნემო“ და ვედრაში წინასწარ მომზადებული მოთეთრო საღებავი მსხვილი ჯაგრისით აუსვ-ჩაუსვა ცხვირპირზე დიდი რევოლუციის ბელადს. შემდეგ „ბელომორკანალი“ გაახრჩილა, სტვენა-სტვენით შემოუარა გარშემო ლენინის განახლბულ ბიუსტს, აკრიფა თავისი ხარა-ხურა და დაღლილი და ვალმოხდილი კაცის იერით გაემართა გასასვლელისაკენ.

– ერთი ამას დამისხვეთ, – წმონილპილდა სერგო ქანთარია, რომელიც აქამდე, სხვებთან ერთად ჩუმად ადევნებდა თვალს მღებავის ჩალიჩს, სწრაფად ჩაირბინა პირველ სართულზე და შიგ გასასვლელში მისწვდა სტვენა-სტვენით მიმავალ მღებავს. გაიმართა გაცხარებული კამათი და ხელების ქნევა. სიტყვების გარჩევა მნელდებოდა, მაგრამ ის კი კარგად ჩანდა, რომ სერგო ხელით ექაჩებოდა და სახლისკენ იწვევდა.

მღებავმა დერეფანში დააწყო თავისი ავლადიდება და მორცვად, თავდაღუნული შემოპყვა სერგოს ოთახში, სადაც ბიჭებს უკვე განეახლებინათ სუფრა.

...იმდენი ჭაჭა ასვეს მღებავს და იქამდე ასვეს, მანამ პირობა არ დაადებინეს, რომ სტალინის ბიუსტსაც ვერცხლისფრად შეღებავდა.

ადრე, დილით ბიჭების ოთახის კარებზე გაისმა მორიდებული კაკუნი. მღებავი მობოლიშებით შევიდა ოთახში და მაგიდაზე შემორჩენილი ბოთლებისკენ გაექცა თვალები. ბიჭებმა თითქმის ერთდღოულად გადაიხედეს ეზოში. ამომავალი მზის სხივებზე ვერცხლისფრად ბზინავდა სტალინის ბიუსტი, მღებავი კი ზურაბთან „ვახტანგურით“ მიირთმევდა თეთრ სითხეს.

გადიოდა დღეები. ყველაფერი თავისი გზით მიედინებოდა. გოგო-ბიჭებს არც სწავლა-შრომა აკლდათ და არც გართობა-დასვენება.

პრაქტიკანტები კარგა ხანია ამჩნევდნენ, რომ მათი ფანჯრების წინ, სკვერში, ყოველდღე, ერთიდაიგივე დროს მოდიოდა და ერთ-

ერთ სკამ-სავარძელზე ფანჯრებისკენ ზურგშექცევით ჯდებოდა მშვენიერი რესი ასული, მართლაც რომ „ჩრდილოეთის დედოფალი“. იგი წიგნს კითხულობდა და ვერ ხედავდა რა ხდებოდა მის ზურგს უკან, თუმცა გრძნობდა, რომ მას მისჩერებოდა რამდენიმე წყვილი კავკასიური თვალი. „ჩრდილოეთის დედოფალი“ დაახლოებით იმ დროს მოდიოდა, როდესაც პრაქტიკანტები ბრუნდებოდნენ სახლში. ერთი საათის განმავლობაში თავაუღებლად კითხულობდა წიგნს, ზუსტად დანიშნულ დროზე დგებოდა და მიდიოდა ისე, რომ ერთს არ გაიხედავდა გვერდზე.

ლამარა კინაძემ ერთ საღამოს ბიჭებს შეუტია:

— როდემდე უნდა იჯდეს ის „ბლანდინგა“ მარტო, რატომ ფურადღებას არ აქცევთ, რა შთაბეჭდილება დარჩება ქართველ ბიჭებზე. ვინც „გამოიჭერს“, ჩემგან ძვირფას საჩუქარს მიიღებსო. თურმე გოგოებს მოულაპარაკებიათ, მოდი ჩვენი ბიჭები „მიუსიოთ“ იმ გვდივით გოგოს, ვნახოთ რა მოხდება, საღამოობით კარგი გასართობი გვექნებაო. განსაკუთრებით კი გივის რეაგირება აინტერესებდათ და მოსალოდნელი გამხიარულების ეშნით წინასწარ ქილიკაობდნენ.

პირველად „წასვლის“ სურვილი გამოიტქვა ბიჭებს შორის ყველაზე უფრო მოხდენილმა და კოპტია გაიოზ ლეჟავამ, შოლტივით მოზიდულმა და ტანმაღალმა. მან რესული ენაც ბრწყინვალედ იცოდა და საკუთარი თავიც დიდ „ბაბნიკად“ მიაჩნდა. გაიოზმა მხრები შეათამაშა, სარკის წინ თმები შეისწორა და კარგებისკენ გაემართა სიტყვებით: „ნევის პროსპექტის გოგონები მტრედის გუნდივით უკან დამდევნება და ეგ ცხვირპაჭუა „ბლანდინგა“ რას გამიძლებს, ახლავე აქ მოგვრითო“.

ოცამდე პრაქტიკანტი გადაეცედა სკვერში გამავალ ფანჯრებში, რაღაც საინტერესოს მოღოლინში.

გაიოზმა ჩაირბინა კიბეები, გავიდა სკვერში და თავის თავში დაჯერებული, მტკიცე ნაბიჯებით მიუახლოვდა „ჩრდილოეთის დედოფალს“, ოდნავ წელში მოიხარა, რაღაც რევერანსის მსგავსი

მოხაზა, შავი ულვაშების შიგნიდან თეთრი კბილები გამოამზეურა და გამართული რესულით მიესალმა. „ბლანდინგა“ არც განძურულა, არც არავითარი რეაგირება არ მოუხდენა — განაგრძობდა წიგნის კითხვას, თუმცა მნელი არ არის იმის მიხვდერა, რომ იმწუთში ის ასოებს ვერ არჩევდა. გაიოზიმ იხტიბარი არ გაიტეხა და უფრო გააქტიურდა. რესის ასული, პროტესტის ნიშნად, ოდნავ შემოტრიალდა სკამზე, ისე, რომ თითქმის ზურგი შეაქცია „მომხდეულს“ და განაგრძო წიგნში ცქერა. ახლა კი ცოტა არ იყოს გუნება წაუხდა გაიოზს; თვალი შეავლო მეორე სართულის ღია ფანჯრებში გადმოყუდებულ მოსეირებს, წინ დაუდგა „ჩრდილოეთის დედოფალს“ და მუდარით მიმართა: „ძალიან გთხოვ, შემომხედე, მომისმინე და მერე რაც გინდა მიყავიო“. გოგონამ მკვეთრი მოძრაობით დახურა წიგნი, ასევე მკვეთრი მოძრაობით წამოხტა სკამიდან და სწრაფი ნაბიჯებით გაემართა საცხოვრებელი კვარტალებისაკენ.

გაწბილებული და გაოგნებული გაიოზი გაშეშებულივით იდგა ერთ ადგილზე, მერე თავი გადააქნია და დამორცხვილი წავიდა შინისკნ. ზემოდან კი სიცილ-ხარხარი მოისმოდა: „ოი, შე სლაბოო“.

მომდევნო საღამოს „ჩრდილოეთის დედოფალის“ გამოჭერის სურვილი არავის არ გასჩენია. ლამარა კინაძემ კენჭი ყარა. სერგო ქანთარიამ ბურდღუნ-ბურდღუნით დაიწყო „ჩოხა-ახალუხის“ სწორება. ხელის ქნევით წავიდა „გამოსაჭერად“ ძვირფასი საჩუქრის მიღების იმედით და რაღაცნაირი სპორტული უინით აღსავსე. ახლა ფანჯრებს, ჩვენთვის უკვე ნაცნობი პრაქტიკანტების გარდა, მიაწყინენ რესეთის თუ სხვა რესპუბლიკების სასწავლებლებიდან ჩამოსული და ზედა სართულებზე მცხოვრები სტუდენტ-პრაქტიკოსთა სხვადასხვა ჯგუფები. იწყებოდა „სპექტაკლის“ მეორე მოქმედება. მთავარ როლებში გამოდიოდნენ „ჩრდილოეთის დედოფალი“ და სერგო ქანთარია.

სერგო რაღაცნაირი შიშნარევი ნაბიჯებით მიუახლოვდა სკამ-სავარძელზე მჯდომ წიგნიან გოგონას; რაღაცის თქმა დააპირა,

მაგრამ ენა დაება; წინასწარ მოფიქრებულ-მოზომილი სათქმელი გადაავიწყდა, ოღავ შეყოვნდა და ისლა მოახერხა ეკითხა, რომელი საათიაო „ჩრდილოეთის დედოფალს“ თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი გაეგოს, თვალი არ მოუშორებდა წიგნისთვის. სერგომ ეხლადა შეამჩნია, რომ „ბლანდინკას“ საათი არ ეკეთა და უფრო დაიბნა. შემდევ გადაწყვიტა ჯიქურ ემოქმედა. მოწყვეტით მიუკვდა გოგოს საქმიოდ ახლოს, გაშალა ორივე ხელი და წარმოსთქვა: „კაკოი ხაროში ვეჩერ“.

„ბლანდინკაშ“ სწრაფი მოძრაობით დაკეცა წიგნი და აჩქარებით გაშორდა იქაურობას ისე, რომ სერგოსთვის ზედაც არ შეუხედავს.

— არიქა, სერგო, არ გაუშვა, ხელი სტაცე, — გადმოსძახეს ზემოდან, სადაც უკვე ერთი სიცილ-ხარხარი იყო ატეხილი. სერგო კი სარივით იდგა ერთ ადგილზე და არ იცოდა რა მოემოქმედა.

გივი უკმაყოფილოდ ადევნებდა თვალყურს მიმდინარე მოვლენებს და მაინცდამანც არ ებიტავებოდა ასეთი „სპორტი“, თან ფიქრობდა ჩქარა ჩემი რიგიც მოვაო და იმ დღიდან დაწყებული გვიან ლამით ბრუნდებოდა სახლში.

რადგნიმე დღეში „ბლანდინკას“, „გამოჭერის“ საგთხში თავი-ანთი ბედი გამოსცადეს ზურაბიმ, დავითმა და სხვებმა. ამოიწურა ბიჭების მარავი, „ჩრდილოეთის დედოფალი“ კი ჯერ კიდევ „გამოსაჭერი“ რჩებოდა.

გვიან დამემდე ბჭობდნენ ბიჭები, „გამოსავალს“ ეძებდნენ. გოგოები ხომ, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთს უსხამდნენ. „ვაი, თქვე დედლები, სირცხვილით თბილისში როგორ უნდა ჩახვიდეთო“.

გაიოზმა იწყინა მწარე გაკილვა და გაეპასუხა:

— ჯერ არ ამოგვიწურავს ყველა რეზერვიონ“ — და ცალი თვალით გადახედა ქუთხები ჩუმადმჯდომ გივის, რომლის არსებობაც რაღაცნაირად მიევიწყებინათ. გივი ჯერ გაწითლდა, მერე კი ჩაიდუღება:

— მე თავი გამანებეთ, მაგ „საქმისა“ არაფერი გამეგება და არც

სურვილი გამაჩნია.

— როგორ თუ თავი დაგანებოთ, შენი სურვილი აქ რა მოსატანია, სირცხვილისაგან უნდა გვიხსნა, — შეევედრნენ ბიჭები.

— რაც იქნება, იქნება; წახვალ „გამოჭერაზე“, ან ჰო, ან არა და მოვრჩეთ და დავისვენოთო.

აქტიურობდნენ გოგოებიც, განსაკუთრებით ლამარა და ნონა. მხოლოდ ნანული ლეკაშვილს ეჭირა თავი მშვიდად. მას არ მოსწონდა „თამაში“ და გულში თანაუგრძნობდა გივის.

კვირა დღე თენდებოდა. გივის მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, რა ექნა არ იცოდა. სახლიდან ჩუმად გაპარვა და გვიან დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ გათენდა თუ არა ბიჭებმა მორიგეობა დაუწესეს, არსად არ „აგვეთესოსო“. მთელი დღე ტანჯვეში გაატარა გივიმ. ერთმა თავისი გაქათქათებული პერანგი შემოუტანა, მეორემ მოდური პალსტუხი. ზურაბიმ ახალი „მოკასინები“ შესთავაზა, გაიოზმა კი მაკრატელს აჩხავუნებდა — „კისერზე თმა უნდა შევუსწორო“.

გივი გიუივით ეხეთქებოდა აქეთ-იქით და გაპყვიროდა: „თავი დამანებეთ, მომშორდით თქვენცა და თქვენი „ბლანდინკაცო“ და კარებისკენ გაიქაჩა, მაგრამ ხელი სტაცეს და არ გაუშვეს.

ოთახში ელა პარტნოვამ შეიხედა და შესძახა:

— მოდის, მოდის.

„ის“ მოდიოდა და კი არ მოდიოდა — მონარნარებდა, როგორც წყნარი „დონი“, ნიავი უფართატებდა ოქროსფერ თმებს, თავი მაღლა ეჭირა და „თავისი“ სკმისკენ მიიწევდა. ახალი კაბა განსაკუთრებით უხდებოდა და ალამაზებდა მის ისედაც სანთელივით ჩამოქნილ ტანს. მონარნარებდა „ჩრდილოეთის დედოფალი“ და თითქოს თან მოსდევდა დასავლეთისკენ გადახრილი მზის სხივები. რუსის ასულმა შეუმჩნევლად გააპარა თვალი მეორე სართულის ღია ფანჯრებისკენ და ოდნავ ჩაეღიან. თავაწული, ასეყო და მოშინებულები, ტანაშილტოდი და თავდაჯერებული მინარნარდა და ჩამოვდა ჩვეულ სკამზე. ეტყო-

ბოდა, რომ გამოწვევა მიეღო და საბოლოო „გამარჯვებაზე“ ფიქრობდა. რა იცოდა ცისფერთვალებამ, რომ საბოლოო „გამარჯვებამდე“ მხოლოდ გივი-და იყო დარჩენილი, რომელიც შეიძლება არც კი მისულიყო „გამოჭრაზე“.

მეორე სართულის ერთერთი ოთახიდან ჯაჯლანის ხმა გამოდიოდა. ვერა და ვერ დაიყოლიეს გივი. ბოლოს უთხრეს: „თუ შენი ნებით არ წახვალ, ხელში აგიყვანთ და ის გოგოს გვერდზე დაგსვამთ, მერე რაც გინდა ის ქენი“.

— არა! — მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე გივი.

მაშინ ბიჭებმა დაავლეს ხელი, მაღლა აიტაცეს და კარგბისკენ გააქანეს. გივი მიხვდა, რომ საქმე უფრო სამარცხვინოდ შეიძლება დამთავრებულიყო და „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“, — კარგი, კარგი, გამიშვით ხელი, დამიშვით დაბლა და წადით თქვენს სათვალთვალო ფანჯრებში. იყოს ნება თქვენი, რაკი ასე ძალუმად გწადიათ ჩემი დამცირება და გაშაყირება, ოლონდ ცოტა მაცალეთ, ძალა და გონება მოვიკრიბო“.

— რაღა უნდა გაცალოთ, ორი კვირაა ემზადები, რა, არ იცოდი რომ შენი რიგიც მოვიდოდა? ესეც რომ არ იყოს, ის გოგო „თავის დროზე“ ადგება და წავა.

აბა ჩქარაო და ხელი უბიძგეს კიბისკენ, თვითონ კი ფანჯრებს ეცნენ. გივი კი გახევებული იდგა და მხოლოდ იმას ნატრობდა: „სკვერში რომ გავალ, ნეტავ „ბლანდინკა“ უკვე წასული იყოსო“.

რამდენიმე ათეული წყვილი თვალი ზვერავდა ზურგითმჯდარ, ახალ კაბაში გამოწყობილ რუსის ასულს და მის ახლო-მახლო მისასვლელებს. გავიდა ხუთი, ათი წუთი, გივი კი არ ჩანდა.

— არიქა, ბიჭებო! წავიდეთ ერთი ვნახოთ კიბეზე ხომ არ ჩაეძინა.

ბევრი ეძებეს, მაგრამ გივის კვალიც კი ვერ აღმოაჩინეს. შეწუხდნენ: „თავს არაფერი დამართოს, ხომ იცით როგორი ამაყია“. მეორენი კი გაიძახოდნენ: „ნუ ნაღვლობთ, ეს მისი მორიგი, დათესვაა“, დაღამდება და გამოჩნდებაო“. ასე იყო თუ ისე, ატყდა ჩოქოლი,

ოთახებს შორის მისვლა-მოსვლა.

— კარგით, დამშვიდდით, — კატეგორიული ტონით განაცხადა ლამარამ, — „სტრუსილ ი ვსიო“.

ამასობაში კი სირბილით დაღლილი და აქლოშინებული გივი დედასავით ეხვეოდა და ჰქოცნიდა ანასტასია ივანოვნას: „დამიხსენი გასაჭირისგან, ყვავილების ლამაზი თაიგული მჭირდებაო“.

მხელა თაიგული შეპკრეს, რომ გივი მის უკან აღარც კი ჩანდა.

— „ნე ზაბივაი, ზახადი“, — მაძახა სიხარულისგან მეშვიდე ცაზე ასულ გივის, რომელსაც თაიგულის სიმძიმისაგან და სურნელისაგან ლამის მუხლები ეკეცებოდა. გაყოლა თვალი ტყეში უკვე ღრმად წასულ გივის და თავისთვის ჩაილაპარაკა — „კ სჩასტიუ“.

გივიმ უმატა სირბილს, თან ფიქრი აწუხებდა: „ნეტავი იქ დამხვდეს, ნეტავი მივუსწროო“.

„ბრძოლის ასპარეზზე“ კი დაძაბულობა მატულობდა. ეს დაძაბულობა ეტყობა „ბრდილოეთის დედოფალსაც“ გადაედო, რაღაც მოუსვენრობა შეეპარა, რამდენჯერმე შეუმჩნევლად უკანაც კი მიიჩედა. ელოდა მომავალ „გამომჭერს“, მაგრამ იგი არ ჩანდა. რატომრაც გული დასწყდა, იფიქრა: ძალიან ცივი და მიუკარებელი ვიყავი ალბათ იმ ბიჭებისათვის“. წიგნს ხან დახურავდა, ხან გადაშლიდა; რამდენიმე დღეა წიგნი ერთ ადგილზე ჰქონდა ჩაკეცილი. მერე ახალი კაბის კალთის ბოლო მოიგდო თითებში და ნერვიულად დაუწყო სრესა. წასვლის დრო ახლოვდებოდა.

მეორე სართულზე ვიღაცამ ხმამაღლა შესძახა:

— გამოჩნდა, გამოჩნდა!

უცბად ახმაურდნენ, იმედისმომცემი შეძანილებიც გაისმა, ვიღაცამ ტაშიც კი შემოპკრა.

„ჩრდილოეთის დედოფალმა“ გუმანით იგრძნო, რომ რაღაც „სასიკეთო“ ცვლილება მოხდა შექმნილ ვითარებაში. კაბის ბოლოს ხელი უშვა, ოდნავ ათრთოლებული თითებით წიგნი გადაშალა და მწყერივით გაინაბა.

რამდენიმე წამიც და „ჩრდილოეთის დედოფლის“ წინ აღიმართა მრავალფეროვანი ყვავილების გვებერთელა თაიგული. გოგონას გულმა აჩქარებით დაუწეო ძერა. სან მარჯვნივ გადაწია თავი, სან მარცხნივ, მაგრამ თაიგულის მიმრთმევი ვერ დაინახა. მერე თაიგულს ჩაავლო ბროლის ნატიფი თითები და გვერდზე გასწია, გივიც გადაიწია თაიგულისკენ. „ბლანდინკამ“ საოცრად ალერსიანი და თხოვნაშერუელი კოლოთი მიმართა თაიგულს ამოფარებულ ჯერ კიდევ საიდუმლო „გამომჭერს“ – „პაკაჟისო“.

– „პრიმიტე ცვეტი ი პაკაჟუს“, – უპასუხა შეთამამებულმა გივიმ.

გოგონამ ჩამოართვა თაიგული, შეანათა მოშნუსხველი ცისფერი თვალები და უთხრა: „სადის რიადომ“.

გივის თვითონაც უკვირდა, საიდან მიეცა ამდენი „გამბედაობა“ და თამამად და მოხერხებულად მიუჯდა გვერდით. ერთი სული პქონდა, მეორე სართულისკენ გაეხდა, მაგრამ თავს იკავებდა. იქ კი, მეორე სართულის ღია ფარგლებში მონუსხულივით განბულიყვნენ „ასპარეზის“ მაცქერალნი.

– „ტი ტოუე იზ ტეხ?“ – შეეკითხა გოგონა და თავი მეორე სართულისკენ გადააქნია.

– „და“, – უპასუხა გივიმ.

– „ჩტო ტო, ტი ნა ნიხ ნე პოხოუ“.

– „პატამუ, ჩტო უ ნას რაზნიე ატცი“, – გახალისდა გივი.

ასეთმა პასუხმა გოგონა აღტაცებაში მოიყვანა და გულიანად გადაიკისკისა. მეორე სართულზე ეს კისკისი გივის მომავალი „გამარჯვების“ საწინდრად მიიღეს და ოვაცია დასცხეს „ბრავო გივის“ ახილით.

– ახლა, შენ რაც გინდა, მე კარგად ვიცი, – ატიკტიკდა ოქსანა (ასე ერქვა „ჩრდილოეთის დედოფლალს“) – შენ გინდა, რომ ავდგეთ და ხელკავით წამიყვანო და თვალს მიმაფარო, ხომ ასეა?

– კი, ასეა, – უპასუხა გივიმ და სხეულში რაღაც სითბომ ჩაურბინა. ხელი გაუწოდა, წამოაყენა, ცალ ხელში თაიგული დაიჭირა

(სიმბიმეს ვეღარ გრძნობდა), მეორე ხელით კი ხელკავი გაუყარა ოქსანას და იქაურობას გააცილა. უკან მოხედვაზე არც უფიქრია.

მეორე სართულზე ატყდა ერთი ორომტრიალი. ერთმანეთს ულოცავდნენ გივის „გამარჯვებას“. ლამარა კინაძემ ხმამალდა გამოაცხადა: „სანამ გივი საჩუქარს მიიღებდეს, მოდით ჩვენებური სუფრა გავშალოთ და ღირსეულად შევხვდეთ „გამარჯვებულს“. დაიწყეს სუფრის გაწყობა, აბა რა იცოდნენ, რომ „გამარჯვებულს“ დილამდის ვერ იხილავდნენ.

ოქსანამ და გივიმ სეირნობითა და ტკბილალერსიანი საუბრით გაიარეს რამდენიმე ჭურა და ბალი, მერე ერთ დიდ ხიდზეც გადავიდნენ და უზარმაზარი ქალაქის მეორე ნახევარში აღმოჩნდნენ. ოქსანა შეუჩერებლად ტიკტიკებდა და სიამოვნებით უყვებოდა მუზუმების, ტაძრების თუ სხვა ისტორიული ადგილების შესახებ. გაიხსენეს ქალაქის ბლოკადის ამბებიც. გივი და ოქსანა რაღაცნაირად სწრაფად დაახლოვდნენ და გაშინაურდნენ. გივი რამდენჯერმე ხელკავიდან „წელკავზე“ გადავიდა, მაგრამ გოგონას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ის დიდი ხიდი ახსნილი იყო და გათენებამდე სახლში დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ოქსანამ განმარტა, რომ ხიდების ჩამოშვებამდე ოთხი-ხუთი საათი კი-დევ იქნებოდა დარჩენილი და შესთავაზია გივის ესარგებლათ თეთრი ღამით და დაეთვალიერებინათ ქალაქის ულამაზესი კვარტალები, ბაღ-სკვერები, ძეგლები და სხვა არქიტექტურული ნაგებობები.

სიარულით რომ დაიღალნენ, მწვნედ აბიბინებულ სკვერში სავარებელზე ჩამოსხდნენ.

იმ თეთრ ღამეს გივის მიეცა შესაძლებლობა ძალიან ახლოს გასცნობოდა „ლენინგრადულ ღირსეული შესანიშნაობებს“.

## „კრასნი კოლა“, და „სამი მუშკეტერი“

კვლევითი ინსტიტუტის გადაღმა, ყოფილი პურკომბინატის გვერდზე იყო პატარა სასაუზმე თუ სასადილო. ამ სასადილოს თუ სასაუზმეს თავისი ნომერიცა ჰქონდა და უწყებრივი დაქვემდებარებაც, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხილმე, ხალხმა ეს ობიექტი, მისი შეფის საპატივცემულოდ, „კრასნი კოლას დუქნად“ მონათლა.

რითო იყო ეს დუქნანი ღირსშესანიშნავი? პირველ რიგში იმით, რომ კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ხალხს. კიდევ იმით, რომ გემრიელი კერძები მზადდებოდა ამ დუქნაში და მესვეურებიც თბილი და გულიანი მასპინძლობით იყვნენ ცნობილი. არავის სმენია, რომ ნიკოლოზ ალავერდაშვილის დუქნაში ვინმე „გაეფცევნათ“.

განსაკუთრებული გულისხმიერებით „კრასნი კოლა“ კვლევითი ინსტიტუტის ბიჭებს გევარებოდა. მან კარგად იცოდა, რომ ჩვენი პატარა ხელფასის მეტი არაფერი გაგვაჩნდა და შეძლებისდაგვარად მხარში გვედგა. ჩვენც თვეში ორჯერ მოვინაზულებდით ხილმე მაღლიან დუქნას – აგანსისა და ხელფასის დღეებში და ისიც მოკრძალებულად: თითო მწვადი, თითო ბოთლი ღვინო, მორჩა და გათავდა. არც აყალმაყალი გვეხერხებოდა და არც ბილწისტყვაობა.

როცა კლიენტების შემოსვლა შეწყდებოდა, „კრასნი კოლა“ შიგნიდან ჩაკეტავდა კარებს, მოიტანდა რამდენიმე ბოთლ ღვინოს, გემრიელ საჭმელსაც მოაყოლებდა და ჩვენს სუფრას შემოუერთდებოდა ხილმე, ამასთან მორიდებულად დასძენდა – ეს ჩემგან მოერთვას თქვენ მაგიდასო. კარები შიგნიდან ჩაიკეტა და გაჩაღდა სავაჟიშვილე სუფრას.

ასე ორდეობით გადიოდა თვეები, წლები.

...მძღვეს, სამუშაოს დამთავრებამდე ერთი საათით ადრე შევცვივდით „კრასნი კოლას“ დუქნაში ახმაურებული სიხარულით. „კრასნი კოლამ“ ცოტა გაკვირვებით შემოგვევდა და ეს გასაგები იყო – ეს დღე არ იყო არც აგანსისა და არც ხელფასის დღე. „კრასნი

კოლას“ გაოცება რომ გაგვეფანტა, სასწრაფოდ განვუმარტეთ შექმნილი ვითარება. ვუთხარით, რომ მიტო კევლიშვილის ოჯახში გაჩნდა ვაჟიშვილი და მოდი ყურები ერთად ავუწიოთო.

გაიხარა და მოილხინა „კრასნი კოლამ“. სულ მალე დუქანი შიგნიდან ჩაიკეტა და გვიან ღამემდე, ვულოცავდით და ვეხვეოდით ერთმანეთს. ეს პირველი ვაჟი იყო „გერმანული ანგარიშის“ მოყვარულ ბიჭებში. იდგა 1968 წლის ოქტომბერი. ხელფასამდე ჯერ შორს იყო.

მეორე დღეს სამსახურში ერთხელ კიდევ ავუწიეთ ყურები მიტოს, სხვების დასანახად. არ ჩანდა ანზორ გასიტაშვილი. იგი სამუშაოზე შესვენების შემდეგ გამოცხადდა და კი არ შემოვიდა ლაბორატორიაში, შემოგრიალდა ხმაურით და ზარ-ზეიმით. მომილოცეთ, ოჯახში ბიჭი შეგვებინაო. სიხარულმა აგვიტაცა ყველა. ანზორი ისევ სადღაც გაქრა, წასვლის წინ კი გაგვაფრთხილა: სამუშაოს შემდეგ „კრასნი კოლას“ დუქნანთან მოდითო.

„კრასნი კოლა“ ჩვეულებრივი სითბოთი და მოფერებით შეგვხდა, მაგრამ თვალების გამომტყველებაში ემჩნეოდა, რომ ვერ მიშვდარიყო რა ხდებოდა. როდესაც ვუთხარით, დღეს ანზორის უნდა ავუწიოთ ყურები, აღტაცებით შემოჰკრა ტაში, ჩააფრინდა მას და გულით მიულოცა ბედნიერება. „კრასნი კოლა“ მალე შემოუერთდა ჩვენ სუფრას ტრადიციადქცეული გამოთქმით – ეს ჩემგან მოერთვას თქვენ მაგიდასო. კარები შიგნიდან ჩაიკეტა და გაჩაღდა სავაჟიშვილე სუფრას.

ამჯერად პურმარილი მამლების ყივილამდე გაგრძელდა. სახლის კარები ის-ის იყო შევაღე, რომ აწკრიალდა ტელეფონის ზარი.

– ვახტანგი ხარ?

– დიახ.

– ბიჭია, ბიჭიო! – შემომძახა მნე ქალმა სამშობიარო სახლიდან.

„კრასნი კოლას“ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა – „ახლა არ მითხრათ, კიდევ ვაჟიშვილი შეგვებინაო“. სწორედ რომ ასეაო,

ვუპასუხეთ ჩვენ. ვისიაო იკითხა და თან რაღაც ეჭვით გვიცქეროდა – ხომ არ მემასხრებიანო. როცა გაიგო, რომ ახლა ჩემ ოჯახში გაჩნდა ვაჟი, მოზღვავებული სიხარულით მეშვიდე ცაზე გადაინაცვლა, მაგრამ არც მიწიერი საქმე დაავიწყდა. დუქნის კარები სასწრაფოდ ჩაკეტა შიგნიდან, დაფაცურდა და თავისთვის ხმადაბლა ხშირ-ხშირად გაიძახოდა – „ღმერთმა გამრავლოთ, ღმერთმა გამრავლოთ“. ბოლოს თითო შემართა დუქნის დაბალი ჭერისკენ და დამაჯერებული ხმით გვაუწყა:

- დღევანდელი სუფრის მასპინძელი მე ვარ!
- ხელფასამდე ჯერ შორს იყო.

## სიგარეტის ღერი

სახლიდან გამოსულმა გოგიმ ბოლო სიგარეტს მოუკიდა, ცარიელი კოლოფი მოჭმუჭნა და იქნებომ სანაგვე ჭუთში ისროლა, კალათბურთელის მოძრაობით.

სამუშაოს დაწყებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო და აუქარებელი ნაბიჯებით გაუყვა, ორდღიანი წვიმების შემდეგ გუბეებით მოფენილ, ფართო და უსწორმასწორო მოასფალტებულ გზას.

მზიანი დიღა იდგა და სველ ასფალტს აქა-იქ ორთქლი ასდიოდა. მიხევულ-მოხვეული გზებით გასწია ქარხნისაკენ.

ასეთი მარმრუტით დიდი ხანია არ უსარგებლია და ახლა გარშემო ბევრი რამ ეუცხოვა: აეშენებინათ ახალი სახლები, გზები მოეპირკეთებინათ, ერთ-ერთ პატარა გზაჯვარედინზე შუქნიშნები დაუდგამთ და სხვა. ყველაზე მეტად კი თვალში მოხვდა სავაჭრო პატარ-პატარა ჯიხურების სიმრავლე, რომლებიც ჯერ-ჯერობით დაკეტილი იყო. მხოლოდ ერთ ჯიხურთან ფუსფუსებდა საშინაო

ტანსაცმელში გამოწყობილი და ქოშებში შიშველფეხებგაყოფილი სანდომიანი შეხედულების ქალბატონი.

გოგის გაახსენდა, რომ სიგარეტი გაუთავდა და ჯიხურთან შეჩერდა. ქალბატონმა ფული გამოართვა და ერთი კოლოფი სიგარეტი მიაწოდა. გოგიმ შეამჩნია, რომ კოლოფს აღარ ჰქონდა გამჭვირვალე გარსაცმი, გაიფიქრა: „აღბათ კოლოფი გახსნილია და სიგარეტიც აკლდება“.

გოგის ერთი განსაკუთრებული, თანდაყოლილი უნარი გააჩნდა – თვალის ერთი გადავლებით დაესახელებინა საკმაოდ დიდი რაოდენობის რამე საგნების ზუსტი რიცხვი, მაგალითად: დომინოს სათამაშო კოჭებზე აღნიშნულ რიცხვთა ჯამი, ცაშიმფრინავი მტრედების ან მავთულებზე ჩამოსკუპებული ჩიტების რაოდენობა, საჯარიმო მოედანზე ფეხბურთელთა რიცხვი და ა.შ. ყოველივე ამას იგი აკეთებდა უბრალოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვალის ერთი გადავლებით. იგი საგნებს არც თითებით თვლიდა და არც ერთი-ორის თქმით. შეხედავდა და მორჩა – დაასახელებდა ზუსტ რაოდენობას, რითაც განცვიფრებაში მოპყავდა ნაცნობ-უცნობი.

აა, ახლაც, გახსნა (ალბათ ერთხელ უკვე გახსნილი) კოლოფი და უცბად, დათვლის გარეშე, შეამჩნია, დაია შეამჩნია, რომ კოლოფში იყო სიგარეტის ცხრამეტი ღერი. ერთი ღერი აკლდა.

გაბრაზდა, თავი მოტყუებულად და შეურაცყოფილად იგრძნო. ვერ იტანდა ადამიანების თაღლითობას და უსინდისობას. ამგვარ საკითხებზე ხშირად ჰქონია კამათი ვაიგამყიდველებთან და ვერ წარმოდგინა ადამიანების ამგვარი სულდაცემულობა. განა რა უღირს ადამიანს ერთი ღერი სიგარეტი, რომ საიმისოდ სინდისი წაწყმიდოს და პატიოსნება გაყიდოს?! სულ ერთი ღერი სიგარეტი!

გოგის (და აღბათ სიგარეტის ყველა მწეველს) რამდენჯერ გაუწვდია კოლოფთა ჯგუფისათვის და არასდროს უფიქრია იმაზე, თუ რამდენი სიგარეტი დააკლდებოდა საწყის რაოდენობას. „არა, უნდა მივტრიალდე და რიგიანად გამოვლანბლო ის, ერთი

შეხედვით, სანდომიანი ქალბატონი“.

— როგორ კადრულობთ ქალბატონო ასეთ უმსგავსობას, —  
შეუტია გოგიძ.

— რა დაგემართა და რას მიყვირი შე კაი კაცო, ერთი ღერი  
სიგარეტის დაკლებამ ასე უნდა გაგანერვიულოსო, — მიაძახა  
ქალბატონმა და ახალი კოლოფი დაუდო წინ.

გოგი მაღევე მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა შემდგომ კამათს,  
დაავლო ხელი კოლოფს და გამწარებული თავის გზას გაუდგა.  
იქვე ახლოს გაჩერებული „ვოლგის“ ჩამოწეული ფანჯრიდან ვიღაცამ  
გამოსძახა: „ბიძა, თუ გაქვს სიგარეტი, მომაწევინეო“ და ეტყობოდა,  
რომ მანქანიდან გამოსვლაც კი ეზარებოდა. გოგი შეჩერდა, ჯიბიდან  
დასანახად ამოიღო კოლოფი, გახსნა და დაულოდა. როგორც იქნა  
იკადრა სიგარეტის მთხოვნელმა მანქანიდან გადმოსვლა.

ზღაზვნით წამოვიდა მაღალი, გამხდარი აღნაგობის, წელში  
ოდნავ მოხრილი, გუგებდასიებული ახალგაზრდა. მოუახლოვდა გოგის  
და აკანკალებული წვრილი თითებით დაუწყო ჯაჯგური სიგარეტების  
შეკვრას. ორი ღერი სიგარეტი იქვე ჩაუვარდა ნაწიმიარ გუბეში,  
ერთი ცალი პირში გაირჭო და ჯიბებში ხელების ფათურით  
გასწია მანქანისკენ ისე, რომ მადლობის თქმაც კი არ გახსნებია.

## ჩინური შარვალი

სამოციანი წლების დასაწყისში ხშირად ვიმყოფებოდი სამსახუ-  
რებრივი მივლინებით, ლანჩჩუთის ჩაის ფაბრიკაში.

გორის მეცნიერ-მუშაქთა ბრიგადის შემადგენლობაში, ხშირად  
მთელი სეზონის განმალვობაში მიწევდა მუშაობა — დიდი საქმეები  
კეთდებოდა.

შაბათს ან კვირა დღეს მივდიოდით დასასვენებლად და გასართო-  
ბად ქიბულეთში ან ბათუმში და მთელ დღეს პლაზზე ვატარებდით.  
საღამოთი კი მატარებლით ვბრუნდებოდით ლანჩჩუთში.

იდგა ერთ-ერთი ასეთი კვირა დღე. საკმარზე მეტად ცხელოდა.  
მატარებელი უკვე ბათუმში შედიოდა. ერთი სული გვქონდა როდის  
ჩავცვივდებოდით ზღვაში.

სადგურიდან პირდაპირ პლაზისკენ ავიღეთ გეზი.

გზად ტანსაცმელების მაღაზია შეგვხვდა და იცოდნენ რა  
ბიჭებმა, რომ საზაფხულო პერანგისა და შარვლის შეძენა მქონდა  
ჩაფიქრებული — ჩამავლეს ხელი და შემიყვანეს მაღაზიაში.

ვისაც ეს პერიოდი აჩსოვს, ისიც კარგად ემახსოვრება, რომ  
მაშინ საქართველო ლამის წალენებული ჩინურმა პროდუქციამ; მათ  
შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა (მამაკაცებ-  
ში) საზაფხულო, გრილი ქსოვილისგან შეკერილი შარვალი.

ბევრი ვარჩიეთ, მივიზომ-მოვიზომეთ, მაგრამ ჩემთვის მოსარგების  
შერჩევა გაგვიჭირდა. მერე, როგორც იქნა, ჩემ კომპლექციასთან  
მიახლოებული შარვალი შევარჩიე, გადავიხადე ექვსი მანეთი და  
ნახევრადნასიმოგნები გამოვედი მაღაზიიდან. ის-ლა მანუგეშებდა,  
რომ ატელიეში მივიტანდი და გადავაკეთებინებდი.

გზაზე ატელიეც შეგვხვდა.

ჰასანამ ფაცა-ფუცით ამიღო ზომები. რამდენჯერმე მიმატრიალ-  
მომატრიალა, ბლოკნოტის ფურცელზე ზომებთან ერთად ჩემი  
სახელიც მიაწერა და ომახიანად მითხრა:

— გამეიარე საღამოს ექვსი საათისთვის და წეიღე ძამა შენი „შალვარი“.

პლაჟიდან უკვე სადგურისკენ ვბრუნდებოდით იმ ვარაუდით, რომ ატელიეშიც შევივლიდი და მატარებელზეც არ დაგვაგვიანდებოდა.

ექვსი საათი ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ ატელიე დაკეტილი დაგვეხდა.

— მაგნი, ძამიკო ხუთზე მიღიან სახლში. — გამოგვეზმაურა იქვე, ჩრდილშიმჯდომი სიმპათიური, შუახნის მამაკაცი, — ხეალ გამეიარეთ, დილის ათიდან იქნებიან.

მეტი რა გზა იყო, წავედით სადგურში. ბიჭებმა გამამწნევეს:

— რა იყო, რა ცხვირი ჩამოუშვი, მომავალ კვირას ხომ ჩამოვალთ და მაშინ ჩაიცვამ შენს ახალ შარვალს, ერთი კვირა მოითმინე როგორმეო.

მომდევნო შაბათს კვლავ ჩავედით ბათუმში. ხასანამ ბოლიში მოგვიხადა:

— მაპატიეთ, რომ ვერ გადაგიკეთეთ „შალვარი“, რაღაც საოჯახო, გადაუდებელი საქმეები გამომიჩნდა და ვერ მოგახერხეო. გამეიარეთ, ასე ხუთი საათისთვის და მზად იქნება.

მოხდა ისე, რომ იმ საღამოსთვისაც არ შეასრულა „ოსტატმა“ დანაპირები.

— ვინცხა ძმაკაცებმა გამეიარეს და ქორწილში წეიყვანეს ჰასანა, — გვითხრა ისევ იმ ჩრდილშიმჯდომშა, სიმპათიურმა შუახნის მამაკაცმა.

დავბრუნდით ლანჩუტში.

ერთი-ორი დღე ვერ ვიყავი ხასიათზე, მერე კი სულ გადამავიწყდა ის ავადსახსენებელი ჩინური შარვალი.

მაღლე ტელეგრამა მიკიდეთ; გორში გვიხმობდნენ ყველას. იმავე საღამოს ჩასხდით მატარებელში და დავბრუნდით ჩვენ შმობლიურ ქალაქში.

იმწელიწადს ლანჩუტში აღარ წავსულვართ.

ერთი წლის მერე კვლავ გაგვაგზავნეს, გასულ წელს დაწყებული სამუშაოს დასამთავრებლად.

აღდგა ისევ ლანჩუტი-ბათუმის „ხიდი“.

სიცილ-ხარხარითა და ანეკდოტების თხრობით მივყვებით ტროტუარს და ერთი სული გვაქვს, როდის ჩავხტებით ზღვაში.

ამ დროს ვიღაცამ მომქაჩა ხელზე:

— ძამა, რომ ჩეიარე, ჩემთან ვერ შემოდი?

ვიცანი ატელიეც და ჰასანაც.

— წამოი, ძამა, ჩეიცვი, ცოტას კი შელახულხარ, მარა მაინც კარგად გექნება.

ძლივს შევიკავე თავი, რომ გიჟივით არ გამეცინა.

გავისინჯე შარვალი, კარგად მომერგო.

— რამდენი უნდა გადაგიხადო-მეთქი შრომისათვის, — შევეკითხე სახეგაბადრულ ჰასანას.

— რვა მანეთიო,— მიპასუხა ისე, რომ თვალიც არ დაუხამაძებია.

— შენთვის მიჩუქნია მეთქი, — ვუპასუხე გაბრაზებულმა, გავიხადე და დავუგდე ჭინჭებით გადატევირთულ მაგიდაზე ექვსმანეთად ნაყიდი ჩინური შარვალი.

— რა იყო ძამა, რა გეწყინა, — მომაძახა ქუჩაში გამოსულს.

## ათი თეთრი

გვიანი შემოდგომის დღე იდგა. მართალია, ამ ბოლოდოროს კარგი ამინდები იყო, მაგრამ დილით და საღამოს საქმაოდ გრილოდა და ადამიანებიც თანდათან იმოსებოდნენ თბილი ტანსაცმელით.

ამ დილითაც ცა მოწმენდილი იყო და კაშაშა მზე თავმომწონედ გადმოჰყურებდა ადამიანთა სამყოფელს, თუმცა ისე ვეღარ ათბობდა, როგორც რომ სასურველი იყო.

გიორგიმ ტროტუარის პირზე დადგა მომცრო მაგიდა, გახსნა ჩანთა და ამოალაგა გასაყიდად გამზადებული ათასი წვრილმანი. კოხტად განალაგა მაგიდაზე, მერე დასაკეცი სკამი გამართა, წიგნი მოიმარჯვა და მყიდველის მოლოდინში კითხვა დაიწყო.

ის დღე, კარგ დღედ ითვლებოდა თუ სიგარეტისა და პურის ფულს იშოვნიდა. ხანშიშესულ პენსიონერს მეტი გამოსავალი ვერ მოენახა და ასე წვალებითა და ნერვიულობით გაჰყავდა უპავ მობეზრებული სიცოცხლე.

ხალხი ინტენსიურად მიღიმოდიოდა ტროტუარზე, მაგრამ მის მაგიდასთან არავინ ჩერდებოდა.

შუადღე გადასული იყო, როცა გიორგიმ სასტუმროს მხრიდან მომავალი მოხუცი კაცი შენიშნა. მარჯვენა ხელით ჯოხს ეყრდნობოდა და მძიმე, წელი ნაბიჯებით უახლოვდებოდა გიორგის. ათიოდე მეტრზე, რომ მოახლოვდა, გიორგიმ შეამჩნია, რომ მოხუცი სადღე-სასწაულოდ იყო ჩატული, მკერდს კი უშვენებდა წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის ორდენები და მრავალი მედალი – წარსული გმირობისა და დიდების მაუწყებელი.

მოხუცეს ცალი ხელი ჯიბეში პქონდა ჩაყოფილი, ძლივს ადგამდა ნაბიჯს და გაბრაზებული, დაბოლმილი ხმით უკამაყოფილებას გამოსთქვამდა ვიღაცების მიმართ.

აი, მიუახლოვდა გიორგის „მოძრავ მაღაზის“, შეტერდა, ძირს დაღუნული თავი მაღლა ასწრა და დანაღვლიანებული თვალები

მიაპყრო გიორგის.

გიორგი წამოდგა და სკამი შესთავაზა, მაგრამ იგი არ დაჯდა – „მერე ადგომა გამიჭირდებაო“.

ცოტა ხანს უძრავად იდგა, მძიმედ სუნთქვდა და სახიდან სიბრაზის გამომეტყველება არ სცილდებოდა.

– ვინ გაგაბრაზა ძია კაცო, რაშია საქმე? – მოწიწებით და რაღაცნარი თბილი ხმით შეეგითხა გიორგი.

– ბარე სამ ადგილზე შევჩერდი და ფულის დახურდავება ვითხოვე, მაგრამ არც ხმა გამცეს და ერთმა მასხარადაც კი ამიგდო, აღარც ზრდილობა გააჩნიათ და აღარც ნამუსი, – თქვა გულმოკლულმა და ონავ შეტოკდა.

გიორგის მოეჩვენა, რომ ის უკვე წასვლას აპირებდა და სწრაფად მიაგება:

– მომეცი ფული, გასტრონომში დავახურდავებ; მე ფული არ მაქვს, თორემ მაგაზე უარს როგორ გეტყოდით.

ომგამოვლილმა ათეთორიანი მიაწოდა ხელის კანკალით.

გიორგი შეცბა და დაიბა. რა უნდა მოემოქმედა არ იცოდა. ბოლოს თავს სძლია და მშვიდად მიმართა:

– ამას მეც დავახურდავებ, გასტრონომში წასვლა არ იქნება საჭირო; ორი ხუთოთორიანი ხომ გაწყობთ?

– ზუსტად ორი ხუთოთორიანი მჭირდება. უკვე ათი დღეა პენსიონთვის ფოსტაში დავდივარ, ვერა და ვერ მომცეს. ეს ბოლო ფულია ჩემი. მიწისქვეშა გადასასვლელში ორი ნახევრადშიშველი, ხელგამოწვდილი ბავშვი ზის და შუაზე გაფუჭობ, მათი ცოდვით ვიწვები.

თქვა ეს და მძიმე ნაბიჯებით გაუყვა ტროტუარს.

– ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, კარგო კაცო, – გაიფიქრა გიორგიმ და მრავლისმეტყველი თვალები გააყოლა ფოსტისკენ მიმავალ, წელში ოდნავ მოხრილ, ნაომარ კაცს.

## ბიჭი და ყვავილი

ზაფხულის ცხელი დღე იდგა, შაბათი. მე და ჩემი ახლონათესავი ქალბატონები კახეთში მივდიოდით, ასევე ახლობელი ნათესავის ქორწილში.

მანქანის სალონი, სხვა საჩუქრებთან ერთად, სავსე იყო ყვავილების თაიგულებით.

გარეკახეთის ერთ გახრიოკებულ სოფელში რომ შევედით, ქალბატონებმა ცივი წყალი მოისურვეს.

ადამიანის ჭაჭანება არ იყო სოფლის გზაზე, ალბათ ყველა გაურბოდა მცხუნვარე მზეს.

ბოლოს, ერთი ჭიშკრის წინ, გზისპირას, სკამზემჯდომი პატარა ბიჭი შევნიშნე. იქნებოდა ექვსი-შვიდი წლის.

მანქანა გავაჩერე და გადმოუსვლელად მოვიხმე ბიჭი ახლოს:

— პატარა და კარგი ბიჭო, იქნებ ცივი წყლით გაგვიმასპინძლდე.

იგი სულ ახლოს მოვიდა მანქანასთან და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა შიგმსხდომი.

დაღონებული და დამწუხრებული ჩანდა.

— ცივ წყალს ახლავე მოგიტანთ, ოღონდ გთხოვთ ერთი თაიგული მაჩუქოთ.

— რად გინდა ყვავილები? — ცოტა გაოცებულებმა ვკითხეთ მას.

— ეს რამდენიმე დღეა, ჩვენთან ვინც მოდის, ყველას ბევრი ყვავილი მოაქვს, მერე მაღლა ააქვთ, იქ, მეორე სართულზე და ზოგი ლარნაკებში აწყობს, ზოგი მაგიდაზე, ზოგი იატაკზე და ზოგი კი... მეც მინდა მივიტანო ყვავილები.

უკანმჯდომა ერთ-ერთმა ქალბატონმა ტიტების თაიგული მიაწოდა გულდანალვლიანებულ ყმაწვილს.

— ახლავე მოგიტანთ წყალს, — გვითხრა საქმიანად და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა ჭიშკარს იქთ.

წყლისთვის აღარ დაგვიცდია. დავძარი მანქანა და საბურავების წრიპინით გაუყევით სიცხისგან გავარვარებულ ასფალტის გზას.

არა მგონია ჩვენ წასვლას გული უფრო მეტად დაეწყვიტა ბიჭისთვის, ვიდრე მას, რაც მათ ოჯახში ხდებოდა.

## არჩევანი ხიდისთავში

პარასკევს, დილადრიან, საქალაქოაშორისო უწყებულება სატელე-ფონო ზარმა გამოაღვიძა ვახტანგი. თელავიდან ურეკავდნენ ბავშვობის მეგობრები: „ხვალ მანდ ვიქნებით, ატენის სიონის დათვალიერება გვინდა. აბა შენ იცი, მაგრად დაგხხვდი, არ შარცხვე“.

ოც წელიწადზე მეტი იყო, რაც ვახტანგი გორში ჩასახლდა, იშვიათად-და ხვდებოდა სიყრმის მეგობრებს. გაახარა დილის სატელეფონო ზარმა. მეუღლეს გაუზიარა თავისი სიხარული, სათანადო მომზადება სთხოვა და თან მიაყოლა: „კახელების სტუმრობაო, არ გეგონის ხუმრიბაო.“

შეადლებდე თითქმის ყველაფერი მოიმარაგა. ლამის ორ-ორჯერ ჩამოუარა მაღაზიებსა და ბაზარს; არც „რიჟა“ გივი დავიწყებდა — სადგურის უბანში გავარდა და საუკეთესო თევზეული მიიწონ-მიითვალა. ერთი საკითხი-და დარჩა მოსაგვარებელი და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი.

ის წლები იყო, როცა საქართველოში შაქრით ღვინის კეთებას მიპყვეს ხელი. ზოგჯერ ისე მოხერხებულად აკეთებდნენ, რომ სპეციალისტებსაც კი უჭირდათ ავისა და კარგის გარჩევა. რა ექნა, სად ეშოვნა ნაღდი ღვინო, ისეთი, რომ მეორე დღეს კახელებს თავის ტკივილი არ ასტეხოდათ, ან სხვა რამ უარესი.

მეზობელმა მანქანა შესთავაზა, თან ურჩია: „მოდი ხიდისთავში წავიდეთ, კარგ ღვინოს იქ აუცილებლად ვიშვოთო“.

— მე ღვინის არჩევა არ ვიცი, — თქვა ნაღვლიანად ვახტანგიმ; შენ თუ იცი, გენდობი.

აღმოჩნდა, რომ არც მეზობელი გამოირჩეოდა სადეგუსტაციო ხელოვნებით, მაგრამ მაინც გასწიეს ხიდისთავისკენ იმ იმედით, რომ ვინგე ნაცნობს ან შინაურს გადააწყდებოდნენ.

ვახტანგი ფიქრებით შორეულ წარსულს მისწვდა. მამამისი ღვინის საყიდლად რომ აგზავნდა ხოლმე ბაზარში, სულ ერთი გლეხისგან ყიდულობდა, უკვე შეჩვეული იყო მასთან და ღვინის იმედიც ჰქონდათ. ერთხელ კი ისე მოხდა, რომ ნაცნობი გლეხი არ დახვდა და სხვისგან იყიდა ღვინო — ხელცარიელი არ დაბრუნდა სახლში. მაშინ იყო, რომ ნაყიდმა არ გაამართალა, თუმცა შედარებით იაფად შეიძინა. მამამ ნახევრად ხუმრობით და დამრიგებლური ტონით უთხრა: „თუ ღვინის გამყიდველი მოგეფერა, მოგელაქუცა და ფასიც იოლად დაგიკლო — ის ღვინო არ იყიდო“.

გაახსენდა მამის სიტყვები და კარგ ხასიათზე დადგა. გუნებაში ხარობდა, რომ რაღაცნაირი გამოსავალი თითქოს ნახა. მეზობელსაც მოეწონა „იდეა“ და ორიგუნი გახალისდნენ.

სოფლის ბირჟაზე მდგრამა ბიჭებმა მასწავლეს ერთი სახლისკენ.

ახალგაზრდა კაცი გამოეგებათ და როცა გაიგო, რომ ღვინისთვის იყვნენ მისული — ენად გაიკრიფა: „კარგია, რომ ჩემთან მოხვედით, მთელ სოფელში საუკეთესო ღვინო მაქს, მოდით, გასინჯეთ“.

ვახტანგი და მეზობელი შეჰყვნენ მასპინძელს პირველ სართულზე.

— აბა გასინჯეთ, — თქვა და ჩამოასხა.

ვახტანგიმ ოდნავ მოსვა, პირში ცოტახნით ჩაიგუბა, თითქოს დაფიქრდა, თვალები ჭერს მიაპყრო და გადაყლაპა. ფრთხილობდა დასკვნის გამოტანას. მასპინძელმა სიტყვა მიაშველა:

— ერთი ყლუპით რა უნდა გაიგო, რას უფრთხილდები, გამოცალე ჭიქა.

ვახტანგიმ გამოცალა ჭიქა, მაგრამ მაინც ერთაფერს ვერ მისვდა. ისე კი, ცივი ღვინო ესიამოენა და შეუმჩნევლად გააპარა თვალი

თიზის დოქისკენ.

— გენაცვალოს ჩემი თავი, აბა ერთიც მიირთვი, — გაიქაჩა მასპინძელი, — ორი წლისაა, სულ რაღაც ასი ლიტრი-და იქნება დარჩენილი; ისე, რომ იცოდეთ, ასეთი ღვინო ყველას კი არ დაკლევა; აი, თქვენისთანა ხალხისთვის კი ალალია, — ჩამოკაპლა ღვინის პატრონმა და ერთიც შეუცხო ვახტანგის. მანაც კიდევ გამოცალა და მაინც გერაფერი ვერ გაიგო.

— რა ღირს უფროსო შენი ღვინო? — ჩაერია საუბარში ვახტანგის მეზობელი.

— შენ რა, ღვინო არ გესმება? — იკითხა მასპინძელმა, — მოდი, ერთიც დასცხე, — თქვა და ცარიელი ჭიქა ბოლომდე შეასო.

მეზობელმა მოიბოდიშა, არ ვსვამო და შეკითხვა გაუმეორა.

— სხვებზე მანეთად და ოც კაპიკად ვყიდი, მაგრამ თქვენისთანა კარგ ბიჭებს მანეთად მოგცემთ, — საქმიანი კილოთი წარმოთქვა მასპინძელმა.

ღვინისგან ოდნავ შეთამამებულმა ვახტანგიმ გაუბედა:

— რაღაც ისეთი ვერ არის, სტუმრებთან რომ თავი მოვიწონო, იქნებ სხვა ღვინო გაქცს და ის ჯობია?

— რას ამბობ, შე კაი დედმამიშვილო, ამ ღვინოს რა დაეწუნება; თუ გეგვირებათ, ოთხმოცდაათ კაპიკად მოგცემთ, მეტი რა ვქნა? ვახტანგის თითქოს რაღაც გაახსენდა, ირონიულად გაიღიმა:

— მოდი ასე მოვიქცეთ, სხვაგანაც ვნახავთ, თუ ვერ ვიშოვეთ ისეთი, როგორიც გვინდა, ისევ თქვენგან ვიყიდით.

რამდენიმე ოჯახში იყვნენ ვახტანგი და მისი მეზობელი, მაგრამ სასიკეთო ვერაფერი გააწყეს.

სოფლის ბოლოში, ერთ პატარა ეზოში მიაკითხეს უბანში კარგადუნობილ კაცს. ასე ურჩიეს: „კარგი ღვინო იცისო“.

— მობრძანდით, ბიჭებო, ისეთი ღვინო მაქს, რომ სამეფო სუფრას დაამშენებს, — სიამყო წარმოთქვა სიმპათიურმა, ხანში-შესულმა კაცმა და მარანში შეუძლვა. იქვე პატარა მაგიდასთან

მიიპატიუა. მერე დოქი შეავსო, ჭიქები მოიმარჯვა და დიასახლისს გასძახა ომაზიანად:

— ქალო, ღვინოზე მისაყოლებელი მოგვიტანე რამე, ქალაქელები გვესტუმრნენ.

ელვისებური სისწრაფით გაეწყო პატარა მაგიდა: პური, ყველი, ორნაირი მწნილი, ტაფამწვარი, მწვანილი და სხვა სახელდახელო მისართმევი.

დაღლას გრძნობდა ვახტანგი. ღვინოც კარგად მოჰკიდებოდა და ერთი სურვილი-და ამოძრავებდა — რაც შეიძლება ჩქარა ეყიდა ღვინო და სახლში წასულიყვნენ. იძულებული იყო აქაც დაეჭაშნიკებინა ღვინო, მაგრამ როდესაც მასპინძელი მანეთნახვრიდან ერთ მანეთამდე ჩამოვიდა, სწრაფად წამოდგა, მეზობელს ხელი ჩასჭიდა და კარებისკენ გასწია მობოძიშებით:

— არ გეწყინოთ, მაგრამ არ მომწონს თქვენი ღვინო.  
— წესიერად მაინც გაგესინჯათ თქვე დალოცვილებო, სად მიდიხართ, იცოდეთ ამაზე კარგ ღვინოს ვერ იშოგით.

ვახტანგი და მისი მეზობელი უკან ბრუნდებოდნენ, გორში.  
— ერთი ბირჟაზე შეაჩერე, სიგარეტს ვიყიდი.

გვიანი საღამო ჩამომდგარიყო, სადაცაა დაბნელდებოდა. ვახტანგი ვერ იყო ხასიათზე. მაღაზიასთან მდგარმა ერთმა ახალგაზრდამ იცნო „ქალაქელები“.

— რა ქენით, ღვინო იყიდეთ?  
— ვერა, ისეთი ვერ ვნახეთ, ჩვენ რომ გვინდა.  
— ერთგან მიგასწავლით კარგ ღვინოს, ოღონდ იცოდეთ, რომ ის კაცი ღვინოს არ ყიდის. თუ როგორმე გამოართმევთ ეგ თქვენს უნარზეა დამოკიდებული, — ხმადაბლა უთხრა ბიჭმა და დაუმატა  
— ამადაამ უბანში ესადაეს კაცი იკითხეთო.

ვახტანგის იმედი მიეცა: „ერთი ეს ვარიანტიც მოვსინჯოთ და მერე მოვუსვათ სახლისკენ“.

როგორც იქნა მიაგნეს იმ უბანსაც და იმ სახლსაც, მაგრამ

შეწუხებულები იყვნენ გვარიანად. გზაში ყველა შემხვედრი იმას ეუბნებოდა, რომ ეგ კაცი ღვინოს არ ყიდისო.

ახალგაზრდა გოგონამ გამოიხედა დაკაკუნების ხმაზე.  
— რა გნებავთ?  
— ღვინის ყიდვა გვინდა, იქნებ უფროსებთან დაგვალაპარაკო.  
გოგონა ეზოს სიღრმეში ერთსართულიანი შენობისკენ წავიდა და მაღვე მობრუნდა.

— მამამ დამაბარა გადმოგცეთ, რომ ის ღვინოს არ ყიდის და არც საღაპარაკოდ სცალია.

პასუხმა არ გაანაწყენა სტუმრები, პირიქით, რაღაცნაირი აზარტიც კი გაუჩნდათ, გრძნობდნენ, რომ რაღაც საინტერესო უნდა მომხდარიყო.

— კარგი, გადაეცი მამაშენს, რომ ღვინოს თუ არ მოგვყიდის, იქნებ მოგვისმინოს მაინც, რაღაც სათხოვნელი გვაქვს.

კარგა ხანს დასჭირდათ ლოდინი. მერე გაიღო ერთსართულიანის კარები და ეზოს ბილიკით წამოვიდა წინსაფრიანი, შუახნის კაცი, ოდნავ მოღუშული სახითა და მტკიცე გამოხდვით.

— რა გნებავთ, აკი დაგაბარე გოგოს, რომ საღაპარაკოდ არ მცალია.

— მოგვისმინეთ ძიაკაცო, — გააქტიურდა მეზობელი; ბავშვობის მეგობრები ჩამოდიან ღვინის სამშობლოდან, კახეთიდან და აბა მათ როგორ ვაკადროთ უბრალო ღვინო. გთხოვთ, გაიგოთ ჩვენი გასაჭირი და დაგვეხმაროთ.

— აკი გითხარით, რომ ღვინოს არ ყიდი, ვერც გაჩუქებთ. ისევ ის სჯობია თქვენი სტუმრები აქ მოიყვანოთ და ერთად მოვილხინოთ.

— აბა, რას ბრძანებთ, რას იტყვიან კახელები; სტუმრად სხვაგან წაგვიყვანაო; რა, თავი უნდა მოგვეჭრას?!

მიხვდა მასპინძელი, რომ კარგად არ გამოუვიდა, მაგრამ თავისაზე მაინც მტკიცედ იდგა.

— კარგი, ბიძა, გვეცი პატივი, ნუ შეგვარცხვენ სტუმრებთან;

მთელი ხიდისთავი შემოვიარეთ და წესიერი ვერაფერი ვიშოვეთ. თქვენ იმედზე ვართ.

მასპინძელი, ცოტა შეყოვნდა, ეტყობოდა, რომ რაღაც მოიფიქრა.

— რაკი თქვენსას არ იშლით და არ მეშვებით, ეს საქმე ასე იქნება — ლიტრში გადამიხდით სამ მანეთს, არც მეტი არც ნაკლები. მტკიცე გამოხედვით მიახალა ბიჭებს იმ იმედით, რომ ისინი უარს იტყოდნენ — „აბა, სად ექნებათ ახალგაზრდებს ამდენი ფულიო“.

— ღმერთიც თქვენ გიშველით, მართლაც კარგი კაცი ყოფილხართ, სიხარულისგან ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა ვახტანგი. ფული სასწრაფოდ მიუთვალა ნირწამხდარ მასპინძელს და კეთილი სურვილებით დაემშვიდობა ისე, რომ ღვინო არც კი დაუჭამნიკებიათ.

არ შარცხვენილა ვახტანგი თავის სიყრმის მეგობრებთან.

## დეგუსტაცია

ქალაქ იალტაში ტარდებოდა მეღვინეობის საკავშირო კონფერენცია. ფორუმზე წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა რესპუბლიკა გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა — იქ ხომ არ, ან ვერ ხარობს ფურძენი - ვაზი.

აღნიშნულ კონფერენციაზე მიწვეული იყო ქალაქ გორის კვლევითი — სამეცნიერო ინსტიტუტის მეღვინეობის განყოფილების ჯგუფი.

კონფერენცია გაგრძელდა სამ დღეს. მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირში მეღვინეობის განვითარებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ათეული ლექცია; ჩატარდა შესაბამისი სემინარებიც.

კონფერენციის დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა ღვინოების დეგუსტაციას. დიდი დარბაზი საზეიმოდაა გაწყვობილი. გრძელი და

ფართე მაგიდა იტევს ასზე მეტ მონაწილეს. ქართველები მიიწვიეს სუფრასთან (ოფიციალური დელგაციის გარდა) როგორც დიდი მეღვინეობის ტრადიციებისმქონე ქვეყნის წარმომადგენლები და გორელი მეცნიერ-მუშაქები პირველად მოხვდნენ ღვინის საკავშირო დეგუსტაციაზე — ეს მათვების ნამდვილად „ახალი ხილი“ იყო.

მაგიდაზე ეწყო: თევზები, ხელსაწმენდები, ორთომელები, სხვადასხვა ხილით სავსე ვაზები, ყვავილები და ყველას წინ ცარიელი, ორლიტრიანი ჭურჭელი.

დაწყო დეგუსტაცია.

თეთრხალათან, ცისფერთვალება, ქერათმიან გოგონებს შემოაქვთ დეგუსტაციის პროცესის თავმჯდომარის მიერ დასახელებული ნომრის მქონე ღვინო, ასხამენ ფაქტზად და მიზიდველად სადეგუსტაციო ორთომელებში (დაახლოებით 50 გრამს) და ტანის საოცარი რხევით ტოვებენ დარბაზს შემდეგი ნიმუშის გამოცხადებამდე (ღვინის დეგუსტატია ხდება სპეციალისტების მიერ ღვინის პირში გამოვლებით და შემდგომ მისი შეფასებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ აფასებენ მის სიმაგრეს, გამჭვირვალობას, შეფევდობას, სიმუავეს, სიტებოს, ფერს, საერთო ზემოქმედებას და ამის შემდეგ შესაბამის შეფასებებს აფიქსირებენ სპეციალურ ბარათებში).

ამათუიმ ნიმუშს პირში გამოვლების შემდეგ აქცევენ წინასწარ მომზადებულ ჭურჭელში და ემზადებიან შემდეგი ნიმუშის გასასინჯად. როცა ეს ჭურჭელი შეივსება — ცვლით ახლით.

ქართველებმა, იმ დეგუსტაციაზე, დაახლოებით ორმოცი კოდირებული ღვინო გასინჯეს და თავისებურად შეაფასეს.

დამთავრდა დეგუსტაცია. თავმჯდომარე აპირებს წარმოთქას საბოლოო სიტყვა, მაგრამ ამ დროს მასთან მიკიდა ერთი მომზიბვლელი თეთრხალათან გოგონა და ყურში რაღაც უჩურჩულა. თავმჯდომარეს ჯერ გაოცება გამოხატა სახეზე, მერე ეს გაოცება რაღაც სიხარულმა თუ აღტაცებამ შეცვალა და აღფრთოვანებულმა მიმართა

საზოგადოებას:

— მეგობრებო, მე მანდა მივაქციო თქვენი ფურადღება აქდამსწრე ქართველების წინმდგომ სპეციალურ ჭურჭელს — ის ცარიელია, სხვების ჭურჭელი კი სავსე. ე.ი. ქართველებმა ჩაატარეს ნაძვითილი დეგუსტაცია და ყველა ჭიქა ბოლომდე მიირთვეს. გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოს მეღვინეობას და მის ღირსეულ წარმომადგენლებს ჩვენ სუფრაზე. ამ სიტყვებით დაამთავრა საკავშირო დეგუსტაცია კონფერენციის თავმჯდომარე.

## საბაზრო ეკონომიკა

რაინიგზის სადგურის წინამდებარე მოედანზე, „ათასი წვრილმანის“ მაღაზიის წინ, ტრანსპორტის მოლოდინში (ზიდისთავი-ატენის მიმართულებით) მგზავრები გაჩერებაზე შეკრებილიყვნენ. თვალში გვცემოდთ ცარიელი კალათების, ველრებისა თუ ჩნოების სიმრავლე.

ავტობუსი აგვიანებდა. რამდენიმე ქალი შევიდა მაღაზიაში და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა დახლები.

უთო, — წამოიძახა ერთმა ქალმა, — როგორ დამავიწყდა; მამამთილმა დამაბარა, ხილს და ბოსტნეულს რომ გაყიდი, ერთი ახალი ვედრა მიყიდე, ისე სახლში დაბრუნებული არ გნახოო. კიდევ კარგი აქაც იყიდება, — წარმოთქვა გახარებულმა და ფასით დაინტერესდა.

ხუთი ლარი ღირსო, — მიუგო გამყიდველმა.

როგორ თუ ხუთი ლარი, ზუსტად ასეთი ვედრა ბაზრის მაღაზიაში ოთხი ლარი ღირსო, — გაკაპასდა დიაცი.

არა, ქალბატონო, ეს ვედრები გასაყიდად ერთიდაგივე კაცს მოაქვს და ყველგან ხუთ ლარად იყიდება, — გაცხარდა გამყიდველიც.

ისემც თავი გაგიხმებაო, — მიაყარა ქოქოლა გამყიდველს და ქალი გარეთ გავარდა. მერე მეგობარ ქალს სოხოვა, — წავიდეთ ბაზარში სანამდის ჩვენი ავტობუსი მოვა, იქნებ მივუსწროთ მაღაზიას დაკატევამდე.

— რას ამბობ, ქალო, ავტობუსი სადაცაა მოვა და თუ ბაზარში წავედით, სოფელში თავის დროზე ვეღარ ჩავალოთ.

— არა, არა შენი ჭირიმე, მამამთილი სახლში არ შემიშვებს დანაპირები თუ არ შევუსრულეო, — აფორიაქდა ვედრის შეძენის მსურველი. — ადექი და შენც იყიდე, მიეცი ერთი ლარით მეტი; ეგ გერჩივნოს ბაზარში და მერე უკან ტროლეიბუსში ჩაქჩაქს.

არაო, — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მამამთილის მოყვარულმა; ჩავლო ხელი თავის მეგობარ ქალს და თითქმის ძალით ჩასვა მიკროავტობუსში.

მეც წამიყვანეთო მიაძახა ცარიელ კალათებზე შემოსკუპებულმა ბიჭება და სანამ თანხმობას მიიღებდა, ერთი ნახტომით მოკალათდა რბილ სავარძელში.

ბაზრის მაღაზია დაკეტილი დაუხვდათ. ვიტრინაზე მიაბჯინეს ცხვირები და თვალების ცეცებით მონახეს დახლზე თაგმომწონედ-მდგომი ვედრა, რომელზეც თითქოს სპეციალურად, კარგა დიდი ქაღალდით გაეკრათ ციფრი ხუთიანი.

მამამთილის მოყვარულმა სიმწრისაგან ტუჩები მოიკვნიტა და რაღაც ჩაიდუდუნა.

არიქა, ახლა ავტობუსმაც არ გაგვასწროს სოფელში, ჩქარა გავვარდეთ სადგურშიო — იხუვლეს ერთდღოულად. პატარა ბიჭი კი თავისთვის იცინოდა. მას სამარშრუტო მიკროავტობუსით სეირნობა უფრო ეფინებოდა გულზე, ვიდრე ვედრის პრობლემა.

სოფლის ავტობუსი წასულიყო სულ რაღაც ორიოდ წუთის წინ. მომდევნო კი ერთი საათის შემდეგ უნდა ყოფილიყო.

„ათასი წვრილმანის“ მაღაზიის გამყიდველმა ხუთლარიანი მარცხენა ჯიბეში მოაყუჩა და რაღაცნაირი, ირონიული ღიმილით

შეხედა მამამთილისმოყვარულ ქალს, რომელიც წარბშეხრილი იდგა და ალბათ უკვე მესამედ მაინც იხედებოდა მოცინკული თუნუქის მოელვარე ვედრაში.

პატარა ბიჭის კი კალკულატორი დაედო მუხლებზე და ჩაბჟორებული რაღაცას ანგარიშობდა.

— შენ რაღა გააწყალე გული მაგ ეშმაკის მანქანის ჩხაკუნტაცუნთ, შეუტია გამყიდველზე (შეიძლება მამამთილზეც) გრაწყინებულმა ქალმა. განა რა გადაუდებელი საქმე გაქვს, რომ სახლამდის ვერ მოითმენო.

— რა საქმე მაქვს და ისა, რომ ხუთლარიან ვედრაში შვიდი ლარი და ოცდაათი თეთრი გადაიხადე და ამას ყველაფერს პაპაჩემს მოვახსენებო.

როგორაც, — იკივლა ქალმა.

როგორა და ასეო, — უპასუხა ბიჭმა და ჩამოკაკლა: აქედან ბაზრამდე და უკან მგზავრობა — ლარი და ოთხმოცი თეთრი. უკანა გზაზე მეზობლის ქალი რომ დაპატიჟე — ეგეც მოცდაათი თეთრი. — მე რომ ნაყინი მიყიდე, ეგეც მოცდა თეთრი. დაჯექი და ახლა შენ იანგარიშე, დრო მაინც ბევრი გაქვს ავტობუსის მოსევლამდეო.

1998 წ.

## ზუმბათა

სად იყო მეორე მსოფლიო ომის დროს ავტომანქანები?! მთელ გორში ერთი-ორი „პალტარატონკა“ თუ დათუხთუხებდა. ეგ იყო და ეგ. ტრანსპორტის ძირითადი სახეობა იყო ორთვალა ე.წ. „ტაჭკა“, „ლინეიკა“ და ფაეტონი.

რეინიგზის სადგურის მოედანზე სწორედ ამგვარ ტრანსპორტს მოეყარა თავი და მეპატრონენი, კლიერტების მოლოდინში, იხრუკებოდნენ აგვისტოს მცხუნვარე მზის ქვეშ.

ცხენების ოფლისა და შარდის სუნს გაეულინთა იქაურობა. ცხენები მშვიდად იცონებოდნენ და კუდის გაღიზიანებული ქნევით იგერიებდნენ მოძალებულ ბუზებს.

კლიერტები, ძირითადად, მატარებლით ჩამოსული მგზავრები იყვნენ. თუ არ ჩავთვლით შიგადაშიგ გამოჩენილ ყარაჩოხელებს, რომლებიც ქირაობდნენ რამდენიმე ეტლს თუ ფაეტონს და არღის ჭიჭყვინით მიემართებოდნენ ქალაქები საქეიფოდ.

აი ახლაც, სტალინირი-თბილისის მატარებლის მოლოდინში იყვნენ მეტაჭექ-მეფეაუტონები და ხმამაღალი გადაძახილებით თუ ცხელ-ცხელი ამბების გაზიარებით ირთობდნენ თავს. მათ შორის სერიოზულობითა და სიმშვიდით გამოირჩეოდა ვინმე გოლა, რომელ-საც ხალხმრავალი ოჯახი ჰყავდა შესანახი და მუდამ სარფიანი კლიერტის მოლოდინში იყო თავისი მკერდძლიერი ცხენითა და კოხტად გამართული ტაჭკით.

სხვებთან შედარებით მხიარულად გამოიყურებოდა და მუდამ ხუმრობისა და ანცობის ხასიათზე იყო ვინმე ზუმბათა, რომელიც თავს იწონებდა ჩარდახიანი ლამაზი ფაეტონით.

მზე უმოწყალოდ აცხუნებდა; მიწას ბული ასდიოდა; სადგური ერთიანად გათანგულიყო.

აპა, გაისმა ორთქლმავლის სმენისწამლები კივილი და მატარებელმა ქშენა-ქშენით ჩაიმუხლა გორის სადგურში.

ბაქანი გაივსო გოდრებით, ვედრებით, კალათებით, ზურჯინებით და მოყაფანებით.

გორისა და სტალინირის რაიონების გლეხობას ქალაქში გასაყიდად ჩამოჰქონდა სოფლის დოვლათი და საღამოთი იმავე მატარებლით ბრუნდებოდა უკან ზოგი ფულით, ზოგი კი მაღაზიებში შეძენილი სამრეწველო საქონლით.

თანდათან შეიცი ცხენიანი ტრანსპორტი სამურნეო დოვლათითა და მათი ჩამომტანებით. გრძელი ქარავანი ზღაზვნით გაემართა ქალაქის ცენტრისკენ, სადაც საკოლმეურნეო ბაზარი იყო მოთავსებული.

დაცარიელდა სადგურის მოედანი; მარტო ზუმბათა დარჩენილიყო თავისი ჩარდახგადაფარებული ფაეტონით. ათიოდე ნახევრად-ტიტველი ბავშვი შემოხვევდა გარშემო, რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ და ზმამაღლა იცინოდნენ. შიგადაშიგ პერონზე ეულად შემორჩენილ ფაფახიან მგზავრს გადახედავდნენ ხოლმე და ისევ იცინოდნენ. მგზავრი ორი მეტრი სიმაღლის იქნებოდა; წვერი ჰქონდა მოშვებული. მხარზე ვეებერთოელა ზურჯინი ჰქონდა გადაკიდული და გაოცებული ათვალიერებდა გარემოს.

ზუმბათამ გაიფიქრა: „ალბათ მაღალმთანი ოსური სოფლიდან არის ჩამოსული და ქალაქში პირველად არისო.“

ცოტა სნის შემდეგ მგზავრი ზუმბათასკენ წამოვიდა. ლამის მუხლებში იკეცებოდა ზურჯინის სიმძიმით, ის გოლიათი კაცი.

— ბაზარში წამიყვან? — შეეკითხა ზუმბათას.

ბავშვები გაჩუმდნენ და რაღაც სამხიარულოს მოლოდინში ზუმბათას მიაპყრეს მზერა.

— წაგიყვან, რატომაც არ წაგიყვან, ორ თუმანს თუ გადაიხდი.

— რათა ორი თუმანი? მე მითხრეს რომ „მესტა“ (ერთი ჩანთა, ვედრა, კალათა) თუმანი ღირსო და მე ხომ ერთი ზურჯინი მაქვსო, — გააპროტესტა მგზავრმა.

— შენა, შენ რა, „მესტა“ არა ხარ? — მიაძახა ზუმბათამ.

ბავშვებს ღიმილმა გადაპკრა სახეზე და უფრო სასაცილოს მოლოდინში გაინაპნენ.

— არა, ერთ თუმანზე მეტს ვერ მოგცემ, შენი ჭირიმე, — თქვა მგზავრმა და ალმაცერად გადახედა ბავშვებს.

— კარგიო, — უთხრა ზუმბათამ, — მხოლოდ ერთი პირობით, რაკი ერთი „მესტის“ ფულის გადახდა შეგიძლია, ეგ ზურჯინი მხარიდან არ მოიხსნა, ისე დაჯექი და სულ სეირნობით მიგიყვან ბაზარში.

შეთანხმედნენ.

ზუმბათამ ჩარდახი აქეცა — „ქალაქში გადახურული ჩარდახით სიარული აკრძალულიაო“, — თქვა მგზავრის გასაგონად და დინჯად დაძრა ფაეტონი.

ბავშვები სიცილ-ხორხორით აედევნენ მტვრიან გზაზე მიმავალ ფაეტონს.

საღამოს, სადგურის წინ თავშეყრილი ბავშვები ყვებოდნენ:

ზუმბათამ, მთელი ქალაქი ზღაზვნით შემოატარა თავის მგზავრს ისე, რომ ცხენები ერთხელაც არ გაუჭერებია. ბოლოს, როგორც იქნა ბაზრამდის მიაღწია. კლიენტი ძლიერ გადმოვიდა ფაეტონიდან მხარზეწამოკიდებული ზურჯინით; საბრალოს ოფლი წურწურით გასდიოდაო.

სადგურელებს კარგა ხანს ეყოთ სალაპარაკოდ და გასართობად ზუმბათას მორიგი ოინი.

## სტალინის ქუდი

დიდი სამამულო ომი ორიოდე წლის დამთავრებული იყო. ქვეყნა იშუმებდა ჭრილობებს. ცხოვრება თანდათან დგებოდა ნორმალურ კალაპოტში. მწყობრში დგებოდა სამრეწველო და სამეურნეო ობიექტები. მძლავრი იმპულსებით იწყო აღდგენა და განვითარება კულტურამ და ხელოვნებამ.

ხალხის დიდ ინტერესს იწვევდა ომის თემაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები, კინოფილმები, სკულპტურული ქმნილებები თუ მუსიკალური ნაწარმოებები. ერთ-ერთი მათგანი იყო მიხეილ ჭიაურელის ფილმი „ბერლინის დაცემა“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

იმხანად კურორტ ბორჯომში ხმა დაირხა – ჭიაურელია ჩამოსული დასასვენებლადო.

ადგილობრივი მაცხოვრებლები და ჩამოსული დამსვენებლები იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე შეხვედროდნენ და ახლოს ენახათ სახელგანთქმული კინორეჟისორი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ხან დასასვენებელ სახლთან იყვნენ ჩასაფრებული, ხან კი ქუჩებს და პარკებს აკონტროლებდნენ.

ერთხელაც, ბედმა გაულიმათ, გაიგეს, რომ ჭიაურელი რესტორანში სადილობს ვიღაც, სტუმრადჩამოსულ თანამდებობის პირებთან. ბიჭებმა, რის ვაი-ვაგლახით შეაგროვეს ცოტა ფული და გვერდით კუპეში მოკალათდნენ. კუპები ერთმანეთისგან ხის ტიხარებით იყო გამიჯნული და საუბრის ხმა თავისუფლად ისმოდა. ბიჭები სმენად იყვნენ გადაქცეული საინტერესო და მანამდე უცნობი რაიმე ახალი აბბის გაგების მოლოდინში.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირებიათ. მალე ერთ-ერთმა სტუმარმა მიმართა ჭიაურელს:

– „ამხანაგო მიშა, ფილმზე მუშაობისას, ვიცით რომ რამდენჯერს შეხვდით ამხანაგ სტალინს, მოგვიყევით მის შესახებ რაიმე“.

– მოგვიყევით, – სთხოვეს სხვებმაც.

ბიჭებმა, მეზობელ კუპეში, ერთმანეთს სიხარულით გადახედეს და ერთიანად დაიძაბნენ.

– „კი, ბატონო, – დაიწყო ჭიაურელმა, – სიამოკნებით მოგიყვაბით ჩემ შეხვედრებზე ამხანაგ სტალინთან. იგი თვალფურს ადევნებდა ფილმზე მუშაობის პროცესს. სცენარიც წაკითხული ჰქონდა გულდასმით. ხშირად გამოოქამდა თავის მოსაზრებებს, მაგრამ ყოველთვის თავდაჭერილად და მორიდებით. ერთი კი იყო – ხაზგასმით გვაფრთხილებდა: ისე არ გააკეთოთ, რომ მხოლოდ მე მომაწეროთ ფაშისტების დამარცხება, გახსოვდეთ კარგად, რომ გამარჯვება მოიპოვა ხალხმა.

შეხვედრები, მეტწილად, იმართებოდა სტალინის ქალაქგარე დაჩაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ პოლიტბიუროს „გაშინაურებული“ წევრებიც. ასეთი შეხვედრები, როგორც წესი, მთავრდებოდა სადილით ან ვაჭშმით, რომელზეც სტალინი ბრწყინვალედ ასრულებდა მასპინძლის როლს. იგი არც სუფრის გაშლას და არც კერძების მიტან-მოტანას თაკილობდა და არც ღვინის დასხმას. ერთხელ, მწვადიც კი შეგვიწვა თავისი ხელით სუფრაზე ყოველთვის ჭარბობდა ქართული ღვინოები, რომელთა შორის სტალინი უპირატესობას ანიჭებდა თეთრ „ქინძმარაულს“.

სასტუმროში ყოველთვის ამაღლებული განწყობილებით ვბრუნდებოდი. მოხიბლული ვიყავი ბელადის უბრალოებით, მსჯელობის მკაცრი ლოგიკით, მოვლენებში ღრმად წვდომის უნარით და კავკასიური იუმორით.

ფილმზე მუშაობა დამთავრდა. ქვეყანა ელოდა მის ეკრანებზე გამოჩენას, მაგრამ ჯერ მთავრობას და პოლიტბიუროს მთლიან შემადგენლობას უნდა ენახა და მიეცათ „მწვანე გზა“; ასეთი იყო დაუწერელი წესი.

ასეთი ჩვენებაც სულ მალე შედგა. შემდეგ გაიმართა დიდი წვეულება. ქართულ ყაიდაზე გაწყობილ სუფრას თამადობდა სტალი-

## სკოლის დირექტორი

ნი. იყო ქების სიტყვები, ტაში, ოვაციები. მე მაინცდამაინც დიდი მსმელი არ გახდავართ და მალე ვიგრძენი, რომ „ქინძმარაული“ საკმაოდ მომექიდა; ბევრმა შექებამაც ალბათ თავბრუ დამახვია; ვის აღარ ვუჭახუნებდი ჭიქას, ვინ აღარ მეხვეოდა და მკოცნიდა. ბუნდოვნად მახსოვს, როგორ იღიმებოდა ულვაშებში სტალინი, რომელიც ყლუპ-ყლუპით სვამდა „ქინძმარაულს“ და ყოველთვის ზომიერად.

სასმისების სათვალავი ამერია. როგორ მოვხვდი სასტუმროში არ მახსოვს. გვიან გამეღვიძა და ვცდილობდი მეხსიერებაში აღმდეგინა გუშინდელი საღამო, მაგრამ ამაოდ. არ ვიცი, მომიყვანეს თუ მოვდი, ან სულაც შეიძლება მომიტანეს კიდეც. ვაი სირცხვილო, — ვფიქრობდი ნაღვლიანი.

საწოლზე გვერდი ვიცავლე და გაოცებისგან ლამის გავშეშდი — სკამზე სტალინის ქუდი და „პორტსიგარი“ იდო. ცივმა ოფლმა დამასხა; ვერ გავიჩსენე — შეცდომით წამოვიდე მისი ქუდი, თუ თვითონ ან მაჩუქა, ან მათხოვა; არ ვიცოდი რა მოხდა. ჩემდაუნებურად გამახსენდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ — როცა მეუე გიორგიმ თვითონ დაავალა ფარსმან სპარსს ვერცხლის შანდლების წალება, მერე ქურდობა დააბრალა და მაგრადაც გაატყეპინა.

ამ არასასიამოენო ფიქრებში ვიყავი ჩაფლული, როცა ტელე-ფონმა დარეკა: „გამარჯობა მიშა, როგორ გრძნობ თავს“ — მეკითხება სტალინი. მე რაღაც წავილუღლუღე — აღარ მახსოვს რა.

— „მიშა, — განაგრძო მან, — ქართველი კაცისთვის რას ნიშნავს ქუდი — ეს შენ კარგად იცი. დღეს ვახშმად რომ მოხვალ — ქუდი დამიბრუნე, „პორტსიგარი“ კი შენთვის მიჩუქნიაო“, — დაამთავრდა ამბავი ჭიაურელმა და ნაჩუქარი „პორტსიგარიდან“ პაპიროსის ერთი ლერი ამოაცოცა.

ბორჯომელმა ბიჭებმა იმავე საღამოს მთელ კურორტს მოსდეს ახლადგაგონილი ამბავი.

იყო დრო, როდესაც რაღაც მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, მასიურად აჯილდოებდნენ ხოლმე ამათქმით დარგის ე.წ. მოწინავე მუშა-მოსამსახურებს. იმართებოდა ერთი აურჩაური: რეკომენდაციების და დახასიათებების წერა, ტელეფონით რეკვა, კამათი და ჩხუბი, თავის მართლება და ქება, მღიქნელობა, პროტექციონიზმი, ნათესაური კავშირების იღუმალი გამჟღავნება და ა.შ.

ამჯერადაც ასე იყო. სკოლის დირექტორს დაურეკა განათლების განყოფილების გამგებ და დაავალა სასწრაფოდ წარედგინა დასაჯილდოებლად შრომის მასწავლებლის ერთი კანდიდატურა.

სკოლას შრომის სამი მასწავლებელი ჰყავდა: ორი ქალი და ერთი კაცი. რა ექნა დირექტორს, როგორ შეერჩია კანდიდატურა, ისინი ხომ თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან?! მისი ნება რომ ყოფილიყო, არცერთს არ წარადგენდა ჯილდოზე, მაგრამ არც ლიმიტის აუთვისებლობა შეიძლებოდა მისი მხრიდან. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა ჯილდოზე წარედგინა მამაკაცი, რადგან ქალის წარდგენის შემთხვევაში მეორე ქალი ისეთ ამბავს ატეხდა, რომ გასაქცევად გაუხდიდა საქმეს. იფიქრა და გადაწყვიტა.

კანდიდატურა არ დაამტკიცეს.

დირექტორი დაინტერესდა, თუ რატომ უარყვეს მისი წარდგენილი კანდიდატურა. განათლების განყოფილების გამგებ მკვაბედ უპასუხა: „არ იცი მუშაობა, ცუდად ერკვევი კადრებში, რაღა ეგ ღვინის მოყვარული წარმოადგინე, სხვა არავინ გყავდა?!“

დირექტორი დაიბოლმა, მაგრამ რაღას გააწყობდა?! გულში წყენა ჩარჩა მისი აზრის იგნორირების გამო.

გავიდა თითქმის ნახევარი წელი. რაღაც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კვლავ ატყდა დაჯილდოების აუთაუე. განყოფილების გამგებ კვლავ დაავალა დირექტორს უმოკლეს ვადაში

წარედგინა დასაჯილდოებლად ფიზკულტურის მასწავლებლის კანდიდატურა. დირექტორმა, ერთხანს იფიქრა თავი შეეკავებინა (წყენას არ გაევლო ჯერაც), მაგრამ თვითონ მასწავლებლებმა აღარ მისცეს მოსვენება. ბევრი იფიქრა თუ ცოტა (როგორც ზღაპარშია ხოლმე), გაამზადა ყველა საჭირო საბუთი ისეთ მასწავლებლზე, რომელიც მართლაც კარგად იღწვოდა, მთელი პედკოლექტივი პატივს სცემდა და მოსწავლეებსაც ძალიან უყვარდათ. სახეზე იყო სკოლის ერთსულოვნება.

სამწუხაროდ, არც ახლა დაამტკიცეს დირექტორისა და კოლექტივის მიერ წარდგენილი კანდიდატურა. განკოფილების გამგებ თითოს ქნევით „დამოძღვრა“: „მოკლედ, ვერ ისწავლე მუშაობა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საერთოდ არ იცნობ შენ კოლექტივს, პასუხისმგებლობა გაკლია ამხანაგო! მთელმა ქალაქმა იცის, რომ შენი კანდიდატურა ქალების მოყვარული კაცია და ასეთს, ხომ იცი „იქ...“ და თითო ზევით ასწია, რაღაცის მისანიშნებლად.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. დირექტორი საგონებელში ჩავარდა: „რას იტყვათ სკოლაში, შემტბოდა ავტორიტეტი, რადას დამზერებებზე ამის შემდეგ“. გულში ბოლმა ჩაიგუბა და გადაწყვიტა, მოხერხებულ სიტუაციაში რამენაირად სამაგიერო გადაეხადა განყოფილების გამგისთვის. ასეთი შემთხვევაც მაღლე მიეცა.

განყოფილებაში დაიბარეს ქალაქის ყველა სკოლის დირექტორი რაღაც თათბირზე. მოახლოვდა თათბირის დაწყების დანიშნული დრო, მაგრამ გამგე არ ჩანდა. მის მოლოდინში დირექტორები დერეფანში მიმოდიოდნენ; ჩვენ „ნაცნობ“ დირექტორს უფილტრო სიგარეტი გაერჭო მუნდშტუკში და გულიანად აბოლებდა.

გამგეც მაღლე გამოჩნდა. შემოყო თუ არა თავი დერეფანში რაღაცნაირად აიმრიზა, ჰაერი მძლავრად შეეწოსა, სახე მოედრიცა და მერე მეხივით დაატყდა თავს წარსულით განაწყენებულ დირექტორს: „რა კაცი ხარ ბოლოსდაბოლოს ვერ გავიგე, აქ რომ

არ მოსწიო თამბაქო არ შეიძლება, სად გგონია შენი თავი, ტყეში ხომ არა ხარ?!“

თითქოს ამას ელოდაო, დირექტორმა პირიდან გამოიღო მუნდშტუკი და ყველას გასაგონად ხმამაღლა, გაღიზინებით მიახალა: „შენ თვითონ რა კაცი ხარ მე რომ კაცობას მიწუნებ? დვინო შენ არ გიყვარს, ქალებს პატივს არ სცემ და თამბაქოს ბოლს ვერ იტან! აბა, მაშ რა კაცი ხარ?!“ – ამოანთხია მთელი წლის ბოლმა სკოლის დირექტორმა.

## ბუნების დიალექტიკა

პირველ კურსზე იყო მაშინ ოთარი. რაიონიდან ჩამოსულს ყველაფერი აკვირებდა დედაქალაქში: ტრანსპორტის სიმრავლე, მაღლივი კორპუსები, მოასფალტებულ-მოკრიალებული პროსპექტები, მიმზიდველ-მაცდუნებელი მაღაზიები, მრავალგვარი გამოფენა-მუზეუმები და ათასი სხვა.

განსაკუთრებით იყო მოხიბლული თბილისელი სტუდენტი გოგონებით, რომლებიც ლექციებს შორის შესვენებებზე გამოეფინებოდნენ ხოლმე დერეფნებში და უკანასკნელ მოდაზე ჩატარები, დახვეწილი მიხვრა-მოხვრითა და მომხიბვლელი კეკლუცობით საყოველთაო ყურადღებას იპყრობდნენ.

ერთ-ერთი მათგანი ყველაზე მეტად მოეწონა ოთარის. ის გოგო, საიდანღაც, კორპუსის ბოლოდან გამოუყენებოდა ხოლმე დერეფანს და მარტოდმარტო დასეირნობდა ყოველთვის.

ჩაიგლიდა შველივით ყელმოლერებით, ტანწერწეტა, საოცნებო ვარცხნილობით და კანის თვალისმომჭრელი სითეთრით. მას მაისის თაფლისფერი თმები ჰქონდა და მოცისფრო-მოლურჯო, გრძნობით სავსე თვალები. ტანად ყოველთვის კარგად მორგებული მოდური

ტანისამოსი ეცვა, რომელიც დამატებით უსვამდა ხაზს მის ღვთაებრივ აღნაგობას.

ოთარიმ შეამჩნია, რომ გოგო ფარულად გააპარებდა ხოლმე თვალს ჯგუფ-ჯგუფად მდგარი ბიჭებისკენ და ცდილობდა გაეგო თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა მათზე. როგორც შემდეგში გამოირკვა — ოთარი არ იყო ერთადერთი, რომელიც მოჯადოებული იყო იმ გოგონათი. არცერთი ბიჭი გულგრილი არ დარჩენილა მის მიმართ და ყველა მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას. ის კი იყო, რომ თუ ჯგუფში გოგონებიც იდგნენ, მაშინ ბიჭები ისე თავისუფლად და ხელაღებით ვეღარ ახერხებდნენ თვალის დევნებას შშვნიერების მოვლინებაზე.

გოგონა არც არავის ესალმებოდა და არც ესაუბრებოდა. ესე, მარტოდმარტო აივლ-ჩაივლიდა და მორჩა. ყოველდღე მეორდებოდა ერთიდაიგივე.

ოთარი, რაღაცნაირად, მოაჯადოვა ამ „უცნაურმა „სპექტაკლმა“ და თავისი თავი იძაშიც გამოიჭირა, რომ აღარ შეეძლო უიმისობა. მოუთმენლად ელოდა შესვენებას და მერე სასწრაფოდ იკავებდა „სათვალთვალო პუნქტს“.

ასე გაგრძელდა რამდენიმე თვეს. ბოლოს ოთარიმ გადაწყვიტა როგორმე ახლოს გაეცნო გოგონა და თან პაპის დამოძლვრა გაიხსნა თბილისში გამოცილების დროს: „ქალაქელმა გოგოებმა თვალები არ აგიჭრელონ, კარგად ასწონ-დასწონე ყოველივე, მოუფიქრებელი და აჩქარებული ნაბიჯი არ გადადგაო“.

მოძღვნო დღეს, როცა იმ გოგოს ჩამოიარა, ოთარი შორისხლოდა აედევნა და მის „მარშრუტს“ გაპყვა-გამოპყვა. შემდეგ შესვენებაზეც იგივე გაიმეორა და ასე ყოველდღე.

დაახლოებით ერთი თვე გაგრძელდა ეს „კატა-თაგვობანა“. ოთარი ვერ ბედავდა გამოლაპარაკებას: რაღაც აჩერებდა, რაღაც ვერ გადაელასა, რაღაცნაირ მოკრძალებას თუ სიმხდალეს შეეპყრო მისი არსება და მონუსხულივით დასდევდა უკან.

გოგონამ დიდი ხანია შეამჩნია ლანდივით ადევნებული ბიჭი და უფრო გამომწვევად ეჭირა თავი, ხანდახან კი ოზავი ღიმილით გადმოხედავდა მას და აუჩქარებდა ნაბიჯეს. ოთარი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადალახა სამ-ოთხ ნაბიჯიანი ბარიერი.

ბოლოს, ოთარიმ შეამჩნია, რომ გოგონამ რამდენჯერმე გაღიზანებული და თითქოს გაბრაზებული იერით გადახედა, ჩვეულებრივზე სწრაფად შეუხვია დერეფანში და გაუჩინარდა.

გავიდა რამდენიმე დღე. გოგონა არ ჩანდა. ოთარი ადგილს ვეღარ პოულობდა: „ავად ხომ არ გახდა, სხვა ინსტიტუტში ხომ არ გადავიდა, ან, იქნებ გათხოვდა კიდეც“ — ეს კითხვები აწუხებდა მას, გული დამძიმებული ჰქონდა და გამოსავალს ეძებდა. ახლა თვითონ აივლ-ჩაივლიდა ხოლმე არამარტო „გაკვალულ“, არამედ მომიჯნავე დერეფანშისაც — იქნებ სადმე გადავეყაროო, მაგრამ ამაოდ. გოგო არ ჩანდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპარა.

ოთარისთვის დადგა ძნელადასატანი დღეები.

გავიდა ორი კვირა. იგი თავის მორიგ ავლა-ჩავლას ამთავრებდა, როცა თვალი მოპერა საოცნებოს. ოთარის გული სიხარულით აევსო და სხეულში ძალების მოზღვავება იგრძნო. ჩვეულებრივ აედევნა ოდნავ იერშეცვლილ გოგონას, რომელმაც სწრაფად შეუხვია მარცხნივ და ჩასაფრდა. ლამის სირბილზე გადასულმა ოთარიმ ის იყო შემოუხვია, რომ გოგომ ხელი სტაცა ხელში, თავისკენ მიქაჩა, თვალებში ჩახედა და მეორე ხელის საჩვენებელი თითო ცხვირწინ აუთამაშა:

— რას დამდევ, რომ დამდევ; ვერ ხვდები რომ თავი მომაბერზე? იცოდე, თუ თვალთვალს თავს არ დაანებებ, ჩემ მოკრივე მმებს ვეტყვი და კვერცხივით აგთქვეფავენ.

ოთარის ენა ჩაუვარდა, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა; მონუსხულივით შეჰყურებდა და პატარა ბავშვივით აწითლებულიყო. საკუთარი გულის ბაგა-ბუგი მკაფიოდ ესმოდა.

გოგომ მკვეთრი მოძრაობით მოიშორა მისი ზელი, ერთხელ კიდევ დაუქნია თითო და გააფრთხილა:

— კარგად დამახსოვრე ჩემი სიტყვები, თორემ რაც დაგემართოს, მერე სხვას ნუ დააბრალებო. — მიახალა გაოგნებულ ოთარის ეს სიტყვები, შემოტრიალდა და სწრაფი ნაბიჯებით წავიდა თავისი აუდიტორიისკენ.

ოთარი უცბად გამოერკვა, თითქოს რაღაც შვებაც იგრძნო, რამდენიმე ნახტომით წამოეწია, სტაცა ზელში და დინჯი, მაგრამ დამაჯერებელი ტონით მიმართა:

— ახლა მე მომისმინე და ჩემი საქციელის გამართლებასაც ირწმუნებ. შენა ხარ ყველაზე ლამაზი და მშვენიერი გოგონა, ვინც მე მინახავს. შენითაა მოჯადოებული ყველა ბიჭი. შენი გავლა-გამოვლა, მიხვრა-მოხვრა და გარეგნობა ენით აუწერელია; შენა ხარ თვით სილამაზის ქალღმერთი; ბევრი დაამწუხერე შენი ორკვირიანი გაუჩინარებით და შენი კვლავ გამოჩენა გაზაფხულის მოსვლას ჰგავს; ახლა შენი ხმა, ეს ხომ ნამდვილად ზღაპარია „ათასერთი ლამიდან“.

გოგონას გადაუარა სიბრაზებ, ნელნელა მოთბა და მოლბა, ღიმილი შეეპარა მის ატამივით გაპობილ ტუჩებს; აღარც ხელის განთავისუფლებას ცდილობდა და ცნობისმოყვარეობით და რაღაც სასიამოვნოს მოლოდინით შესცემოდა რაღაცით აღფრთოვანებულ ბიჭს.

— ერთსაც გეტყვი, — განაგრძობდა ოთარი, მაგრამ რასაც ვიტყვი, ცოტა მნელად წარმოსადგენია და...

— რა უნდა მითხრა ისეთი, რომ ვერ წარმოვიდგინო?  
— მნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც ვცდი.  
— სცადე, ვნახოთ, — უთხრა გოგომ და მოცისფრო-მოლურჯო თვალებით მიაშტერდა აღელვებულ ჭაბუქს.  
— კარგი, გეტყვი, ოღონდ სანამ პასუხს გამცემდე, დაფიქრდი.  
— სთქვი, გისმენ.

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შენ იცი შენი სილამაზის და მშვენიერების შესახებ და იცი ყველა სხვაზე უფრო მეტად. ახლა კი წარმოიდგინე, რომ დასეირნობ დერეფნებში, პარკებში და სკვერებში, ქუჩაში, თეატრის ფოიეში და სხვა თავშეყრის ადგილებში და ამ დროს აპსოლუტურად არცერთი ახალგაზრდა ბიჭი არავითარ ყურადღებას არ გაქცევს. ერთი მითხარი, რა ხასიათზე დადგები?

გოგონამ ჯერ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ, მერე, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, სახე მოელრუბლა, ორივე ზელი თავში იტაცა და სასოწარკვეთილი ხმით აღშფოთებულმა წარმოთქვა:

— ეს რა თქვი?! ეგ როგორ შეიძლება?! ღმერთმა დამიუბაროს. მაშინ რა უნდა მოხდეს?! ხომ აზრი ეკარგება ცხოვრებას, რა სასტიკი ყოფილხარ შე...

ვეღარ დაამთავრა სათქმელი, თითქოს ყელში ლუკმა გაეჩხირაო. მოწყვეტით გაშორდა ოთარის და თვალდანამული გაუყვა დერეფანს.

ზარის ხმა გაისმა. იწყებოდა ლექცია თემაზე: „ბუნების დიალექტიკა“.

## საბრალო ივან ვასილიშვი

კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორს თანამშრომლები მკაცრად ჰყავდა გაფრთხილებული, რომ მოვლინებიდან დაბრუნების წინ აუცილებლად უნდა დაერევათ მისთვის და მოეხსენებინათ საქმის ვითარება. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც თანამშრომლები ღებულობდნენ დამატებით დავალებებს.

ასე იყო ამჯერადაც. თამაზის კიდევ ერთი დღე ჰქონდა მარქაფში, როცა ყველა საქმეს მორჩა და ტელეფონით დაუკავშირდა დირექტორს.

— მადლობა, რომ ყველა საქმე დამთავრე, — უთხრა დირექტორმა, ახლა კარგად მომისმინე. უნდა წახვიდე ხარკოვში, ამადამ ქარხანაში და როგორმე იშოვნო ერთი ცალი „მუფტა“; ოთხჯერ გავაგზავნე კაცი, მაგრამ ამაოდ. სახელმწიფო დავალება გვეფუშება, დავისჯებით. მოკლედ, შენი იმედი მაქს. ფული თუ არ გყოფნის, ხარკოვში და-გახვედრებ ტელეგრაფით. მოკლედ, ხელცარიელი არ უნდა ჩამოხვიდე.

თამაზიმ ყველაფერი კარგად გაიგო. საქმის კურსში იყო რაც ზდებოდა. ჩას ფარიკებისთვის შექმნილ ახალ დანადგარს სჭირდებოდა განსაკუთრებული კონსტრუქციის ვარიატორი, ე.წ. „მუფტა“, რომელიც განეკუთვნებოდა მკაცრადდევიციტურ კატეგორიას.

ხარკოვში დღლადღრიან ჩავიდა. სასტუმროში მოეწყო, დაიბანა, გაიპარსა და ბუფეტში ისაუზდა. „დღია ხრაბროსტი“ კონიაკი გადაჰკრა და ქარხნისაკენ გასწია. გზაში სულ იმას ფიქრობდა, როგორ ემოქმედა, რა ხერხი ეხმარა, რომელი „კუთხით მიეტანა იერიში“, მაგრამ თავში რამე ეფექტური იდეა არ მოსდიოდა. ბოლოს გადაწყვიტა ჯიქურ შეეტია საქმისთვის და ემოქმედა სიტუაციის შესაბამისად.

ქარხანაში შესვლა პრობლემად ექცა. გასამხედროებული დაცვა ახლოს არ იკარებდა, მისი მოსმენაც არ ისურვეს და ალბათ კინწისკვრით გამოაგდებდნენ, რომ არა ბედნიერი შემთხვევა.

ქარხნიდან მსუბუქი ავტომანქანა გამოდიოდა. რკინის მასიური ალაფაფი დისტანციურად გააღეს, მაგრამ ძრავამ ერთი ჩაიფრუტუნა და ჩაქრა. რა აღარ გაუკეთეს, ვინ არ მოიყვანეს, მოკლედ, მიღეთის ხალხი დაახვიდა, მაგრამ მანქანა გაჯიუტდა და არ იქოქებოდა.

მანქანიდან გადმოსულ პიროვნებაში, რომელიც წამდაუწუმ საათზე იხედებოდა და ნერვიულობდა, თანამდებობის პირი იგულა თამაზიმ.

— მიმიშვით ერთი, — განგებ ხმამაღლა შესძახა მან, გაიძრო პიჯაკი, დაიკაპიტა სახელოები და თავი ჩარგო ძრავაში. ორი-სამი წუთი იჩხირიკედლა და ახალგაზრდა მძღოლს გასძახა გამარჯვებული ტონით — „ზავადი“!

მანქანა ათუხთუხდა. გარშემო მყოფებმა შვებით ამოისუნთქეს.

— აქაურს არ გავხარ, ვინ ხარ და აქ რა გინდა? — შეეკითხა „თანამდებობის პირი“ და მანქანაში ჩასაჯდომად გაემზადა.

რაც თავში პირველად მოუკიდა, სხაპასხუპით მიაყარა:

— ინსტიტუტში ახალი პროდუქციის ნიმუშების საგამოფენო დარბაზი გვაქვს; უცხოელებიც ხშირად მოდიან; თქვენი ქარხნის პროდუქციას არ აკლია შემქები და იქნებ ქარხნის გამოფენა დამათვალიერებინოთ, შევარჩევდი რამეს და რეკლამით ვუზრუნველყოფდით.

— საგამოფენო დარბაზი არა გვაქვს. იდეის მოწოდებისთვის დიდი მადლობა, — მერე საყარაულოსკენ ვიღაც კოლიას გასძახა — პასპორტი დაიტოვეთ და ვასილ ივანიჩთან მიიყვანეთ.

თამაზიმ ამაყად გადახედა დაცვის მუშაკებს და მოითხოვა — ხელები დამაბანინეთო.

კოლია ჩქარი ნაბიჯებით წავიდა მრავალსართულიანი ადმინისტრაციული შენობისაკენ; გვერდით ცუხცუხით მისდევდა გახარებული თამაზი.

— ის შლიაბიანი და პაპკიანი კაცი ვინ არის?

— გენერალური დირექტორის მოადგილე.

- ვასილ ივანიჩი ვიღაა?
- ვინ არის და მომარაგება-გასაღების შეფი.
- „ოჰო! — გაიფიქრა თამაზიძე — შიგ ათიანში მომირტყაშს“.
- რა კაცია ეგ თქვენი ვასილ ივანიჩი, რა უყვარს, რა უჯავრება, როგორი ხასიათი აქვს, ოჯახში ვინ ჰყავს, — მიაყარა შეკითხვები თამაზიძე, თან კიბეებზე ორ-ორი საფეხურით ხტებოდა.
- სალაპარაკოდ არა მცალია, ამ მისი კაბინეტი, ხომ ხედავ რამდენი ხალხია, დადექი შენც აქ და მიხედე შენ საქმეს, — თქვა კოლიამ და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

თამაზი კედელს აეკრა. საჭირო იყო აკლიმატიზაცია. ისიც კარგად ესმოდა, რომ მის წინმდებარე კაბინეტში უნდა გადაწყვეტილიყო მისი „ბედი“.

კაბინეტიდან ხან წენარი საუბარი ისმოდა, ხანაც ხმამაღალი ყვირილი. ზოგი გაღიზიანებული გამოდიოდა, ზოგი კი კმაყოფილი და ლიმილიანი. ყველას რდაც ქალალდები ეჭირა ხელში.

ერთი ქალი გამოვარდა გაკაპასებული: „ეს ვინ ყოფილა, ეს ჯადო; არაფრის გაგება არა სურს. ხალხო, უკანონოს არაფერს ვთხოულობ, ამ ქაღალდო. მეკუთვნის და არ მაძლევს; გაგიგიათ ასეთი უმსგავსობა, ვუჩივლებ ამ ბიუროკრატს, აი, ნახავთ რა დღეს დავაყრი“.

— „დაა... — გაიფიქრა თამაზიძე, — მძიმე სიტუაციაა. ძალიან მაინც არ გააბრაზონ, თორემ მე დღეს მასთან შემსვლელი არა ვარ“.

მერე ერთი შუანის კაცი გამოვარდა საცობივით:

- აკი მითხრეს, კეთილი მოხუციაო, ყველაფერს გაგიკეთებსო.
- ფონდი ხომ გაქვსო, — შეეკითხა ვიღაცა.
- მაშ ეს რა ჯანდაბაა, — დაიღრიალა მან და მოზრდილი ქალალდი ალამივით ააფრიალა, — არა მაქვს და ვერ მოგცემო. ჩამეშალა გეგმა, მომსინიან, გამაგდებენ.

თამაზის საბოლოოდ გაუფუჭდა ხასიათი. — „აბა, მე აქ რა

უნდა გავაწყო, ეკუთვნით და არ აძლევს. მე ვინ ვარ, რას ვთხოულობ? ერიჰა... ცუდად არის საქმე“.

სასტუმროში დაბრუნება გაივლო გულში და ისევ გადაიფიქრა. ცოტა ჩაიჩორა კადელ-კადელ და ისე დადგა, რომ კარების გაღებისას დაენახა „საჭირო კაცი“ და იქნებ მასაც შეემჩნია თამაზი.

კი, დაინახა ვასილ ივანიჩი და ერთი შეხედვით კარგი შთაბეჭდილება დატოვა მასზე: იქნებოდა სამოცდათ წელს მიღწეული, სათვალეებით, ფუნჩულა, კეთილი სახის გამომეტყველებით, დინჯი და რბილი ხმით მოსაუბრე. მისმა გარეგნობამ და საუბრის მანერამ, თამაზის რაღაც იმედი ჩაუსახა გულში. გაიფიქრა: „არც ისე წვიმს, როგორც ქუხსო“.

კარების ყოველი გაღებისას ხედავდა ვასილ ივანიჩს, მანაც შეამჩნია თამაზი და რამდენადაც შესაძლებელი იყო, აათვალიერჩათვალიერა.

თამაზი ვერ ბედავდა შესვლას. ვერა და ვერ მოიფიქრა თუ როგორ ემოქმედა. ბოლოს გადაწყვიტა, რომ სულ ბოლოს შესულიყო და პირისპირ დარჩენილიყო. ფიქრობდა: „განა რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ორმა მამაკაცმა ერთმანეთს ვერ გაუგონ“.

დრო საკმაოდ გასულიყო. დერეფანში მოფუსტუსე ქალების გადახახილ-გადმობახილზე მიხვდა თამაზი, რომ შესვენება იწყებოდა. მართლაც, ხეთიოდე წუთის შემდეგ ვასილ ივანიჩმა თითქმის ძალით გამოყარა ხალხი კაბინეტიდან, კარები გასაღებით ჩაკეტა და ყველას გასაგონად გამოაცხდა: „ვიქნები სადილის შემდეგო“. მერე თამაზის მიაპყრო გაკვირვებული მზერა: „შენ რა, როდემდე უნდა იყო მაგ კედელზე აყუდებული, დაბრუნდები და შემოდი, აქ ხალხი არ გამოილევა“. თამაზის არაფერი არ უპასუხია, ტანის სიმბიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადაიტანა და გაიტვრინა.

შესვენების შემდეგაც იდგა „თავის“ ადგილზე და კარების ყოველ გაღებაზე თვალში ეჩირებოდა „საჭირო კაცს“. ისიც, შიგადაშიგ გაოცებული გამოხედავდა ხოლმე სათვალის ზემოდან.

სამუშაო დღის ბოლოსთვის ხალხი შემცირდა. მივლინებაში მყოფნი გაიხვეტნენ. ქარხნის თანამშრომლები თუ მიაკითხავდნენ ვასილ ივანიჩს და ისიც კანტი-კუნტად.

ბოლოს, თამაზისთვის მოულოდნელად, გაიღო კარი და ვასილ ივანიჩმა, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული ტონით მიმართა თამაზის:

— ბოლოსდაბოლოს, შემოხვალ თუ არა?! რაა, გინდა რომ შეგეხვეწო?

თამაზისაც სწორედ ეს უნდოდა. მის თავში მომწიფებული პატარა გეგმის პირველი ნაწილი შესრულდა — მას ესვეწებოდნენ, ეველრებოდნენ — „მობრძანდითო“.

თამაზი შეთავაზებულ სკამზე ჩამოვდა:

— გმადლობთ. პატარა ბოდიშიც მინდა მოგიხადოთ, მე მგონი ცოტა გაგმაწყენოთ.

— ბოდიში რა საკადრისია, უბრალოდ მეჩვენება, რომ ცოტა უცნაურად იქცევით. ეხლა კი გისმენთ, რაზე შეწუხებულხართ?

— უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ კიევის „დინამოს“ გუშინ-დელ გამარჯვებას მოსკოველებზე, მართლაც რომ დიდებული თამაში იყო, — წამოიწყო თამაზიმ ჩაფიქრებული გეგმის მეორე ნაწილი, რაზედაც დიდ იმედებს ამყარებდა.

— ოჰ... გმადლობთ, დიდი მადლობა, — ირონიაშერეული ღმილით წარმოთქვა ივანიჩმა, — მაგრამ ვფიქრობ, რომ მაგისთვის არ ხარ მოსული. ისე კი, ნამდვილად კარგი თამაში გამოვიდა. ჩვენებმა ულამაზესი გოლები გაიტანეს. სხვანაირად არც უნდა ყოფილყო, ჩვენ ძლიერები ვართ რუსებზე. მსაჯები რომ ობიექტურები იყვნენ, ისინი ვერასოდეს მოგიგებდნენ. ჰო, მართლა, თქვენ საიდან ბრძანდებით?

— საქართველოდან.

— აპა... ეს უკვე სხვა საქმეა. რა, თქვენი „დინამო“ ნაკლები გუნდია? თქვენც გჩაგრავენ მსაჯები და ეს არის გულდასწყვეტი. აბა მითხარით — პაიჭაძისა და ღოლობერიძის გუნდები არ უნდა

ყოფილიყვნენ ჩემპიონები, ან თასის მფლობელები?

— ძველად რა იყო არ ვიცი, მაგრამ თქვენ რომ ფეხბურთელები გყავთ მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს დამშევენებენ, რომელი ერთი ჩამოვთვალო: საბო, ბიბა, კოლოტოვი, ბიშოვეცი; რუდაკოვი რა, იაშინზე ნაკლები რითია?

— თქვენები? რა ბიჭები არიან, იფ; მარტო მესხი რად ღირს, მთელი გუნდია. მაგისთანა მოთამშის მნახველი არა ვარ; რა ფინტები აქვს და რა სიჩქარე; რუსებს რომ ტვინი ჰქონდეთ — ნაკრებში მუდმივად უნდა ირიცხებოდეს, ახლა მეტრეველი, ჩოხელი, კოტრიკაძე, ბარქაძა, ჰე-ჰე-ჰე, აი არწივები.

— თავის დროზე ლობანოვსკისაც გაუჭირდა ნაკრებში ფეხის მოკიდება მწვრთნელების ჭირვეულობის გამო. აბა მითხარით მსოფლიოში ვის ჰყავს კუთხურის უკეთესი ჩამომწოდებელი?

— კუთხურების დიდოსტატი ხომ თქვენცა გყავთ — დათუნაშვილი. კარგად მახსოვს ტაშქენტის მატჩი. ისიც მახსოვს, რომ ფედერაცია თამაშის ჩატარებას, სადღაც უკიდურეს ჩრდილოეთის სტადიონზე აპირებდა, აქამდა ჩვენ უფრო ყინვაგამდენი ვართო. ტაშქენტში რომ არ ყოფილიყო თამაში, თქვენი „დინამო“ კვლავ ვერ გახდებოდა ჩემპიონი. ისე, სიმართლე უნდა ითქვას და რუბენისმაც ივაუკაცა.

— ივაუკაცაო, ვამბობთ და ეს ვაუკაცობა იმაში გამოიხატა, რომ ობიექტურად იმსაჯა, თბილისელებს არ მიმხრობია.

— ობიექტური მსაჯობისთვის აკი დასაჯეს კიდეც.

— ეკ, რომელი ერთი გავიხსენოთ, — თქვა თამაზიმ.

კიდევ ბევრი ისაუბრეს, გაიხსენეს კიევისა და თბილისის „დინამოელების“ თამაშები, ზოგიერთი კურიოზული შემთხვევა. ამასობაში სამუშაო დღე მიიწურა. კაბინეტში დამლაგებელმა შეყო თავი და სწრაფად გამობრუნდა.

ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. ვასილ ივანიჩი სკამზე გასწორდა, მაგიდაზე ქალალდები მიალაგ-მოალაგა და წყნარად

მიმართა თამაზის:

— პო, კარგი. ფეხბურთზე საუბარი გვეყოფა. მითხარი, რომელი ორგანიზაციიდან ხარ და რა გაჭირვებიათ.

თამაზი ჩაფიქრდა: „ყველაფერი გეგმით მიდის“. დადგა გადამწყვეტი წუთი. პირდაპირ ვუთხრა — ვაი თუ დავაფრთხო, გავუწელო სათქმელი და ვაი თუ გავაღიზიან.

— იქნებ ჯობდეს ჰაერზე გავიაროთ. სამუშაო დამთავრდა, ჩემი გულისთვის რატომ უნდა გადაიტვირთოთ. გზაში ვისაუბროთ.

— კი ბატონო, თანახმა ვარ.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, როცა ისინი ერთ ჰატარა, მყუდრო კაფეში ისხდნენ და დიდიხნის მეობრებივით საუბრობდნენ.

— ეჰ, ბედნიერი ხალხი ხართ ქართველები, — შენიშნა ოდნავ ლოფებშეწილებულმა ივანიჩმა, — ყველაფერი ბევრი გაქვთ: ღვინო, არაყი, ყურძნი, ციტრუსები, ლამაზი მთები და ქალები.

თამაზიმ გაიფიქრა: „ახლა კი დროაო“, აიღო ჭიქა ხელში და ნაღვლიანი ტონით გამოეპასუხა:

— მართალი ხართ, ეგ ყველაფერი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს „მუფტა“.

ვასილ ივანიჩი თითქოს შეკრთა, რაღაცნაირად დაიძაბა, მერე გაიღიმა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, დაბალი ხმით თქვა:

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, გეტყობა იცი რაზეა ლაპარაკი და ალბათ იმიტომ ფრთხილობდი. კი, მაგრამ, რომელი ორგანიზაციიდან ხარ და რაში გჭირდებათ?

— მე გორიდან ვარ; იქ არის ინსტიტუტ...

— გორიდან? — შეაწევეტინა სიტყვა ივანიჩმა, — სტალინის სამშობლოდან; რატომ თავიდანვე არ მითხარი; მე ძალიან მიყვარს სტალინი, აი... — ვასილ ივანიჩმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და რაღაც მძიმე ამოაჩოჩა ქაღალდში გახვეული. მაგიდა აჭრელდა ორდენებითა და მედლებით; იქვე ეწყო სტალინის ხელმოწერილი მადლობები

ვასილ ივანიჩ ტარასენკოს სახელზე.

— კი, მაგრამ, ყველაფერ ამს ჯიბით დაატარებთ?

— დღეს დილით სურათი გადამიღეს საპატიო დაფისთვის და მეც მოვიწადინე ღირსულად წარმოვჩენილიყავი. ახლა მითხარი „მუფტა“ რამდენი გჭირდებათ?

— ერთი, ერთადერთი.

— ერთი?! — გაფართოებული თვალებით იკითხა მან და მოსვა კონიაკი. — კი ბატონო, ჩათვალე, რომ გაქვს, ოღონდ წერილი იქნება საჭირო ისეთი, რომ უფროსებს გული აუზუყოს.

მეორე დღეს თამაზიმ, რომელიდაც დაწესებულებაში, ერთ ქერათმიან გოგონას შოკოლადის ფილა მიართვა და წერილი დააბეჭდინა; დირექტორის მაგივრად ხელი მოაწერა და „მფრინავი“ ნომერიც ჩაუწერა.

წერილი სახლში მიუტანა, როგორც შეთანხმდნენ. ვასილ ივანიჩმა ბევრი იცინა: „ისეთია, რომ ნებისმიერ კაცს მოულბობს გულსო“.

— აბა, ახლა წავდი ქარხანაში, ისედაც დავაგვიანე, შენ შეგიძლია წახვიდე გორში; მომიკითხე გორელები და თბილისის „დინამოელები“. ერთ კვირაში გამოგიზანი.

თამაზის სიხარულის სითბომ თავიდან ფეხებამდე ჩაუარა. დაიმედებული წავიდა სასტუმროში ნომრის გასათავისუფლებლად.

გორში გახარებული დაბრუნდა, მაგრამ მის სიხარულს ფრთები შეაკვეცეს — დირექტორმა საყვედური გამოუცხადა. ბრძანებაში ეწერა: „...ჩემთან შეუთანხმებლად მივლინებიდან დაბრუნებისათვის და ბეჭდიან-შტამპიანი ბლანკის თვითონებური გამოყენებისათვის...“

— ამხელა საქმე გავაკეთე და საყვედურს მიცხადებთ? — აღელდა თამაზი.

— მე ჯერ გაკეთებულ საქმეს ვერ ვხედავ, — გამოცრა დირექტორმა, — აი, როცა „მუფტა“ ჩამოვა, პრემიასაც მოგცემ და მადლობასაც გამოგიცხადებ, ხოლო თუ არ გამოგზავნეს, მერე... — უპასუხა დირექტორმა და თითები მრავალმნიშვნელოვნად ათამაშა

სარკესავით პრიალა მაგიდაზე.

დაახლოებით ათი დღის შემდეგ გორის სატვირთო სადგურიდან დარექს: „თქვენს სახელზე ტვირთია მოსული ხარჯოვიდან, გთხვოთ დროულად გაიტანოთ“.

\* \* \*

...სახელმწიფო გამოცდებმა მთლიანად დაადასტურეს ახალი დანადგარის მაღალი ტექნიკური დონე და ეფექტიანობა. სამინისტრომ მაღალი შეფასება მისცა ინსტიტუტის ნამუშავარს, გამოყვეს მნიშვნელოვანი პრემია, ხოლო დირექტორს გამოუცხადეს მადლობა.

თამაზიმ, რომელსაც დიდი პრემია მისცეს და მადლობაც გამოუცხადეს, გადაწყვიტა კარგი პურ-მარილი გაეშალა სახლში და ახლობელ-მძაკაცებთან ერთად მიეპატიუებინა ინსტიტუტის ხელმძღვანელობაც.

კარგი საღამო გამოუვიდათ, იყო სიმღერები, ცეკვა-თამაში, ხუმრობა და საერთო მოლხენა.

დირექტორმა ერთ-ერთ სადღეგრძელოში ქვებით მოიხსენია მთელი კოლექტივი და განსაკუთრებით კი ისინი, ვინც მთელი წლის განმავლობაში გამოიჩინებოდნენ მონდომებული და კვალიფიციური შრომით, მათ შორის თამაზიც.

— მე ჩემის მხრივ ვადღეგრძელებ იმ კაცს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა, გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და მხარში ამოგვიდგა, — თქვა თამაზიმ. მერე მიმართა დირექტორს: — ხომ არ დავრეკოთ ხარჯოვში, მადლობა ვუთხრათ კაი კაცს, ვადღეგრძელოთ ჩვენებურად და ბედნიერი დამდეგი ახალი წელი ვუსურვოთ?

დირექტორს მოეწონა იდეა და დასძინა:

— დიდი სიამოვნებით გადავუხდი მადლობას.

მორიგებ სწრაფად დააკავშირა ერთმანეთს გორი და ხარჯოვი. ყურმილი ქალბატონმა აიღო. „ალბათ მეუღლეა“ — გაიფიქრა

თამაზიმ, შვილიშვილი მოიკითხა და ივან ვასილიჩთან ითხოვა დალაპარაკება.

— სახლში არ არის.

— ასე გვიანობამდე რჩება ქარხანაში?

— არა, სასტუმროშია, შვეიცარიად დაიწყო მუშაობა. ამაღამ მორიგეა. ქარხნიდან გაანთავისუფლეს, უკვე ორი თვე ხდება.

— გაანთავისუფლეს?! რატომ, რისთვის, რა დაშავა ისეთი?

— განსაკუთრებით დეფიციტური პროდუქციის უფონდოთ გაცემის გამო. — ქალბატონი კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ რას, თამაზის აღარ ესმოდა.

## პიჯაკი

ორკვირიანი მივლინებიდან დაბრუნებული გიორგი ორშაბათ დილით გამოცხადდა ინსტიტუტში და თავისი ლაბორატორიის ყველა თანამშრომელს ხელის ჩამორთმევთ მიესალმა. მას, რაღაცნათ-რად უცნაურად ჰქინა თავი, თითქოს კოპტიობდა, თითქოს უცნაურად და შებოჭილად მოძრაობდა, თან ეშმაკურად იღიმებოდა. ვერავინ მიხვდა რაში იყო საქმე. ბოლოს თვითონ გიორგიმ „გახსნა კარტი“.

— აბა, შემომხედეთ, ვერაფერს ამჩნევთ? ახალი პიჯაკი ვიყიდე, ხომ მიხდებაო?

ახლადა შეამჩნიეს თანამშრომლებმა გიორგის ძლიერ ტორსზე მორგებული ბუკლეს პიჯაკი.

— რა კარგია, როგორ გიხდებათ. — მიეფერნენ გოგონები.

— კაი რამეა, — მიაგებეს ბიჭებმა და გიორგი რამდენჯერმე შემოატრიალეს, თან მხრებზე ხელებს უთათუნებდნენ.

— რამდენი გადაიხადე? — შეეკითხა ცნობისმოყვარეობით განთქმული მოადგილე.

— ბევრი არაფერი, სულ 25 მანეთი, — უპასუხა გიორგიმ და მოხდენილად შეტრიალ-შემოტრიალდა წიგნების კარადის შიგნიდან შავქალალდგამოკრული მინიანი კარების წინ, რომელიც ლაბორატორიაში სარკის როლს ასრულებდა.

— „მაღარიჩი“ უნდა იკისრო, უნდა „დავასველოთ“ ახალი პიჯაკი, ტრადიციას ხომ ვერ ვუდალატებთ, — თთქმის ერთდროულად დამოძრეს ბიჭებმა და საქმის ხალისთვის გადადება აღარ ისურვეს.

სამუშაოს შემდეგ გიორგიმ რამდენიმე ბიჭი მიიპატიჟა სევერიანის დუქანში და „დაასველეს“ ახალი პიჯაკი, რამაც გიორგის თვრამეტი მანეთით შეუშსუბუქა ჯიბე.

ლაბორატორიაში კარგად იცნობდნენ უფროსის ხასიათს. იგი გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგულებით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, წესრიგით.

გიორგი ერთდროულად იყო კარგი მეცნიერიც და გულუბრყვილო ბავშვიც. უყვარდა და იტანდა ხუმრობას და როგორც ხშირად ხმარობდნენ — შაყირს. ჰოდა, თანამშრომლებმა გადაწყვიტეს გიორგისთან შეხუმრება და მისი გაშაყირება.

ერთი კვირის განმავლობაში გულდაჯერებით უკიუნებდნენ: „კარგი პიჯაკია, მაგრამ დიდი გაქვთ. რა, შენი ზომა არ იყო, თუ გამყიდველმა შეგიცვალა გასინჯვის შემდეგო“.

იმდენი ელაპარაკნენ და იმდენი უკიუნიეს, რომ პიჯაკი ატელიეში წააღებინეს გადასაკეთებლად. პიჯაკის გადაკეთებაში გიორგის თორმეტი მანეთი გადაახდევნეს.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გამოცხადდა სამსახურში უპევ გადაკეთებული პიჯაკით და ახლა უკვე შედარებით მსუბუქი „მაღარიჩით“ გადარჩა სამსახურის ბუფეტში. ხუთი მანეთის დახარჯვამ მაინც მოუწია და ერთი თვე დამშვიდებულად და თავმომწონედ გამოიყურებოდა პიჯაკში, რომელიც უკვე სამოცი მანეთი უღირდა.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი „ბეღნიერება“. ერთ-

ერთ თათბირზე მთავარი ინჟინრის მოადგილემ შეუქო პიჯაკი და იქვე დაამატა: „პატარა გაქვს, ჯობდა შენი ზომის შეგერჩიაო“. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლაბორატორიის თანამშრომლებს საქმე „ჩაუწყვიათ“ მთავარი ინჟინრის მოადგილესთან — ასე და ასე უთხარიო.

ლაბორატორიაშიც აღარ მოუსვენეს: „პატარა გაქვსო. რომელ მეტრავს გადააკეთებინე იმის ....ო, წელში რომ მოიღუნო, ბეჭებზე გაირღვევაო; ჯიბები ქვემოთ დარჩაო; ძველი ღილების ადგილები ეტყობაო“ და სხვა.

გაუფუჭდა ხასიათი გიორგის; ახლა რაღა ექნა, არ იცოდა. ისევ თანამშრომლებმა უკარნახეს გამოსავალი. ურჩიეს, რომ პიჯაკი ჩაეგარებინა საკომისიო მაღაზიაში გასაყიდად.

გავიდა რამდენიმე თვე დადგა ბარაქიანი შემოდგომა. პარასკევი დღე იწურებოდა და გიორგის ლაბორატორიის თანამშრომლები სახლებში წასასვლელად ემზადებოდნენ.

მოადგილე ეკითხება გიორგის:

— სად არის შენი ძმა, რამდენი ხანია აღარ მინახავს, სადმე შორს ხომ არ არის წასული?

— არა, არ არის წასული, ქალაქშია. გუშინ ტელეფონით ვესაუბრე, დამპირდა, რომ დღეს შემოივლიდა ჩვენ სანახავად.

— დღეს ალბათ აღარ მოვა, რაღა დარჩა, სულ ხუთმეტი წუთი.

გიორგის ჰყავდა ძმა, სახელად რამაზი. ყველას ძალიან უყვარდა ის, როგორც ტკბილი მოსაუბრე, მორიდებული და პურმარილის მოყვარული. გიორგის და მის მეგობრებს მრავალი სადღეგრძელო ჰქონდათ დალეული რამაზის ოჯახში და კარგი დროც გაუტარებიათ.

ამ ახლაც, ის იყო გოგოებმა, როგორც წესი, რამდენიმე წუთით ადრე დატოვეს ლაბორატორია და რამაზიმაც შეაღო კარი. ღიმილით და თბილი მოკითხვით მიესალმა გიორგის და მის სამ თანამშრომელს. მერე კი სთხოვა მასთან წასულიყვნენ სახლში და „თითო“ ჭიქა დაელიათ.

გულუხვი პურმარილით დახვდა რამაზის ოჯახი ახლობელ სტუმრებს.

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მისდევდა. კარგად რომ შემხიარულდნენ, ერთ-ერთმა პკითხა რამაზის:

- თუ რაიმე მიზეზითა ეს პურმარილი, უნდა გვითხრა; ასე ხელცარიელები რომ მოვედით, არც ჩვენ გვეკადრება და არც ოჯახს.
- არაფერი სერიოზული; უბრალოდ მომენატრეთ და ეგ არის, მეტი არაფერი.
- თუ მმა ხარ, მაინც გვითხარი, რაშია საქმე? დაბადების დღე თუა შენი, ან შენი ოჯახის რომელიმე წევრის?!
- არა, არა, უბრალოდ, თქვენთან პურის ჭამა მინდოდა.

ამ დროს მაგიდიდან შორიახლოს მჯდომმა რამაზის შვილმა ახარა სტუმრებს:

- მამიკომ ახალი პიჯაკი იყიდა და იმის მა-მაღა-მაღალიშიაო.
- აკი მიზეზი არ მქონიაო, აბა ერთი ჩაიცვი და გვეჩვენე როგორი ბიჭი ხარ, — თითქმის ერთხმად ითხოვეს ბიჭებმა.

რამაზი ადგა და მეორე ოთახში გავიდა. რამდენიმე წუთში ახალ კოსტუმში გამოწყობილი გამოვიდა. უკან მეუღლე მოსდევდა და საყლოს უსწორებდა. მართლაც კოხტად პქონდა ტანზე მორგებული გიორგის ნაცოდვილარი, გადაკეთებულ-გადმოკეთებული და საკომისიო მაღაზიაში შეძენილი პიჯაკი.

ბიჭებს ჯერ ენა ჩაუვარდათ მუცელში, მერე კი ყველა გულიანად ხარხარებდა.

- რამდენი გადაიხადე მაგ პიჯაკში, — შეეკითხნენ რამაზის.
- ოცი მანეთი გადავიხადე, მე მგონი არ არის ძვირი, — სიამოვნებით წარმოსთქვა მან და ჭიქებში ღვინო ჩამოასხა.

როგორც სახლისკენ ბანცალით მიმავალი სტუმრები ანგარიშობდნენ, რამაზს ის „მაღარიჩი“ დაახლოებით ოცდაათი მანეთი მაინც დაუკვდა. საბოლოოდ მმებმა ითხმოც მანეთზე მეტი გაიღეს ოცდახუთმანეთიანი პიჯაკის შესაძნად.

## გრძელი ფეხები

ნიკოს მეზობელ ქალს ჩვევად პქონდა ქცეული, რომ თავისი გრძელი და ჩამოსანთლული ფეხებისთვის რამენაირად გაესვა ხაზი. ფეხები კი მართლაც გრძელი პქონდა, რაც განსაკუთრებით მაშინ იყო თვალშისაცემი, როდესაც შარვალს იცვამდა. სწორედ მაშინ ყოველი ნაკეთი აშკარად გავთებოდა და ასამხოლოდ წვევ-ბარძაყები. შემთხვევას არ გაუშებდა, რომ საუბარში „გრძელი ფეხები“ როგორმე ეხსენებინა, თითქოს გარშემომყოფთ იწვევდათ რაღაც საინტერესო სანახაობის საცქერლოად: „აბა, შემომშედეთ, რა ლამაზი და მოხდენილი ფეხები მაქვსო“.

ნიკოს, ისიც პქონდა შემჩნეული, რომ ამ გრძელფეხება ქალბატონს, რომ იტყვიან, მკერდი ფიცარივით პქონდა და ძუძუები ოდნავ ემჩნეოდა.

გვარიანად მობეზრდა ნიკოს ქალბატონის მხრიდან სისტემატური ხსენება და ხაზგასმული მინიშნებები „გრძელ ფეხებთან“ დაკავშირებით და ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს, რათა რაღაც ნაირად დაეგესლა თავის თავზე უზომოდ შეყვარებული მეზობელი. ასეთი შესაძლებლობა მაღა მიეცა.

ტარდებოდა ევროპის ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტის სახეობაში, ე.წ. „კონკურში“. მეზობლები, მთელი ერთი კირის განმავლობაში ერთად უცქერდნენ ტელევადაცემებს და ტკბებოდნენ, მართლაც რომ მშვინიერი სანახაობით. მეზობლის ქალი კი არ ისვენებდა, როგორც ყველოვის, ცდილობდა ხაზი გაესვა თავისი ფეხებისათვის და წამდაუწუმ ხმამაღლა მიმართავდა გვერდით მჯდომ პატარა შვილს: „ნახე შვილო, რა გრძელი ფეხები აქვს მეთოთხმეტე ნომერს“, „უყურე დედიკო, რა გრძელი ფეხები აქვს იმ ლურჯა ცხენს“, „კარგად დააკვირდით ხალხო, რა გრძელი ფეხები აქვ...“ და ასე გაუთავებლად.

ნიკომ ვეღარ შეიკავა თავი და გალიზიანებული ხმით მიმართა

ტელეკრანის წინ მჯდომთ: „ნახეთ მეზობლებო, რა ძლიერი მკერდი აქვს მეთვრამეტე ნომერს.“

მეზობლებმა ირონიანარევი ღიმილით გადახედეს ნიკოს. იმის შემდგა, თავმომწონე ქალბატონს ერთხელაც აღარ უხსენებია „გრძელი ფეხები“.

### მუსხელიშვილი, პუკი, ახალგაზრდა დოცენტი და მე

წილად მხვდა ბედნიერება სტუდენტობის დროს ჩემთვის ესწავლებინა მსოფლიოში სახელმომეცვეჭილ მეცნიერს, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს, რომელიც იმდროისთვის გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. მასწავლიდა კი, ნიკო მუსხელიშვილი „დრეკადობის თეორიას“. მისი, როგორც დიდი მეცნიერის, ფუნდამენტალური მეცნიერული გამოკლევები ეხებოდა მათემატიკისა და მექანიკის ისეთ სფეროებს, როგორებიცა: სინგულარული ინტერალური განტოლებები, ანალიზური გეომეტრია, ფუნქციის თეორიის სასაზღვრო ამოცანები და მრავალი სხვა.

განსაკუთრებული აღიარება მეცნიერს მოუტანა 1933 წელს გამოსულმა მისმა წიგნმა „დრეკადობის თეორიის ზოგიერთი მათემატიკური ამოცანები“. მნიშვნელოვანი ადგილი ამ წიგნში ეძღვნებოდა ე.წ. პუკის განზოგადოებულ კანონს და შესაბამის ფორმულას.

ამ კანონმა და ფორმულამ აზრთა სხვადასხვაობა დაბადა მეცნიერთა შორის. ისინი, ვისაც რაიმე გაეგებოდა მექანიკაში, კურძოდ კი დრეკადობის თეორიაში, გაიყვნენ ორ პირობით ჯგუფად – მუსხელიშვილის მომხრეებად და მხარდამჭერებად და მის ოპონენტებად. ამ უკანასკნელთა შორის იყო ახალგაზრდა მეცნიერი, პილიტენიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტი,

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გაიოზ ჭანკოტაძე, რომელსაც თავისი საკუთარი, არგუმენტირებული, მოსაზრებები გააჩნდა პუკის განზოგადოებული კანონისა და შესაბამისი ფორმულის მიმართ. გაჩაღდა დაუსწრებელი „ბრძოლა“ აკადემიკოსსა და ახალგაზრდა მეცნიერს შორის, აკადემიის პრეზიდენტსა და დოცენტს შორის; ეს „ბრძოლა“, რაღა თქმა უნდა, იყო მეცნიერული და შორს იდგა რაიმე ინტრიგის, შანტაჟის ან ცილისწამებისაგან.

1956 წელს უკანასკნელ გამოცდას ვაბარებდი „დრეკადობის თეორიაში“, გამომცდელი და კომისიის თავმჯდომარე კი იყო ნიკო მუსხელიშვილი.

ბილეთებში შეტანილი 120 საკითხიდან ყველა ზედმიწევნით კარგად მქონდა მომზადებული, განსაკუთრებით კი ე.წ. პუკის განზოგადოებული თეორია (კანონი) და შესაბამისი ფორმულაცა. ეს საკითხი ვიცოდი ორივე პოზიციის გათვალისწინებით – მუსხელიშვილის, რომელმაც მასწავლა და ახლა მისთვის უნდა ჩამებარებინა გამოცდა და გაიოზ ჭანკოტაძის (ჩემი ბიძაშვილის), რომელმაც მომაშაბადა მთლიანად „დრეკადობის თეორიის“ ჩასაბარებლად.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუსხელიშვილისთვის ყოველთვის იყო გამოყოფილი დიდი აუდიტორია და მხოლოდ პირველ სართულზე, რათა უკვე მხცოვანი მეცნიერი არ შეწუხებულიყო სართულებზე ასვლა-ჩასვლით და დროც დაეზოგა. ყველაზე დიდ აუდიტორიას კი იმიტომ ურჩევდნენ, რომ ძირითადი სტუდენტების გარდა, მის ლექციებს, თუ გამოცდებს დასწრებოდა მსურველთა დიდი არმია თბილისისა თუ სხვა ქალაქების ტექნიკური სასწავლებლებიდან (ასპირანტები, მეცნიერებათა კანდიდატები თუ დოქტორები, უცხოელი სტაუტორები, ჟურნალისტები და ა.შ.).

და აი, შევდივარ საგამოცდო ოთახში და ვიღებ ბილეთს. ნიკო მუსხელიშვილს განუყრელი ჩიბუხი უჭირავს სელში და თბილი, მშობლიური ღიმილით მთხოვს დავჯდე და კარგად მოვიფიქრო პასუხები.

ჯერ მხოლოდ ბილეთის ნომერი ჩამრჩა გონიერაში – ნომერი ოთხი. საშინლად ვღელავდი, არა იმიტომ, რომ რაიმე არ ვიცოდი. ვნერვიულობდი უდიდესი მეცნიერის წინაშე, უნებლიერ არაფერი შემშლოდა და სირცხვილი არ მეჭამა. საკითხების არ მეშინოდა, მაგრამ ხომ ამბობენ: „ბედის ირონიაო, პოდა მესამე საკითხად შემხვდა სწორედ ჰუკის განზოგადოებული კანონი და ფორმულის ფიზიკური ინტერპრეტაცია.

„ვაი ჩემ თავს“ – გავიფიქრე და დავიწყე „ტვინის“ ჭყლეტა – თუ როგორ გამოვიდე მდგომარეობიდან: მოვყვე ისე, როგორც მასწავლა პრეზიდენტმა, მაშინ უნდა „ვუდალატო“ ჩემ ბიძაშვილს, რომელმაც გასული დღეების განმავლობაში დამარტინუნა თავის „ოპოზიციურ“ მოსაზრებებში. მოვყვე ისე, როგორც მასწავლა ბიძაშვილმა, მიქმნიდა დიდ სიძნელეებს გამომცდელთან.

პირველ-ორ საკითხზე სწრაფად გავუგეთ სტუდენტმა და აკადემიის პრეზიდენტმა ერთმანეთს. მივადექით მესამე საკითხს და მივიღე სწრაფი გადაწყვეტილება: „ნება მომეცით ამ საკითხზე გესაუბროთ ორი პოზიციიდან, ერთი თქვენი და მეორე თქვენი ოპონენტების“.

მუსხელიშვილმა გაოცებით შემომხედა, ჩიბუხი რამდენჯერმე ჩატენა, გააბოლა და მოჰყენა ბოლოთის ცემას აუდიტორიის გასწვრივ. ვგრძნობდი, რომ დაძაბულად მისმენდა. ჩემ ხმას თუ არ ჩავთვლით, აუდიტორიაში სამარისებური სიჩუმე იდგა. ჰაერი კი გადაჯერებული იყო ჩიბუხიდან ამონაბოლქვი ლაგოდებური, გლეხური წესით დაკეპილი, თამბაქოს არომატული ბოლით.

ის-ის იყო დავამთავრე მუსხელიშვილისეული პოზიციის მიმოხილვა და ვაპირებდი ოპონენტების პოზიციებზე გადასვლას, როდესაც გამომცდელმა შემაჩერა: „თქვენ, ახალგაზრდავ, რა გვარი ხართო?“. გაიგო რა, გვარი ჭანკოტაძე, მითხრა: „კარგი, ძალიან კარგი. ახლა კი ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. მიბრძანდით პირველ კორპუსში და სთხოვეთ ჩემი კუთვნილი ხელფასი

გამოგატანონ“.

გულზე მომეშვა და სიხარულისგან მუხლები მიცახცახებდა. მძიმე მდგომარეობიდან (ნებით თუ უნებლიერ) თვითონ ბუმბერაზმა მეცნიერმა გამომიყვანა.


ხელფასის უწყისში ხელს რომ ვაწერდი, კოდევ ერთხელ გავვოცდი იმ დღეს. აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს გამოწერილი ჰქონდა ხელფასი 28000 (ოცდარვაათასი)! მანეთი (სტუდენტის სტიპენდია იყო 350-400 მანეთი. შედარებისთვის). შემდეგ თვალი გავაყოლე უწყისის გრაფებს, სადაც ამოვიკითხე: პიონერთა სასახლე, უპატრონო ბავშვთა სახლი, სკოლა-ინტერნატი, საჯარო ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი №..., საბავშვო ბაგა №..., მხარეთმცოდნების მუზეუმი, სპეციალიზირებული მათემატიკური სკოლა, უსინათლოთა საზოგადოება და ა.შ. და ა.შ. ყველა ამ გრაფის გასწვრივ ეწერა ის ფულადი თანხები, რომლებსაც უდიდესი ქართველი მეცნიერი, თავისი ხელფასიდან ურიცხავდა მათ. აი, ამას ქვია მამულიშვილობა, ამას ქვია ჭეშმარიტი ქველმოქმედება.

საბოლოოდ ჩემს გამომცდელს ჩავაბარე ხელფასის მორჩენილი ნაწილი 7000 (შვიდიათასი) მანეთის ოდენობით, მე კი მან გადმომცა ჩათვლის წიგნაკი, რომელშიც „დრეკადობის თეორიის“ გასწვრივ ეწერა სამაყო სიტყვა „ფრიადი“.

1962 წ.

## ს ა რჩე ვ ი

სანთელ-საქეველი .....	4
„ალმასა“ .....	10
შავი დათვის ტყავი .....	19
ბედისწერა .....	22
„ვერი გუდ ბოი“ .....	49
„კარმენა“ გადაარჩინა .....	54
მილიციონერი ბერდია .....	59
კაცაანი მიხა .....	64
გულისტყივილი .....	70
სიკეთე თუ „დათვური სამსახური“ .....	72
შემთხვევითი ნაცნობი .....	74
ალერგიული დაცი .....	85
გამგონე ჭურდები .....	89
ბურთი და ტელეფონი .....	91
საზრიანი მებაღე .....	94
შეუმშრალი სისხლი .....	96
„სიმაფორა“ .....	97
გამოგლევილი წინდიდან ბრილიანტიამდე .....	99
„კინკრია“ .....	101
საყვარელი ციფრი .....	105
უცნობი ნაცნობი .....	107
„ტიკჭორა“ .....	110
თოვლი .....	116
ყოჩალ გიგი! .....	117
„კრასნი კოლა“ და სამი მუშკეტერი .....	134
სიგარეტის ღერი .....	136
ჩინური შარვალი .....	139
ათი თეთრი .....	142
ბიჭი და ყვავილი .....	144
არჩევანი ზიდისთავში .....	145
დევუსტაცია .....	150
საბაზრო ექონომიკა .....	152
ზუმბათა .....	155
სტალინის ქუდი .....	158
სკოლის დრექტორი .....	161
ბუნების დიალექტიკა .....	163
საბრალო ივან ვასილიჩი .....	168
პიჯაკი .....	177
გრძელი ფეხები .....	181
მუსხლიშვილი, ჭუკი, ახალგაზრდა დოცენტი და მე .....	182



ვ.რ. ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში, აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.. თითქმის ოცდაათი წელი მუშაობდა ქ. გორის პვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში. ავტორია მრავალი სამეცნიერო შრომის, გამოგონების და ასულობით პუბლიცის-ტური წერილის. არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.